

ლილი გვენეტაძე

ფინანსების ზოგადი თეორია

(საღმეცნიერო კურსი ბაკალავრიატისათვის)

 **გრიგოლ როგავაძის სახელობის უნივერსიტეტი**

თბილისი
2007


უკ (UDC) 336 (042)
გ 456

რედაქტორი:

მიხეილ თოჭაჯიშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათ დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი

რეცენზენტები: **შალერი ბენია** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო სასოფ-
ლო-სამეურნეო უნივერსიტეტის, ფინანსებისა და
ადრიცხვის დეპარტამენტის
უფროსი

მარინე მუჩიაშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს პარლამენტის სა-
ბიუჯეტო ოფისის მთავარი სპეციალისტი

 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
გამომცემლობა. ჯანო ბაგრატიონის №6, თბილისი, 0160

ISBN 978-99940-877-3-0

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

სალექციო კურსი „ფინანსების ზოგადი თეორია“ წარმოადგენს ფინანსების, როგორც დისციპლინის შესავალ ნაწილს, რომელიც ავტორის მიერ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში იკითხება

კურსი განკუთვნილია ბაკალავრის საფეხურის - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის - სტუდენტებისათვის და სავალდებულო საგანია. ამასთან იგი კარგ სამსახურს გაუწევს იმათ ვინც საერთოდ ფინანსების, როგორც დისციპლინის, და კერძოდ მისი შემადგენელი ნაწილების: „ფინანსური მენეჯმენტის“, „ინვესტიციებისა“ და „ფინანსური ბაზრების“ შესწავლით და მისი პრაქტიკული გამოყენებით არის დაინტერესებული.

ფინანსები როგორც ეკონომიკური ისე, სამართლებრივი კატეგორიაა. შესაბამისად ცალკეულ ქვეყნებში საფინანსო ურთიერთობა რეგულირდება ამ ქვეყნებში მიღებული სამართლებრივი ნორმებით. სალექციო კურსით ფინანსები ქართული სამართლებრივ სივრცეშია განხილული და საქართველოს საფინანსო ურთიერთობის მოდელს წარმოადგენს.

კურსი აერთიანებს ყველა იმ თემას და პრობლემას, რომელიც აუცილებელი ფინანსების საწყისი განათლების მისაღებად. კურსი წარმოადგენს საკითხების სისტემური განხილვის მცდელობას, იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ახნილია: ფულის ცნება, არსი, სახეები, ინფლაცია, ფულის ღირებულება და ფულის რაოდენობრივი თეორია; ფინანსები, მისი წარმოქმნის წანამდგრები, ფინანსების დამახასიათებელი ნიშნები და ფინანსების ცნება, ფინანსების ფუნქციები, არსი და საფინანსო სისტემა. მეორე ნაწილი ეხება სახელმწიფო საფინანსო სისტემის, მისი შემადგენელი სფეროების, კერძოდ: ბიუჯეტის, საკრედიტო სფეროს, სადაზღვევო სფეროსა და ფასიანი ქაღალდების სფეროს სისტემურ და სტრუქტურულ განხილვას, ამ სისტემის თავისებურებების ახსნას და სხვა. სალექციო კურსის მესამე ნაწილში, ინსტიტუციური თვალსაზრისით განხილულია: სახელმწიფო ფინანსების მარეგულირებელი ინსტიტუტები; საფინანსო ბაზრები და საერთაშორისო ფინანსების მარეგულირებელი ინსტიტუტები. მეოთხე ნაწილი კორპორაციის ფინანსებს, როგორც დისციპლინას ზოგადად ახასიათებს. ამავე ნაწილის ბოლო თავში, ფინანსური ღირებულებაზე მოქმედი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტემინანტის, ფულის დროითი ღირებულების განსაზღვრის მეთოდიკაა მოცემული.

ვფიქრობ საქართველოს ფინანსების მოდელის შესწავლა ფინანსურ მენეჯერებს დაეხმარება: თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის სწორი ორიენტირის არჩევაში და ქვეყნაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაში.

ნაშრომი ნაკლოვანებებისაგან დაზღვეული არ არის, ამიტომ ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა ობიექტურ შენიშვნას და გაითვალისწინებს მათ შემდგომი მუშაობის პროცესში.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი I. შუღი და შინანსეპი

თავი 1. შუღის შუნქციეპი, შუღის სახეეპი და შორეეპი	7
1.1 შუღის დამახასიათებელი ნიშნეპი, შუღის ცნეპა.....	7
1.2 შუღის შუნქციეპი, შუღის არსი.....	8
1.3 შუღის სახეეპი.....	10
1.4 ეკონომიკაში შუღის რეგულირეპა.....	11
1.5 ინფლაცია და შუღის ღირეპულეპა.....	13
1.6 შუღის რაოდენობრივი თეორია.....	15
თავი 2. შინანსეპის ცნეპა და არსი	19
2.1 შინანსეპის წარმოქმნის წანამძღვრეპი.....	19
2.2 შინანსეპის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნეპი, შინანსეპის ცნეპა.....	21
2.3. შინანსეპის შუნქციეპი, შინანსეპის არსი.....	24
თავი 3. საშინანსო სისტემა	27
3.1 საბაზრო ეკონომიკის პირობეებში საშინანსო სისტემა.....	27
3.2 სახელმწიფო საშინანსო სისტემა	28
3.2 ა) ბიუჯეტი	29
3.2 ბ) საკრედიტო სფერო	30
3.3 გ) ფასიანი ქალაღდეპის სფერო	31
3.4 დ) დაზღვევის სფერო	33
3.3. კორპორაციული შინანსეპი.....	34
3.4 ოჯახური მეურნეობის შინანსეპი.....	35

ნაწილი II. სახელმწიფო შინანსეპი

თავი I. ბიუჯეტი	36
1.1 ბიუჯეტის დამახასიათებელი ნიშნეპი, ბიუჯეტის ცნეპა	36
1.2 ბიუჯეტის ძირითადი შუნქციეპი, ბიუჯეტის არსი	37
1.3 საბიუჯეტო სისტემა.....	38
1.4 საქართველოს საბიუჯეტო სისტემის პრინციპეპი.....	38
1.5 ბიუჯეტის სტრუქტურა	40
1.5 ა) ბიუჯეტის შემოსულობეპი	40
1.5 ბ) ბიუჯეტის გაღასახდელები	41
1.6 საბიუჯეტო კლასიფიკაცია.....	42
1.7 სახელმწიფო ორგანოების წმინდა დაკრედიტეპა.....	43
1.8 საბიუჯეტო სარეზერვო ფონდი.....	43
თავი 2. გაღასახდეპი	45
2.1 გაღასახდის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნეპი, გაღასახდის ცნეპა.....	45
2.2 გაღასახდის შუნქციეპი, გაღასახდის არსი.....	46
2.3 დაბეგერის პრინციპეპი.....	47
2.4 გაღასახდის კლასიფიკაცია.....	48
2.5 საგაღასახდო სისტემა.....	50

2.6 გადასახადების ტიპები.....	51
2.7 გადასახადების სტრუქტურა.....	51
2.8 გადასახადების შემოღების ფორმები და ამოღების მეთოდები.....	53
2.9 საგადასახდო სისტემის ეფექტიანობა.....	54

თავი 3. საკრედიტო სფერო.....57

3.1 კრედიტის დამახასიათებელი ნიშნები, კრედიტის ცნება.....	57
3.2 კრედიტის ფუნქციები, კრედიტის არსი.....	58
3.3 დაკრედიტების პრინციპები.....	59
3.4 კრედიტის ფორმები, საკრედიტო სისტემა.....	60
3.5 კრედიტის სტრუქტურა.....	62
3.6 საკრედიტო ოპერაციები.....	63
3.8 კრედიტის ბაზარი.....	64
3.9 საპროცენტო შემოსავლის არსი და მიზანი.....	65

თავი 4. დაზღვევის სფერო.....68

4.1 დაზღვევის დამახასიათებელი ნიშნები, დაზღვევის ცნება.....	69
4.2 დაზღვევის ფუნქციები, დაზღვევის არსი.....	69
4.3 დაზღვევის პრინციპები.....	70
4.4 დაზღვევის კლასიფიკაცია.....	71
4.5 სადაზღვევო სისტემა.....	72
4.6 დაზღვევის სტრუქტურა.....	73
4.7 აკტუარული გათვლები.....	75
4.8 დაზღვევის მეთოდები.....	78
4.9 სადაზღვევო მომსახურების ბაზარი.....	79

თავი 5. ფასიანი ქაღალდების სფერო.....81

5.1 ფასიანი ქაღალდების სფეროს დამახასიათებელი ნიშნები, ცნება.....	81
5.2 ფასიანი ქაღალდების სფეროს ფუნქციები, არსი.....	82
5.3 ფასიანი ქაღალდების სფეროს პრინციპები.....	83
5.4 ფასიანი ქაღალდების სფეროს სისტემა.....	83
5.5 ფასიანი ქაღალდების სფეროს სტრუქტურა.....	84
5.6 ფასიანი ქაღალდების სახეები და მათი კლასიფიკაცია.....	84
5.7 კორპორაციის აქციები, აქციების სახეები, აქციების შეფასება.....	85
5.8 ობლიგაციები.....	87
5.9 თამასუქი, ჩეკი.....	90

ნაწილი III. საფინანსო ინსტიტუტები

თავი 1. საფინანსო სისტემა და საფინანსო ინსტიტუტები.....95

1.1 სახელმწიფო ფინანსების მარეგულირებელი ინსტიტუტები.....	95
1.1 ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.....	96
1.1 ბ) საქართველოს ეროვნული ბანკი.....	98
1.1 გ) საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.....	102
1.1 დ) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია.....	104

თავი 2. საფინანსო ბაზარი.....	107
2.1 სასესხო კაპიტალის ბაზრის ფუნქციები, არსი.....	107
2.2 კრედიტის ბაზარი.....	109
2.3 საკრედიტო ინსტიტუტები, საბანკო სისტემა.....	110
2.4 საქართველოს საბანკო სისტემა	111
2.5 სპეციალიზებული არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.....	112
2.6 ფასიანი ქაღალდების ბაზარი.....	113
2.7 საფონდო ბირჟა	115
2.8 არასაბირჟო ბაზარი	116

თავი 3. საერთაშორისო ფინანსების მარეგულირებელი ინსტიტუტები.....119

3.1 ღია ეკონომიკა და საფინანსო ურთიერთობა.....	119
3.2 საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობა.....	120
3.3 ნაციონალური ბაზრები და ვეროკაპიტალის ბაზრები.....	122
3.4 საერთაშორისო ფინანსების მარეგულირებელი ძირითადი ინსტიტუტები.....	123
3.4 ა) საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი	123
3.4 ბ) საერთაშორისო სავალუტო ფონდი.....	123
3.4 გ) რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი.....	126

ნაწილი IV კორპორაციის ფინანსები

თავი 1. კორპორაციის ფინანსები, როგორც დისციპლინა.....128

1.1 კორპორაციის ფინანსები.....	128
1.2 კორპორაციის (ფირმის) მიზანი.....	129
1.2 ა) ფირმის სიდიდის მაქსიმიზაცია.....	130
1.2 ბ) საბუღალტრო მოგების მაქსიმიზაცია.....	130
1.2 გ) აქციების ღირებულების მაქსიმიზაცია.....	131
1.3 ფირმის დაფინანსების ძირითადი წყაროები.....	132

თავი 2. სამეწარმეო საქმიანობის ორბანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.....133

2.1 ინდივიდუალური პირის საწარმო	133
2.2 ამხანაგობა.....	134
2.3 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.....	134
2.4 სააქციო საზოგადოება	135

თავი 3. ფულის ღრითი ღირებულება.....137

3.1 საპროცენტო შემოსავალი და ნაზარდი კაპიტალი.....	137
3.2 მარტივი და რთული პროცენტი.....	138
3.3 მომავალი ღირებულება	139
3.4 მომავალი ღირებულება და პროცენტის დარიცხვის პერიოდულობა.....	140
3.5 ეფექტური (ფაქტიური) საპროცენტო განაკვეთი.....	140
3.6 დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულება.....	141
3.7 მომავალი და დღევანდელი ღირებულები ცხრილების მნიშვნელობა.....	142

ნაწილი I უზლი და ფინანსები

თავი 1 უზლის ფუნქციები, უზლის სახეები და ფორმები

პირველ თავში განვიხილავთ: ფულის დამახასიათებელი ნიშნებს, ფულის ცნებას; ფულის ფუნქციებს, ფულის არსს; ფულის სახეობებს ეკონომიკაში; ფულის რეგულირებას, ფულის მასის მიწოდებას, ფულის აგრეგატებს. ინფლაციას და ფულის ღირებულებას, ფულის რაოდენობრივ თეორიას.

1.1 უზლის დამახასიათებელი ნიშნები, უზლის ცნება

ხშირად, როგორც სპეციალისტები ისე რიგითი მოქალაქეები ფულსა და ფინანსებს ერთი და იგივე მნიშვნელობით იყენებენ. ფული ფინანსების მატერიალური საფუძველია. იმისათვის, რომ ვიცოდეთ რა განსხვავებაა ფულსა და ფინანსებს შორის და შემდეგ უკეთ რომ გავიგოთ რას ნიშნავს ფინანსები, რაში მდგომარეობს მისი არსი, ჯერ განვიხილოთ ფული - მისი დამახასიათებელი ნიშნებით, მისი ზოგადი მნიშვნელობა და შემდეგ უკვე რა ფუნქციას ასრულებს ფული ეკონომიკაში.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზოგადად ფულით ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების შეძენა შეგვიძლია შეიძლება ვთქვათ, რომ ტერმინი ფული უბრალოდ სიმდიდრეს ნიშნავს. თანამედროვე ეკონომიკას ისე არ შეუძლია ფულის გარეშე არსებობა და ფუნქციონირება, როგორც არ შეუძლია მაგალითად მცენარეს წყლის გარეშე არსებობა. ფული ისეთი სახით, როგორც დღეს გამოიყენება ერთბაშად ვინმეს სუბიექტური სურვილით არ შექმნილა. ფული უძველესი პერიოდიდან წარმოიქმნა და განვითარების ურთულესი და ხანგრძლივი გზა გაიარა.

ადრეულ პერიოდში, როდესაც პროდუქციის გაცვლა არ ხდებოდა, ადამიანები ძირითადად თვითუზრუნველყოფის პრინციპით ცხოვრობდნენ და აწარმოებდნენ, მხოლოდ მათი არსებობისათვის აუცილებელ პროდუქტებს. მას შემდეგ როცა მოხდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და მეცხოველეობა გამოეყო მიწათმოქმედებას, წარმოიშვა პროდუქციის ურთიერთგაცვლის აუცილებლობა. თავდაპირველად ასეთ გაცვლას შემთხვევითი ხასიათი ქონდა. ხოლო შემდეგ პერიოდში, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარებასთან ერთად, გაცვლამ სულ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. აღნიშნულმა კი განაპირობა ფულის წარმოშობა.

შესაბამისად ფულის არსებობა ობიექტურად აუცილებელი გახდა. თავდაპირველად, საქონელგაცვლის საწყის ეტაპზე, ფულის ფუნქციას სხვადასხვა საქონელი, კერძოდ მეცხოველობის პროდუქტი, მარცვლეული, მარილი, ბეწვეული და სხვა, ასრულებდა. საქონლის ყიდვა-გაყიდვის ფარგლების გაფართოებასთან ერთად ნატურალური გაცვლა ბაზრისთვის მიუღებელი გახდა. გარიგების პროცესში მხარეებს შორის ურთიერთობა გართულდა და გაჩნდა ფულის შექმნის აუცილებლობა.

თავიდან ფულის ფუნქციას სხვადასხვავ სახის ლითონი ასრულებდა. ეს იყო, ბრინჯაო, სპილენძი, ვერცხლი, ოქრო. ბოლოს ოქრომ მოიპოვა უპირატესობა რამდენადაც მას გააჩნდა ყველა ის თვისება რაც აუცილებელი იყო ფულისათვის, როგორც საქონლისათვის.

ამგვარად ბარტერული გაცვლა საქონელგაცვლის ყველაზე ადრინდელი ფორმაა. შრომის საზოგადოებრივი დანაწილებასთან და საქონელგაცვლის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა ფული, რომელიც თავად საქონელია და საყოველთაო ექვივალენტის როლს ასრულებს. და მაინც რა არის ფული? ფული არის ყველაფერი რომლის სანაცვლოდ შეიძლება მიღებული იქნეს ნებისმიერი საქონელი და მომსახურება. მართალია ფულით შეიძლება ყველაფრის ყიდვა მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასალას რისგანაც არის დამზადებული ფული უნდა ქონდეს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები და თვისებები²⁷:

- **პორტატულობა** - ფული უნდა იყოს მცირე ზომის, მსუბუქი, მოხერხებული სატარებლად ე.ი. მას უნდა ახასიათებდეს პორტატულობა. სიტყვა პორტატული ლათინური წარმოშობისაა, porto - ვატარებ)
- **გამძლეობა** - მასალა, რომლისგანაც მზადდება ფული უნდა იყოს გამძლე, ქონდეს საკმაო სიცოცხლის ხანგრძლიობა, გააჩნდეს გამძლეობა.
- **ერთგვაროვნება** - ერთი და იგივე ნომინალის ფულს ერთი და იგივე ღირებულება უნდა ქონდეს. ამგვარად ფულს უნდა ახასიათებდეს ერთგვაროვნება. ბარტერთან შედარებით ფულის ერთ-ერთი უპირატესობა იმაში გამოხატება, რომ ის შეიძლება დაიყოს ნაწილებად, დახურდავდეს.
- **საცნობარობა** - ფული უნდა იყოს ადვილად საცნობი და მისი გაყალბება ძნელი უნდა იყოს. შესაბამისად ფულს უნდა ახასიათებდეს საცნობარობა.
- **სტაბილურობა** - ფულის ღირებულება მეტნაკლებად უნდა იყოს სტაბილური. თუ კი ფულის ღირებულება მერყეობს ის ვერ შეასრულებს მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას. კერძოდ, დაგროვების ფუნქციას. ამგვარად ფულს უნდა ახასიათებდეს სტაბილურობა.

ჩამოთვლილი დამახასიათებელი ნიშნები ფულს, როგორც საქონელს განასხვავებს ყველა სხვა საქონლისაგან. მისი ყიდვა-გაყიდვა შესაძლებელია. შესაბამისად ფული ეკონომიკაში არსებული განსაკუთრებული სახის აქტივია (აქტივი -იგივეა რაც ქონება), რომელსაც ადამიანები რეგულარულად იყენებენ სხვა ადამიანებისაგან საქონლისა და მომსახურების შესაძენად.

12 ფულის ფუნქციები, ფულის არსი

ეკონომიკაში ფული სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს. ფული წარმოადგენს გაცვლის საშუალებას, ის არის ღირებულების საზომი და დაგროვების საშუალება¹⁶. ეს სამი ფუნქცია ფულს სხვა აქტივებისაგან განასხვავებს.

ფულის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია არის ის, რომ ფული გაცვლის საშუალებაა. ასე მაგალითად, წარმოვიდგინოთ პროფესორი თავისი ხელფასით ყიდულობს წიგნს; გამომცემლობა მიღებულ შემოსავალს იყენებს საბეჭდი ქაღალდის შესაძენად; ქაღალდის მწარმოებელი მიღებულ შემოსავალს იყენებს ხე-ტყის ნედლეულის მიმწოდებელთან ანგარიშსწორებისათვის; ეს უკანასკნელი კი შვილის სწავლის ფულს კოლეჯს უხდის; კოლეჯი ხელფასს (შრომის ფასს) აძლევს პროფესორს.

თანამედროვე ეკონომიკა რა თქმა უნდა ურთულესია და აქ, როგორც წესი, მარტივი საქონელგაცვლა თვლნათლივ არ ჩანს. ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ ფული გაცვლის საყოველთაო საშუალებაა, ფულით ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების ყიდვა შეიძლება.

ფული ასრულებს **ღირებულების საზომ ფუნქციას**. კერძოდ: ფული არის ერთეული რომელშიც აისახება საქონლისა და მომსახურების ფასი; ფულით ხდება ბუღალტრული აღრიცხვა. აღსანიშნავია ის, რომ ეკონომიკაში შეზღუდული რესურსების განაწილება ხდება ფარდობითი ფასების მიხედვით, სხვადასხვა საქონლის ფასების პროპორციულად. ამასთან მაღაზიაში ფასები ფულში არის ასახული. ასე მაგალითად მაღაზიაში ხორცის გამყიდველი თქვენ გეტყვით, რომ ერთი კგ ხორცი ღირს 8 ლარი და არა 5კგ. შაქარი. თუმცა ამ 8 ლარით თქვენ შეგიძლიათ ასევე შეიძინოთ დაახლოებით 5 კგ. შაქარი. ანალოგიურია ვალის შემთხვევაშიც. კერძოდ სესხი, რომელიც აიღეთ, მომავალში, მსესხებელს უნდა დაუბრუნოთ ფულის განსაზღვრული რაოდენობით და არა რაიმე სახის საქონლით. ფული ასევე წარმოადგენს შესრულებული ან შესასრულებელი ეკონომიკური ოპერაციის შეფასების საშუალებას. ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების ხარჯები, მისი ღირებულება, ფულში აისახება.

ფულის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფუნქცია არის ასევე ისიც, რომ ფული წარმოადგენს **დაგროვების საშუალებას**. რაც ნიშნავს აწყმოდან მომავალში ფულის მსყიდველობითი შესაძლებლობის (უნარის) გადატანის განსაკუთრებულ თვისებას. როდესაც გამყიდველი იღებს ფულს საქონლის გაყიდვის შედეგად, მას შეუძლია ეს ფული შეინახოს და სხვა დროს სხვა საქონელი შეიძინოს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფული არ არის ერთადერთი და სრულყოფილი დაგროვების საშუალება. ეკონომიკაში აწყმოდან მომავალში მსყიდველობითი უნარის გადატანა შესაძლებელია აგრეთვე აქციების, ობლიგაციების, უძრავი ქონებისა და ა. შ. სხვა სიმდიდრის სახით. ტერმინი სიმდიდრე დაგროვების ყველა საშუალების ერთიანობის აღსანიშნავად გამოიყენება.

ლიკვიდურობა არის აქტივის უნარი, სწრაფად გაიცვალოს ეკონომიკაში არსებულ გაცვლის საშუალებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ფული ეკონომიკაში გაცვლის საშუალებაა ის აქტივებს შორის ყველაზე ლიკვიდური აქტივია. სხვადასხვა აქტივები სხვადასხვა ლიკვიდურობით ხასიათდება. ამასთან რაც უფრო ნაკლები დანახარჯით შეიძლება გაიყიდოს აქტივი, ის მით უფრო ლიკვიდურია.

როდესაც ადამიანებს სურთ საკუთარი სიმდიდრის შენახვა უნდა შეადარონ ერთმანეთთან თოთოეული აქტივის შესაძლო ლიკვიდურობა და ამ აქტივის, როგორც დაგროვების სარგებლიანობა. ფული ყველაზე ლიკვიდური აქტივია, მაგრამ როგორც დაგროვების საშუალება არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს, რამდენადაც ფულის ღირებულება დროში იცვლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც ფასები იზრდება ფულის ღირებულება მცირდება. სხვაგვარად ასეც შეიძლება ითქვას, როდესაც საქონლისა და მომსახურების ფასი იზრდება თქვენ საფულეში მოთავსებულ თითოეულ დოლარს ნაკლები მსყიდველუნარიანობა გააჩნია. ასე მაგალითად თქვენ გაქვთ საფულეში სულ ერთი ლარი. როდესაც ერთი ნაყინი 0.50 თეთრი ღირს შეგიძლიათ შეიძინოთ ორი ნაყინი. ახლა დაუშვათ, რომ ნაყინი ერთი ლარი გახდა ასეთ შემთხვევაში თქვენ შეძლებთ, მხოლოდ ერთი ნაყინის ყიდვას.

13 შულის სახეობი

ფული შეიძლება სხვადასხვა ფორმით არსებობდეს. ამასთან ძირითადად განასხვავებენ ორი სახის ფულს ეს არის საქონლური ფული და ქალაქის ანუ დეკრეტული ფული. როდესაც ფულს რეალური ღირებულების მქონე საქონლის ფორმა აქვს მას საქონლური ფული ეწოდება. **რეალური (ნამდვილი) ფული** ნიშნავს იმას, რომ ფულად ერთეულს გარკვეული ღირებულება ექნება მაშინაც, როდესაც ის არ გამოიყენება, როგორ გაცვლის საშუალება. ასე მაგალითად ოქროს გააჩნია რეალური ღირებულება. კერძოდ ოქროს, მაშინაც კი როდესაც ის არ გამოიყენება, როგორც გაცვლის საშუალება, იყენებენ მაგალითად მრეწველობაში და საიუველირო ნაწარმის დასამზადებლად. ოქროს გააჩნია ყველა ის დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც ფულს უნდა ახასიათებდეს. კერძოდ ეს არის სტაბილურობა, პორტატულობა, გაყოფადობა, საცნობარობა, გამძლეობა, ერთგვაროვნება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკა ოქროს ფულს იყენებს ან იყენებს ქალაქის ფულს, რომელიც ყოველთვის შეიძლება მოთხოვნისთანავე ოქროზე გაიცვალოს ამბობენ, რომ ამ ქვეყნის მთავრობა ფუნქციონირებს **ოქროს სტანდარტის პირობებში**. სხვადასხვა ქვეყნებში ისტორიულად, ფულის სახით სხვადასხვა სახის საქონელს იყენებდნენ, რომელსაც **რეალური ღირებულება** გააჩნდა. ამგვარ ფულს **რეალური ფულს** უწოდებდნენ.

ფულს რომელსაც რეალური ღირებულება არ გააჩნია დეკრეტული ან ქალაქის ფული ეწოდება. სიტყვა დეკრეტი დაკანონების მნიშვნელობით გამოიყენება. მთავრობა გამოსცემს დეკრეტს, კანონს, რომლის მიხედვითაც აკანონებს და აცხადებს ფულად ერთეულს. შესაბამისად სხვადასხვა ქვეყანას გააჩნია თავისი მთავრობის დეკრეტით დაკანონებული ფულადი ერთეული. ჩვენთან ეს არის ლარი. აშშ-ში დოლარი, გერმანიაში მარკა, ინგლისში გირვანქა სტერლინგი, საფრანგეთში ფრანკი, ევროკავშირის ქვეყნებისათვის ევროპული ევრო, რუსეთში რუბლი და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ფულის სისტემის შექმნა და რეგულირებაა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანაში ფულადი სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისათვის სხვა ფაქტორებიც მოქმედებს. მაგალითად გასული საუკუნის 80-იან წლებში მთავრობას არ გაუუქმებია რუსული რუბლი, მაგრამ ადამიანები ამჯობინებდნენ რუსული რუბლის მაგიერ აშშ დოლარი შეენახათ. საქართველოში განსაკუთრებით ოთხმოცდაათიან წლების პირველ ნახევარში, როდესაც მაღაზიებში საქონლის ქრონიკული დეფიციტი წარმოიშვა, იყიდებოდა ყველაფერი. ადამიანები ამჯობინებდნენ ნებისმიერი საქონლის ყიდვას, რომ განთავისუფლებულიყვნენ რუსული რუბლისაგან ან შემდეგ უკვე კუპონისაგან, რომლის ღირებულება ინფლაციის გამო სულ უფრო კლებულობდა.

მაინც როგორ წარმოიშვა ქალაქის ფული? როგორ მოხდა საქონლური ფულიდან ქალაქის ფულზე გადასვლა? იმისათვის, რომ ამ კითხვებზე პასუხი გავცეთ წარმოვდგინოთ ეკონომიკა სადაც ადამიანები მუდმივად ატარებენ ოქროს ზოდებს. საქონლისა და მოსახურების მყიდველმა გარიგების პროცესში უნდა დაარწმუნოს გამყიდველი, რომ ოქროს რაოდენობა და „სიწმინდის ხარისხი“ შესაბამისობაში არის მის სტანდარტებთან.

სუფთა ოქროს გამოყენება გარიგების დროს ძალზე ძვირი ჯდება, რამდენადაც ოქროს „სიწმინდის ხარისხი“ დადგენა და მისი რაოდენობის გაზომვა, მოითხოვდა განსაზღვრულ დროს. აღნიშნული კი გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სწორედ ამ ხარჯების შესამცირებლად დაიწყო ოქროს მონეტების გამოცემა.

ოქროს მონეტის წონა და ხარისხი განსაზღვრული იყო. ოქროს ზოდებთან შედარებით ოქროს მონეტების გამოყენება უფრო ეფექტური გახდა.

უკვე შემდგომ პერიოდში, გაცვლის პროცესის გაიოლების მიზნით, დაიწყო ოქროს სერტიფიკატების გამოშვება. ეს იყო ქალაქის ფული, რომელიც შეიძლებოდა ნებისმიერ დროს წინასწარ დადგენილ ოქროს რაოდენობაზე გაცვლილიყო.

თუ კი ადამიანები ენდობიან მთავრობას, მაშინ ამ ქალაქის ფულს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ოქროს. ოქროს სტანდარტის მაგალითი იყო აშშ დოლარი და ინგლისური სტერლინგი. 1922 წელს გენუის კონფერენციაზე (იტალიაში) საერთაშორისო სავალუტო შეთანხმებით, აშშ დოლარი და ინგლისური სტერლინგი გამოცხადდა ოქროს ეკვივალენტად და შემოღებული იქნა საერთაშორისო ბრუნვაში.

1944 წელს საერთაშორისო შეთანხმება გაფორმდა ბრეტონ-ვუდსის (აშშ) კონფერენციაზე, რომლის მიხედვითაც აშშ დოლარი აღიარებული იქნა სარეზერვო ვალუტად და საერთაშორისო საგადაამხდლო საშუალებად. ერთი უნცია (31,1გრამი) წმინდა ოქროს ფასი 35 აშშ დოლარს და ინგლისურ გირვანქა სტერლინგს გაუტოლდა.

1976 წელს იამაიკის საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კონფერენციამ გააუქმა ოქროს ოფიციალური ფასი, შეწყდა დოლარის გადახურდავება ოქროზე და შემოღებული იქნა სესხის სპეციალური უფლება (**SDR-სდრ**) რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო საგადაამხდლო ბალანსის ნაშთის რეგულირება და საერთაშორისო რეზერვების შევსება.

1979 წლის 1 მარტიდან შეიქმნა ევროპის სავალუტო სისტემა და შეიქმნა ევროპის რეგიონული საერთაშორისო საანგარიშო ერთეული ეკიუ, რომლის ნახევარი ოქროთი იყო უზრუნველყოფილი. შემდგომ ეტაპზე **ეკიუმ** უკვე **ევროს** სახელწოდება მიიღო.

ამგვარად საქონლის გაცვლის სისტემამ, რომელიც რეალური ფულის გამოყენებას ეყრდნობოდა, თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა მოხდა ტრანსფორმაცია. ახლა საყოველთაოდ მიღებულია მთავრობის დეკრეტით გამოცემული ქალაქის ფულის გამოყენება. შესაბამისად არსებობს ნამდვილი ანუ რეალური ფული და ნამდვილი ფულის შემცველი ფული ლითონის ნიშნებით, ბილონური მონეტის სახით (ბილონური მონეტა— დაბალი ხარისხის ვერცხლისაგან დამზადებული მონეტა, არასრულფასოვანი ხურდა ფული, რომლის ნომინალი ბევრად აღემატება გამოიყენებულ მეტალის და მისი დამზადების ღირებულებას.) და ქალაქის ნიშნები ქალაქის ფულისა და საკრედიტო (სადეპოზიტო) ფულის სახით. საკრედიტო ფულის სახეობა: თამასუქი, ბანკოტი, ჩეკი, ელექტრონული და საკრედიტო ბარათები.

14 ეკონომიკაში ფულის რეგულირება

ეკონომიკაში დროის მოცემულ პერიოდში ფულის რაოდენობას **ფულის მიწოდება** ეწოდება. ეკონომიკაში, სადაც გაცვლის საშუალებად გამოიყენება საქონლური ფული, ფულის მიწოდება განისაზღვრება შესაბამისი საქონლის მარაგით. ხოლო ეკონომიკაში სადაც გაცვლის საშუალებას ქალაქის ფული წარმოადგენს, ფუ-

ლის მიწოდების რეგულირება ხდება სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. ხელისუფლებას გააჩნია მონოპოლიური უფლება დაბეჭდოს და ეკონომიკას მიწოდოს ფულის განსაზღვრული რაოდენობა. შესაბამისად ეკონომიკაზე ფულის მიწოდება სახელმწიფო პოლიტიკის ისეთივე ინსტრუმენტს წარმოადგენს როგორცაა მაგალითად ფინანსები, გადასახადები, სახელმწიფო შესყიდვები და ა. შ..

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც ფულის მიწოდება დელეგირებულია ისეთ ნაწილობრივ დამოუკიდებელ სახელმწიფო სტრუქტურაზე როგორცაა ცენტრალური ბანკი (საქართველოს ეროვნული ბანკი). ქვეყანაში ფულის მასის რეგულირებას **ფულად პოლიტიკას** უწოდებენ.

ეკონომიკაში მიმოქცევაში არსებულ ფულის რაოდენობას **ფულის მასა ეწოდება**. ქვეყანამ უნდა იცოდეს რა რაოდენობის ფულია მიმოქცევაში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფული არის აქტივი (ქონება), რომელიც გარიგების დროს გამოიყენება, შესაბამისად ფულის რაოდენობა ამ აქტივების რაოდენობას უნდა უდრიდეს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშგების მიხედვით ფულის მასის აგრეგატებია²¹:

ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0) - ეს არის ფულადი აქტივების ყველაზე ლიკვიდური ნაწილი და არ მოიცავს იმ ნაღდ ფულს, რომელიც რეზერვების სახით ინახება კომერციული ბანკების სალაროებში.

სარეზერვო ფული (M1)-საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ნაღდი ფული (ეროვნული ბანკის სალაროში სახსრების ნაშთის გარეშე), საქართველოს კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების ანგარიშებზე და საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებების (ლიცენზია გამოთხოვილი ბანკების სახსრების ჩათვლით) სხვა სახსრების ნაშთები სებ-ში.

ფართო ფული უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების გარეშე (M2) - ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულისა (კომერციული ბანკების სალაროებში არსებული რეზერვების გარდა) და კომერციულ ბანკებში ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტების ერთობლიობა, საბანკო და სამთავრობო სექტორების დეპოზიტების გარეშე.

ფართო ფული (M3) არის M2-სა და კომერციულ ბანკებში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების საერთო თანხა.

ეკონომიკაზე ფულის ზემოქმედების ანაღზის დროს უფრო ხშირად გამოიყენება M3 და M2 მაჩვენებლები. ამასთან არ არსებობს ერთგვაროვანი დამოკიდებულება იმის შესახებ თუ რომელი მაჩვენებელია უკეთესი. როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენიდან ჩანს ეს აგრეგატები ძირითადად იცვლებიან ერთი მიმართულებით. საქართველოში ფულის მასის სტრუქტურას ახასიათებს ცხრილი 1.

ამგვარად საქართველოს ფულის მასა შეიცავს არა მარტო ნაღდ ფულს, არამედ ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ანგარიშებს, რომელთა გამოყენება საქონლისა და მომსახურების ყიდვის მიზნით იოლია. საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობაზე ე.წ. ფულის მიწოდებაზე კონტროლი. **პოლიტიკოსების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებს ფულის მიწოდების თაობაზე მონეტარული პოლიტიკა ეწოდება.**

ფულის მასის მაჩვენებლები *

ცხრილი 1

კომპონენტები	შემადგენლობა	რაოდენობა ათას ლარი - 2003 წ. დეკემბერი
M0	ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	441 536
M1	სარეზერვო ფული	85 863
M2	ფართო ფული უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების გარეშე	527 399
M3	ფართო ფული	1 060 388
	დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	532 989

*** ცხრილი შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენის მიხედვით**

1.5 ინფლაცია და ფულის ღირებულება

დღეს ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების შესაძენად უნდა გადაიხადოთ მეტი ფული ვიდრე ეს თუნდაც ხუთი წლის წინ უნდა გადაგეხადათ. გაიზარდა საცხოვრებელი ბინის, მგზავრობისა და სხვა საქონლისა და მომსახურების ფასები. ფასების საერთო დონის ზრდას **ინფლაცია** ეწოდება.

რატომ წაარმოადგენს ინფლაცია პრობლემას? რა კონკრეტულ დანახარჯებს განიცდის საზოგადოება ინფლაციის დროს? სპეციალისტები ინფლაციის შესწავლას ფულის რაოდენობრივი თეორიის მიხედვით იწყებენ.

ეკონომიკაში უმეტესი საქონლის ფასი იზრდება. თანამედროვე ეკონომიკაში ითვლება, რომ ინფლაცია ბუნებრივი და გარდაუვალი მოვლენაა. ამასთან უნდა აღინიშნოს ის, რომ ისტორიას ახსოვს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდები როდესაც ფასები მცირდებოდა. მაინც რა განსაზღვრავს ეკონომიკაში ინფლაციის არსებობას და მის დონეს? ამ კითხვაზე პასუხს ფულის რაოდენობრივი თეორია იძლევა. როდესაც მთავრობა ძალიან ბევრ ფულს ბეჭდავს ფასები იზრდება.

აღნიშნულ თეორიაზე მსჯელობდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ცნობილი ფილოსოფოსი დევიდ იუმი, ხოლო უფრო მოგვიანებით მას მხარს უჭერდა ცნობილი ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი. ამ თეორიით შეიძლება აიხსნას ზომიერი ინფლაცია, როგორც ამას დღეს მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც აქვს ადგილი, ისე ჰიპერინფლაცია, როგორც ამას ადგილი ქონდა მაგალითად საქართველოში გასული სუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში. ეკონომიკაში ინფლაციის დონეს განსაზღვრავენ, როგორცმთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დეფლიატორით, ისე სამომხმარებლო ფასების ინდექსით.

$$\text{მშპ-ს დეფლიატორი} = (\text{ნომინალური მშპ} / \text{რეალური მშპ}) \times 100$$

რა განსხვავებაა მშპ-ს დეფლიატორსა და სამომხმარებლო ფასების ინდექს შორის? განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მშპ-ს დეფლიატორის გაანგარიშების დროს აღებულია ყველ ის საქონელი და მომსახურება, რომელსაც ქვეყანა წლის განმავლობაში აწარმოებდა. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების დროს კი იღებენ მხოლოდ იმ საქონლისა და მომსახურებას, რომელსაც ტიპური მომხმარებელი წლის განმავლობაში მოიხმარს.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების დროს იღებენ სამომხმარებლო კალათას საბაზისო წლისთვის და შემდეგ სამომხმარებელი კალათა არ იცვლება. მხოლოდ საქონლისა და მომსახურების ფასი იცვლება. ასე მაგალითად ქვეყანაში სადაც ბონგს აწარმოებენ, რომელსაც შემდეგ საჭაერო ფლოტი ყიდულობს თუ კი გაძვირდა ეს არ აისახება სამომხმარებელი ფასების ინდექსში, რამდენადაც ტიპური მომხმარებელი ბონგს არ ყიდულობს. მაგრამ ეს ცვლილება აისახება მშპ-ს დეფლიატორში რადგანაც ის ამ ქვეყანაში წარმოებულ საქონელს მიეკუთვნება.

შეიძლება მეორე შემთხვევაც განვიხილოთ. მაგალითად არსებობს ქვეყნები სადაც არ მოყავთ ბრინჯი და ხდება მისი იმპორტი. ამასთან ბრინჯს ტიპური მომხმარებელი ყიდულობს, რაც აისახება ამ ქვეყნის სამომხმარებლო ფასების ინდექსში და არ აისახება მშპ-ს დეფლიატორში, რამდენადაც ის ადგილობრივ წარმოებას არ მიეკუთვნება.

ეკონომიკაში არსებულ ფასების საერთო დონეს ორი კუთხით შეგვიძლია შევხედოთ: ა) ფასების დონე შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამომხმარებლო კალათის ფასი. კერძოდ, როდესაც ფასების დონე იზრდება ადამიანებმა საქონლისა და მომსახურების ყიდვის დროს მეტი უნდა გადაიხადონ; ბ) ფასების დონე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფულის ღირებულების მაჩვენებელი, რამდენადაც ფასების დონის ზრდა ნიშნავს ფულის ღირებულების შემცირებას. ინფლაციის შემდეგ ფულს, რომელიც თქვენ გაგაჩნიათ, სულ უფრო ნაკლები რაოდენობის საქონლის ყიდვა შეუძლია.

ასე მაგალითად: დაუშვათ, რომ P არის ფასების დონე, რომელიც გამოხატულია სამომხმარებლო ფასების ინდექსით ან მშპ-ის დეფლიატორით. ამ შემთხვევაში P არის ფულის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა საქონლისა და მომსახურების კალათის შესაძენად. ახლა თუ კი ყოველივე ამას საპირისპირო მხრიდან შვხედავთ რას მივიღებთ? საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა რომლის ყიდვა შეიძლება ერთი დოლარით $1/P$ ტოლი იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ თუ კი P არის საქონლისა და მომსახურების ფასი, $1/P$ არის საქონლისა და მომსახურების ღირებულებით გამოხატული **ფულადი ერთეულის ღირებულება (ფულის ფასი)**. აქედან კი შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ ფასების დონე ფულის ღირებულების უკუპროპორციულია, როდესაც ფასების დონე იზრდება ფულის ღირებულება კლებულობს.

რა განსაზღვრავს ფულის ღირებულებას? რა თქმა უნდა ამ კითხვის პასუხი მოთხოვნა მიწოდებაა. როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ ფულის ემისიას ცენტრალური ბანკი ანხორციელებს. ამასთან ფულად პოლიტიკასაც ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს. შესაბამისად **ეკონომიკაზე ფულის მიწოდებას** ცენტრალური ბანკი აკონტროლებს.

რაც შეეხება **ფულზე მოთხოვნის** რაოდენობას ისევე, როგორც ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების მოთხოვნას, ამას მრავალი დეტერმინანტი განსაზღვრავს. ფულზე მოთხოვნის მრუდს ჩვეულებრივ უარყოფითი დახრილობა გააჩნია. ფულის ღირებულების ზრდასთან ერთად ფულზე მოთხოვნა მცირდება. ადამიანები ფულს საქონლისა და მომსახურების შესაძენად იყენებენ და აქაც თუ კი ფასები იზრდება მეტი ნაღდი ფულია საჭირო. ამასთან ასეთ შემთხვევაში ფულის ღირებულება კლებულობს.

1.6 ფულის რაოდენობრივი თეორია

კომერციულ გარიგებასა და ფულის რაოდენობას შორის არსებული კავშირი, ფულის რაოდენობრივი თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი.

როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ ფული გაცვლის საშუალებაა. ადამიანებს ფული ჭირდებათ იმისათვის, რომ მოხდეს გარიგება. ეკონომიკაში რაც უფრო მეტი გარიგება (კომერციული გაცვლა) ხდება, მით მეტი ფული უნდა იყოს მიმოქცევაში. ამგვარად ეკონომიკაში ფულის რაოდენობა მჭიდროდ უკავშირდება სხვადასხვა სახის ოპერაციების შესასრულებლად საჭირო ფულის რაოდენობას. შესაბამისად არსებობს კითხვა: წელიწადში რამდენჯერ გამოიყენება ფულის ერთეული (დაუშვათ ლარი) ახალი საქონლის ან მომსახურების შესაძენად? აღნიშნულ კითხვას პასუხობს ისეთი ცვლადი, როგორცაა **ფულის ბრუნვის სიჩქარე**. რასაც ფულის ხელიდან ხელში გადასვლა განსაზღვრავს.

იუმი და მისი თანამედროვეები თვლიდნენ, რომ ეკონომიკურ ცვლადები იყოფა ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი **ნომინალურ** ცვლადებს წარმოადგენს. ეს ისეთი ცვლადებია, რომელიც ფულად ერთეულშია გამოხატული. მეორე ჯგუფი **რეალურ** ცვლადებს წარმოადგენს და ისინი ფიზიკურ ერთეულებში გამოიხატება. ასე მაგალითად ხორბლის ფასი ნომინალური ცვლადია, ხოლო წარმოებული ხორბლის რაოდენობა რეალური. ანალოგიურია მაგალითად ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), რომელიც ასახავს ეკონომიკაში ახლად შექმნილ (საქონლისა და მომსახურების) დამატებულ ღირებულებას, ხოლო რეალური მშპ ახასიათებს ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიან რაოდენობას.

ეკონომიკაში **ფულის ბრუნვის სიჩქარის** გამოსათვლელად ქვეყნის ნომინალური მშპ უნდა გავეყოთ ქვეყანაში არსებულ ფულის რაოდენობაზე (ფულის მასზე). თუ კი ფასების დონეს (**მშპ-ს დეფლიატორს**) აღვნიშნავთ **P**-თი, პროდუქციის რაოდენობას (**რეალურ მშპ-ს**) **Y**-ით, ხოლო **ფულის მასის** რაოდენობას **M**-ით, მაშინ ფულის ბრუნვის სიჩქარე **V** შეიძლება შემდეგი ფორმულით განისაზღვროს.

$$V = (P \times Y) / M$$

აღნიშნული ფორმულის სისწორე შესაძლებელია წარმოსახვით ეკონომიკაში შევამოწმოთ. დაუშვათ, რომ ეკონომიკაში წლის განმავლობაში ვაწარმოებთ მხოლოდ 100 ღვეზელს, ერთი ღვეზელი ღირს 2 ლარი, ხოლო ეკონომიკაში ფულის რაოდენობა 40-ს უდრის ასეთ შემთხვევაში ფულის ბრუნვის სიჩქარე იქნება:

$$V = (2 \times 100) / 40 = 50$$

ამგვარად ამ ეკონომიკაში ადამიანები ღვეზელზე 200 დოლარს ხარჯავენ, მაშინ როდესაც ეკონომიკას, მხოლოდ 40 ერთეული ფული გააჩნია. შესაბამისად თითოეული ფულის ერთეული წელიწადში მფლობელს 50-ჯერ გამოიცვლის.

მცირე გარდაქმნით აღნიშნული ფორმულა შემდეგ სახეს იღებს:

$$M \times V = P \times Y$$

ამ ტოლობას ეწოდება ფულის რაოდენობრივი განტოლება. რომელიც გვიჩვენებს, რომ ეკონომიკაში ფულის მასის ცვლილების შედეგად სამი ცვლადიდან ერთ-ერთი აუცილებლად შეიცვლება. კერძოდ ფულის რაოდენობის ზრდით შეიძლება ფასების დონემ აიწიოს, ან პროდუქციის წამოება გაიზარდოს, ან ფულის ბრუნვის სიჩქარე შემცირდეს.

ამასთან პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფულის ბრუნვის სიჩქარე შედარებით სტაბილურობით ხასიათდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც ცენტრალური ბანკი ცვლის ფულის რაოდენობას ის იწვევს ნომინალური მშპ-ს ცვლილებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა ძირითადად განისაზღვრება საწარმოო ფაქტორთა მიწოდებით და არსებული ტექნოლოგიებით, ხოლო ფული ნეიტრალური საქონელია, ის პროდუქციის რაოდენობაზე პირდაპირ ზემოქმედებას ვერ ახდენს.

ამგვარად ცენტრალური ბანკი, როდესაც ცვლის ეკონომიკაში ფული მიწოდებას, ამით ხელს უწყობს ნომინალური მშპ-ს ცვლილებას, რაც ფასების ცვლილებაშიც აისახება. **ამგვარად, როდესაც ბანკი მკვეთრად ზრდის ფულის მიწოდებას ეს ფასების დონის (ინფლაციის) ზრდაში აისახება.** რაც თავის მხრივ ფულის რაოდენობრივი თეორიის საფუძველს წარმოადგენს.

ცენტრალური ბანკის მიერ ეკონომიკის ფულით უზრუნველყოფის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ფულის ბეჭდვა. ცენტრალური ბანკი ფულს დიდი რაოდენობით ბეჭდავს მაშინ, როდესაც მთავრობა ზრდის ხარჯებს და როდესაც გადასახებიდან მიღებული შემოსავალი ვერ უზრუნველყოფს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. მართალია არსებობს ფულის არა ინფლაციური მიწოდების სხვა გზებიც რომელსაც ცენტრალური ბანკი ეფექტურად იყენებს, მაგრამ შედარებით იოლ გზას საჭირო რაოდენობის ფულის ბეჭდვა წარმოადგენს.

როდესაც მთავრობა ფულის ბეჭდვის გზით თავის შემოსავალს ზრდის, მაშინ ამბობენ, რომ ადგილი აქვს ინფლაციური გადასახადის დაწესებას. თუმცა ეს გადასახადი კანონით შემოღებულ სხვა გადასახადებს არ ჰგავს, რადგან არავინ არ იღებს ქვითრს ამ გადასახადის გადასახადზე.

ინფლაციური გადასახადის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკაში ფულის ჭარბი მიწოდება იწვევს ინფლაციას. შესაბამისად ფულის ღირებულება კლებულობს და თქვენს საფულეში შენახული ფულით სულ უფრო ნაკლები საქონლისა და მომსახურების შეძენა შეგეძლებათ. ამგვარად ინფლაციურ გადასახადს ისდის ყველა ვისაც ფული აქვს.

მონეტარული პრინციპის მიხედვით ფულის რაოდენობის ზრდა იწვევს ინფლაციის დონის ზრდას, რომელიც არც ერთ რეალურ ცვლადზე არ მოქმედებს. ამ პრინციპიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ფულის რაოდენობის ზემოქმედებას სარგებლის განაკვეთზე.

რა განსხვავებაა სარგებლის ნომინალურ და რეალურ განაკვეთს შორის? სარგებლის ნომინალური განაკვეთია ის, რომლის სიდიდესაც ბანკი განსაზღვრავს. ხოლო სარგებლის რეალური განაკვეთით, სარგებლის ნომინალური განაკვეთის (სნგ) კორექტირება ინფლაციის გათვალისწინებით ხდება. აღნიშნული, დროის გარკვეულ მონაკვეთში, გვიჩვენებს რამდენით გაიზარდება თქვენი დანაზოგის მსყ-

იდველობითი უნარი. ამგვარად სარგებლის რეალური განაკვეთი (სრგ) სარგებლის ნომინალურ განაკვეთისა და ინფლაციის დონის სხვაობის ტოლია.

$$\text{სრგ} = \text{სნგ} - \text{ინფლაციის დონე.}$$

მაგალითად თქვენ ბანკში შეიტანეთ 1000 დოლ. სადაც სარგებლის ნომინალური განაკვეთი უდრის 10 პროცენტს, ხოლო ინფლაციის დონე 2 პროცენტია. ასეთ შემთხვევაში სარგებლის რეალური განაკვეთი 8% -ის ტოლია. ერთი წლის შემდეგ თქვენს ანგარიშზე მართალია 1 100 დოლარი გახდება, მაგრამ მისი რეალური ღირებულება 1 080 დოლარის ტოლი იქნება. სარგებლის ნომინალური განაკვეთი შეიძლება სარგებლის რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ჯამის სახით გამოვხატოთ:

$$\text{სნგ} = \text{სრგ} + \text{ინფლაციის დონე}$$

აღნიშნული გარდაქმნა გვიჩვენებს რომ სარგებლის ნომინალური განაკვეთის ცვლილება დამოკიდებულია ინფლაციის დონეზე. იმის გათვალისწინებით, რომ **ფულის რაოდენობის ზრდა იწვევს ინფლაციის ზრდას, როდესაც ფულის რაოდენობა სწრაფად იზრდება, იზრდება როგორც ინფლაციის დონე ისე სარგებლის ნომინალური განაკვეთი.** ასეთ ცვლილებას ფიშერის ეფექტი ეწოდება. ირვინგ ფიშერის (1867-1947) საპატივცემულოდ, რომელმაც პირველმა შეისწავლა ეს ფაქტი.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ფასების დონე ფულზე მოთხოვნის რაოდენობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია. რაც უფრო დაბალია ფასების დონე მით უფრო ნაკლები ფულია საჭირო მომხმარებლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ფასების შემცირების პირობებში თქვენს საფულეში არსებული ფულით სულ უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების ყიდვა შეგეძლება. როცა ფასების დონე მცირდება ოჯახი ცდილობს დანაზოგით შეიძინოს ობლიგაციები ან მოათავსოს ბანკის ანგარიშზე. ორივე შემთხვევაში ოჯახი იღებს საპროცენტო შემოსავალს. ამგვარად ხდება ფულის კაპიტალად გადაქცევა. ბანკი კი ამ ფონდს იყენებს ახალი სესხების გასაცემად. რაც თავის მხრივ სარგებლდის ნომინალური განაკვეთის შემცირებას იწვევს.

სასესხო კაპიტალის მიწოდების ზრდასა და სნგ-ს შორის არსებობს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება. ფასების დონის შემცირებით მცირდება სარგებლი განაკვეთი, რაც ხელს უწყობს სანვესტიციო ხარჯების ზრდას და ამდენად იზრდება საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობა. **სარგებლის განაკვეთის ეს ეფექტი აღმოაჩინა ცნობილმა ეკონომისტმა ჯონ. მენარდ ქეინსმა (1883-1946) და ზოგჯერ მას ქეინსის ეფექტიც ეწოდება.**

ამგვარად განვიხილეთ ფულის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და განვსაზღვრეთ რას ნიშნავს ზოგადად ფული. განვიხილეთ ფულის ფუნქციები და შესაბამისად ფულის არსი. ასევე აღვნიშნეთ, რომ არსებობს ფულის სახეები. კერძოდ: რეალური და დეკრეტული ფული. ეკონომიკაზე ფულის მიწოდებას არეგულირებს სახელმწიფო. გავიგეთ, რომ ფულს გააჩნია ღირებულება და რომ ის საქონლის ფასის შებრუნებულ სიდიდეს წარმოადგენს. შესაბამისად ფასების ზრდასთან ერთად ფულის ღირებულება (ფასი) კლებულობს. დავინახეთ, რომ ფულის რაოდენობრივი თეორიიდან გამომდინარე ეკონომიკაზე ფულის მიწოდების ზრდა (როცა სხვა ფაქტორები უცვლელია) უწინარეს ყოვლისა ინფლაციის ზრდას განაპირობებს. ამგვარად ფინანსების საფუძველს ფული წარმოადგენს, ხოლო ყოველივე ზემოთ აღნიშნული დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ რას წარმოადგენს ფინანსები, როგორც ფულადი ურთიერთობა.

ტირმიინები და ძირითადი ცნებები

- ფული
- ლიკვიდურობა
- ფულის მიწოდება
- ფულის მასა
- ინფლაცია

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

- რას ნიშნავს ბარტერული გაცვლა?
- რა თვისებები უნდა ქონდეს ფულის მასალას?
- ჩამოთვალეთ ეკონომიკაში ფულის ფუნქციები.
- ჩამოთვალეთ ეკონომიკაში ფულის ძირითადი სახეები.
- რა განსხვავებაა რეალურ ფულსა და დეკრეტულ ფულს შორის?
- როდის, სად და რომელი შეთანხმებით გამოცხადდა აშშ დოლარი და ინგლისური სტერლინგი ოქროს ექვივალენტად და შემოდებული იქნა საერთაშორისო ბრუნვაში?
- როდის და სად იქნა აღიარებული აშშ დოლარი სარეზერვო ვალუტად და საერთაშორისო საგადასახდლო საშაუალებად?
- როდის განისაზღვრა ოქროს ფასი? ერთი უნცია წმინდა ოქრო რამდენ აშშ დოლარს უდრიდა?
- როდის და რომელმა კონფერენციამ გააუქმა ოქროს ოფიციალური ფასი და შეწყდა დოლარის გადახურდაება ოქროზე?
- როდის იქნა შემოდებული სესხის სპეციალური უფლება **SDR** და რა დანიშნულება აქვს მას?
- ვინ არეგულირებს ქვეყანაში ფულის მიწოდებას?
- ჩამოთვალეთ და განსაზღვრეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშგების მიხედვით ფულის მასის აგრეგატები.
- რა არის მონეტარული პოლიტიკა და ვინ იღებს გადაწყვეტილებას მის შესახებ?
- როგორ განისაზღვრება ინფლაციის დონე ეკონომიკაში?
- რა განსხვავებაა მშპ დეფლიატორსა და სამომხმარებლო ფასების ინდექსს შორის?
- რა განსაზღვრავს ფულის ფასს? რა დამოკიდებულება არსებობს ფულის ფასსა და საქონლისა და მომსახურების ფასს შორის?
- რა განსხვავება არსებობს ნომინალურ ცვლადებსა და რეალურ ცვლადებს შორის?
- განსაზღვრეთ რას ნიშნავს ფულის ბრუნვის სიჩქარე. დაწერეთ ფულის ბრუნვის სიჩქარის განმსაზღვრელი ფორმულა.
- დაწერეთ ფულის რაოდენობრივი განტოლება და ახსენით რას გვეუბნება აღნიშნულ ფორმულა.
- ახსენით რას ნიშნავს ინფლაციური გადასახადი.
- რა გავლენას ახდენს ფულის მიწოდება სარგებლის განაკვეთზე?
- რა განსხვავებაა სარგებლის ნომინალურ და რეალურ განაკვეთს შორის?
- როგორ განისაზღვრება სარგებლის რეალური განაკვეთი?
- რას ეწოდება ფიშერის ეფექტი?

თავი 2. ფინანსების ცნება და არსი

მეორე თავის განხილვის შემდეგ ჩვენ შევძლებთ პასუხი გავცეთ კითხვებს. კერძოდ: რამ განაპირობა ფინანსების წარმოქმნა და რას მიიჩნევენ ფინანსების წარმოქმნის წანამდღურად; გვეცოდინება ფინანსების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, და განვსაზღვრავთ ფინანსების ცნებას; გვეცოდინება რას ნიშნავს ფინანსები არის ეკონომიკური, სამართლებრივი და ისტორიული კატეგორია; რამდენ ეტაპს გამოარჩევენ საფინანსო ურთიერთობის განვითარებაში და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან; გავეცნობით ფინანსების ფუნქციებს და ავხსნით ფინანსების არსს.

2.1 ფინანსების წარმოქმნის წანამდღურები

ხშირად როგორც სპეციალისტები ისე რიგითი მოქალაქეები „ფინანსებს“ და „ფულს“ ერთი და იგივე მნიშვნელობით იყენებენ. ბუნებრივია იბადება კითხვა თუ კი ეს ორი ტერმინი სინონიმია და ერთი და იგივე ურთიერთობას აღნიშნავს, მაშინ – რატომ არსებობს ერთი და იგივე ეკონომიკური ურთიერთობის ამსახველი ორი ტერმინი?

ეკონომიკური თეორიის თანახმად „ფული“ განსაკუთრებული პრივილეგირებული საქონელია, რომელიც სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ყველა სხვა საქონელს გამოეყო და საყოველთაო ექვივალენტის როლს ასრულებს. ე.ი. ყველა სხვა საქონელი შეიძლება აისახოს ან შეიცვალოს ფულით.

რაც შეეხება ფინანსებს, მართალია იგი ფულადი ურთიერთობის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა ფულადი ურთიერთობა არ ახავს საფინანსო ურთიერთობას. მაინც რა არის ფინანსები? იმისათვის, რომ განვასხვავოთ ფინანსები, როგორც ფულადი ურთიერთობა სხვა ფულადი ურთიერთობისაგან უნდა განისაზღვროს ფინანსების ცნება და აიხსნას მისი არსი. აღნიშნული კი უწინარეს ყოვლისა დავიწყოთ ფინანსების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, წარმოქმნის წანამდღურების განხილვით.

ტერმინი „ფინანსები“ წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან „Finansia“, რაც ნიშნავს შემოსავალს, გადასახდელს. სპეციალისტების აზრით საფინანსო ურთიერთობების აღმოცენება შუა საუკუნოვან მოვლენებს უკავშირდება. XIII-XV საუკუნეებში, იტალიის სავაჭრო ქალაქებში, ფინანსებს ნებისმიერი ფულადი გადახდის მნიშვნელობით იყენებდნენ. ამგვარად ხსენებული ტერმინი, სუბიექტებს შორის ფულადი ურთიერთობის გარკვეული პროცესის აღსანიშნავად გამოიყენებოდა.

უკვე შემდგომ პერიოდში ტერმინი „ფინანსების“ გამოყენება საერთაშორისო მასშტაბით დაიწყო. ამასთან საფინანსო ურთიერთობის სფერო თავიდანვე შემოიფარგლებოდა და დაკავშირებული იყო ფულად გადახდასთან. ფული და სასაქონლო ფულადი ურთიერთობები კი არსებობდა ბევრად უფრო ადრე ვიდრე საფინანსო ურთიერთობები წარმოიქმნებდა.

საფინანსო ურთიერთობები მრავალი სპეცილური გამოკვლევებითაა შესწავლილი. ამასთან სწავლულ ექსპერტთა თვალსაზრისით ფინანსების წარმოქმნის წანამდღურებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი:

- უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის, რომ სასაქონლო ფულადი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ცვლილებები განიცადა სახელმწიფო შემოსავლების ფორმირებამ, რომლის შევსების ძირითადი წყარო ყოველთვის იყო და არის გადასახადები. აღსანიშნავია ის, რომ საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობის საწყის ეტაპზე გადასახადებს, შრომითი და ნატურალური ფორმა გააჩნდა. სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად უპირატესობა კი ფულად გადასახადებს მიეცა. შესაბამისად ქვეყანაში შექმნილი პროდუქტის განაწილება ფულადი ფორმით დაიწყო.

ამგვარად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასან ერთად გადასახადების ფულად ფორმის შემოდება ფინანსების წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წანამძღვარს წარმოადგენს.

- როგორც ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი ცენტრალურ ევროპაში, პირველი რეკოლუციის შემდეგ, მონარქის ფინანსური რესურსები გაემიჯნა სახელმწიფო ხაზინას. შეიქმნა ფულადი საშუალებების საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდი ბიუჯეტი. მისი ერთპიროვნული განკარგვის უფლება მონარქს არ ქონდა. ამგვარად ფინანსების წარმოქმნის ერთ-ერთ პირველ წანამძღვრად მიჩნეულია სწორედ სახელმწიფო ხაზინისაგან მონარქის საკუთრებაში არსებული რესურსების გამიჯვნა და შესაბამისად ფულადი საშუალებების ძირითადი ფონდის, სახელმწიფო ბიუჯეტის, შექმნა.
- შემდგომ პერიოდში კი სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებამ და გამოყენებამ სისტემური ხასიათი მიიღო. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შემადგენლობისა და სტრუქტურის განსაზღვრა სამართლებრივი ნორმით დაიწყო. რამაც ასევე ფინანსების წარმოქმნა განაპირობა.

მრავალი ასწლეულის განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ძირითადი მიმართულებები პრაქტიკულად თითქმის არ შეცვლილა. უკვე მაშინ, როდესაც ბიუჯეტის ფორმირება და გამოყენება დაიწყო, განსაზღვრული იყო სახელმწიფო ხარჯების ოთხი ძირითადი მიმართულება. კერძოდ: **სამხედრო დანიშნულებით, სახელმწიფოს მართვის მიზნით, ეკონომიკური და სოციალური საჭიროებისათვის.**

მონარქიული რეჟიმის პირობებში ხარჯების გარკვეული ნაწილი სამეფო კარის შესანახად მიემართებოდა. მაგალითად მე-19 საუკუნეში ინგლისში სამეფო კარის შესანახად გამოიყენებოდა სახელმწიფო ხარჯების 1,05 %, საფრანგეთში 2,01%, პრუსიაში 3,9%, რუსეთში 2,7% და ა.შ. საინტერესოა ისიც, რომ დღემდე სხვადასხვა ქვეყნის ბიუჯეტებში მმართველობის ხარჯების ხვედრითი წილი 11-13 %-ის ფარგლებში მერყეობს.

სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურამ არსებითი ცვლილებები მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განიცადა. რაც აისახებოდა იმაში, რომ ზოგიერთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვნად შემცირდა სამხედრო ხარჯების ხვედრითი წილი, ხოლო ეკონომიკური და სოციალური ხარჯებისა არსებითად გაიზარდა.

2.2 ფინანსების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, ფინანსების ცნება

ფინანსები, როგორც ეკონომიკური ისე სამართლებრივ და ისტორიულ კატეგორიაა, რომელიც ვითარდებოდა და დროში იცვლებოდა. შესაბამისად მან რიგი დამახასიათებელი ნიშნები შეიძინა.

ფინანსების ცნების განსაზღვრა რა თქმა უნდა თვითმიზანს არ წარმოადგენს. უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ყოველი მეცნიერება მოქმედებს განსაზღვრული ცნებებით, რომელშიც წარმოებს დაგროვილი ცოდნის კონცენტრაცია. რა არის ცნება? **ცნება - საგნის შესახებ ლოგიკურად გაფორმებული ზოგადი აზრია.** ცნებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო არსებითია ის ნიშნები, რომელთა მიხედვით არის განზოგადოებული საგანი თუ მოვლენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსების ცნება უნდა განისაზღვროს იმ საერთო და არსებითი ნიშნების მიხედვით, რომელიც ფინანსების ზოგად მნიშვნელობას უკეთ ასახავს. ეს საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ საფინანსო ურთიერთობის გამოვლინების ფორმები და ავხსნათ მისი არსი, რაც ფინანსების მიზნობრივი გამოყენების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას და საფუძველს უნდა წარმოადგენდეს.

სპეციალისტები ფინანსების ოთხ ძირითადი დამახასიათებელ ნიშნებს გამოყოფენ:

- ფინანსების ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ურთიერთობა არსებობს იქ სადაც არსებობს ფულადი ურთიერთობა. სადაც არ არის ფული იქ არ შეიძლება დამყარდეს ფინანსური ურთიერთობა. **შესაბამისად ფინანსების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ფული ფინანსების ფუნქციონირების და არსებობის მატერიალური საფუძველია.**
- საფინანსო ურთიერთობის პროცესში წარმოებს საერთო სახელმწიფოებრივი ფულადი რესურსების ფონდების ფორმირება და გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე **ფინანსების ერთ-ერთ მთავარ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ მას გააჩნია საფონდო ხასიათი (ფონდი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რისამე მარაგს).**
- როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ ფინანსების წარმოქმნა უწინარეს ყოველის ბიუჯეტის შექმნას უკავშირდება, რომლის რეგულარული შემოსავლის წყარო გადასახადებია. ამასთან ცნობილია ისიც, რომ გადასახადებს, სახელმწიფო იძულებითი ხასიათი გააჩნია. გადასახადის შემოღება დასაშვებია მხოლოდ სამართლებრივი ნორმით. ბიუჯეტის ფორმირებაში და ფუნქციონირებაში მონაწილეობენ ასევე მოსაკრებლები და სხვა გადასახდელებიც, რაც ასევე შესაბამის ნორმატიულ-სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვს. თავად საბიუჯეტო ურთიერთობაც შესაბამის სამართლებრივი ნორმით რეგულირდება. კერძოდ, საქართველოში საბიუჯეტო ურთიერთობა რეგულირდება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით, „წლიური ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიულ სამართლებრივი აქტებით. ამგვარად **ფინანსები სამართლებრივი კატეგორიაა და მისი ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ფინანსები ნორმატიულ-სამართლებრივ აქტზეა მიბმული.**

- იმის გათვალისწინებით, რომ საფინანსო ურთიერთობა შესაბამისი ნორმატიულ - სამართლებრივ აქტზეა მიბმული, ხოლო ფინანსები ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ფულადი ურთიერთობას ასახავს, ფინანსების ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ასევე ისიც, რომ საფინანსო ურთიერთობაში მონაწილეობს ორი ან მეტი არათანაბარუფლებიანი სუბიექტი.

ფულისა და ფინანსების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. იხ. ცხრილი 1. შესაბამისად ისინი სხვადასხვა ეკონომიკური კატეგორიებია და სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ფინანსების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები საშუალებას იძლევა ფულადი ურთიერთობის ერთობლიობიდან გამოვყოთ ფინანსები, როგორც ეკონომიკური კატეგორია. ასე მაგალითად, საცალო ვაჭრობასთან, საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით მოქალაქეებს შორის წარმოქმნილი ფულადი ურთიერთობა შეიძლება მიეკუთვნოს ფინანსებს? სახელმწიფოში მსგავსი ფულადი ურთიერთობა სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება და იგი სუბიექტთა თანაბარუფლებიანობით ხასიათდება (თანასწორობა უფლებამოვალეობებში). ამასთან მართალია ასეთი ურთიერთობის მატერიალური საფუძველი ფულია, მაგრამ აღნიშნულ ურთიერთობას ფინანსების სხვა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები არ გააჩნია. შესაბამისად ეს არ შეიძლება ფინანსურ ურთიერთობად ჩაითვალოს.

ფულის და ფინანსების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები

ცხრილი 1

ფულის დამახასიათებელი ნიშნები	ფინანსების დამახასიათებელი ნიშნები
<p>ფულს, როგორც საქონელს უნდა ახასიათებდეს:</p> <p>1. სტაბილურობა. ფულის ღირებულება (ფასი) დროის გარკვეულ პერიოდში მეტ-ნაკლებად ერთნაირი უნდა იყოს, არ უნდა მერყეობდეს;</p> <p>2. პორტატულობა. ფული უნდა იყოს მცირე ზომის და მსუბუქი;</p> <p>3. გამძლეობა. შერჩეული მასალა საკმაოდ გამძლე უნდა იყოს;</p> <p>4. ერთგვაროვნება. ერთი და იგივე ნომინალის ფულს ერთნაირი ღირებულება უნდა ქონდეს;</p> <p>5. გაყოფადობა;</p> <p>6. საცნობარობა.</p>	<p>1. ფული ფინანსების ფუნქციონირებისა და არსებობის მატერიალური საფუძველია.</p> <p>2. ფულადი რესურსების ფონდების ფორმირება და მიზნობრივი გამოყენება.</p> <p>3. საფინანსო ურთიერთობები სამართლებრივი ნორმით (კანონით) რეგულირდება.</p> <p>4. საფინანსო ურთიერთობებში ორი ან მეტი არათანაბარ-უფლებიანი სუბიექტის მონაწილეობა.</p>

ახლა განვიხილოთ გადასახადები, რომელიც საფინანსო ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. მართებული იქნება ის ფინანსებს მივაკუთნოთ?

მიუხედავად იმისა, რომ გადასახადი გადახდა ხდება ფულად ფორმაში, ის არის სახელმწიფოს ძირითადი ფონდის – ბიუჯეტის – შევსების ერთ-ერთი მთავარი წყარო, ასევე საგადასახადო ურთიერთობა შესაბამის სამართლებრივ-ნორმატიულ აქტზეა მიბმული (საქართველოში საგადასახადო კოდექსზე), და ბოლოს აღნიშნულ ურთიერთობაში მონაწილეობს ორი არათანაბარუფლებიანი ეკონომიკის სუბიექტი

(სახელმწიფო და გადასახადის გადამხდელი), გადასახადს ფინანსების ყველა დამახასიათებელი ნიშნები მაინც არ გააჩნია. კერძოდ, გადასახადით ხდება მხოლოდ ბიუჯეტის შევსება. რაც შეეხება მის გამოყენებას, ეს უკვე ბიუჯეტის ფუნქციას წარმოადგენს. ამგვარად გადასახადები მართალია სახელმწიფოს ძირითადი ფულადი ფონდის ფორმირებაში მონაწილეობს, ამასთან გამოყენება მის ფუნქციას არ წარმოადგენს.

საფინანსო ურთიერთობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითია სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების პროცესში წარმოქმნილი ურთიერთობა. კერძოდ: ფული ბიუჯეტის მატერიალური საფუძველია; საბიუჯეტო ურთიერთობის პროცესში ხდება სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფულადი საშუალებების ფონდების ფორმირება და გამოყენება; ბიუჯეტის ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება ხდება და ბოლოს საბიუჯეტო ურთიერთობაში მონაწილეობენ ეკონომიკის არათანაბარუფლებიანი სუბიექტები. ამგვარად ბიუჯეტს ფინანსების ყველა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია.

ფინანსების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებიდან ჩანს, რომ ფინანსები ასახავს ობიექტურად არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომელსაც საზოგადოებრივი დანიშნულება გააჩნია. კერძოდ სახელმწიფო ფულადი ფონდების ფორმირება და გამოყენება, ქვეყნის ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების პროცესში, ქვეყნის ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ხდება. **აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსები ეკონომიკური კატეგორიაა.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი კონკრეტული ფინანსური ურთიერთობის გამოფორმების (ორგანიზატორის) როლში სახელმწიფო გამოდის. საფინანსო ურთიერთობა მყარდება ორ ან მეტ არათანაბარუფლებიან სუბიექტებს შორის და შესაბამის სამართლებრივ – ნორმატიულ აქტზეა მიბმული. რაც ნიშნავს იმას, რომ **ფინანსები სამართლებრივი კატეგორიაცაა.** ამასთან სამართლებრივი აქტი, მხოლოდ ობიექტურად არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობას აფიქსირებს და გვიჩვენებს, რომ იგი უწუნარეს ყოვლისა ეკონომიკური კატეგორიაა, ხოლო შემდეგ სამართლებრივი.

ფინანსები ისტორიული კატეგორიაცაა, რამდენადაც ფინანსები წარმოიქმნებიან, ვითარდებიან და დროში იცვლებიან. შესაბამისად ფინანსების განვითარებაში შეიძლება ორი ძირითადი ეტაპი გამოიყოს.

განვითარების პირველ ეტაპზე ფულადი საშუალებების ძირითადი მასა (ბიუჯეტის 2/3) სამხედრო დანიშნულებით გამოიყენებოდა და შესაბამისდ ფინანსები პირდაპირ ზემოქმედებას ვერ ახდენდნენ ქვეყნის ეკონომიკაზე. ამასთან პირველ ეტაპს ახასიათებდა ის, რომ ქვეყნის საფინანსო სისტემა, ერთი სფეროსაგან, სახელმწიფო ბიუჯეტისაგან შედგებოდა. შესაბამისად საფინანსო ურთიერთობაც შეზღუდული იყო.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შემდგომ ეტაპზე, ფულადი საშუალებების სხვადასხვა საერთო სახელმწიფოებრივი ფონდების შექმნასთან ერთად, შეიქმნა საფინანსო სისტემა მისი მრავალი სფეროებით (რგოლებით). ის აქტიურად მონაწილეობს ეროვნული შემოსავლის, განაწილება-გადანაწილების პროცესში და ეკონომიკის სტაბილური ზრდის განმსაზღვრელია.

ამგვარად მიმდინარე ეტაპზე სახელმწიფოს პოლიტიკური წყობისა და ეკონომიკის განვითარების დონის მიუხედავად საფინანსო ურთიერთობა განვითარების მეორე ეტაპზეა.

საფინანსო ურთიერთობის განვითარების ახლანდელ ეტაპზე სახელმწიფო ფინანსებთან ერთად შეიქმნა და ვითარდება ადგილობრივი ფინანსები, არასაბიუჯეტო სპეციალური სახელმწიფო ფონდები, კორპორაციების (ფირმების) ფინანსები. ფინანსურ ურთიერთობებში აქტიურადაა ჩართულია ოჯახური მეურნეობების ფინანსები.

აღსანიშნავია ისიც, რომ გასულ საუკუნეში წარმოიქმნა საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობის სრულიად ახალი ფორმები. ასეთია მაგალითად საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ა. შ.

ფულადი ფონდებისა და შესაბამისად საფინანსო ურთიერთობების მრავალფეროვნებამ განაპირობა მათი დონეებად დაყოფა. ამასთან საერთო სახელმწიფო ფულადი საშუალებების ფონდებს ეწოდა ცენტრალიზებული ხოლო ყველა დანარჩენს დეცენტრალიზებული.

სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფონდები, მაკროდონეზე, საზოგადოების ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება. რაც უწინარეს ყოვლისა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფაში, სახელმწიფოს მართვის აპარატის შენახვაში, ეკონომიკის სექტორების მხარდაჭერაში, ცალკეული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის გამოთანაბრებაში გამოიხატება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსების ცნება შეიძლება შემდეგნაირად იქნეს განსაზღვრული: **ფინანსები სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ფულადი ურთიერთობაა, რომელიც ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი საშუალებების ფონდების ფორმირებითა და გამოყენებით, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციებისა და ვალდებულებების რეალიზებას და ეკონომიკის სტაბილური ზრდას უწყობს ხელს.**

2.3. ფინანსების ფუნქციები, ფინანსების არსი

ფინანსების არსი და მისი შინაგანი შინაარსი ფინანსების ფუნქციებში ვლინდება. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ „ფუნქციის“ ქვეშ იგულისხმება ის „სამუშაო“ რომელსაც ფინანსები ეკონომიკაში ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსების ფუნქციასთან დაკავშირებით ეკონომიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ექსპერტთა უმეტესობა აღიარებს, რომ ეკონომიკაში ფინანსები სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს. კერძოდ:

1. ფინანსები ფულადი საშუალებების **ფონდების წარმოქმნის** ფუნქციას ასრულებს;
2. ფინანსებით შესაძლებელია ფულადი ფონდების მობილიზებასა და გამოყენებაზე მეთვალყურობა, შესაბამისად ფინანსები **მაკონტროლებელ ფუნქციას** ასრულებს.
3. ფინანსებით ხდება შემოსავლების მიზნობრივი განაწილება **გადანაწილება**. აღნიშნულით ფინანსები შემოსავლების **გამანაწილებელ ფუნქციას** ასრულებს;

ფულისა და ფინანსების ძირითადი დამახასიათებელ ნიშნები განსხვავებულია. შესაბამისად მათი ფუნქციები, არსი და მთავარი დანიშნულება ეკონომიკურ ურთიერთობებში განსხვავებულია. იხ. ცხრილი 2.

ფულისა და ფინანსების ფუნქციები

ცხრილი 2

ფულის ფუნქციები	ფინანსების ფუნქციები
1. დაგროვების საშუალება	1. ფულადი ფონდების წარმოქმნა
2. ღირებულების საზომი საშუალება	2. შემოსავლის განაწილება
3. მიმოქცევის საშუალება	3. კონტროლი

ნებისმიერ ქვეყანაში ფულადი შემოსავლების და ფულადი ფონდების ფორმირების მთავარ მატერიალურ წყაროს წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი (მთლიანი შიდა პროდუქტი). სწორედ ფინანსების, როგორც მეთოდის, ინსტრუმენტის გამოყენებით ხდება ეროვნული შემოსავლის ნაწილის მობილიზება და ფულადი ფონდების ფორმირება და მისი კონკრეტული მიზნით წარმართვა. შესაბამისად ფინანსები ფულადი კაპიტალის მოძრაობის განსაკუთრებული ფორმას წარმოადგენს და ქმნის განაწილებით ურთიერთობებს. მხოლოდ ფინანსებს შეუძლია ფულის მოძრაობაში მოყვანა და კაპიტალად გადაქცევა.

რაც შეეხება ფინანსების მაკონტროლებელ ფუნქციას, ფინანსები აღნიშნულ „სამუშაოს“, მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნის განაწილების და გადანაწილების ყველა სტადიაზე, ფულის მეშვეობით ასრულებს. როგორც ვიცით ფული ფინანსების მატერიალური საფუძველია, ხოლო კონტროლის მთავარი დანიშნულებაა ზედამხედველობა (მეთვალყურეობა) გაუწიოს ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი ფონდების მობილიზებას და მიზნობრივ გამოყენებას.

ფინანსები თავისი არსით, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ არის როგორც ეკონომიკური ისე სამართლებრივი კატეგორია, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ფინანსურ ურთიერთობებს ანიჭებს კონკრეტულ სამართლებრივ ფორმას. მისი ძირითადი ელემენტებია: ბიუჯეტი, კრედიტი, დაზღვევა და ფასიანი ქაღალდებს სფერო. აღნიშნულის გამოყენებით ხდება ფულადი კაპიტალის მოძრაობაში მოყვანა, ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილება, დანაზოგებისა და ინვესტიციების კოორდინირება და ფულადი ფონდების ფორმირება და გამოყენება. შესაბამისად ფინანსები ეროვნული შემოსავლის განაწილების ფუნქციას ასრულებს და ეროვნული შემოსავლის განაწილების მეთოდს (ინსტრუმენტს) წარმოადგენს, რაც მის შინაგან შინაარსს და მთავარ თვისებას ასახავს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსების არსი მისი შინაგანი შინაარსი და მთავარი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ ფინანსები, ეკონომიკის სუბიექტებისათვის ეროვნული შემოსავლის (მთლიანი შიდა პროდუქტის) განაწილება-გადანაწილების უმნიშვნელოვანესი მეთოდი და ინსტრუმენტია.

ძირითადი ცნებები -
ფინანსები
ცნება
არსი

კითხვები განმეორებისათვის:

- რამ განაპირობა ფინანსების წარმოქმნა? რა იყო ფინანსების წარმოქმნის წინამძღვრები?
- ჩამოთვალეთ ფინანსების დამახასიათებელი ნიშნები.
- დაასახელეთ ფულადი ურთიერთობა, რომელიც ფინანსებს არ მიეკუთვნება.
- რატომ არ უნდა მივაკუთვნოთ გადასახადები ფინანსებს?
- დაასახელეთ საფინანსო ურთიერთობის ერთ-ერთი მაგალითი და დაასაბუთეთ რატომ წარმოადგენს ის საფინანსო ურთიერთობას.
- რას ნიშნავს ფინანსები არის ეკონომიკური, სამართლებრივი და ისტორიული კატეგორია?
- საფინანსო ურთიერთობის განვითარების რამდენ ეტაპს გამოყოფენ და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან.
- ჩამოთვალეთ ფინანსების ფუნქციები და ახსენით რაში მდგომარეობს ფინანსების არსი.

თავი 3. საფინანსო სისტემა

მესამე თავში საფინანსო სისტემის განხილვის საფუძვლად აღებულია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის გამარტივებული მოდელი. სახელმწიფო საფინანსო სისტემა დახასიათებულია, როგორც ზოგადად ისე მისი ქვესისტემების კეროდ: ბიუჯეტის, საკრედიტო სფეროს, ფასიანი ქაღალდების სფეროს და სადაზღვევო სფეროს ქვესისტემების მიხედვით. მთლიან საფინანსო სისტემაში თითოეული ქვესისტემის მნიშვნელობაა დახასიათებული.

3.1 საფინანსო სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

სისტემა არის ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისაგან შემდგარი ერთგვარი მთლიანობა (ეს ნაწილი შეიძლება იყოს სფერო, რგოლი, სექტორი და ა.შ.), თითოეულ ნაწილს ქვესისტემა ეწოდება და თავისი წვლილი შეაქვს ამ მთლიანის დახასიათებაში. ამასთან თითოეული ქვესისტემა შეიძლება ასევე სისტემას წარმოადგენდეს და ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისაგან შედგებოდეს და ა.შ.

ეკონომიკური თეორიის მიხედვით თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის სისტემის გამარტივებული მოდელი წარმოადგენს, სამ ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთდამოკიდებულ სექტორისაგან (ქვესისტემისაგან) შემდგარ მთლიანობას, რომელშიც შედის სახელმწიფო სექტორი, კორპორაციები (ფირმები) და ოჯახურ მეურნეობები. შესაბამისად ეკონომიკური სისტემის სუბიექტებია, როგორც სახელმწიფო სექტორი, ისე კორპორაციები და ოჯახური მეურნეობები.

ფინანსები, როგორც ეს უკვე ვიცით არის სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ფულადი ურთიერთობა, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს ეკონომიკის სექტორებს (სუბიექტებს) შორის ეროვნული შემოსავლის განაწილების ინსტრუმენტს და მისი ეფექტური მართვა სახელმწიფო მიზნებისა და ვალდებულებებისა რეალიზებასა და ეკონომიკის სტაბილურ ზრდას უზრუნველყოფს. ამგვარად ქვეყნის ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილება, ეკონომიკის სუბიექტებს შორის, ფინანსების გამოყენებით ხდება. თავის მხრივ ყოველი მათგანი ფინანსებს, როგორც მეთოდს, ინსტრუმენტს იყენებს თავისი შემოსავლების განაწილება-გადანაწილების დროს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საფინანსო სისტემა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამი ქვესისტემისაგან შემდგარი მთლიანობა. თითოეულ მათგანი ფულადი საშუალებების ფონდების ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებით ხასიათდება, სხვადასხვა მიზნები გააჩნიათ, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს ეკონომიკურ სისტემაში და თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილებაში.


ამგვარად საფინანსო სისტემა აერთიანებს სახელმწიფო ფინანსებს, კორპორაციულ ფინანსებს და ოჯახური მეურნეობის ფინანსებს. („კორპორაციებში“ შემდეგშიც ზოგადად „ფირმები“ იგულისხმება). იხ. სქემა № 1 საფინანსო სისტემა.

საფინანსო სისტემის თითოეული ქვესისტემა თავად სისტემაა, რომელიც ასევე შედგება უფრო წვრილი ქვესისტემებისაგან. ყველა ისინი ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული იმყოფებიან და ურთიერთდამოკიდებულნი არიან. შესაბამისად ერთ-ერთი ქვესისტემის არასწორ მართვას შეუძლია მთლიან სისტემაზე მოახდინოს გავლენა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის საფინანსო სისტემაში შემავალ ყოველ ცალკეულ რგოლში, ფულადი ფონდების ფორმირების წესი და გამოყენების ფორმა განსხვავებულია – საფინანსო სისტემა ერთიანია.

ქვეყნის საფინანსო სისტემის საფუძველს კორპორაციული ფინანსები წარმოადგენს, რადგანაც ეროვნული შემოსავლის უმეტესი ნაწილი, სწორედ მატერიალური წარმოების სფეროში, კორპორაციებში იქმნება. ამასთან სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფულადი ფონდის, სახელმწიფო ბიუჯეტის, შევსების მთავარ წყაროს გადასახადები წარმოადგენს და ა.შ.

განვიხილოთ სახელმწიფო საფინანსო სისტემა მისი ქვესისტემებით.




სქემა 1. საფინანსო სისტემის სტრუქტურა

3.2. სახელმწიფო საფინანსო სისტემა

საფინანსო სისტემის ერთ-ერთი ქვესისტემა სახელმწიფო ფინანსებია, რომელიც თავად სისტემაა და შედგება ისეთი ქვესისტემებისაგან, როგორცაა: ბიუჯეტი, საკრედიტო სფერო, ფასიანი ქაღალდებისა და დაზღვევის სფერო. სახელმწიფო ფინანსების სისტემა - სქემა 2-ზეა ასახული.

სახელმწიფო ფინანსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ქვეყნის ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადაანაწილება, ეკონომიკის ცალკეულ სექტორებსა და რეგიონებს შორის, ფინანსების, როგორც ინსტრუმენტის, მეთოდის გამოყენებით ხდება. შემოსავალი ნაწილდება ეკონომიკის სუბიექტებს შორის, საკუთრების ფორმების მიხედვით, საზოგადოების ცალკეულ ფენებს შორის და ა.შ. განვიხილოთ სახელმწიფო საფინანსო სისტემის შემადგენელი სფეროები:



ნახ. 2. სახელმწიფო საფინანსო სისტემის სტრუქტურა

3.2 ა) ბიუჯეტი - სახელმწიფო ფინანსების ერთ-ერთ ქვესისტემას ბიუჯეტი წარმოადგენს. რომელიც თავის მხრივ ისეთი ქვესისტემებისაგან შედგება როგორცაა: სახელმწიფო ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტი და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტი. სქემა №3 ასახავს ბიუჯეტის სტრუქტურას.


საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 2005 წლამდე აერთიანებდა ისეთ ქვესისტემებს, როგორცაა: საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტი და სპეციალური სახელმწიფო ფონდები.

2005 წლიდან „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტს, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შემოსულობებსა და გადასახდელებს.

სახელმწიფო საფინანსო სისტემაში ბიუჯეტი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მისი მეშვეობით ხდება ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია და შემდეგ მისი გადანაწილება. რაც ქვეყანაში ფულადი რესურსების მანეჯერების საშვალებას იძლევა და ეკონომიკის ცალკეული სექტორების განვითარების დონესა და ტემპებზე მიზნობრივ გავლენას ახდენს. აღნიშნული კი ქვეყნის ტერიტორიაზე ერთიანი საფინანსო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორიენტირს წარმოადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველყოფს, როგორც საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ეკონომიკური, სოციალური, საგარეო-ეკონომიკური, ქვეყნის თავდაცვისა და სუვერენული ქვეყნის ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო დონისძიებების, ისე საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებას.

რაც შეეხება ავტონომიური რესპუბლიკისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, აქ ასევე ხდება ეროვნული შემოსავლის გარკვეული ნაწილის კონცენტრაცია, რომელიც გამოიყენება ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის ღონისძიებების დასაფინანსებლად.



სქემა 3. საბიუჯეტო სისტემის სტრუქტურა

ბ). საკრედიტო სფერო – საკრედიტო სფერო ასევე სახელმწიფო საფინანსო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. რომლის მეშვეობით ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული სექტორებში არსებული დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების (დანაზოგების) მობილიზება და მიზნობრივი განთავსება სარგებლის (პროცენტის) გადახდით და დაბრუნების პირობით.

საკრედიტო ურთიერთობაში, როგორც წესი მონაწილეობს მინიმუმ ორი სუბიექტი, კერძოდ მსესხებელი და კრედიტორი. თუ კი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის საწყის ეტაპზე პირდაპირი კავშირი მყარდებოდა თავისუფალი ფულადი საშუალებების მფლობელსა და მსესხებელს შორის, განვითარების შემდგომ ეტაპზე საკრედიტო ურთიერთობაში უკვე სამი სუბიექტი მონაწილეობს.


სასესხო კაპიტალის ბაზარზე გამოდის ისეთი სპეციალიზებული საფინანსო ინსტიტუტები, როგორცაა მაგალითად ბანკები, საინვესტიციო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საკრედიტო კავშირები და სხვა. სადაც ხდება დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების აკუმულირება და საკრედიტო ფულზე მოთხოვნის შესაბამისად მისი განთავსება. ამასთან ბანკი სესხს იძლევა გარკვეული სარგებლის მიღების პირობით.

სასესხო კაპიტალის პირველ წყაროს წარმოადგენს სახელმწიფოს, ფირმებისა და ოჯახური მეურნეობების შემოსავლის ნაწილი, რომელიც დანაზოგს წარმოადგენს და ეკონომიკური სუბიექტების დროებით თავისუფალი ფულადი რესურსებია.

ეკონომიკის სუბიექტები (კრედიტორები) ჭარბ შემოსავალს (ფულად რესურსებს) თავისი სურვილით გადასცემენ ფინანსურ შუამავლებს ან ეკონომიკის იმ სუბიექტებს (მსესხებლებს), რომლებიც ფულადი საშუალებების ნაკლებობას განიცდიან, შემდგომი კაპიტალიზაციისა და მოგების მიღების მიზნით. შესაბამისად ეკონომიკური სუბიექტების მიერ დაბრუნებული ფული უკვე მსესხებლის მიერ იმ სუბიექტებისთვის გამოიყენება, რომლებიც თავისუფალი ფულადი რესურსების ნაკლებობას განიცდიან.

ნომიკის მსესხებელი სუბიექტების მიერ იქმნება ფულადი რესურსების სხვადასხვა მიზნობრივი დანიშნულების ფონდები.

ამგვარად საკრედიტო სფერო, როგორც საფინანსო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი აქტიურ როლს თამაშობს ეროვნული შემოსავლის გადანაწილებისა და ცენტრალიზებული და სხვადასხვა დეცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირებაში და გამოყენებაში. აღნიშნული თავი მხრივ სახელმწიფოს ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების რეალიზებისა და ეკონომიკის სტაბილური ზრდის ადეკვატური პირობების შექმნას ითვალისწინებს.



სქემა 4. საკრედიტო სისტემა

საკრედიტო სისტემა, კრედიტის ფორმების მიხედვით შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორი ქვესისტემისაგან შემდგარი სისტემა. კერძოდ, ეს არის კომერციული კრედიტი და საბანკო კრედიტი. საკრედიტო სისტემა - იხ. სქემა №4.

კომერციული კრედიტი კრედიტის ის ფორმაა რომელიც საქონლის გასაღების სტიმულირების მიზნით, განვადებით ყიდვა-გაყიდვის პროცესში გამოიყენება. ასეთ პირობებში კრედიტის მიცემის მოწმობას თამასუქი წარმოადგენს.

საბანკო კრედიტის შემთხვევაში, ეკონომიკის სუბიექტებს შორის შემოსავლის ნაწილის, დანაზოგის, სესხება-გასესხება ფინანსური შუამავლის - ბანკის მომსახურებით ხორციელდება.

გ) ფასიანი ქაღალდების სფერო


ფასიანი ქაღალდების სფერო სახელმწიფო საფინანსო სისტემის განსაკუთრებულ ქვესისტემაა და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს შემოსავლების განაწილება-გადანაწილების პროცესში.

ფასიანი ქაღალდებით წარმოიქმნება ფინანსური აქტივები. კერძოდ, ფასიანი ქაღალდების სფერო ისევე, როგორც საკრედიტო რგოლი ემსახურება დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზებას და მის ეფექტიან გადანაწილებას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში. ამგვარად ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შედეგად ხდება ეკონომიკის მაღალი შემოსავლების მქონე სექტორიდან დროებით თავისუფალი კაპიტალის გადაღინება შედარებით დაბალი შემოსავლების მქონე სექტორში.

ფასიანი ქაღალდების დაჯგუფება შეიძლება მოხდეს გარკვეული კრიტერიუმების, ნიშნებისა და სპეციფიური თვისებების მიხედვით, რაც მათი სისტემური განხილვისა და ეფექტური გამოყენების საშუალებას იძლევა.

ფასიანი ქაღალდების სისტემა, მისი გამოყენების ხანგრძლიობის მიხედვით იყოფა ორ ძირითად ქვესისტემად კერძოდ: **ფულად და კაპიტალურ** ფასიან ქაღალდებად.

ფულად ფასიანი ქაღალდების ქვესისტემაში შედის: ერთ წლამდე კომერციული და ფინანსური თამასუქი, საბანკო აქცეპტი (აქცეპტი - ხელწერით დამოწმებულ მოწმობა თამასუქის მიღებაზე), 10-დან 180 დღემდე ემიტირებული კომერციული ქაღალდები, ბანკის მიერ ემიტირებული სადეპოზიტო სერტიფიკატები, ასევე 3, 6, 9 და 12 თვიანი სახაზინო თამასუქები, ობლიგაციები, რომლის ემისიასაც მთავრობა ახორციელებს.



სქემა 5. ფასიანი ქაღალდების სფეროს სისტემა

ფულადი ფასიანი ქაღალდების საერთო დანიშნულებაა ე.წ. ფულის შემცველი ფასიანი ქაღალდებით განხორციელდეს მოკლევადიანი არაუზრუნველყოფილი ფულის სესხის გაფორმება. აღნიშნულის გამო მათ ხშირად უწოდებენ სავალო ფასიან ქაღალდებს. ფულის შემცველებს უწოდებენ იმის გამოც, რომ მათი გამოყენება ხდება უპირატესად საბანკო სფეროში. აღნიშნული სახის ფასიანი ქაღალდები, როგორც ტრადიციული ფული, მიმდინარე ხარჯებისათვის ან ვალის დასაფარავად გამოიყენება. ზოგიერთი მათგანი კი გამოიყენება, როგორც საგადახდელი საშუალება. მაგალითად კომერციული თამასუქით ხდება საქონლის საფასურის გადახდა, ხოლო სამთავრობო ვალდებულებებით შეიძლება ფედერალური გადასახადი იქნეს გადახდილი.


კაპიტალური ფასიანი ქაღალდების ქვესისტემა კი აერთიანებს აქციებს, ობლიგაციებს, საინვესტიციო სერტიფიკატებს და სხვა სახესხვაობებს. აღნიშნული სახის ფასიანი ქაღალდების ემისია და ყიდვა-გაყიდვით მიღებული საშუალებები კორპორაციის კაპიტალის შექმნის ან გაზრდის მიზნით გამოიყენება. მიღებული მოგების ნაწილი ფასიანი ქაღალდების მფლობელებს ეკუთვნის.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ის საბაზრო პრინციპით მოქმედებს და მის გარეშე წარმოუდგენელია მსხვილი წარმოების კაპიტალის ფორმირება.

მთლიანად ეკონომიკაში, ჭარბი დანაზოგის მქონე სუბიექტი, არასაკმარისი ფინანსური რესურსების სუბიექტს (როდესაც რეალურ აქტივებში მათი ინვესტიცია საკუთარ დანაზოგზე დიდია) თავაზობს ჭარბ დანაზოგს - დგება გარიგება. გაცვლის პროცესის ერთ-ერთ ინსტრუმენტად კი ფასიანი ქაღალდები გამოიყენება. ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით ხორციელდება დანაზოგის მიზნობრივი გადანაწილება და გამოყენება. ფასიანი ქაღალდი, მფლობელისათვის წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, ხოლო ემიტენტისათვის ფინანსურ ვალდებულებას.

3.2 დ). დაზღვევის სფერო – სახელმწიფო საფინანსო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ნაწილია სადაზღვევო სფერო. დაზღვევა, როგორც შემოსავლების გადანაწილების მეთოდი აქტიურად მონაწილეობს ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების პროცესში.

დაზღვევის ფონდი იქმნება ფიზიკური და იურიდიული პირების სადაზღვევო შენატანებით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე. აღნიშნული ფონდის მეშვეობით ხდება სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალის კომპენსაცია. ამგვარად, ქვეყანაში არსებული დროებითი ფულადი რესურსების მობილიზებით იქმნება დაზღვევის (სარეზერვო) ფონდი იმ მიზნით, რომ იგი ამცირებს რისკის ხარისხს და სადაზღვევო შემთხვევის წარმოქმნისას, ეფექტურად გამოიყენება.



სქემა 4. სადაზღვევო სისტემის სტრუქტურა.

სადაზღვევო სისტემა წარმოადგენს გარკვეულ მთლიანობას, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც სხვადასხვა ნიშნის მიხედვით დაჯგუფებულ დაზღვევის ქვესისტემათა ერთობლიობა. დაზღვევის ობიექტების მიხედვით დაჯგუფებული საქართველოს სადაზღვევო სისტემა შესდგება სამი ქვესისტემისაგან:

პირადი დაზღვევა - დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან არის დაკავშირებულია.

ქონებრივ დაზღვევა - ქონების ფლობას, განკარგვას და ქონების სარგებლობას უკავშირდება. ქონებრივი დაზღვევის ობიექტებად გამოდის აგრეთვე ფინანსური რისკების დაზღვევა. აღნიშნული ითვალისწინებს მესაკუთრის გარანტირებული მოგების მიღების შესაძლებლობას. შემოდის ეკონომიკური რისკების დაზღვევის ისეთ ახალი სახეობები, როგორიცაა: ახალი ტექნოლოგიების რისკების დაზღვევა, საბირჟო ოპერაციების და გარიგებების დაზღვევა; საგირაფნო ოპერაციების დაზღვევა; სესხების დაზღვევა; ინფლაციის დაზღვევა; სავალუტო კურსის მერყეობით მიღებული ზარალის დაზღვევა; სამეწარმეო რისკის დაზღვევა და ა.შ.

პასუხისმგებლობის დაზღვევა - არის დაზღვეულის მიერ მესამე პირის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანის ანაზღაურება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში პირადი, ქონებრივი და პასუხისმგებლობის რისკების დაზღვევა კომერციულ საქმიანობას წარმოადგენს. ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის პირობებში აღნიშნული საქმიანობის სახელმწიფო მონოპოლია არსებობდა. საბაზრო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოში მიმდინარეობს დემონოპოლიზაციის რთული პროცესი. იქმნება კომერციული სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც ჯერ-ჯერობით სადაზღვევო მომსახურების ცალკეული სახეობის მიხედვით არ გააჩნიათ გამოკვეთილი სპეციალიზაცია. სადაზღვევო სისტემის ფუნქციონირება და დაზღვევის ფონდის მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, რომ დროებით თავისუფალი ფულადი რესურსების განთავსება ხდება ეფექტიან საინვესტიციო პროექტებში.

3.3 კორპორაციული ფინანსები – როგორც ეს უკვე აღინიშნა ქვეყნის საფინანსო სისტემა სამ მსხვილ ქვესისტემად იყოფა. კორპორაციები (იგულისხმება ფირმები მრავალი აქციონერებით) ეკონომიკური სისტემის საფუძველს წარმოადგენს.

მთლიანი შიდა პროდუქტის უმეტესი ნაწილი სწორედ კორპორაციებში იქმნება. შესაბამისად კორპორაციების მიერ შექნილი მთლიანი შიდა პროდუქტი ცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირების მთავარ წყაროს წარმოადგენს. კორპორაციების ფინანსები წარმოადგენს ფულად ურთიერთობას, რომელიც შემოსავლის განაწილების პროცესში, ფულადი ფონდების ფორმირებითა და გამოყენებით, კორპორაციების მიზნების რეალიზებას უზრუნველყოფს.

კორპორაციის ფინანსების **არსი** მდგომარეობს იმაში, ის რომ, ის კორპორაციების შემოსავლების განაწილების ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამასთან კორპორაციის ფინანსები სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კორპორაციები, დასახული მიზნის მისაღწევად, პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს განაწილების ინსტრუმენტად ფინანსებს იყენებენ. რაც ნიშნავს იმას, რომ შემოსავლების განაწილების პროცესში კორპორაციების ფინანსები, როგორც საფინანსო სისტემის ერთ-ერთი ქვესისტემა, თავად სისტემას წარმოადგენს, რომელიც შემოსავლების განაწილების პროცესში იყენებს საფინანსო სისტემის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა: ბიუჯეტი, საკრედიტო, ფასიანი ქაღალდებისა და დაზღვევის სფერო.

ფინანსები, როგორც დისციპლინა სამი ნაწილისაგან შედგება: „კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტი“, რომელიც უწინარეს ყოვლისა ფულადი საშუალებების მობილიზებასა და გამოყენებას განიხილავს; „ინვესტიციები“ და „საფინანსო ბაზარები“³⁰.

ნებისმიერი ტიპის კორპორაცია მოქმედებს საფინანსო სისტემის ფარგლებში. ფინანსური მენეჯერი ფულადი საშუალებას იძენს საფინანსო ბაზარზე და შემდეგ ხდება მისი რეალურ საქონელში ინვესტირება. პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის შემდეგ გამოყვანილი იღებს ან ფულს ან ფინანსურ აქტივს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში თავისუფალი ფულადი კაპიტალის ინვესტირება ხდება უპირატესად ფასიან ქაღალდებში. აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალი ფირმა ფასიანი ქაღალდების ბაზარს იყენებს თავისი აქტივების ინვესტირებისათვის. საბოლოოდ კი ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასი განსაზღვრავს ფირმის მუშაობის შედეგს. აღნიშნულის გამო კონკურენტული ფირმები ფასიანი ქაღალდების ბაზართან მუდმივ კონტაქტში იმყოფებიან.

3.4 ოჯახური მეურნეობის ფინანსები – ოჯახური მეურნეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკურ სისტემაში. ოჯახური მეურნეობა, როგორც ეკონომიკური სისტემის ქვესისტემა, აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის როგორც შექმნის ისე განაწილების პროცესში. ამასთან მისი შემოსავლის განაწილების მიზნით ხდება ფინანსების, როგორც შემოსავლების განაწილების ინსტრუმენტის გამოყენება.

როგორც ცნობილია ოჯახური მეურნეობების შემოსავლის წყაროა: ა) პროფესიული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, ბ) ქონების (სიმდიდრის) გამოყენებით მიღებული შემოსავალი. ნებისმიერ ოჯახურ მეურნეობას შეიძლება გააჩნდეს ისეთი სახის სიმდიდრე, როგორცაა ოჯახის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთისა და არამატერიალური ფასეულობის საერთო ღირებულება. რომელიც ოჯახს გარკვეულ ფულად შემოსავალს აძლევს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოჯახური მეურნეობის შემოსავალი შეზღუდულია, ხოლო მოთხოვნილება განუსაზღვრელი. ოჯახური მეურნეობები ისევე როგორც ეკონომიკური სისტემის სხვა ქვესისტემები, მიზნის მისაღწევად შემოსავლის განაწილების პროცესში, ეფექტურ ინსტრუმენტს, ფინანსებს იყენებს.

ტერმინები და ძირითადი ცნებები:

- სისტემა
- საფინანსო სისტემა

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

- როგორია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის სისტემის გამარტივებული მოდელი?
- განსაზღვრეთ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საფინანსო სისტემა.
- რა დამოკიდებულება არსებობს საფინანსო სისტემის ქვესისტემებს შორის?
- ჩამოთვალეთ სახელმწიფო სისტემის ქვესისტემები.
- რა ფუნქციას ასრულებს სახელმწიფო საფინანსო სისტემაში თითოეული ქვესისტემა?
- ჩამოთვალეთ საბიუჯეტო სისტემის ქვესისტემები და დაახასიათეთ თითოეული მათგანის როლი საფინანსო და საბიუჯეტო სისტემაში.
- რა ფუნქციას ასრულებს საკრედიტო სფერო საფინანსო სისტემაში? ჩამოთვალეთ საკრედიტო სისტემის ქვესისტემები.
- განსაზღვრეთ ფასიანი ქაღალდების სფეროს როლი საფინანსო სისტემაში. რას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების სისტემა?
- რას წარმოადგენს სადაზღვევო სისტემა? ჩამოთვალეთ დაზღვევის სისტემის ქვესისტემები.
- რა ფუნქციას ასრულებს კორპორაციული ფინანსები ქვეყნის საფინანსო სისტემაში?
- რას წარმოადგენს კორპორაციების ფინანსები?
- რატომ იყენებს ოჯახური მეურნეობები ფინანსებს და როგორ ხდება მათი გამოყენება?

ნაწილი II სახელმწიფო ფინანსები

თავი 1. ბიუჯეტი

მე-2 ნაწილის პირველი თავში განვიხილავთ სახელმწიფო ფინანსების უმნიშვნელოვანეს ნაწილს, ბიუჯეტს. შესაბამისად გვეცოდინება ბიუჯეტის დამახასიათებელი ნიშნები, ფუნქციები, განესაზღვრავთ ბიუჯეტის ცნებას და ავხსნით ბიუჯეტის არსს. განვიხილავთ საქართველოს საბიუჯეტო სისტემას, მის პრინციპებს, ბიუჯეტის სტრუქტურას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მნიშვნელობას, სახელმწიფო ორგანოების წმინდა დაკრედიტებას, ბიუჯეტის დეფიციტისა და მისი დაფინანსების წყაროებს. გავეცნობით საბიუჯეტო სარეზერვო ფონდის შექმნისა და გამოყენებას წესს.

1.1 ბიუჯეტის დამახასიათებელი ნიშნები, ბიუჯეტის ცნება

სიტყვა „ბიუჯეტი“ წარმომდგარია ძველი ფრანგული სიტყვიდან, რაც ტყავის ქისას ნიშნავს, შემდგომში ინგლისში ხსენებულ ტერმინი **budget** –ად გადაკეთდა, რაც ტომარას ნიშნავდა და შეიცავდა ანგარიშებს. აღსანიშნავია ის, რომ ინგლისში ამ სიტყვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. კერძოდ, როდესაც მთავრობა პარლამენტში, თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს, რომელშიც სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო მოთავსებული, და რასაც ბიუჯეტის (ფულადი ქისის) გახსნას უწოდებდნენ. ბიუჯეტი ეწოდებოდა თემთა პალატაში „სახელმწიფო განწერის დამტკიცების შესახებ“ ხაზინის კანცლერის სიტყვასაც.

ბიუჯეტი საფინანსო სისტემის ერთ-ერთ მთავარ სფეროს წარმოადგენს. მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- საბიუჯეტო ურთიერთობა ფულადი ურთიერთობაა. შესაბამისად **ბიუჯეტის მატერიალური საფუძველია ფული.**
- საბიუჯეტო ურთიერთობით, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების პროცესში, ხდება სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფულადი საშუალებების ფონდების ფორმირება და მიზნობრივი გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე ბიუჯეტს **საფონდო ხასიათი გააჩნია.**
- საბიუჯეტო ურთიერთობა, შესაბამის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტზეა მიბმული. კერძოდ, საქართველოში საბიუჯეტო ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით, „წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიულ სამართლებრივი აქტებით.
- ბიუჯეტის სამართლებრივი ნორმებით რეგულირების შედეგად არათანაბარ ფლებიან ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობა წარმოიქმნება.

როგორც ცნობილია ხელისუფლება ისეთი ფუნქციებსა და ამოცანებს ასრულებს, რაც ქვეყნის საერთო ძალისხმევის გამოყენებას მოითხოვს. აღნიშნული კი გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მის უზრუნველსაყოფად მთავრობას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ფულადი რესურსები. ფულადი ურთიერთობა, რომელიც მთავრობის მიერ არის ორგანიზებული, და რომელიც მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფულადი რესურსების ფონდების ფორმირებას და განაწილებას ითვალისწინებს, საბიუჯეტო ურთიერთობას წარმოადგენს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ბიუჯეტის ცნება ასე განისაზღვროს. კერძოდ: **ბიუჯეტი ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ფულადი ურთიერთობაა, რომელიც სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფულადი რესურსების ფონდების ფორმირებითა და გამოყენებით, უზრუნველყოფს ხელისუფლების მიზნებისა და ვალდებულებების შესრულებას და ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილურ ზრდას.**

აღნიშნული განმარტება ასახავს ბიუჯეტის ზოგად მნიშვნელობას. რომლის დახმარებითაც შეიძლება ბიუჯეტის არსის, მისი მთავარი დანიშნულების შეცნობა. რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მთლიანი შიდა პროდუქტის მიზნობრივი განაწილება-გადანაწილება მოითხოვს არა მარტო იმას, რომ ვიცოდეთ ზოგადად რას ნიშნავს ბიუჯეტი, არამედ იმასაც თუ რაში მდგომარეობს ბიუჯეტის როგორც სახელმწიფო ფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროს, მთავარი თვისება, მისი არსი და ამით რა ფუნქციას ასრულებს იგი არა მარტო საფინანსო, არამედ მთლიანად ეკონომიკურ სისტემაში.

12 ბიუჯეტის ძირითადი ფუნქციები, ბიუჯეტის არსი

საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურებს, მათზე დელეგირებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად ფულადი სახსრები ჭირდებათ. აღნიშნული სტრუქტურები აუცილებელ ფულადი რესურსებს (მშპ-ს ნაწილს), საბიუჯეტო ურთიერთობის პროცესში მობილიზებული ფულადი რესურსების ფონდებიდან იღებენ. ამგვარად საბიუჯეტო ურთიერთობის პროცესში ხდება ფულადი რესურსების ფონდების მობილიზება და მისი მიზნობრივი გამოყენება. შესაბამისად ბიუჯეტი, **ფონდწარმოქმნის ფუნქციას (სამუშაოს) ასრულებს.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ფულადი რესურსების მოძრაობით (ფულის ნაკადით) შესაძლებელი ხდება ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვის კონტროლის განხორციელება. რაც ბიუჯეტის **მაკონტროლებელ ფუნქციას ასახავს.**

ბიუჯეტის ცნებიდან გამომდინარე საბიუჯეტო ურთიერთობის პროცესში ხდება მშპ-ს ნაწილის კონცენტრაცია ცენტრალიზებულ ფულადი რესურსების ფონდებში და შემდეგ მისი მკაცრად განსაზღვრული მიზნით განაწილება-გადანაწილება. **შესაბამისად ბიუჯეტი ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს.**

მშპ წარმოადგენს, რა ქვეყნის საერთო შემოსავალს შეიძლება ასევე განხილული იქნეს, როგორც ქვეყნის საერთო ხარჯები. საერთო ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს კი სახელმწიფო ხარჯები წარმოადგენს და მისი ცვლილება ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ცვლილებას იწვევს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყნის **საბიუჯეტო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორიენტირია.**

სახელმწიფო ხარჯები წარმოადგენს რა ერთობლივი ხარჯების კომპონენტს, შესაბამისად მისი ზრდა შემოსავლების ზრდას განაპირობებს. აღნიშნული თავის მხრივ გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე, ზრდის მოხმარებას და ა.შ. ამგვარად **საბიუჯეტო პოლიტიკა ხელისუფლებისათვის ქვეყნის ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს.**

აღნიშნულიდან გამომდინარე ბიუჯეტის, როგორც საფინანსო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი სფეროს, მთავარი თვისება, მის არსი მდგომარეობს იმაში, რომ **ბიუჯეტი, მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ-ერთ გამანაწილებელ ინსტრუმენტს (მეთოდს) და ხელისუფლების მიერ ეკონომიკის რეგულირების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს.**

1.3 საბიუჯეტო სისტემა

საბიუჯეტო სისტემა განისაზღვრება ქვეყნის ადმინისტრაციულ – ტერიტორიულ მოწყობით, ეკონომიკური ურთიერთობებით და სამართლებრივი ნორმებით. შესაბამისად ფედერალურ სახელმწიფოში სამდონიანი საბიუჯეტო სისტემა არსებობს, ხოლო უნიტარულ ქვეყნებში უნიტარული საბიუჯეტო სისტემა.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობითა და სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე ფედერალურია და მოიცავს:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს;
- საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2005 წლამდე კონსოლიდირებული იყო საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტი და სპეციალური სახელმწიფო ფონდები. აღსანიშნავია ის, რომ სპეციალური სახელმწიფო ფონდების შექმნის წესი, შემოსავალი და ხარჯები განისაზღვრებოდა სპეციალური კანონით და ბიუჯეტის წლიური კანონით.

როგორც წესი სპეციალური სახელმწიფო ფონდების არსებობა გარკვეულად ართულებს საბიუჯეტო საშუალებების მართვას. საგადასახადო შემოსავლების იმ ნაწილს, რომელიც მიმართულია სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში მიზნობრივი დანიშნულება გააჩნია. აღნიშნული თავის მხრივ ეწინააღმდეგება ბიუჯეტის **უნივერსალურობის** პრინციპს. რომლის მიხედვითაც ბიუჯეტის შემოსულობები (გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა) არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად. ამასთან სპეციალური სახელმწიფო ფონდების ანგარიშზე შემოსული თანხების კონტროლი გაძნელებულია.

2005 წლიდან „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით „სპეციალური სახელმწიფო ფონდები“ გაუქმდა და მის ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში შეიქმნა ცალკეული ანგარიშები. აღნიშნული განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სისტემური კლასიფიკაციის საფუძველზე. რაც საბიუჯეტო ხარჯების მართვის საშუალებას იძლევა.

1.4 საქართველოს საბიუჯეტო სისტემის პრინციპები

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს (მოქმედების წესს), რომელიც საფინანსო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა. საქართველოში საბიუჯეტო სისტემის პრინციპები „საქართველოს საბიუჯეტო

სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მეოთხე მუხლითაა განსაზღვრული. რომელის მიხედვითაც საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილემ უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

- **ყოველმომცველობა** - ბიუჯეტის ყველა შემოსულობებისა და გადსახდელის სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;
- **გამჭვირვალობა** - ბიუჯეტის პროექტების, საკანონმდებლო ორგანოებში განხილვის პროცედურების, საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურული პირებისათვის;
- **ანგარიშვალდებულება** – საბიუჯეტო ურთიერთობის პროცესში მონაწილე ყველა პირის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე;
- **დამოუკიდებლობა** - სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების ავტონომიური ბიუჯეტების და ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რასაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლების წყაროები და საკუთარი ხარჯების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლები და ხარჯებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა დგინდება კანონმდებლობით;
- **ერთიანობა** - აღნიშნული პრინციპის საფუძველს წარმოადგენს ერთიანი სამართლებრივი ბაზა, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკატორის გამოყენება (საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადსახდელების სისტემური დაჯგუფება), ანგარიშთა ერთიანი ჩამონათვალით, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ სახელმწიფო კონტროლის ერთიანი პრინციპით ხელმძღვანელობა;
- **უნივერსალურობა** - ბიუჯეტის ყველა შემოსულობების მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან არც ერთი შემოსულობა, დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობების გარდა არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული ხარჯის ან/და ღონისძიებების დასაფინანსებლად. მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღებული შემოსავლების შენარჩუნება მისი მიზნებისათვის დაუშვებელია;
- **კონსოლიდირება** - ყველა სახელმწიფო შემოსულობის ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და ხარჯების გაწევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხაზინის მიერ ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართავა და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში;
- **დაბალანსება** – აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს ყველა დონის ბიუჯეტის დაბალანსებას.

1.5 ბიუჯეტის სტრუქტურა

ბიუჯეტის სტრუქტურა, მის შინაგან ფორმას, შემადგენლობასა და აგებულებას ასახავს. ბიუჯეტის ეფექტური მართვა მოითხოვს, რომ ბიუჯეტი განხილულ იქნეს, როგორც მთლიანობაში ისე მისი შემადგენლი ძირითადი ელემენტების მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ საბიუჯეტო ურთიერთობის პროცესში ხდება ფულადი რესურსების ფონდების მობილიზება და გამოყენება, ბიუჯეტი შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან **შემოსულობებისა და გადასახდელებისაგან**. აღნიშნული საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 - მე-10 მუხლებითაა განსაზღვრული.

1.5 ა) ბიუჯეტის შემოსულობები: სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობები. აქედან:

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები – სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული მოგება, ადმინისტრაციული გადასახდელები (მათ შორის, მოსაკრებლები), ჯარიმები და საურავები, ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებით მიღებული და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები (კაპიტალური შემოსავლების გარდა);

ა.გ) კაპიტალური შემოსავლები – ფიქსირებული კაპიტალური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, აქციების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, მიწისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი და არასახელმწიფო წყაროებიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერები;

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები ან სასაქონლო ფორმით მიღებული მონეტიზებული გრანტები;

გ) სესხები – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში, ქვეყნის შიგნით და გარეთ აღებული სესხები.

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობები:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები;

ა.გ) კაპიტალური შემოსავლები;

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები;

გ) სესხები – ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული და ამ კანონით განსაზღვრული სხვა სესხები.

ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობები:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები;

ა.გ) კაპიტალური შემოსავლები;

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები;

გ) სესხები – ცენტრალური ბიუჯეტიდან, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან მიღებული და ამ კანონით განსაზღვრული სხვა სესხები.

1.5 ბ) ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელებია: სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების გადასახდელები. კერძოდ:

ა) ხარჯები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე ხარჯები - ხელფასები, დახმარებები, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა ხარჯები, მიმდინარე ტრანსფერები, სუბსიდიები, პროცენტის დაფარვა და საბიუჯეტო კლასიფიკაციით გაწეული სხვა მიმდინარე ხარჯები;

ა.ბ.) კაპიტალური ხარჯები - კაპიტალური აქტივების შექმნა, კაპიტალური ტრანსფერები და საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სხვა კაპიტალური ხარჯები;

ბ) დაკრედიტება, სააქციო კაპიტალში მონაწილეობა;

გ) ვალის ამორტიზაცია - სესხის ძირითადი თანხის დაფარვა.

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საბიუჯეტო ხარჯების გაწევა და ვალდებულების აღება ასიგნების გარეშე დაუშვებელია. ასიგნება არის ფისკალური წლის განმავლობაში, ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის, ხარჯების გაწევის უფლებამოსილება.

კაპიტალურ ხარჯებს მიეკუთვნება ყველა ის საბიუჯეტო ასიგნება, რომელიც მიემართება საინვესტიციო და საინოვაციო პროგრამების ხარჯების გასაწევად. ყველა სხვა დანარჩენი ხარჯები მიეკუთვნება მიმდინარე ხარჯებს.

განასხვავებენ პროგნოზირებულ და ფიქსირებულ ასიგნებას. პროგნოზირებული ასიგნება წარმოადგენს ასიგნებას, რომელიც დაკავშირებულია ვალის მომსახურებასა და ამორტიზაციასთან ან/და სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ სესხზე გადახდასთან. პროგნოზირებული ასიგნების ზევით ვალდებულების აღება მოითხოვს წლიურ საბიუჯეტო კანონში სათანადო ცვლილებების შეტანას.

ფიქსირებული ასიგნება წარმოადგენს პროგნოზირებულის გარდა ყველა სხვა ასიგნებას. ფიქსირებული ასიგნების ზევით ხარჯის გაწევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია.

სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობისა და მისი მაკროეკონომიკურ სფეროზე ზემოქმედების შეფასების მიზნით საჭიროა მკვეთრად იქნეს გამიჯნული შემოსავლები და ხარჯები. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა შემოსავალი წარმოადგენს შემოსულობებს, მაშინ როდესაც ყველა შემოსულობა არ შეიძლება მივაკუთნოთ შემოსავალს.

შემოსავალს მიეკუთვნება მხოლოდ ის შემოსულობები, რომელიც ვალდებულებების დაფარვასთან არ არის დაკავშირებული. ასე მაგალითად შემოსულობები რომელსაც მთავრობა იღებს კრედიტის სახით შემოსავალს არ მიეკუთვნება, რამდენადაც ის დაბრუნებას ექვემდებარება.

ყველა გადასახდელი ასევე არ წარმოადგენს ხარჯებს. მაგალითად კრედიტის დაბრუნება არ შეიძლება ბიუჯეტის ხარჯებს მივაკუთნოთ, რამდენადაც ის გამომდინარეობს კრედიტით წარმოქმნილ ვალდებულებიდან. მეორეს მხრივ პროცენტის გადახდა ხარჯების მუხლს მიეკუთვნება.

გადასახდელი ოპერაციები შეიძლება იყოს **ორმხრივი და ცალმხრივი**. **ორმხრივი საგადასახდლო ოპერაციების** შემთხვევაში ფულის გადახდა ხდება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. **ცალმხრივი ოპერაციების** შემთხვევაში ფულის რაიმეს სანაცვლოდ გადახდა არ ხდება. ასეთია მაგალითად ტრანსფერები, სუბსიდიები და გრანტები.

1.6 საბიუჯეტო კლასიფიკაცია

საბიუჯეტო კლასიფიკაცია წარმოადგენს ძირითად მეთოდოლოგიურ დოკუმენტს, რომლის საფუძველზე ხდება ბიუჯეტის შედგენა და შესრულება.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელებისა და ასევე ბიუჯეტების დეფიციტის წყაროების დაჯგუფება შესაბამისი დაჯგუფების კოდის მიკუთვნებით. ასეთი კლასიფიკაცია ყველა დონის ბიუჯეტისათვის ერთიანია.

საბიუჯეტო კლასიფიკაციას, საქართველოს კონტროლის პალატასთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე, ამტკიცებს მინისტრი, რომელიც ქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს: შემოსულობების კლასიფიკაციას შემოსავლის წყაროების მიხედვით, მიმდინარე და კაპიტალური შემოსავლების გამიჯვნით; შემოსულობების ყოველ წყაროს გააჩნია ინდივიდუალური კოდი.

საქართველოს ბიუჯეტების ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია. წარმოადგენს რა საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ხარჯების დაჯგუფებას, სახელმწიფოს ფუნქციების შესასრულებლად საბიუჯეტო სახსრების მიმართულებას ასახავს.

საქართველოს ბიუჯეტების გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია წარმოადგენს საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტების ხარჯების, ფინანსური ოპერაციების, დაჯგუფებას ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. თავისი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ბიუჯეტების გადასახდელები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე, კაპიტალური და საბიუჯეტო კრედიტების გაცემასთან და ვალების დაფარვასთან დაკავშირებული გადასახდელები.

1.7 სახელმწიფო ორბანოების წმინდა დაკრედიტება

წმინდა დაკრედიტება (დაკრედიტებას მინუს სესხის დაფარვა) მოიცავს სახელმწიფო ორბანოების დაკრედიტებას, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრული ამოცანების გადასაწყვეტად გამოიყენება. მაგალითად ასეთ დაკრედიტებას მიეკუთვნება ფერმერების, მცირე ბიზნესისა და სტუდენტთა სუბსიდირება.

ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი- ბიუჯეტს თუ განვიხილავთ ფულის ნაკადის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ერთობლივი შემოსულობები ყოველთვის უდრის ერთობლივი გადასახდელებს. აღნიშნულის გამო სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველთვის დაბალანსებულია. ბიუჯეტის ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია განვასხვავოთ ერთის მხრივ შემოსულობები და გრანტები და მეორეს მხრივ ხარჯები წმინდა დაკრედიტების ჩათვლით. ბიუჯეტის ბალანსის ტრადიციული განმარტება სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარეობს, რომელიც ბიუჯეტის დეფიციტს განიხილავს, როგორც ერთობლივი შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას;

დეფიციტი/ პროფიციტი = (შემოსავალი + ტრანსფერები) - (ხარჯებს + წმინდა კრედიტი)

ამგვარად სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი იქმნება მაშინ როდესაც სახელმწიფოს ხარჯები და წმინდა დაკრედიტება მეტია სახელმწიფო შემოსავალზე და გრანტებზე.

დაფინანსება ნიშნავს პროგნოზულ შემოსულობებსა და პროგნოზულ ხარჯებს შორის სხვაობის დაფარვის მიზნით ფულადი ფონდების მობილიზებასა და გამოყენებას.

დეფიციტის დაფინანსება შეიძლება შემდეგი ოთხი წყაროს მეშვეობით განხორციელდეს: ცენტრალური ბანკის კრედიტით ან როგორც მას უწოდებენ **ემისიური დაფინანსებით**; საბანკო სექტორიდან სესხის აღებით; ნაციონალური არასაბანკო სექტორიდან სესხის აღებით; საგარეო სესხით ან სავალუტო რეზერვების გამოყენებით.

1.8 საბიუჯეტო სარეზერვო ფონდი

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ფონდების შექმნისა და გამოყენების წესს.

სარეზერვო ფონდი იქმნება საგანგებო შემთხვევებისაგან დაზღვევის მიზნით. ხსენებული კანონის მიხედვით საქართველოში იქმნება **სახელმწიფო საბიუჯეტო სარეზერვო ფონდი**, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებს.

ორივე ფონდის მოცულობა ერთად აღებული არ უნდა აღემატებოდეს ფიქსირებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის ორ პროცენტს. აღნიშნული სახსრები გამოიყოფა წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობებისა და პირობების შესაბამისად.

აღნიშნულ სარეზერვო ფონდებიდან თანხებს, მხარჯავი დაწესებულებების განაცხადისა და ფონდების მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, პრეზიდენტისა და მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად გამოყოფს მინისტრი. მხარჯავი დაწესებულება ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს საჭირო თანხის მოცულობა და მიზნობრიობა.

სარეზერვო ფონდების სახსრების ხარჯვის შესახებ კვარტალურ ანგარიშს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს კანონი ითვალისწინებს მსგავსი სარეზერვო ფონდების შექმნას ავტონომიური რესპუბლიკების ავტონომიურ ბიუჯეტებში.

ტერმინები და ძირითადი ცნებები:

ბიუჯეტი

ასიგნება

პროფიციტი

დეფიციტი

დაფინანსება

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

- ჩამოთვალეთ ბიუჯეტის დამახასიათებელი ნიშნები და განსაზღვრეთ ბიუჯეტის ცნება. ახსენით ბიუჯეტის ცნების გნსაზღვრა რატომ არის საჭირო?
- ჩამოთვალეთ ბიუჯეტის ფუნქციები და შესაბამისად ახსენით რაში მდგომარეობს ბიუჯეტის არსი?
- რომელი კანონითაა განსაზღვრული ბიუჯეტის პრინციპები? ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
- რით განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და რომელი ქვესისტემებისაგან შედგება საქართველოს საბიუჯეტო სისტემა?
- რატომ არ შედის სახელმწიფო ბიუჯეტში სპეციალური სახელმწიფო ფონდები?
- რას ასახავს ბიუჯეტის სტრუქტურა და რამდენი ნაწილისაგან შედგება ბიუჯეტი?
- ჩამოთვალეთ სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობები.
- დაასახელეთ სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტების გადასახდელები.
- რა არის ასიგნება და რა განსხვავება არსებობს პროგნოზირებულ და ფიქსირებულ ასიგნებას შორის?
- რომელი შემოსულობა არ შეიძლება მივაკუთნოთ შემოსავალს და რომელი გადასახდელი არ შეიძლება მივაკუთნოთ ხარჯებს? ახსენით მათ შორის არსებული განსხვავება.
- რას მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაცია? დაასახელეთ რას მოიცავს: ბიუჯეტის შემოსულობების კლასიფიკაცია; ხარჯების კლასიფიკაცია; ღონისძიებების კლასიფიკაცია.
- განსაზღვრეთ სახელმწიფო ორგანოების წმინდა დაკრედიტება.
- განსაზღვრეთ ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი და ჩამოთვალეთ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები.
- რომელი კანონით განისაზღვრება სახელმწიფო ფონდების ფორმირებისა და გამოყენების წესი?
- რომელი სახელმწიფო საბიუჯეტო სარეზერვო ფონდი იქმნება საქართველოში 2005 წლიდან, როგორ და რა დანიშნულებით უნდა იქნეს გამოყენებული?

თავი 2 ბაღასახალები

მეორე ნაწილის მეორე თავში - სისტემურად განიხილება, ბიუჯეტის შევსების მთავარ წყარო, გადასახადები. კერძოდ გადასახადების ცნება და არსი, გადასახადების დამახასიათებელი ნიშნებისა და მისი ძირითადი ფუნქციების მიხედვით არის განისაზღვრული. ამავე თავში მოცემულია: დაბეგერის პრინციპები; გადასახადების კლასიფიკაცია და მისი მნიშვნელობა; საქართველოს საგადასახადო სისტემა და სტრუქტურა; გადასახადების შემოღების ფორმები და ამოღების მეთოდები; საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის განსაზღვრა გადასახადის გადამხდელთა დანახარჯებისა და ელასტიურობის მაჩვენებლის გამოყენებით.

2.1 ბაღასახადის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, ბაღასახადის ცნება

ბიუჯეტის შემოსულობების წყაროა გადასახადები, გადასახდელები, სესხები და ფულის ემისია. თავისი მნიშვნელობითა და მოცულობით გადასახადები ბიუჯეტის შევსების მთავარ წყაროს წარმოადგენს. ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის დაახლოებით 90 პროცენტი გადასახადებზე მოდის. მარეგულირებელ ბერკეტებს შორის, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ზემოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე, განსაკუთრებული ადგილი გადასახადებს უკავია.

გადასახადები, კაცობრიობის ცივილიზაციის საწყის ეტაზე წარმოიქმნა და სახელმწიფოს შექმნასთან ერთად ეკონომიკური ურთიერთობის აუცილებელ რგოლს წარმოადგენდა. ისტორიულად სახელმწიფოებრივი წყობის ფორმასთან ერთად იცვლებოდა გადასახადის სახეები, ამოღების ფორმები და შესაბამისად საგადასახადო სტრუქტურა და სისტემა. თანამედროვე მეცნიერება გადასახადს, როგორც ეკონომიკურ, ისე ისტორიულ და სამართლებრივ კატეგორიად მიიჩნევს. ამასთან გადასახადს, როგორც ეკონომიკური კატეგორიას მისთვის დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს გადასახადის ცნება. გადასახადის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებიდან კი შეიძლება შემდეგის გამოყოფა:

- გადასახადის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ გადასახადის გადახდა აუცილებლად ფულადი ფორმაში უნდა ხდებოდეს (გადასახადის გადახდის დროს, გადასახადის გადამხდელის შემოსავლისა და ქონების ნაწილი, ფულადი ფორმით გადადის სახელმწიფოს ხელში).
- გადასახადი წარმოადგენს ბიუჯეტში სავალდებულო შენატანს. გადასახადის გადამხდელები ვალდებული არიან გადაიხადონ გადასახადი. არასავალდებულო გადასახადი არ არსებობს. ამგვარად გადასახადი ატარებს იძულებით ხასიათსაც.
- გადასახადი ინდივიდუალურად აუნაზღაურებადია, რამდენადაც – გადასახადი - გადამხდელისაგან მიდის სახელმწიფოს ხელში მაშინ, როდესაც გადასახადის გადამხდელი კონკრეტული გადასახადისათვის არაფერს არ ღებულობს.
- გადასახადს გააჩნია უსასყიდლო ხასიათი, რადგანაც გადასახადი ხასიათდება: ცალმხრივობით, არაეკვივალენტურობით და დაუბრუნებლობით.
- გადასახადის შემოღება დასაშვებია მხოლოდ სამართლებრივი ნორმით, რაც ჩვენს ქვეყანაში საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლით არის რეგლამენტირებული. შესაბამისად საგადასახადო ურთიერთობა ორ ან მეტ არათანაბარ უფლებიან სუბიექტს შორის მყარდება.

ამგვარად გადასახადის ცნება, მის ზოგად მნიშვნელობა, ზემოთ აღნიშნული ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით უნდა იქნეს განსაზღვრული. საქართველოს საგადასახადო კოდექსში გადასახადის ცნება ასე განისაზღვრა: გადასახადი არის საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო შენატონი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

2.2 გადასახადის ფუნქციები, გადასახადის არსი

გადასახადის ზოგადი მნიშვნელობის, გადასახადის ცნების განსაზღვრა საშუალებას იძლევა გავაანალიზოთ საგადასახადო ურთიერთობის გამოვლინების ფორმები, ავხსნათ გადასახადის არსი მისი შინაგანი შინაარსი. ამასთან გადასახადის არსის, მისი მთავარი დანიშნულების ახსნის მიზნით უწინარეს ყოველისა უნდა ვიცოდეთ რა ფუნქციას (სამუშაოს) ასრულებს გადასახადი, როგორც საერთოდ ეკონომიკურ ისე კერძოდ საბიუჯეტო ურთიერთობებში.

ეკონომიკურ ურთიერთობებში შეიძლება გადასახადის სამი ძირითადი ფუნქცია იქნეს გამოყოფილი. კერძოდ: ფისკალური, მაკონტროლებელი და მარეგულირებელი.

გადასახადი, ნებისმიერ სახელმწიფოში ფისკალური ფუნქციის მატარებელია. რაც იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო მექანიზმით ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილის მობილიზება ფულადი რესურსების სახელმწიფოს ცენტრალიზებულ ფონდში. შესაბამისად აღნიშნული ფუნქციით გადასახადი ბიუჯეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. კერძოდ, გადასახადით ხდება ბიუჯეტის შემოსულობების მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმირება.

გადასახადის მაკონტროლებელი ფუნქცია გულისხმობს საგადასახადო მექანიზმით, როგორც სახელმწიფო, ისე სამეურნეო სუბიექტების (ფირმების) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლის განხორციელებას. ამავე ფუნქციით ხდება სახელმწიფოში საგადასახადო სისტემის, დაბეგვრის ადმინისტრირებისა და აქედან გამომდინარე დაბეგვრის მართვის ეფექტიანობის განსაზღვრა.

გადასახადის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს ეკონომიკის რეგულირება. სწორედ აღნიშნული ფუნქციით ხდება სახელმწიფოს მიერ საგადასახადო პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია. სახელმწიფო საგადასახადო ბერკეტს იყენებს, როგორც ეკონომიკის სტიმულირებისათვის ისე დესტიმულირებისათვის. შესაბამისად გადასახადის მარეგულირებელ ფუნქციაში გამოიყოფა ორი ქვეფუნქცია. კერძოდ, ერთ-ერთი მათგანია გადასახადის **მასტიმულირებელი ქვეფუნქცია**, რომელიც გულისხმობს საგადასახადო შეღავათების გამოყენებით რიგი ეკონომიკური პროცესების განვითარების მხარდაჭერას. სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო სისტემაში ფართოდ გამოიყენება საგადასახადო შეღავათები მცირე ბიზნესის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ინვალიდთა საწარმოების განვითარების ხელშეწყობისათვის, ინვესტიციებისა და საქველმოქმედო საქმიანობის სტიმულირებისათვის და სხვა მიზნით.

გადასახადის მარეგულირებელი ფუნქციას მიეკუთვნება ასევე გადასახადის **მადესტიმულირებელი ქვეფუნქცია**. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო სა-

გადასახადო მექანიზმს იყენებს ეკონომიკური პროცესების შეზღუდვის მიზნით. ასე მაგალითად იმპორტის შემზღუდველი საბაჟო გადასახადების შემოღება, ალკოჰოლური და თამბაქოს ნაწარმის მოხმარების შემზღუდველი აქციზური გადასახადის შემოღება და ა. შ.

გადასახადის ფუნქციებიდან გამომდინარე, გადასახადი, როგორც ინსტრუმენტი გამოიყენება რა ეროვნული შემოსავლის გადანაწილების პროცესში, ამასთან იგი აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორზე. აფართოებს ან ამცირებს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას.

გადასახადის მარეგულირებელი ფუნქცია მჭიდროდაა დაკავშირებული მის **ფისკალურ ფუნქციასთან**, რამდენადაც გადასახადების მობილიზებით ხელისუფლებას ეძლევა იმის საშუალება, რომ აქტიური ზემოქმედება მოახდინოს ერთობლივ მოთხოვნაზე, და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე გადასახადის არსი, მისი მთავარი დანიშნულება, მდგომარეობს იმაში, რომ **გადასახადები ბიუჯეტის შევსების მთავარ წყაროს და ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს**. გადასახადის ზემოთ აღნიშნული ფუნქციების განხორციელების მიზნით კი იქმნება სახელმწიფოს საგადასახადო სისტემა.

2.3 დაბეგვრის პრინციპები

ქვეყანაში გადასახადების დადგენისა და ამოღების პროცესს **დაბეგვრა** ეწოდება.

თანამედროვე საზოგადოების განვითარება არ შეიძლება იდეალურად მივიჩნიოთ. ყოველი სახელმწიფო მოქმედებს და ვითარდება საკუთარი ქვეყნის შიდამეურნეობრივი კანონებით, რომლებიც არსებითად განსხვავდება მეზობელი ქვეყნებისაგან. რა თქმა უნდა განსხვავებულია დაბეგვრის პრინციპებიც. ამასთან ინდუსტრიულ ქვეყნებში მოქმედებს დაბეგვრის კლასიკური პრინციპები.

ეროვნული ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იცვლება დაბეგვრის სისტემა და შესაბამისად დაბეგვრის პრინციპები სულ უფრო უახლოვდება კლასიკურ პრინციპებს. ამასთან უნდა აღინიშნოს ის, რომ არსებობს დაბეგვრის ძირითადი პრინციპები, რომელსაც აქამდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. აღნიშნულს მიეკუთვნება:

- ა) გადახდისუნარიანობის მიხედვით დაბეგვრის პრინციპი. აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს იმას, რომ მაღალ შემოსავლის მქონე პირებისათვის დაბეგვრა უნდა იყოს საკმაოდ მკაცრი, ხოლო სოციალურად დაუცველი ფენებისათვის საკმაოდ შეღავათიანი. პიროვნებამ მისი შესაძლებლობების მიხედვით უნდა გადაიხადოს გადასახადი. ამგვარად გადახდისუნარიანობის დაბეგვრის პრინციპით შეიძლება შეფასდეს საგადასახადო სისტემის სამართლიანობა. აქაც განასხვავებენ ვერტიკალურ სამართლიანობას რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ მეტი უნდა გადაიხადოს გადამხდელმა ვისაც მეტი შესაძლებლობა (შემოსავალი) აქვს და ჰორიზონტალურ სამართლიანობას, ასეთ შემთხვევაში გადამხდელებმა, რომლებიც ერთნაირი გადახდისუნარიანობით ხასიათდებიან, ერთნაირი გადასახადი უნდა გადაიხადონ. ეს ორი პრინციპი საკმაოდ არის მიღებული, მაგრამ საგადასახადო სისტემის შეფასების დროს მას იშვიათად იყენებენ. ასე მაგალითად ვერტიკალური სამართლიანობის შემთხვევაში

მდიდრებმა, ვისაც მეტი შემოსავალი აქვთ მეტი უნდა გადაიხადონ ვიდრე ღარიბებმა. ეს ყველა შემთხვევაში ასე ხდება, მაგრამ რამდენით მეტი? ამ კითხვაზე პოლიტიკოსები სხვადასხვა დროს არაერთგვაროვანი დამოკიდებულებას იჩენენ.

- ბ) სარგებლობის მიხედვით დაბეგვრის პრინციპი - აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს, რომ ადამიანები უნდა იხდიდნენ გადასახადებს იმ სარგებლობიდან გამომდინარე, რომელსაც სამთავრობო მომსახურებიდან იღებენ.
- გ) ეკონომიურობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ გადასახადის ადმინისტრირების ხარჯები მინიმალური უნდა იყოს.
- დ) მოხერხებულობის პრინციპის მიხედვით გადასახადი ამოღებული უნდა იქნეს იმ დროს და იმ მეთოდით, რომელიც გადამხდელისათვის უფრო მოხერხებულია. ამგვარად სახელმწიფომ უნდა გააიოლოს გადასახადის გადახდისა და ფორმალურობის პროცედურა და გადამხდელი მიაჩვიოს გადასახადი გადაიხადოს შემოსავლის მიღების დროს.
- ე) გარკვეულობის პრინციპი ნიშნავს გადასახადის გადახდის დრო და წესი გადამხდელისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი:

2.4 გადასახადების კლასიფიკაცია

ისტორია იცნობს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ გადასახადების სახეობებს. ასე მაგალითად არსებობდა გადასახადები საკვამურზე, მარილზე, ფანჯრებზე და რა თქმა უნდა სპირტიან სასმელებზე. გადასახადების სახეები მრავალფეროვანია და ერთმანეთისაგან სხვადასხვა მახასიათებლებით განირჩევიან.

2005 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში მოქმედებს სულ შვიდი სახის გადასახადი. კერძოდ: საშემოსავლო, მოგების, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, სოციალური გადასახადი, ქონების გადასახადი და სათამაშო ბიზნესის გადასახადი. (2005 წლამდე არსებობდა 17 სხვადასხვა სახის გადასახადი)

კანონით დადგენილი გადასახადები შეიძლება დავაჯგუფოთ, გარკვეული კრიტერიუმების, ნიშნების და სპეციფიკური თვისებების მიხედვით. თეორიასა და პრაქტიკაში შედარებით ფართოდ გამოიყენება გადასახადების კლასიფიკაცია გადახდის ფორმის მიხედვით. ასეთი კლასიფიკაციით გადასახადების დაჯგუფება ხდება პირდაპირ და არაპირდაპირ (ირიბი) გადასახადებად.

პირდაპირი გადასახადები უკავშირდება შემოსავლებს, ხოლო არაპირდაპირი ხარჯებს. პირდაპირი გადასახადები აიკრიფება უშუალოდ გადასახდელის გადამხდელთა შემოსავლებიდან და ქონების მიხედვით. მისი ობიექტია შემოსავალი ხელფასის სახით, მოგება, პროცენტი, ქონების ღირებულება და ა.შ. არაპირდაპირი გადასახადს ადგენენ საქონლისა და მომსახურების ფასდანიშნის სახით, რომლის ამოღება ხდება საქონლისა და მომსახურების მოხმარების პროცესში. არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი, საბაჟო გადასახადი.

დაბეგვრის თეორიასა და პრაქტიკაში სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ნიშნების მიხედვითაც ხდება გადასახადების დაჯგუფება. ისინი უნივერსალურები არიან და მათი გამოყენება ძირითადად ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ასე მაგალითად, გადასახადები შეიძლება დავაჯგუფოთ შემოდების წესის მიხედვით, კერძოდ საერთო და სპეციალურ გადასახადებად.

საერთო გადასახადები სახელმწიფოს ერთიან ცენტრალიზებულ ფონდში, ბიუჯეტში მიდის. მას არ გააჩნია რაიმე კონკრეტული დანიშნულება და საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებებისათვის გამოიყენება.

სპეციალურ გადასახადებს – მკაცრად განსაზღვრული დანიშნულება გააჩნიათ და ჩვეულებრივ მათი მეშვეობით ხდება არასაბიუჯეტო სპეციალური სახელმწიფო ფონდების ფორმირება. საქართველოში 2005 წლამდე ასეთი იყო „სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი“ და „საგზაო ფონდი“.

გადასახადების კლასიფიკაცია ხდება ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და შესაბამისად მართვის ორგანოების ღონისა და მიკუთვნების მიხედვით. უნიტარულ სახელმწიფოებში როგორც წესი საბიუჯეტო სისტემა შესდგება ორი ძირითადი რგოლისაგან. კერძოდ სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილობრივი ბიუჯეტი. შესაბამისად არსებობს სახელმწიფო გადასახადები და ადგილობრივი გადასახადები. ფედერალური მოწყობის სახელმწიფოებში სადაც სამდონიანი საბიუჯეტო სისტემა არსებობს, შესაბამისად საგადასახდო სისტემაც სამდონიანია.

რაც შეეხება საქართველოში ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად („საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით), საბიუჯეტო სისტემა სამდონიანია. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტი და ადგილობრივი ბიუჯეტი. ამასთან აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს საგადასახდო კოდექსის მიხედვით განსაზღვრული გადასახადების კლასიფიკაცია ითვალისწინებს გადასახადების დაჯგუფებას, მხოლოდ საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებად. ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკების გადასახადები, კოდექსში ცალკე არ არის გამოყოფილი და პრინციპში მას ადგილობრივ გადასახადებს მიაკუთვნებენ. რაც შემდეგზე მიუთითებს: საქართველოში ტერიტორიული მოწყობის საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი; ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობაში შეუსაბამობა არსებობს.

საგადასახდო თეორიასა და პრაქტიკაში ასევე საკმაოდ გავრცელებულია, გადასახადების კლასიფიკაცია ბიუჯეტში შესული საგადასახდო თანხის გამოყენების უფლების გათვალისწინებით. შესაბამისად განასხვავებენ მიმავრებულ და მარეგულირებელ გადასახადებს.

მიმავრებელი გადასახდი მთლიანად და მკაცრად ფიქსირებული წილით (პროცენტებში), მუდმივად ან გრძელვადიან პერიოდში, შედის იმ ღონის ბიუჯეტში, რომელზედაც ის მიმავრებულია.

მარეგულირებელი გადასახდები კი ყველა ღონის ბიუჯეტის სტაბილური საშემოსავლო ბაზის ფორმირებისა და ბიუჯეტის ღონეებს შორის საგადასახდო შემოსულობების რეგულირებისათვის გამოიყენება. კერძოდ მარეგულირებელი გადასახადებიდან განისაზღვრება ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივები.

საქართველოში მოქმედებდა „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან აფხაზეთსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკებში განსაზღვრავდა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადზე გრძელვადიანი ნორმატივს. გრძელვადიანი ნორმატივები განისაზღვრებოდა ასევე ავტონომიურ რესპუბლიკებში საბაჟო გადასახადზე, საბაჟო ორგანოების მიერ მობილიზებულ დღეზე და აქციზზე.

2005 წლის 1 იანვრიდან ახალი საგადასახადო კოდექსთან ერთად მიღებული იქნა „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონი. ახლა ამ კანონითაა განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლების - საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილების წესი.

გადასახადები ერთის მხრივ მთავრობის შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, ხოლო მეორეს მხრივ გადამხდელთა ხარჯებია. მთავრობა გადასახადს იყენებს, როგორც ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტს და ცდილობს გადასახადების ფისკალურ და მარეგულირებელ ფუნქციათა შორის ოპტიმალური თანაფარდობა იყოს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკის სტაბილურ ზრდას, რაც თავის მხრივ დასაბეგრ ბაზის ზრდას განაპირობებს.

კორპორაცია (ფირმა) კი დასაბეგრი ბაზისა და შესაბამისად გადასახადის გადახდის მინიმუმაციისაკენ მიისწრაფვის. ამგვარად ეკონომიკის სუბიექტებს გადასახადებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გააჩნიათ. შესაბამისად გადასახადების კლასიფიკაცია აუცილებელია, როგორც საგადასახადო ანგარიშგების, საგადასახადო ბაზის რეგულირებისა და მიზნობრივი ანალიზის, ისე სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ჩასატარებლად. აღნიშნულ კი გადასახადების შემოდების მიზანშეწონილებისა და დაბეგვრის მართვის შეფასების საშუალებას იძლევა.

2.5 საბაღასახადო სისტემა

საგადასახადო სისტემა წარმოადგენს გარკვეულ მთლიანობას, რომელიც სხვადასხვა კრიტერიუმების, ნიშნების და სპეციფიკური თვისებების მიხედვით დაჯგუფებული გადასახადების ერთობლიობას წარმოადგენს.

საგადასახადო სისტემაში ყოველი გადასახადი განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს და კონკრეტული ხასიათის მატარებელია. ამასთან მთლიანობაში ისინი ურთიერთკავშირში არიან, ბიუჯეტის შემოსავლის მთავარ წყაროს, ხოლო გადამხდელისათვის ხარჯებს წარმოადგენენ და ერთიან საგადასახადო სისტემას ქმნიან. გადასახადების სისტემური განხილვა მის მიზნობრივ გამოყენებას უნდა ითვალისწინებდეს.

ფედერალური მოწყობის ქვეყნების საგადასახადო სისტემა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით, ეკონომიკური ურთიერთობებითა და სამართლებრივი ნორმებითაა განსაზღვრული. ის აერთიანებს საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს, ავტონომიური რესპუბლიკების გადასახადებს და ადგილობრივ გადასახადებს.

დებს. შესაბამისად საგადასახადო სისტემა სხვადასხვა დონის გადასახადების ერთობლიობას წარმოადგენს.

საგადასახადო სისტემა შეიძლება ასევე განხილულ იქნეს, როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების, საერთო და სპეციალური გადასახადების, მიმაგრებული და მარეგულირებელი გადასახადების და ა. შ. ერთობლიობა.

2.6 ბაღასახადების ტიპები

გადახდისუნარიანობის პრინციპიდან გამომდინარე განასხვავებენ პროპორციული, პროგრესული და რეგრესული გადასახადებს.

პროპორციული გადასახადების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელები, მიუხედავად შემოსავლის სიდიდისა, იხდიან თავიანთი შემოსავლიდან პროცენტულად ერთსა და იმავე ნაწილს.

რეგრესიული გადასახადის შემთხვევაში მაღალშემოსავლიანი გადამხდელები პროცენტულად თავიანთი შემოსავლის უფრო მცირე ნაწილს იხდიან, ვიდრე დაბალშემოსავლიანი გადამხდელები. თუმცა საბოლოოდ მათ მიერ გადახდილი გადასახდი მთლიანობაში მაინც უფრო დიდი გამოდის დაბალ შემოსავლიან გადამხდელებთან შედარებით.

რაც შეეხება პროგრესული საგადასახადო სისტემას იგი ითვალისწინებს იმას, რომ მაღალშემოსავლიანმა გადამხდელებმა მისი შემოსავლის უფრო დიდ ნაწილი (პროცენტი) უნდა გადაიხადონ (ნაწილი იგულისხმება ხვედრით წონა პროცენტებში) ვიდრე დაბალშემოსავლიანმა გადამხდელებმა.

2.7 ბაღასახადის სტრუქტურა

გადასახადის სტრუქტურა, საგადასახადო სისტემის შინაგანი ფორმასა და აგებულიებას ასახავს.

გადასახადი რთული ეკონომიკური კატეგორიაა. დაბეგვრის ეფექტური მართვა უწინარეს ყოვლისა მოითხოვს გადასახადი განხილული იქნეს, როგორც მთლიანობაში ისე მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტების მიხედვით.

გადასახადის ძირითად ელემენტებია:

- ა) გადასახადის გადამხდელი სუბიექტი;
- ბ) გადასახადის ობიექტი;
- გ) საგადასახადო ბაზა;
- დ) საგადასახადო განაკვეთი;
- ე) დაბეგვრის ერთეული;
- ვ) გადახდის ვადა
- ზ) ბიუჯეტი, რომელშიც ირიცხება გადასახადი.

განვიხილოთ გადასახადის ძირითადი შემადგენელი ელემენტები:

- ა) გადასახადის სუბიექტი – არის პირი, რომელსაც ეკისრება ვალდებულებულება, თავისი საკუთარი სახსრებიდან, გადაიხადოს გადასახადი. გადასახადის სუბიექტის ცნებასთან ახლოს დგას გადასახადის მატარებლის ცნებაც. გადასახადის მატარებელი არის პირი, რომელზედაც საბოლოო ჯამში მოდის საგადასახადო ტვირთის სიმძიმე. გადასახადის სუბიექტს უფლება აქვს საგადასახადო ტვირთი გადააკისროს სხვა პირს. მაგალითად აქციზური გადასახადის სუბიექტი არის იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს ან ყიდის აქციზურ საქონელს, მაშინ როდესაც მისი რეალური გადამხდელი ანუ გადასახადის მატარებელი არის მომხმარებელი, რომელიც ყიდულობს აქციზურ საქონელს. გადასახადის სუბიექტები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით იყოფიან რეზიდენტებად და არარეზიდენტებად. ამასთან როდესაც გადასახადის სუბიექტები იურიდიული პირებია, მათი დაყოფა ხდება ქვეყანაში არსებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით.
- ბ) გადასახადის ობიექტი – არის ის სამართლებრივ-იურიდიული ფაქტები (მოქმედებები, შემთხვევები, მდგომარეობა), რომელიც გადასახადის სუბიექტს ავალდებულებს გადასახადის გადახდას. მაგალითად საქონლის ან მომსახურების მიწოდება, საქონლის იმპორტი, ქონების ფლობა ან ანდერძით მიღება, შემოსავლები და ა.შ. გადასახადის ობიექტთან ახლოს დგას დაბეგვრის საგნის ცნება. მაგალითად მიწაზე საკუთრების უფლება წარმოადგენს გადასახადის ობიექტს, ხოლო თვით მიწის ნაკვეთი დაბეგვრის საგანს. დაბეგვრის საგანს რაოდენობრივი დახასიათებისათვის იყენებენ.
- გ) საგადასახადო ბაზის ცნება. საგადასახადო ბაზა არის რაოდენობრივად ასახული საგადასახადო დაბეგვრის საგანი, რომლის მიმართაც გამოყენებული უნდა იქნეს გადასახადის განაკვეთი.
- დ) საგადასახადო განაკვეთი ეწოდება გადასახადის რაოდენობას დაბეგვრის ერთეულზე. განასხვავებენ მტკიცე ანუ ფიქსირებულ საგადასახადო განაკვეთს და პროცენტულ ანუ ადვალურ საგადასახადო განაკვეთს. ფიქსირებული განაკვეთის დროს, დაბეგვრის ყოველ ერთეულზე, მტკიცე, ფიქსირებული განაკვეთი ფულად ერთეულშია განსაზღვრული. მაგალითად მიწის გადასახადი ერთ ჰექტარ მიწის ფართობზე 30 ლარს შეადგენს. ადვალური განაკვეთის დროს საგადასახადო განაკვეთი განისაზღვრება პროცენტებში. მაგალითად შემოსავალი 12 პროცენტით იბეგრება.
- ე) გადასახადის ერთეული – გამოიყენება საგადასახადო ბაზის რაოდენობრივ მახასიათებლად. მაგალითად, ნავთობ-პროდუქტებზე აქციზის გამოსაანგარიშებლად, გადასახადის ერთეულს წარმოადგენს ერთი ლიტრი. მიწის გადასახადის ერთეულია 1 ჰა-ზე და ა.შ.
- ვ) გადახდის ვადა გადასახადის სტრუქტურის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია, რომელიც სხვადასხვა სახის გადასახადებში განსხვავებულია და მისი კონკრეტული მაჩვენებელი განისაზღვრება კანონით. მაგალითად საქართველოში ისევე როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადის გადახდა ხდება შემოსავლის მიღების დროს, დღგ-ს გადახდა საქონლის მიწოდებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ქონების გადასახდს წელიწადში ერთხელ იხდიან და ა. შ.

- ხ) საგადასახადო პერიოდი, გადასახადის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს. ეს არის ის პერიოდი, რომლის დროსაც სრულდება საგადასახადო ბაზის ჩამოყალიბება და განისაზღვრება საგადასახადო ვალდებულების ოდენობა. საგადასახადო პერიოდი გააჩნია რეგულარულ გადასახადებს. ერთჯერად გადასახადებისათვის საგადასახადო პერიოდს არ განსაზღვრავენ. საგადასახადო პერიოდი უნდა განვსვავოთ საანგარიშო პერიოდისაგან. საანგარიშო პერიოდში ხდება შედეგების საბოლოო გამოანგარიშება და საგადასახადო ორგანოში ანგარიშის წარდგენა.
- თ) გადასახადის სტრუქტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტს წარმოადგენს ასევე ბიუჯეტის სახე სადაც უნდა ჩაირიცხოს გადასახადი. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით გადასახადი ირიცხება საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან აგილობრივ ბიუჯეტებში.

2.8 გადასახადის შემოღების ფორმა და ამოღების მეთოდები

დაბეგვრის პროცესში მოქმედებს გადასახადის შემოღების სამი ფორმა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გადასახადის ობიექტის აღრიცხვისა და შეფასების მეთოდით.

პირველი ფორმა გულისხმობს (მიწისა და შენობების) კადასტრის გამოყენებას, რომელიც შეიცავს დაბეგვრის ობიექტის შეფასებისა და საშუალო შემოსავლიანობის ტიპიურ მონაცემებს. გადასახადის შემოღების კადასტრული ფორმა გამოიყენება შესაბამისი მიწის, ქონების და სხვა მსგავსი გადასახადის გაანგარიშების დროს.

მეორე ფორმა არის გადასახადის შემოღების დეკლარაციული ფორმა, რომელიც გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოებში დეკლარაციის ფორმით ოფიციალური განაცხადის წარდგენას ითვალისწინებს. აღნიშნული როგორც წესი მოიცავს: გადამხდელის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემებს, ასევე შემოსავლების წყაროს, საგადასახადო შეღავათებსა და აღნიშნული საფუძველზე გადასახადის გამოთვლას.

მესამე ფორმას მიეკუთვნება გადასახადის გამოთვლა დაბეგვრის წყაროს მიხედვით და გადასახადის დაკავება შემოსავლის აღებამდე, რასაც ჩვეულებრივ საწარმოს ბუღალტერია ან სხვა გადასახადის გადამხდელი ორგანოები ახორციელებენ. ამ ფორმით ხდება საშემოსავლო გადასახადის, ფასიანი ქაღალდების შემოსავლის მიხედვით გადასახადის ამოღება და ა.შ. აღნიშნული წესი გმორიცხავს გადასახადისაგან თავის აცილების შესაძლებლობას.

დაბეგვრის სისტემაში გამოიყენება გადასახადის ამოღების სამი მეთოდი კერძოდ ეს არის:

- გადასახადის ამოღება ნაღდი თანხით. აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს გადამხდელის მიერ ხაზინაში განსაზღვრული ნაღდი თანხის შეტანას.
- უნაღდო ფორმა, როდესაც ბანკის მეშვეობით ხდება თანხის გადარიცხვა.
- გერბიანი (მაგალითად აქციზური) მარკების მეთოდი ითვალისწინებს გადამხდელის მიერ ოფიციალურ დოკუმენტზე სპეციალური მარკების ყიდვას.

2.10 საბაღასახადო სისტემის ეფექტიანობა

საგადასახადო სისტემის ეფექტიანობას გადასახადის გადამხდელთა დანახარჯები განსაზღვრავს. კერძოდ რაც უფრო ნაკლებია გადასახადის გადამხდელთა დანახარჯები მით უფრო ეფექტიან საგადასახადო სისტემასთან გვაქვს საქმე. მაინც რას წარმოადგენს გადასახადის გადამხდელთა დანახარჯები? ყველაზე აშკარა დანახარჯია თვით გადასახადის გადახდა. გარდა ამისა ხელისუფლება ცდილობს თვალი აარიდოს ორ დანარჩენ ხარჯს. კერძოდ:

1. საერთო დანაკარგებს, რომელსაც განაპირობებს გადამხდელის გადაწყვეტილების (ქცევების) ცვლილები;
2. ადმინისტრირების ხარჯები, რომელიც უშუალო ზემოქმედებას ახდენს გადამხდელზე.

საერთო დანაკარგები - გადასახადის გადამხდელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე უშუალო ზემოქმედებას ახდენს გადასახადები.

გადასახადები, მისი ბუნებიდან გამომდინარე ზრდის სახელისუფლო შემოსავლებს და ამცირებს ადამიანების კეთილდღეობას, რაც თავის მხრივ საერთო დანაკარგს ქმნის. ამგვარად გადასახადები საერთო დანაკარგს წარმოშობს, რადგანაც გადამხდელი შეზღუდულ რესურსებს უწინარეს ყოვლისა გადასახადების გათვალისწინებით ანაწილებს და არა მის მიერ ნაყიდი საქონლისა და მომსახურებიაზე გაწეული ხარჯებისა და სარგებლის მიხედვით.

განვიხილოთ მაგალითი: დაუშვათ რომ ნუცა მზად არის გადაიხადოს ერთ პიცაში 8 ლარი, ხოლო ეკა ფიქრობს, რომ ის 6 ლარი უნდა ღირდეს. ამასთან დაუშვათ, რომ პიცა არ იბეგრება და მისი ფასია 5 ლარი. ასეთ შემთხვევაში ორივე იყიდის პიცას. ნუცა დაზოგავს 3 ლარს, ხოლო ეკა კი 1 ლარს. ასეთ შემთხვევაში საერთო დანაზოგმა 4 ლარი შეადგინა

ახლა დაუშვათ, რომ მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ერთი პიცა უნდა დაიბეგროს 2 ლარით. ასეთ შემთხვევაში ნუცა შეიძენს პიცას და დაზოგავს ერთ ლარს. მთავრობა გადასახადის სახით მიიღებს ორ ლარს. ეკამ კი გადაწყვიტა არ იყიდოს პიცა, რამდენადაც გადასახადმა გაზარდა რა პიცის ფასი, გახდა იმაზე მაღალი ვიდრე აფასებდა. ამგვარად მთლიანად დანაზოგი შემცირდა 3 ლარით (4ლ - 1ლ = 3ლ). როგორც მაგალითიდან ჩანს მთლიანი დანაზოგი მეტად შემცირდა ვიდრე მთავრობის შემოსავალი გაიზარდა. ჩვენს შემთხვევაში საერთო დანაკარგი (3ლ-2ლ=1ლ) ერთ ლარს უდრის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ საერთო დანაკარგი ეკას გადაწყვეტილებამ გამოიწვია, რომელმაც გადაწყვიტა მაღალი გადასახადის გამო არ ეყიდა პიცა. ამგვარად საერთო დანაკარგს განაპირობებს ის, რომ გადასახადის შემოღებამ ეკას უბიძგა გადაწყვეტილება (ქცევა) შეეცვალა. როდესაც ეკას კეთილდღეობა გადასახადის შემოღებით შემცირდა, ამით მთავრობის შემოსავალი არ გაზარდილა. აღნიშნულიდან გამომდინარე ეკას კეთილდღეობის შემცირება გადასახადის საერთო დანაკარგია.

გადასახადები აუცილებელია იმისათვის, რომ მთავრობამ საზოგადოების წინაშე მის მიერ აღებული ვალდებულებები შეასრულოს.

საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის განსაზღვრა ხდება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა ელასტიურობის კოეფიციენტი.

გადასახადების ელასტიურობა საგადასახადო სისტემის მოქნილობას ახასიათებს. იგი განისაზღვრება, უცვლელი საგადასახადო სისტემის პირობებში, საგადასახადო შემოსავლების პროცენტული ცვლილებების შეფარდებით საგადასახადო ბაზის პროცენტულ ცვლილებასთან. ელასტიურობის კოეფიციენტის განსაზღვრა შესაძლებელია შემდეგნაირად:

საგადასახადო შემოსავლების პროცენტული ცვლილება

$$\text{გადასახადების ელასტიურობა} = \frac{\text{საგადასახადო ბაზის პროცენტულ ცვლილებასთან}}{\text{შემოსავლების პროცენტული ცვლილება}}$$

თუ კი საგადასახადო ბაზის მაჩვენებლად გამოვიყენებთ მშპ-ს, მაშინ ელასტიურობა მშპ-ს მიხედვით ტოლი იქნება:

$$\text{გადასახადების ელასტიურობა} = (\Delta AT / AT) / (\Delta GDP / GDP)$$

სადაც: AT -თი აღნიშნება საგადასახადო შემოსავალი;

GDP არის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ);

Δ - თი აღნიშნება დროის განსაზღვრულ პერიოდში ცვლილება.

საგადასახადო სისტემა ელასტიურია, როდესაც ელასტიურობის კოეფიციენტი ერთზე მეტია. რაც ნიშნავს იმას რომ, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, ახალი გადასახადების და ახალი განაკვეთების შემოღების გარეშე, ე.ი დისკრეციული ცვლილებების გარეშე, მშპ-სთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება.

ელასტიურობა დადებითი მოვლენაა, რომლის წახალისება შეიძლება იმ ქვეყნებში სადაც სახელმწიფო ხარჯების ზრდის ტემპი მშპ-ს ზრდის ტემპს აღემატება. ჩვეულებრივ საგადასახადო სისტემა ელასტიურია, როდესაც ეკონომიკის სწრაფად განვითარებადი სექტორი იბეგრება პროგრესული საგადასახადო განაკვეთით. ამასთან იბეგრება ობიექტის ღირებულება და არა კონკრეტული ობიექტი და როდესაც გადასახადების ამოღება დროულად არის შესაძლებელი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ინფლაციის დროს არის გასათვალისწინებელი, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში საგადასახადო შემოსავლების ღირებულება მცირდება.

საგადასახადო სისტემის ელასტიურობა ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას, რომლის დროსაც ჩვეულებრივ იზრდება სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურისათვის განკუთვნილი ხარჯები. ამასთან თუ კი სახელმწიფო ხარჯების ზრდასთან ერთად არ იზრდება საგადასახადო შემოსავლები ეს განაპირობებს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტური დაფინანსების აუცილებლობას. აღნიშნული კი საგარეო ან საშინაო ვალის ზრდაში აისახება.

ტერმინები და ძირითადი ცნებები:

- გადასახადი
- დაბეგვრა
- საგადასახადო სისტემა
- გადასახადების სტრუქტურა

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

- ჩამოთვალეთ გადასახადის დამახასიათებელი ნიშნები და განმარტეთ გადასახადის ცნება.
- განსაზღვრეთ გადასახადის ფუნქციები და ახსენით გადასახადების არსი.
- განსაზღვრეთ დაბეგვრა, ჩამოთვალეთ და განსაზღვრეთ დაბეგვრის პრინციპები.
- რომელი გადასახადები მოქმედებს დღეს საქართველოში? ახსენით რისთვის ხდება გადასახადების კლასიფიკაცია?
- რას ნიშნავს გადასახადების კლასიფიკაცია გადახდის ფორმის მიხედვით, შემოღების წესის მიხედვით, მართვის ორგანოების დონისა და მიკუთვნების მიხედვით, ბიუჯეტში შესული საგადასახადო თანხის გამოყენების უფლების გათვალისწინებით.
- რას წარმოადგენს საგადასახადო სისტემა?
- ჩამოთვალეთ გადასახადების ტიპები და განსაზღვრეთ თითოეული მათგანი.
- რას ასახავს გადასახადების სტრუქტურა? ჩამოთვალეთ და განსაზღვრეთ გადასახადი ძირითადი ელემენტები: გადასახადის სუბიექტი; გადასახადის ობიექტი; საგადასახადო ბაზა; საგადასახადო განაკვეთი; დაბეგვრის ერთეული; გადასახდის ვადა და ბიუჯეტი, რომელშიც ირიცხება გადასახადი.
- გადასახადის შემოღების რამდენი ფორმა მოქმედებს დაბეგვრის პროცესში? ჩამოთვალეთ და განსაზღვრეთ თითოეული მათგანი.
- განსაზღვრეთ გადასახადის ამოღების მეთოდები.
- რა განსაზღვრავს საგადასახადო სისტემის ეფექტიანობას?
- ახსენით როგორ მიიღება საერთო დანაკარგები.
- როგორ განისაზღვრება გადასახადების ელასტიურობა?
- ახსენით ელასტიურობა დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი.

თავი 3. საკრედიტო სფერო

მეორე ნაწილის მესამე თავში საკრედიტო სფერო სისტემურად არის განხილული. კერძოდ: კრედიტის ცნება კრედიტის დამახასიათებელი ნიშნების განზოგადოების მიხედვით არის განსაზღვრული, ხოლო საკრედიტო სფეროს ფუნქციებით ახსნილია კრედიტის არსი. აქვე განხილულია კრედიტის პრინციპები, ფორმები, საკრედიტო სისტემა და სტრუქტურა, საკრედიტო ოპერაციები, კრედიტის ბაზარი, მის პოტენციური მიმწოდებლები და მომხმარებლები; საპროცენტო შემოსავლის არსი და მიზანი.

3.1 კრედიტის დამახასიათებელი ნიშნები, კრედიტის ცნება

კრედიტი, ლათინური სიტყვაა - სესხს ნიშნავს და სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმას გამოხატავს. იმის გათვალისწინებით, რომ კრედიტი სახელმწიფო საფინანსო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მისი ზოგადი მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა ფინანსების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით უნდა განისაზღვროს. კერძოდ:

1. საკრედიტო ურთიერთობის მატერიალური საფუძველი ფულია, რამდენადაც აღნიშნული ურთიერთობა მყარდება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის და ის ფულის სესხება-გასესხებას ითვალისწინებს.
2. საკრედიტო ურთიერთობის პროცესში ეკონომიკური სუბიექტის მიერ სესხის აღება გარკვეული მიზნით ხდება. შესაბამისად ადგილი აქვს ფულადი საშუალებების ფონდების მობილიზებასა და მიზნობრივი გამოყენებას. ამგვარად კრედიტი, როგორც ფინანსების ერთ-ერთი შემადგენელი სფერო, ფულადი რესურსების ფონდების ფორმირებასა და გამოყენებას ითვალისწინებს.
3. საკრედიტო ურთიერთობა შესაბამის სამართლებრივ ნორმატიულ აქტზეა მიბმული, რამდენადაც ხსენებული ურთიერთობა ქვეყნის კანონმდებლობით („საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით) რეგულირდება.
4. საკრედიტო ურთიერთობა არათანაბარუფლებიან სუბიექტებს (კრედიტორსა და მსესხებელს) შორის მყარდება.
5. კრედიტი, როგორც სახელმწიფო საფინანსო სისტემის ერთ-ერთი რგოლს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშანიც გააჩნია. რაც მდგომარეობს იმაში, რომ საკრედიტო ურთიერთობის პროცესში ფულის გასესხება ხდება შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთით, განსაზღვრული ვადით და პროცენტთან ერთად გასესხებული თანხის დაბრუნების პირობით. ამგვარად კრედიტით ფულის თვითგაზრდა ხდება და შესაბამისად ფული კაპიტალად გადაიქცევა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით კრედიტის ცნება, მისი ზოგადი მნიშვნელობა, შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს. კერძოდ, **კრედიტი არის სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ფულადი ურთიერთობა, რომელიც ეკონომიკური სუბიექტების თავისუფალი ფულადი კაპიტალისა და დანაზოგების გასხვისებით, ფულადი რესურსების ფონდების მობილიზებითა და გამოყენებით, ხელს უწყობს დანაზოგებისა და ინვესტიციების კოორდინირებას.**

3.2 კრედიტის ფუნქციები, კრედიტის არსი

კრედიტის არსი მისი ფუნქციებით უნდა აიხსნას. კრედიტი, როგორც საფინანსო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილის, დანაზოგის, გადანაწილების ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

განაწილებითი ურთიერთობა საკრედიტო სფეროში სპეციფიურ შინაარს იძენს, რამდენადაც კრედიტის მიზანია დანაზოგის (ჭარბი შემოსავლის) დროებითი განკერძოება, რასაც საპროცენტო შემოსავალი მოაქვს.

ეკონომიკაში დანაზოგი შეიძლება გააჩნდეს ნებისმიერ სუბიექტს, იქნება ეს სახელმწიფო, კორპორაცია თუ ოჯახური მეურნეობა.

ფულის გასესხების (განკერძოების) დროს სპეციფიური გარიგება ხდება. სესხი არ მიდის გადახდაში და არ იყიდება, არამედ მოგების მიღების მიზნით, დროებით გაიცემა და გაუცხოვდება იმ პირობით, რომ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, საწყისი თანხა საპროცენტო შემოსავალთან ერთად თავის საწყის პუნქტს უბრუნდება.

საპროცენტო შემოსავლის სიდიდეს განსაზღვრავს: **საწყისი გასასესხებელი თანხა, სარგებლის განაკვეთი (მოგების ნორმა) და სესხების ვადა.**

ფულის სესხების აქტი განსხვავდება ჩვეულებრივი საქონლის ყიდვა-გაყიდვი პროცესისაგან. როგორც ვიცით ფული განსაკუთრებული საქონელია. გარიგების დროს მყიდველი, რომელმაც შეიძინა ჩვეულებრივი საქონელი და გადაიხადა შესაბამისი ფასი, მისი მესაკუთრე გახდა, გამყიდველმა კი საქონლის სანაცვლოდ მიიღო საქონლის ღირებულების ექვივალენტ ფული.

საკრედიტო ურთიერთობის პროცესში გამსესხებელი, გასესხებული ფულის მესაკუთრედ რჩება. მსესხებელი იყენებს ფულის სახმარ ღირებულებას და დადგენილ ვადებში აბრუნებს ნასესხებ თანხას საპროცენტო შემოსავალთან ერთად. ნასესხებ ფულს მოგება მოაქვს. ამ მოგების ნაწილს პროცენტის სახით იღებს გამსესხებელი, ხოლო დარჩენილი ნაწილი მსესხებლის შემოსავალია.

ამგვარად საპროცენტო შემოსავალი (პროცენტი), სესხის გამოყენებით მიღებული მოგების ნაწილია, რომელიც კრედიტორს გადაეცემა. აღსანიშნავია ისიც, რომ გასესხებული ფული მხოლოდ მოგების დანაწილების შედეგად ხდება კაპიტალი, როგორც კრედიტორისათვის ისე მსესხებლისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე კრედიტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ის, რომ საკრედიტო ურთიერთობის პროცესში ფული კაპიტალად გადაიქცევა.

კრედიტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს ისიც, რომ კრედიტის გამოყენებით შესაძლებელია მიმოქცევის ხარჯების ეკონომია. კერძოდ, კომერციული კრედიტის გამოყენებით მცირდება პროდუქციის საქონლურ ფორმაში ყოფნის დრო.

კრედიტით ასევე ხდება ნამდვილი (რეალური) ფულის საკრედიტო ფულით შეცვლა.

სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარების პირველ ეტაპზე მიმოქცევიდან ოქროს გამოდევნას სწორედ კრედიტის გამოყენებას უკავშირებენ. მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული ფუნქცია ვლინდება უნაღლო ანგარიშსწორების განვითარებაში. კერძოდ საკრედიტო ბარათების, თამასუქების, ჩეკების, სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოყენებაში. რაც ფულის მიმოქცევას აჩქარებს.

კრედიტის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენ ისიც, რომ ბანკებს შეუძლიათ კრედიტის გამოყენებით ეკონომიკაში ფულის მიწოდება შეცვალონ. კერძოდ გაზარდონ ან შეამცირონ ეკონომიკაში მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ კრედიტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის გამოყენება ხელს უწყობს ეკონომიკაში დანაზოგებისა და ინვესტიციების კოორდინირებას.

როდესაც ქვეყანაში მშპ-ს დიდ ნაწილი იზოგება, შესაბამისად კაპიტალის ინვესტირება ხდება. საკრედიტო სფერო, ფულის მიწოდებით, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაში ფულის მასის მოცულობასა და სტრუქტურაზე, საგადამხდელო ბრუნვაზე და ფულის მიმოქცევის სიჩქარეზე და ა.შ. რაც თავის მხრივ ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს. აღნიშნულიდან გამომდინარე საკრედიტო პოლიტიკა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს.

კრედიტის ფასი - პროცენტი, ისევე როგორც ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების ფასი, სასახო კაპიტალის მოთხოვნა მიწოდებითა და საპროცენტო განაკვეთით განისაზღვრება.

კრედიტის ფუნქციებიდან გამომდინარე საკრედიტო სფერო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, როგორც საფინანსო ისე მთლიანად ეკონომიკურ ურთიერთობებში. შესაბამისად კრედიტის არსი, მისი მთავარი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ კრედიტი ეკონომიკაზე ფულის მიწოდების, დანაზოგებისა და ინვესტირების კოორდინირების და შესაბამისად სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტია.

3.3 ღაკრედიტების პრინციპები

საკრედიტო ურთიერთობა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს, რომლებიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შესაბამისად თანდათანობით ჩამოყალიბდა.

კრედიტი ისევე როგორც ფინანსები არა მხოლოდ ეკონომიკური არამედ ისტორიული კატეგორიაცაა. შესაბამისად საფინანსო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად კრედიტის ერთი ფორმა კარგავდა თავის მნიშვნელობას, მეორე კი წარმოიქმნებოდა. ასე მაგალითად სიტყვა კრედიტი ნდობას ნიშნავს. ამგვარად აქ საზღვარს გასმულია ის, რომ თავიდან, საკრედიტო ურთიერთობა ძირითადად ნდობის პრინციპზე იყო აგებული. კერძოდ, სახელმწიფო მეთაური (მონარქი), კერძო პირისაგან უზრუნველყოფის დამადასტურებელი საბუთის გარეშე იღებდა სესხს. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია - ურთიერთობა - ნდობის პრინციპზე იყო აგებული.

თანამდროვე პერიოდში კი მოქმედებს კრედიტის უზრუნველყოფის პრინციპი, რო-

მელიც ითვალისწინებს სესხის გაცემას ან გირაოთი ან საფინანსო გარანტიით. აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს კრედიტორის ქონებრივი ინტერესის დაცვას. საერთაშორისო და საერთო სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა საკრედიტო ურთიერთობასთან დაკავშირებით ასევე ითვალისწინებს: კრედიტის დაბრუნების, ვადიანობის, ფასიანობის, მიზნობრიობისა და დიფერენციული ხასიათის პრინციპებს.

3.4 კრედიტის ფორმები, საკრედიტო სისტემა

არჩევენ კრედიტის ორ ფორმას: კომერციულსა და საბანკოს.¹⁹

კომერციული კრედიტი გამოიყენება საქონლისა და მომსახურების განვადებით გაყიდვის შემთხვევაში, როდესაც ერთი ფუნქციური ფორმა მეორეს საქონელს განვადებით მიყიდის. კრედიტის ამ ფორმის გამოყენების ერთ-ერთ მთავარ იარაღს წარმოადგენს თამასუქი, რომლის განაღდება შეიძლება მოხდეს, როგორც პირდაპირ ისე კომერციული ბანკის მეშვეობით.

კომერციული კრედიტის ობიექტს, როგორც წესი, წარმოადგენს საქონლური კაპიტალი, რომელიც სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვას ემსახურება. საქონლის მოძრაობა ხდება წარმოების სფეროდან მოხმარების სფეროში.

კომერციული კრედიტის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ აქ სასესხო და სამრეწველო კაპიტალის შერწყმა ხდება. მისი მთავარი მიზანია დააჩქაროს საქონლის რეალიზაციის პროცესი. **კომერციული კრედიტის პროცენტი შედის საქონლის სარეალიზაციო ფასში და მისი საერთო ჯამი საბანკო კრედიტთან შედარებით დაბალია.**

იმის გათვალისწინებით, რომ კომერციული კრედიტი საქონლის მიწოდებასთანაა დაკავშირებული, ის ერთის მხრივ დამოკიდებულია საქონლის მიმწოდებლის ფინანსური შესაძლებლობებზე და მეორეს მხრივ მყიდველის (მომხმარებლის) ფაქტიურ მსყიდველუნარიანობაზე დროულად დაფაროს დავალიანება. შესაბამისად **კომერციული კრედიტი მიმწოდებლისა და მომხმარებლის ფინანსური შესაძლებლობითაა შეზღუდული.**

თავიდან ფულადი სესხის მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის პირდაპირი კავშირი მყარდებოდა. სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად შეიქმნა საფინანსო საშუაშაველო ინსტიტუტი ბანკი. რომელმაც დაიწყო ფულის გასესხება. ამგვარად წარმოიშვა საბანკო კრედიტი.

საბანკო კრედიტი არის კრედიტის ფორმა, რომელიც ბანკის შუამავლობით ხორციელდება. კრედიტის ამ ფორმის გამოყენებით იხსნება ის შეზღუდვები რაც კომერციულ კრედიტს ახასიათებს. არც მეწარმეთა ფინანსური შესაძლებლობები და არც წარმოების პროცესით განპირობებული კავშირები არ წარმოადგენს, სასესხო კაპიტალის მიმწოდებლებსა და მსესხებლებს შორის კრედიტული გარიგების და შესაბამისად მისი მოცულობის განმსაზღვრელ ფაქტორს.

ბანკირების გამოჩენით შეიქმნა მეწარმეთა ახალი ტიპი. ბანკებში ხდება ეკონომიკაში არსებული თავისუფალი ფულადი კაპიტალის ანაბრებზე (დეპოზიტზე) აკუმულირება, რომელიც შემდეგ გარდაქმნება სასესხო კაპიტალად. შესაბამისად ეკონომიკას ფული მიეწოდება.

მაინც როგორ ზემოქმედებს საბანკო კრედიტი ფულის მიწოდებაზე? განვიხილოთ წარმოსახვითი ეკონომიკა. დაუშვათ, რომ ქვეყანაში ნაღდი ფულის მთლიანი რაოდენობა უდრის 100 დოლ. ამიტომ ეკონომიკაში ფულის მიწოდებაც 100 დოლარის ტოლი იქნება.

ახლა დაუშვათ, რომ ეს ფული ერთმა სუბიექტმა ბანკში შეიტანა. ამასთან ეს ბანკი დეპოზიტზე იღებს ფულს, მაგრამ სესხს არ გასცემს. ბანკის მიზანია უზრუნველყოს ფულის უსაფრთხო შენახვა. დეპოზიტებს, რომელსაც ბანკი იღებს მაგრამ სესხად არ გასცემს **რეზერვები ეწოდება**. ჩვენს შემთხვევაში, წარმოსახვით ეკონომიკაში, რეზერვების ნორმა 100 პროცენტს უდრის. ბანკის პოზიცია შეიძლება გამოვსახოთ T ანგარიშით.

T ანგარიშის მარცხენა მხარეს ბანკის აქტივია, რომელსაც ბანკი საცავში ინახავს, ხოლო მარჯვენა მხარეს ბანკის ვალდებულება დეპოზიტარის მიმართ. ამ შემთხვევაში ბანკის აქტივი და ვალდებულება ერთმანეთის ტოლია.

როდესაც დეპოზიტარმა შეიტანა ფული ბანკში, რომელიც მანამდე ეკონომიკაში საზოგადოების ხელში იყო, მას ხელზე ნაღდი ფული აღარ დარჩა.

ამგვარად ბანკის თითოეული დეპოზიტი, ხელზე ნაღდი ფულის რაოდენობას ამცირებს და ამავე სიდიდით ზრდის ფულის რაოდენობას მოთხოვნამდე ანგარიშზე. ჩვენს შემთხვევაში ეკონომიკისათვის ფულის მიწოდება არც გაზრდილა და არც შემცირებულა.

ბანკის ანგარიში

აქტივები	ვალდებულებები
რეზერვები 100,00 დოლ	დეპოზიტები 100,00 დოლ.

ბანკის მიერ ფულის შექმნა შესაძლებელია ნაწილობრივი რეზერვების გამოყენებით. რაც წარმოსახვით ეკონომიკაში შეიძლება შემდეგნაირად განხორციელდეს. ბანკმა გადახედა რა თავის პოლიტიკას, 100 პროცენტის რეზერვის ნორმასთან დაკავშირებით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფულის ნაწილი სესხად გასცეს. დაუშვათ, რომ ბანკმა გადაწყვიტა შეინახოს რეზერვის სახით დეპოზიტის 10 პროცენტი, დანარჩენი გასცეს სესხად. ახლა კიდევ ერთხელ თუ შევხედავთ ბანკის ანგარიშს, ის შემდეგ სახეს მიიღებს:

ბანკის ანგარიში

აქტივი	ვალდებულება
რეზერვები 10,00 დოლ. სესხი 90,00 დოლ.	დეპოზიტები 100,00 დოლ.

ასეთ პირობებში თუ განვიხილავთ ეკონომიკაში ფულის მიწოდების მდგომარეობას, აღმოჩნდება, რომ ფულის მიწოდება ახლა 190.00 დოლ-ის ტოლია, რადგანაც 90.00 დოლ. ბანკმა სესხის სახით მიაწოდა ეკონომიკას. ამგვარად ბანკმა ფული შექმნა და ჩვენს შემთხვევაში წარმოსახვით ეკონომიკას მიაწოდა დამატებით 90.00 დოლ.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკისათვის ფულის მიწოდებით ბანკი არანაირ სიმდიდრეს არ ქმნის. ბანკში საკუთარი აქტივის შექმნით, მსესხებლების მხრიდან შესაბამისი ვალდებულებებიც წარმოიქმნება. ოღონდ ამ პროცესში ეკონომიკა უფრო ლიკვიდური ხდება, რამდენადაც მას მეტი გაცვლის საშუალება გააჩნია.

ფულის იმ რაოდენობას, რომელიც საბანკო სისტემა სარეზერვო ფულის თითოეული ერთეულიდან ქმნის **ფულის მულტიპლიკატორი ეწოდება**.

ფულის მულტიპლიკატორი რეზერვის ნორმის შებრუნებული სიდიდეა. თუ კი საბანკო სისტემაში რეზერვის ნორმა 10 %-ია, მაშინ ფულის მულტიპლიკატორი 10-ის ტოლია. ფულის მულტიპლიკატორის გამოსათვლელად 100 იყოფა საბანკო რეზერვის ნორმაზე. რაც უფო მეტია რეზერვის ნორმა, მით უფო ნაკლები რაოდენობის ფულის გასესხება შეუძლია ბანკს რეზერვებიდან და მით უფო ნაკლებია ფულის მულტიპლიკატორი. როდესაც ბანკს გააჩნიაა 100 პროცენტის რეზერვის სისტემა აქ რეზერვის ნორმა ერთის ტოლია და ფულის მულტიპლიკატორიც ერთს უდრის. ასეთ შემთხვევაში ბანკი ფულს არ ქმნის.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ის, რომ საზოგადოებაში არსებული თავისუფალი ფულადი საშუალებების კონცენტრაცია ხდება მცირერიცხოვან ბანკებში. რაც მათ საშუალებას აძლევს გადამწყვეტი გავლენა მოახდინონ, როგორც მთელ კვლავწარმოებით პროცესზე, ისე ცალკეულ საწარმოებზე.

საკრედიტო სისტემა კრედიტის ფორმების მიხედვით შეიძლება განვიხილოთ როგორც ორი ქვესისტემისაგან კერძოდ, კომერციული კრედიტისა და საბანკო კრედიტისაგან შემდგარი სისტემა.

3.5 კრედიტის სტრუქტურა

სიტყვა **სტრუქტურა** ლათინურიდანაა წარმოშობილი და აგებულია, აღნაგობას ნიშნავს. კრედიტის სტრუქტურა მის შინაგან ფორმას, შემადგენლობასა და აგებულებას ასახავს. კრედიტის სტრუქტურული ერთეულები, მისი ცალკეული ელემენტები საკრედიტო ურთიერთობაში მოქმედებენ და კრედიტის სახეებისა და ფორმის მიუხედავად მათი მონაწილეობა საკრედიტო სფეროს ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საკრედიტო სფეროს ეფექტური ფუნქციონირება მოითხოვს კრედიტი განხილული იქნეს, როგორც მთლიანობაში ისე მისი შემადგენლი ელემენტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე კრედიტის ძირითად ელემენტებს მიეკუთვნება:

- ა) ეკონომიკის სუბიექტი რომელსაც ჭარბი შემოსავლი, მისი დაზოგვის სურვილი ან დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები გააჩნია;
- ბ) ეკონომიკის სუბიექტი რომელსაც სურს სესხის მიღება ინვესტიციების მიზნით;
- გ) სასესხო ფულადი კაპიტალი;
- დ) სარგებლის განაკვეთი;
- ე) საპროცენტო შემოსავალი;
- ზ) სესხების ვადა;
- თ) ხელშეკრულება, რომელიც იღება კრედიტორსა და მსესხებელს შორის.

3.6 საკრედიტო ოპერაციები

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საკრედიტო ოპერაციებს უწოდებენ ისეთ საბანკო ოპერაციებს როგორცაა **პასიური ოპერაციები და აქტიური ოპერაციები.**

კლიენტი, რომელსაც ანაბრი აქვს ბანკში, არსებითად ბანკის კრედიტორია და უფლება აქვს, ანაბრის დაბრუნებაზე გარიგების პირობების შესაბამისად მიიღოს განსაზღვრული პროცენტი. **თუმცა როგორც წესი კლიენტების სახსრების მობილიზება ბანკების პასიურ ოპერაციებს მიეკუთვნება, ხოლო ფულადი საშუალებების სესხი ბანკების აქტიურ ოპერაციებს წარმოადგენს.**

პასიური ოპერაციების შედეგად ბანკები იღებენ დამატებით ლიკვიდურ სახსრებს აქტიური ოპერაციების დასაფინანსებლად. პასიური ოპერაციები დეპოზიტური და შემნახველი ოპერაციების ფარგლებში ძირითადად შედგება სხვადასხვა სახის მოზიდული ანაბრებისაგან. ამას გარდა მას მიეკუთვნება: საბანკო სესხების მიღება; სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების ემისია; საკუთრი აქცეპტებისა (ხელწერით დამოწმებულ განცხადებას თამასუქის მიღებაზე აქცეპტი ეწოდება) და სოლო (საკუთარი) თამასუქის წარდგენა. ამ ოპერაციების შედეგები ბანკის ბალანსის პასივში აისახება.

საბაზრო ეკონომიკის თეორია და პრაქტიკა ფორმალურად ანსხვავებს საბანკო აქტიური ოპერაციების ორ სახეს: ერთი არის ბანკის მიერ გაცემული ფულადი სესხი, ხოლო მეორე კრედიტის მიცემის გზით, კლიენტის ვალდებულებების გარანტირებული გადახდა. ასეთ დაყოფას განსაზღვრული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ფულადი სესხი ეს ისეთი საკრედიტო ოპერაციაა, რომლის დროსაც ბანკი მსესხებელს სთავაზობს თანხის გარკვეულ რაოდენობას განსაზღვრული დროით და პროცენტის გადახდით. მსგავსი საბანკო ოპერაციები განისაზღვრება, როგორც სასესხო ოპერაციები, რადგან სესხი ფულის ფორმით ბრუნდება.

გარანტულ ოპერაციებში იგულისხმება ბანკის ოპერაციების ისეთი სახეები, რომლის დროსაც ბანკი არ თავაზობს მსესხებელს ფულად სესხს, არამედ პირდება გადასახდელის გადახდას იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ვერ შეძლებს თავისი ვალდებულების განაღდებას. ასეთ ოპერაციებს **მიეკუთვნება აქცეპტები და ავალური კრედიტი.**

აქცეპტური ოპერაციების დროს ბანკი, კლიენტისაგან სახსრების წინასწარ მიღების შემდეგ იხდის მის ვალდებულებებს. **ავალური ოპერაციისას** ბანკი მხოლოდ მევალის ბანკროტირების შემთხვევაში ახორციელებს გადახდებს²⁰.

გარდა აღნიშნულისა საკრედიტო ოპერაციების დაყოფა ასევე შეიძლება:

1. **ვადის მიხედვით:** მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი.
2. **უზრუნველყოფის სახეების მიხედვით:** არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი.
3. **კრედიტის სახეების მიხედვით**— საბანკო კრედიტი, სახელმწიფო კრედიტი, კომერციული კრედიტი, სადაზღვევო კომპანიების კრედიტი, კერძო პირების კრედიტი, კონსორციული კრედიტი

4. მსესხებლის სახეების მიხედვით, სასოფლოს-სამეურნეო კრედიტი, სამრეწველო კრედიტი, კომუნალური კრედიტი, პერსონალური კრედიტი.

5. გამოყენების მიხედვით სამომხმარებლო კრედიტი, სამრეწველო კრედიტი, ინვესტიციური კრედიტი, იმპორტული კრედიტი, ექსპორტული კრედიტი და ა.შ.

6. სიდიდის მიხედვით – მცირე, საშუალო და მსხვილი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კრედიტული ოპერაციების ასეთი კლასიფიკაცია არ შეიძლება ამომწურავად ჩაითვალოს, რამდენადაც კრედიტის მიზნობრივი გამოყენების გათვალისწინებით იგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

3.8 კრედიტის (ბაზარი)

საქონლის ყიდვა-გაყიდვით დაინტერესებულ ადამიანთა ურთიერთობა ქმნის ბაზარს. ბაზარი არის კონკრეტული საქონლისა და მომსახურებების მყიდველთა და გამყიდველთა ჯგუფი. არსებობს ბაზრის შემდეგნაირი განმარტებაც: ბაზარი არის ადგილი სადაც მყიდველები და გამყიდველები იკრიბებიან. **შესაბამისად კრედიტის ბაზარი იქმნება სასესხო კაპიტალის ყიდვა-გაყიდვით დაინტერესებულ ადამიანთა ურთიერთობით.** კრედიტის ბაზარი სასესხო კაპიტალის ბაზრის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

ეკონომიკის ის სუბიექტები, რომელთაც ჭარბი შემოსავლი და მათი დაზოგვის სურვილი ან დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებები გააჩნიათ, კრედიტის ბაზრის პოტენციური მიმწოდებლები არიან. ხოლო ვისაც სესხის აღების სურვილი აქვს ისინი პოტენციური მომხმარებლებია.

ამგვარად კრედიტის ბაზარზე გამოდის სასესხო კაპიტალის მიმწოდებელი და მომხმარებელი. ერთ-ერთი ასეთი ადგილი სადაც სასესხო კაპიტალის მიმწოდებელი და მომხმარებელი მიდის ბანკია. ეკონომიკურ სუბიექტებს თავიანთი დანაზოგი ბანკში შეაქვთ. ამასთან ვისაც სურვილი აქვს მიიღოს სესხი ისიც ბანკში მიდის.

სასესხო კაპიტალის ბაზარს ყველა სხვა ბაზრის მსგავსად მოთხოვნა მიწოდება მართავს. შესაბამისად კრედიტის ბაზრის პრინციპები, რომ გავიგოთ უწინარეს ყოვლისა განვიხილოთ კრედიტის მიწოდებისა და მოთხოვნის წყაროები.

კრედიტის მიმწოდებლები ეკონომიკის ის სუბიექტებია ვისაც გააჩნიათ ჭარბი შემოსავალი ან დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები და მათი გასესხების სურვილი. გასესხების ერთ-ერთი საშუალებას წარმოადგენს ბანკში დანაზოგის განთავსება. გასესხების ერთ-ერთი საშუალებაა ასევე ბანკის დეპოზიტზე არსებული ეკონომიკური სუბიექტების დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებები. თავის მხრივ ბანკი, მეანაბრის დეპოზიტს, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, იყენებს სესხებისა გასაცემად. ორივე შემთხვევაში კრედიტის მიწოდების წყარო ეკონომიკური სუბიექტების დანაზოგი ან დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებია.

კრედიტზე მოთხოვნა მომდინარეობს ეკონომიკის იმ სუბიექტიდან ვისაც ფულის სესხების სურვილი აქვს ინვესტირების მიზნით. კერძოდ იქნება ეს სახლის ყიდვა, ქარხნების თუ მაგისტრალური გზების მშენებლობა. აქედან გამომდინარე მოთხოვნის წყარო ინვესტირებაა.

სასესხო კაპიტალი, ყველა სხვა საქონლისა და მომსახურების მსგავსად, ბაზარზე გარკვეულ ფასში იყიდება.

სასესხო კაპიტალის მომხმარებლისათვის - კრედიტის ფასი პროცენტია, რომელს სიდიდეს განსაზღვრავს, როგორც სარგებლის განაკვეთი ისე საწყისი სასესხო კაპიტალი. პროცენტი თავის მხრივ სასესხო კაპიტალის მიწოდებლის, კრედიტორის, საპროცენტო შემოსავალს წარმოადგენს, ხოლო სასესხო კაპიტალის მომხმარებლის საპროცენტო ხარჯია.

მოთხოვნის კანონის მიხედვით სარგებლის განაკვეთის ზრდა იწვევს კრედიტის ფასის ზრდას, შედეგად სესხზე მოთხოვნა მცირდება. ამასთან **მიწოდების კანონის** მიხედვით რაც უფრო მაღალია სარგებლის განაკვეთი მით უფრო იზრდება კრედიტის მიწოდება. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სესხზე მოთხოვნის მრუდს კლებადი მიმართულება აქვს, ხოლო მიწოდების მრუდს ზრდადი.

კრედიტის ბაზარზე შესაბამისად მოქმედებს მოთხოვნის კანონი და მიწოდების კანონი. ბაზარზე უხილავი ძალების ზემოქმედებით სარგებლის განაკვეთი წონასწორულ მდგომარეობისაკენ მიისწრაფვის. ამგვარად როგორც კი გავაცნობიერებთ იმას, რომ **დაზოგვა** სასესხო კაპიტალის (კრედიტის) მიწოდებას ასახავს, ხოლო **ინვესტირება** სასესხო კაპიტალის მოთხოვნას ეს ნათლად გვიჩვენებთ იმას თუ როგორ ახდენს უხილავი ხელი დანაზოგებისა და ინვესტიციების კოორდინირებას.

კრედიტის ბაზრის ანალიზის გამოყენებით, შეგვიძლია შევისწავლოთ სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკაში არსებულ დანაზოგებსა და ინვესტიციებზე ახდენს ზემოქმედებას. რისთვისაც ჯერ საჭიროა განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხდება დანაზოგის მიწოდების მრუდის ან ინვესტირების მოთხოვნის მრუდის გადაადგილება; შემდეგ უნდა განისაზღვროს გადაადგილების მიმართულება, ბოლოს კი უნდა გამოვიყენოთ მოთხოვნისა და მიწოდების დიაგრამა იმ მიზნით, რომ დავინახოთ, როგორ იცვლება წონასწორობა.

3.9 საპროცენტო შემოსავლის არსი და მიზანი

ფულადი კაპიტალის (დანაზოგის) მფლობელი შემოსავლის მიღების მიზნით ახდენს ინვესტირებას (დაბანდებას). ფულადი კაპიტალის (დანაზოგის) დაბანდება შესაძლებელია:

1. სესხად გაცემის გზით, ან ბანკში შემნახველ ანგარიშზე (დეპოზიტზე) მოთავსებით;
2. საქონლის, ძვირფასი ლითონების, უცხოური ვალუტის, ფასიანი ქაღალდების და სხვა ფასეულობათა შექენით შემდგომი მათი გაყიდვის მიზნით;
3. გარკვეული უფლებების ან საკუთრების შექენით, შემდგომში მათგან შემოსავლის მიღების ან მათი გაყიდვის მიზნით;

მოსალოდნელი შემოსავლის ოდენობა სამ ფაქტორზეა დამოკიდებული: **ფულადი კაპიტალის სიდიდე, დაბანდება ვადა და საპროცენტო განაკვეთი.**

ნებისმიერი ტიპის ინვესტიცია ემსახურება ერთი და იგივე მიზანს – მოგების მიღებას და წარმოადგენს ბიზნესის წარმოების ნაირსახეობას. ერთი ტიპის ინვესტიცია სხვებთან მიმართებაში კაპიტალის დაბანდებას ალტერნატიულ შესაძლებლო-

ბას წარმოადგენს. უფრო მაღალი მოგების მომტანი ინვესტიცია უფრო აქტიურია და, რომ შეიძლებოდეს მისი ზუსტი წინასწარი შეფასება, მეწარმეობა არ იქნებოდა რთული და სარისკო საქმიანობა.

სინამდვილეში ნებისმიერი ინვესტირება გარკვეულ ალბათობას მოიცავს, რადგანაც მოგების მიღება გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. მაღალი მოგება მართალია მიმზიდველია, მაგრამ როგორც წესი რისკიც ყოველთვის მაღალია. შემდგარი ფულადი კაპიტალის ინვესტირების ეფექტურობის ერთ ერთი მაჩვენებელი საპროცენტო განაკვეთია. იგი განსაზღვრავს მისაღებ საპროცენტო შემოსავლს, ე.ი. იმას თუ რა თანხით გაიზრდება საწყისი კაპიტალი. აქედან გამომდინარე ადგილი აქვს თანაფარდობას:

$$r = i / P \cdot n \quad (1)$$

სადაც :

r- ათწილადებში გამოსატული ნომინალური საპროცენტო განაკვეთია;

P- საწყისი კაპიტალია;

n- ინვესტიციის ვადა, რომელიც ხშირად 1 წელიწადს უდრის;

i - მისაღები საპროცენტო შემოსავლის სიდიდე, რომელსაც ხშირად უწოდებენ საპროცენტო ფულს, ან საპროცენტო შემოსავალს ან უბრალოდ პროცენტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის რაც ინვესტორისათვის შემოსავალია, ემიტენტისათვის (გადამხდელი-სათვის) არის გადასახდელი, ხარჯი.

პირველი ფორმულის მიხედვით შეიძლება საპროცენტო შემოსავლის ფორმულის გამოყვანა:

$$i = P \cdot r \cdot n \quad (2)$$

საპროცენტო შემოსავალი და საწყისი ინვესტირებული ფულადი კაპიტალი ერთად ქმნის ნაზარდ კაპიტალს (S) და ის ინვესტორის შემოსულობას, ხოლო მსესხებლისათვის (ემიტენტისათვის) გადასახდელს წარმოადგენს. ნაზარდი კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ფორმულით.

$$S = P + i \quad (3)$$

აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ რაც ინვესტორისათვის შემოსავალია, ის გადამხდელისათვის (მსესხებლისათვის ან ემიტენტისათვის) არის ხარჯი. ამასთან ყველა შემოსავალი შემოსულობაა, ხოლო ყველა შემოსულობა შემოსავალს არ წარმოადგენს. ასე მაგალითად საპროცენტო შემოსავალი ინვესტორის შემოსავალია, ხოლო გასესხებული საწყისი ფულადი კაპიტალი არ შეიძლება იყოს ინვესტორის შემოსავალი, რადგანაც ის ვალდებულებების დაფარვასთანაა დაკავშირებული ისევე როგორც ყველა ხარჯი გადასახდელია, ხოლო ყველა გადასახდელი შეიძლება არ იყოს ხარჯი. კერძოდ პროცენტი მსესხებლის (ემიტენტის) ხარჯია, ხოლო ნასესხები ფულადი თანხა მისი გადასახდელია და არა ხარჯი. რამდენადაც კრედიტი ვალდებულებების დაფარვიდან გამომდინარეობს. ნასესხები თანხა გარკვეული ვადის შემდეგ მის მფლობელს (ინვესტორს) უბრუნდება.

ტერმინები და ძირითადი ცნებები:

- კრედიტი
- აქცეპტი
- საპროცენტო განაკვეთი
- პროცენტი
- ნაზარდი კაპიტალი

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

- ჩამოთვალეთ კრედიტის დამახასიათებელი ნიშნები და განსაზღვრეთ კრედიტის ცნება.
- განსაზღვრეთ კრედიტის ფუნქციები და ახსენით კრედიტის არსი.
- დაასახელეთ კრედიტის პრინციპები
- დაახასიათეთ კრედიტის ფორმები
- ახსენით წარმოსახვით ეკონომიკაში როგორ აკეთებს ბანკი ფულს.
- განსაზღვრეთ რას ნიშნავს ფულის მულტიპლიკატორი და რა დამოკიდებულება არსებობს ფულის მულტიპლიკატორსა და რეზერვის ნორმას შორის.
- დაახასიათეთ საკრედიტო ოპერაციები
- რას წარმოადგენს საკრედიტო სისტემა და კრედიტის სტრუქტურა.
- დაახასიათეთ კრედიტის ბაზარი,
- ვინ არის კრედიტის ბაზრის პოტენციური მიმწოდებელი და პოტენციური მომხმარებელი?
- ახსენით როგორ მოქმედებს კრედიტის ბაზარზე მოთხოვნის კანონი და მიწოდების კანონი.
- ჩამოთვალეთ ფულადი კაპიტალის დანაზოვის შესაძლებლობები.
- ჩამოთვალეთ ინვესტირებით მიღებული შემოსავალზე მოქმედი ფატორები.
- როგორ განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი, საპროცენტო შემოსავალი და ნაზარდი კაპიტალი?
- რა განსხვავება არსებობს: კრედიტორის შემოსულობასა და შემოსავალს შორის, მსესხებლის გადასახდელსა და ხარჯს შორის?

თემა 4. დაზღვევის სფერო

მეოთხე თავის გაცნობის შემდეგ გვეცოდინება ის თუ დაზღვევა რამდენი ფორმითაა შესაძლებელი; რას ნიშნავს ზოგადად დაზღვევა და რაში მდგომარეობს დაზღვევის ძირითადი არსი, მისი მთავარი შინაარსი; რა პრინციპებით მოქმედებს დაზღვევა და რას წარმოადგენს: სადაზღვევო სისტემა, კლასიფიკაცია და სტრუქტურა; ვინ არიან აკტუარები, რა ფუნქციას ასრულებენ სადაზღვევო კომპანიებში და როგორ ხდება აკტუარული გათვლები; გავეცნობით დაზღვევის ფორმებს, მათ შორის არსებულ განსხვავებებს და სადაზღვევო ბაზარს.

კაცობრიობის არსებობას ყოველთვის თან ახლდა მოულოდნელობით გამოწვეული მატერიალური დანაკარგები, რაც გარკვეულ ეკონომიკურ ზარალს იწვევდა. შესაბამისად ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ მოულოდნელობის ბუნება შეესწავლათ რისკების მართვის, მისი აცილების ან მოქმედების ხარისხის შეემცირების მიზნით. აღნიშნული რა თქმა უნდა მეცნიერების და ტექნიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

ფართო გაგებით დაზღვევა საზოგადოების ეკონომიკური აუცილებლობითაა განპირობებული. კერძოდ გაუთვალისწინებელი შემთხვევის დადგომისას, ქონდეთ ეკონომიკის სტაბილური ზრდის აუცილებელი ელემენტი - სარეზერვო ფონდი, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ სადაზღვევო ფონდს.

დაზღვევა სამი ფორმითაა შესაძლებელი:

- თვითდაზღვევით;
- სახელმწიფო სარეზერვო ფონდის ფორმით;
- სადაზღვევო კომპანიებში ფიზიკური და იურიდიული პირების შენატანებით (**ეს არის საკუთრივ სადაზღვევი ფორმა**).

თვითდაზღვევის შემთხვევაში დამზღვევი სადაზღვევო რისკს თავის თავზე იღებს. თვითდაზღვევა ნიშნავს ყოველი ეკონომიკური სუბიექტის მიერ ფინანსური და მატერიალური რესურსების დეცენტრალიზებულ დაგროვებას. ამასთან თვითდაზღვევა, დიდი რისკების შემთხვევაში (კერძოდ, როცა ზარალი მნიშვნელოვნად აჭარბებს თვითდაზღვევის ფონდის მოცულობას) არეფექტურია. შესაბამისად აღნიშნული ფორმით შეუძლებელია ყველა გაუთვალისწინებელი პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.

სახელმწიფო სარეზერვო ფონდები იქმნება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები და გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ვალდებულებები. აღნიშნული სახსრები გამოიყოფა წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობებისა და პირობების შესაბამისად და ჩვენს ქვეყანაში ის „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირდება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობა შეიძინა დაზღვევის ფორმამ, რომელიც სადაზღვევო კომპანიებში ფიზიკური და იურიდიული პირების შენატანებით სადაზღვევო კომპანიების მიერ ხორციელდება და რაც საკუთრივ სადაზღვევი ფორმას წარმოადგენს.

4.1 დაზღვევის დამახასიათებელი ნიშნები დაზღვევის ცნება

დაზღვევა წარმოადგენს სახელმწიფო საფინანსო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილს. მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- დაზღვევის მატერიალურ საფუძველს ფული წარმოადგენს.
- დაზღვევა ითვალისწინებს, ცალკეული იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიით), სარეზერვო ფულადი რესურსების ფონდების ფორმირებასა და გამოყენებას, ამ პირთა ქონებრივი და პირადი ინტერესების დასაცავად. ამგვარად სადაზღვევო ურთიერთობას საფონდო ხასითი გააჩნია.
- ურთიერთობები დაზღვევის სფეროში, სადაზღვევო ორგანიზაციებსა და იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის, აგრეთვე თვით სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის, რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით. ამგვარად დაზღვევა ნორმატიულ სამართლებრივ აქტზეა მიბმული.
- იმის გათვალისწინებით, რომ დაზღვევა სახელმწიფო კანონით რეგულირდება დაზღვევის სფეროში მონაწილეობს ორი ან მეტი არათანაბარუფლებიანი სუბიექტი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა დაზღვევას გააჩნია მთელი რიგი თავისებურებანი;

- სადაზღვევო სფეროში ფულადი ურთიერთობა უკავშირდება ისეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესაძლებლობას, რომელსაც ზარალი მოაქვს;
- დაზღვევა ითვალისწინებს ზარალის განაწილებას დაზღვევის მონაწილეთა შორის;
- დაზღვევის დროს ზარალის გადანაწილება ხდება დროში და ტერიტორიებს შორის;
- დაზღვევა სადაზღვევო ფონდში შენატანი სახსრების დაბრუნებით ხასიათდება.

ჩამოთვლილი დაზღვევის დამახასიათებელი ნიშნების განზოგადოება კი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ დაზღვევის ცნება, მისი ზოგადი მნიშვნელობა. კერძოდ **დაზღვევა არის სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ფულადი ურთიერთობა, რომელიც ითვალისწინებს სარეზერვო ფულადი ფონდების ფორმირებასა და გამოყენებას იმ მიზნით, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უზრუნველყოს ზარალის ანაზღაურება.** აღნიშნული განმარტება დაზღვევის მნიშვნელობას ზოგადად ახასიათებს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დაზღვევის არსი მისი შინაგანი შინაარსი იქნეს ახსნილი.

4.2 დაზღვევის უწყვეტი, დაზღვევის არსი

სადაზღვევო ურთიერთობა ითვალისწინებს, ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი და პირადი ინტერესების დაცვის მიზნით, სარეზერვო ფულადი ფონდების ფორმირებასა და გამოყენებას. აღნიშნული ფონდი იქმნება ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე. აღნიშნულიდან გამომდინარე დაზღვევის სფერო ისევე როგორც საფინანსო სისტემის სხვა რგოლები **ფონდწარმოქმნის ფუნქციას ასრულებს.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ფულადი რესურსების მოძრაობით შესაძლებელი ხდება სადაზღვევო შენატანებისა და მიზნობრივი ხარჯვის კონტროლის განხორციელება. ამგვარად აღნიშნული ფუნქციით დაზღვევა **მაკონტროლებელ ფუნქციასაც** ასრულებს.

დაზღვევის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ასევე **გამაფრთხილებელი ფუნქცია**, რომელიც ითვალისწინებს დაზღვევის ხელშეკრულების დროულ გაფორმებას და სადაზღვევო პრემიის (შესატანის) გადარიცხვას იმ ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის რისკის შემცირებასთან.

თუ კი დაზღვევის რისკის ფუნქცია დაკავშირებულია იმასთან, რომ დახმარება გაეწიოს უკვე დაზღვევის შემთხვევით დაზარალებულს, გამაფრთხილებელი ფუნქცია მიმართულია იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომელიც დაზღვევის შემთხვევის დადგომის ალბათობას ამცირებს. მაგალითად: ასეთია ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა.

სადაზღვევო ურთიერთობის პროცესში წარმოებს დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის თანხის დაგროვება. ამის მაგალითია საპენსიო დაზღვევა, რომელიც საშუალებას იძლევა მიიღოს დამატება ძირითად პენსიაზე. შესაბამისად **დაზღვევა დამზოგავ ფუნქციას** ასრულებს

სადაზღვევო ორგანიზაციები, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე აღებული სადაზღვევო ვალდებულებების შესრულების მიზნით, ანხორციელებენ საკუთარი სადაზღვევო რეზერვების განთავსებასა და ინვესტირებას. **ამგვარად სადაზღვევო სისტემა ეკონომიკისათვის ფულის მიწოდებაში იღებს მონაწილეობას.**

იმის გათვალისწინებით, რომ სადაზღვევო პრემია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილია, რომლითაც სარეზერვო (სადაზღვევო) ფულადი რესურსების ფონდები იქმნება. შესაბამისად **დაზღვევის სფერო მშპ-ის განაწილება-გადანაწილების ერთ ერთ ინსტრუმენტსაც წარმოადგენს.**

დაზღვევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციას წარმოადგენს **ზარალის რისკის ხარისხის შემცირება**. სადაზღვევო რისკი უშუალოდ უკავშირდება დაზღვევის ძირითად დანიშნულებას აანაზღაუროს დაზარალებულის მატერიალური დანაკარგი. აღნიშნული სადაზღვევო სფეროს მთავარ მნიშვნელობას, მის არსს განსაზღვრავს.

ამგვარად დაზღვევის, არსი მდგომარეობს იმაში, რომ **დაზღვევა ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და ზარალის რისკის შემცირების ერთ-ერთ ინსტრუმენტს (მეთოდს) წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ქონებრივი და პირადი ინტერესების დაცვის საქმეში.**

4.3 დაზღვევის პრინციპები

დაზღვევა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს (მოქმედების წესს), რომელიც სადაზღვევო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა. როგორც აღინიშნა

დაზღვევა, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, წარმოადგენს რისკის ხარისხის შემცირების ძირითად ინსტრუმენტს. რისკის დაზღვევა კი უწინარეს ყოვლისა შემთხვევითობასა და გაურკვეველობას უკავშირდება. კერძოდ, სადაზღვევო შემთხვევის დრო და მისგან მიყენებული ზარალი, იურიდიული და ფიზიკური პირის ქმედებისაგან დამოუკიდებლად, შემთხვევით, უნდა ხდებოდეს. შესაბამისად **შემთხვევითობა** დაზღვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპს შეადგენს.

დაზღვევა ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი **ზარალის შეფასების პრინციპს**. აღსანიშნავია ის, რომ დაზღვევას რისკის, მხოლოდ ის სახეობა ექვემდებარება რომლის დროსაც არსებობს ზარალის შეფასების, მისი ოდენობისა და ალბათობის ხარისხის დადგენის შესაძლებლობა.

დაზღვევის ერთ-ერთ პრინციპს **რისკის შემცირება** წარმოადგენს. რისკი, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრით, გადადის მზღვეველ ორგანიზაციებზე. აღნიშნულის საფუძველზე ხდება ზარალის კომპენსაცია. იმ შემთხვევაშიც კი როდესაც არ არსებობს სადაზღვევო შემთხვევა, თავად დაზღვევის ხელშეკრულების არსებობის ფაქტიც კი დაცულობის განმსაზღვრელია. ნებისმიერ შემთხვევაში დაზღვევა რისკის შემცირებას ნიშნავს.

დაზღვევის მნიშვნელოვანი პრინციპს წარმოადგენს ასევე **დაზოგვის პრინციპი**. რაც სადაზღვევო თანხის დაგროვებასა და მის მიზნობრივ გამოყენებას უკავშირდება.

გარკვეულობის პრინციპი ნიშნავს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზარალის კომპენსაციის პირობები და გადახდის დრო და წესი, მხარეებს შორის, სადაზღვევო ხელშეკრულებით წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული:

მოხერხებულობის პრინციპი ითვალისწინებს იმას, რომ სადაზღვევო შესატანი (პრემია) შეტანილი უნდა იქნეს იმ დროს და იმ მეთოდით, რომელიც დამზღვევისათვის მოხერხებული იქნება. ამგვარად მზღვეველმა უნდა გააიოლოს სადაზღვევო პრემიის შეტანისა და სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალის გადახდის პროცედურა.

4.4 დაზღვევის კლასიფიკაცია

დაზღვევის სახეები მრავალფეროვანია და ერთმანეთისაგან სხვადასხვა მახასიათებლებით განსხვავდებიან. სადაზღვევო სისტემის სახელმწიფო რეგულირებისათვის აუცილებელია მათი კლასიფიკაცია (დაჯგუფება). შესაბამისად კანონით შემოღებული დაზღვევის სახეების დაჯგუფება ხდება **დაზღვევის ობიექტების მიხედვით;**

- პირადი დაზღვევა;
- ქონებრივი დაზღვევა;
- პასუხისმგებლობის დაზღვევა
- გადაზღვევა

პირადი დაზღვევის ობიექტია მოქალაქეთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა, საპენსიო უზრუნველყოფა და სხავ პირადი ინტერესების დაცვა.

ქონებრივი დაზღვევის ობიექტებად გამოდის ქონების ფლობასთან, სარგებლობასთან და განკარგვასთან დაკავშირებული დაზღვევა, აგრეთვე ფინანსური რისკების

დაზღვევა. აღნიშნული ითვალისწინებს მესაკუთრის გარანტირებული მოგების მიღების შესაძლებლობას. შემოდის ეკონომიკური რისკების დაზღვევის ისეთ ახალი სახეობები, როგორცაა: ახალი ტექნოლოგიების რისკების დაზღვევა, საბირჟო ოპერაციების და გარიგებების დაზღვევა; საგირავნო ოპერაციების დაზღვევა; სესხების დაზღვევა; ინფლაციის დაზღვევა; სავალუტო კურსის მერყეობით მიღებული ზარალის დაზღვევა; სამეწარმეო რისკის დაზღვევა და ა.შ.

პასუხისმგებლობის დაზღვევა - ე.ი მესამე (იურიდიული ან ფიზიკური) პირთათვის და მათი ქონებისათვის ზიანის მიყენების დაზღვევა; ა. შ.

- **გადაზღვევა** - დაზღვევის ისეთი სახეობაა, რომლის მიხედვითაც მზღვეველი, საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, დასაზღვევად იღებს რისკს. ამასთან პასუხისმგებლობის ნაწილს ის გადასცემს სხვა მზღვეველს (გადამზღვეველს), რომლის მიზანია: სადაზღვევო პორტფელის დაბალანსება; სადაზღვევო ოპერაციების ფინანსური მდგრადობის მიღწევა და რენტაბელობის ამაღლება. რისკების გადაზღვევით მიიღება არა მარტო სადაზღვევო პორტფელის დაცულობის მაღალი ხარისხი, კატასტროფების ან მსხვილი სადაზღვევო შემთხვევისაგან, არამედ ამ რისკებით გამოწვეული ზარალი ნაზღაურდება სადაზღვევო ოპერაციაში მონაწილე ყველა მზღვეველის მიერ.

დაზღვევის თეორიასა და პრაქტიკაში სხვა არანაკლები მნიშვნელოვანი ნიშნების მიხედვით ხდება დაზღვევის დაჯგუფება. კერძოდ, ასეთია მაგალითად დამზღვევთა მონაწილეობის ფორმის მიხედვით დაჯგუფების გათვალისწინებით. შესაბამისად განასხვავებენ **სავალდებულო და ნებაყოფლობით დაზღვევას**.

დაზღვევის სფეროს კლასიფიკაცია აუცილებელია, როგორც სადაზღვევო სფეროს ანგარიშგებისა და მიზნობრივი ანალიზის ჩასატარებლად ისე დაზღვევის ამა თუ იმ სახეობის შემოდების მიზანშეწონილობის განსაზღვრისათვის, რაც დაზღვევის სახელმწიფო რეგულირებისა და მისი შეფასების საშუალებას იძლევა.

4.5 სადაზღვევო სისტემა

სხვადასხვა კრიტერიუმებისა და ნიშნების მიხედვით დაჯგუფებული დაზღვევის სახეები ქმნის სადაზღვევო სისტემას. დღეს საქართველოში მოქმედებს დაზღვევის 16 სახეობა. სადაზღვევო სისტემაში დაზღვევის ყოველი სახე განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს და კონკრეტული ხასიათს ატარებს. საქართველოს სადაზღვევო სისტემის დაჯგუფება შეიძლება დაზღვევის ობიექტების მიხედვით:

- **პირადი დაზღვევა,**
- **ქონებრივ დაზღვევა,**
- **პასუხისმგებლობის დაზღვევა.**

სადაზღვევო სისტემა ასევე შეიძლება **ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევის** ფორმის მიხედვით იქნეს დაჯგუფებული.

4.6 დაზღვევის სტრუქტურა

დაზღვევა რთული ეკონომიკური კატეგორიაა. დაზღვევის სტრუქტურა, მის შინაგანი ფორმასა და აგებულებას ასახავს. დაზღვევის ეფექტური მართვა უწინარეს ყოვლისა მოითხოვს დაზღვევა განხილული იქნეს, როგორც მთლიანობაში ისე მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტების მიხედვით.

დაზღვევის ძირითად ელემენტებს მიეკუთვნება:

ა) დაზღვევის ობიექტი, ბ) მზღვეველი, გ) დამზღვევი, დ) დაზღვეული, ე) მოსარგებლე, ვ) დაზღვევის აგენტი, ზ) სადაზღვეო ბროკერი, თ) სადაზღვეო პოლისი, ი) სადაზღვეო შემთხვევა, კ) სადაზღვეო ზარალი, ლ) სადაზღვეო ანაზღაურება, მ) სადაზღვეო ტარიფი (შესატანი), ნ) სადაზღვეო თანხა, ო) გადაზღვევა.

განვიხილოთ დაზღვევის სტრუქტურაში შემავალი ძირითადი ელემენტები:

- ა) **დაზღვევის ობიექტი** – დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმერი ქონებრივი ან პირადი - არაქონებრივი ინტერესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ქვეყნის კანონმდებლობას. მათ შორისაა:
- დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველ-ყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა).
 - დაზღვევა, დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონების სარგებლობასთან (ქონებრივი დაზღვევა).
 - დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა).
- ბ) **მზღვეველი** – შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი. იგი შექმნილია სადაზღვეო საქმიანობის განხორციელების მიზნით. კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების უფლება - ლიცენზია.
- გ) **დამზღვევი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან.
- დ) **დაზღვეული** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- ე) **მოსარგებლე** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად იღებს სადაზღვეო ანაზღაურებას.
- ვ) **დაზღვევის აგენტი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

- ზ) **სადაზღვევო ბროკერი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ლიცენზიის შესაბამისად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუალო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას.
- ტ) **სადაზღვევო რისკი** – მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობას და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამო ხდება დაზღვევა.
- ი) **სადაზღვევო შემთხვევა** – მოვლენა, რომლის დადგომისას სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას.
- კ) **სადაზღვევო ზარალი** - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად სადაზღვევო ობიექტისადმი მიყენებული ზარალი.
- ლ) **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, რომელსაც დამზღვევეს ზარალის ასანაზღაურებლად უხდიან.
- მ) **სადაზღვევო ტარიფი (შესატანი)** - დაზღვევის გადასახდელი (საფასური).
- ნ) **სადაზღვევო თანხა** - ფულადი თანხა, რომლითაც დაზღვევის ობიექტის ფაქტიური დაზღვევა ხდება.
- ო) **გადაზღვევა** - ოპერაცია ორ სადაზღვევო კომპანიას შორის, რომლის დროსაც დაზღვევის (გადაზღვევის) ხელშეკრულებით, ერთ-ერთი მხარე თავის თავზე იღებს რისკის ნაწილს სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

დაზღვევის ყველა ამ ძირითად ცნებებს მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულება, რომელის შედგენა ხდება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სადაზღვევო პოლისი – მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის ან გადაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელ საბუთს და დამზღვევეს უფლებას აძლევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება ან სადაზღვევო თანხა.

სადაზღვევოს ხელშეკრულების გასაფორმლებლად დამზღვევემა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს მზღვეველს. ხელშეკრულება ძალაში შედის მას შემდეგ, როდესაც დამზღვევეი გადაიხდის პირველს შესატანს.

მზღვეველი გადასცემს დამზღვევეს სადაზღვევო მოწმობას, რომელიც მოიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: დოკუმენტის დასახელებას, **მზღვეველის** საფირმო სახელწოდებას, მისამართს, საბანკო რეკვიზიტებს; **დამზღვევის** გვარს, სახელს და მის მისამართს; დაზღვევის ობიექტს; დაზღვევის თანხას; სადაზღვევო რისკს; სადაზღვევო შესატანს, მისი შეტანის დროსა და წესებს; ხელშეკრულების მოქმედების დროს; ხელშეკრულების ცვლილებებისა და გაუქმების წესს; სხვა პირობებს; მხარეთა ხელმოწერას.

სადაზღვევო ხელშეკრულებაში მითითებულია მზღვეველისა და დამზღვევის ვალდებულებები.

მზღვეველი ვალდებულია:

- გააცნოს დამზღვევეს დაზღვევის წესები;
- ხელშეკრულების პირობით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადაიხადოს სადაზღვევო თანხა;
- აუნაზღაურს დამზღვევეს ხარჯები ზარალის შესამცირებლად ან ასაცილებლად თუ კი ამას ითვალისწინებს ხელშეკრულება;
- არ გაავრცელოს დამზღვევის შესახებ ცნობები და ა. შ.

დამზღვევი ვალდებულია:

- დროულად შეიტანოს სადაზღვევო შესატანი;
- შეატყობინოს მზღვეველს ყველაფერი რაც სადაზღვევო რისკთანაა დაკავშირებული;
- გაატაროს ღონისძიებები ზარალის ასაცილებლად ან შესამცირებლად.

იმ შემთხვევაში თუ კი დადგა სადაზღვევო შემთხვევა, მზღვევილის მიერ დგება დაზღვევის აქტი. მზღვეველს შეუძლია უარი თქვას სადაზღვევო თანხის გადახდაზე თუ კი:

- დამზღვევის მიერ აღგილი ქონდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის განზრახ ქმედებას;
- დამზღვევმა მზღვეველს, სადაზღვევო ობიექტის შესახებ, მიაწოდა არასწორი ინფორმაცია;
- დამზღვევმა ზარალის ანაზღაურება მიიღო იმ პირისაგან, რომელიც დამნაშავეა ზარალის მიყენებაში;

სადაზღვევო ხელშეკრულება შეწყდება:

- სადაზღვევო ხელშეკრულების ვადის გასვლასთან ერთად;
- მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ;
- დამზღვევის მიერ სადაზღვევო შენატანის გადაუხდელობის შემთხვევაში;
- საწარმოს ლიკვიდაციის ან დამზღვევის გარდაცვალების შემთხვევაში;
- მზღვეველის ლიკვიდაციის შემთხვევაში;
- ხელშეკრულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად;
- ვადამდე მზღვეველის ან დამზღვევის მოთხოვნით (ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო შენატანი დამზღვევეს უბრუნდება).

4.7 აკტუარული ბათვლები

აკტუარი (Actuary) ნიშნავს სადაზღვევო გამოთვლების (გაანგარიშებების) სპეციალისტს. აკტუარი, მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, ახდენს სადაზღვევო სატარიფო განაკვეთების გამოთვლას და განსაზღვრავს რეზერვების ოდენობას.

სადაზღვევო ხელშეკრულებაში მთავარი ადგილი სადაზღვევო მომსახურების ღირებულებას უკავია. **აკტუარული გათვლები** - სადაზღვევო მომსახურების ხარჯების განსაზღვრას ითვალისწინებს, რაც სადაზღვევო მომსახურების ფასის განსაზღვრის საფუძველია. სადაზღვევო კომპანიის იმ განყოფილებებს, რომლებიც აკტუ-

აღურ გათვლებს ახდენენ, უწოდებენ აკტუარებს. აკტუარული გათვლებით ხდება სადაზღვევო სატარიფო განაკვეთის (სადაზღვევო რისკის ფასისა და მზღვეველის სხვა ხარჯების) გაანგარიშება. სადაზღვევო სატარიფო განაკვეთების ერთობლიობას ტარიფებს უწოდებენ. **სატარიფო განაკვეთი ორი სახისაა: ბრუტო-განაკვეთი და ნეტო-განაკვეთი.**

ბრუტო განაკვეთი - არის ყოველგვარი შედავათებისა და გამოქვითვების გარეშე სადაზღვევო პრემიის მთლიანი სატარიფო განაკვეთი. **ბრუტო განაკვეთით** ხდება სადაზღვევო ხელშეკრულების დადება. ხოლო **ნეტო განაკვეთი** სადაზღვევო რისკის ფასია. ეს განაკვეთი მიდის დამზღვევის გადახდის ფონდის შესაქმნელად.

$$\text{ბრუტო განაკვეთი} = \text{ნეტო განაკვეთს} + \text{დატვირთვა}$$

დატვირთვა თავის მხრივ მოიცავს :

- ა) სადაზღვევო საქმის ჩატარებისთან და ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელშიც თავის მხრივ შედის:
 1. სადაზღვევო კომპანიის დაფუძნებასთან დაკავშირებული ხარჯები;
 2. აკვიზაციური ხარჯები - დაზღვევის აგენტის მეშვეობით თვისებრივად ახალი დამზღვევის ჩაბმის ხარჯები. რამდენადაც აკვიზაცია (Acquisition - შეძენა) სადაზღვევო ორგანიზაციისთვის (მზღვეველისათვის) თვისებრივად ახალი სადაზღვევო ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული საქმიანობაა;
 3. ინკასაციურ ხარჯები - მომსახურების ხარჯები, რომელიც ნაღდი ფულის ბრუნვასთან არის დაკავშირებული;
 4. სალიკვიდაციო ხარჯები - ზარალის ლიკვიდაცია. კერძოდ, სადაზღვევო თანხის ოდენობის განსაზღვრისათვის და გადახდისათვის უნდა ჩატარდეს სამუშაოთა მთელი კომპლექსი. რასაც მიეკუთვნება სადაზღვევო ფაქტის დადგენა, ზარალის ოდენობის განსაზღვრა, სადაზღვევო აქტის შედგენა, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა და ა.შ.;
 5. მმართველობით ხარჯები.

ბ) გადარიცხვები სარეზერვო ფონდში.

გ) სადაზღვევო საზოგადოების მოგება.

ნეტო-განაკვეთის ტარიფი გაიანგარიშება:

$$T_n = P(A) \cdot K \cdot 100$$

სადაც: T_n - ნეტო-განაკვეთის ტარიფი;

$P(A)$ - სადაზღვევო შემთხვევის ალბათობა :

$$P(A) = K_b/k_d$$

K_b - ამა თუ იმ პერიოდში (ზარალის ასანაზღაურებლად) გადახდების რაოდენობა;

K_d - დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა.

K - კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება: $K = C_b / C_c$

სადაც: C_b - (ზარალის ანაზღაურების) საშუალო გადახდაა

C_c - მოდის საშუალო სადაზღვევო თანხა ერთ ხელშეკრულებაზე.

$$T_n = \frac{K_b \cdot C_b}{K_d \cdot C_c} \times 100$$

$$T_n = (B / C) \times 100$$

აღნიშნული წარმოადგენს ყოველ 100 ფულად ერთეულზე ზარალიანობის მაჩვენებელს;

$$T_b = \frac{T_n}{100 - H} \times 100$$

სადაც: T_b ბრუტო-განაკვეთის ტარიფია; H დატვირთვა, რომელიც ბრუტო-განაკვეთთან მიმართებით პროცენტებშია ასახული.

ამგვარად ბრუტო-განაკვეთით ხდება ზარალის დაფარვა, სადაზღვევო კომპანიის ხარჯების დაფარვა, სადაზღვევო ფონდისა და მოგების შექმნა. მოგება ნაწილდება ჩვეულებრივი სქემის მიხედვით. გადასახადების გადახდის შემდეგ, წმინდა მოგება გამოიყენება სარეზერვო ფონდის შესაქმნელად, საზოგადოების განვითარების ფონდის შესაქმნელად, დივიდენდების გადასახდელად, მომუშავეთა მატერიალური დაინტერესების მიზნით და სხვა.

სადაზღვევო რეზერვის შექმნისა და განთავსების წესი - განისაზღვრება, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ბრძანებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. **სადაზღვევო რეზერვი** - იქმნება დაზღვევის თითოეული სახეობის მიხედვით. მზღვეველი, საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სადაზღვევო საქმიანობის ფინანსური შედეგების განსაზღვრით, საანგარიშო თარიღის მდგომარეობით, გაიანგარიშებს სადაზღვევო რეზერვის ოდენობას.

სადაზღვევო ორგანიზაციები ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე აღებული სადაზღვევო ვალდებულებების შესრულების მიზნით, ანხორციელებენ საკუთარი სადაზღვევო რეზერვების განთავსებასა და ინვესტირებას.

სადაზღვევო რეზერვების ინვესტირება ხდება დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, სარგებლიანობისა და ლიკვიდურობის პირობებით. საქართველოში სადაზღვევო რეზერვების ინვესტირება დასაშვებია, მხოლოდ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული წესით.

შესაბამისად საქართველოში სადაზღვევო რეზერვების ინვესტირების ძირითადი მიმართულებებია:

- სახელმწიფო სასესხო ვალდებულებები;
- მუნიციპალური სასესხო ვალდებულებები;
- სადებოზიტო და საშემნახველო სერტიფიკატები;
- სხვა სახის ფასიანი ქაღალდები (გარდა სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციებისა);
- უძრავი ქონება;
- ძვირფასი ლითონები;
- სავალუტო ფასეულობები;

სადაზღვევო რეზერვები შესაძლებელია განთავსებულ იქნეს სადაზღვევო ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

არ შეიძლება სადაზღვევო რეზერვის გამოყენება კრედიტის მიზნით, ყიდვა-გაყიდვის, სავაჭრო საშუაშაველო საქმიანობის, სასაქონლო ბირჟის აქციების ან წილის შესაძენად, ინტელექტუალური საკუთრებაში დასაბანდებლად, ძირითადი საშუალებების შესაძენად (გარდა უძრავი ქონებისა).

4.8 დაზღვევის მეთოდები

განასხვავებენ დაზღვევის ხუთ ძირითად მეთოდს.

1. **დაზღვევა - ქონების ნამდვილი (საბაზრო) ღირებულების მიხედვით.**
2. **დაზღვევა - პროპორციული პასუხისმგებლობის მიხედვით -**
არის ობიექტის არასრული (ნაწილობრივი) დაზღვევა. აღნიშნული მეთოდით ფაქტიური სადაზღვევო თანხის შემცირება ხდება ობიექტის ნამდვილ (საბაზრო) ფასში სადაზღვევო თანხის ხვედრითი წილის პროპორციულად.

$$Q = T * S/W$$

სადაც Q- სადაზღვევო ანაზღაურებაა, T - ზარალის ფაქტიური თანხა, S - ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო თანხა, W-დაზღვევის ობიექტის საბაზრო ფასი.

მაგალითი - ავტომანქანა რომლის საბაზრო ფასია 6 000 დოლ. დაზღვეულია 3 ათას დოლ. ფაქტიურმა ზარალმა შეადგინა 2 000 დოლ. ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება შეადგენს ზარალის 50%-ს 1 ათას დოლ.

$$Q = \$ 2 000 * \$ 3 000 / \$ 6 000 = \$ 1000$$

3. **დაზღვევა პირველი რისკის მიხედვით**
ასეთ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების გადახდა ფაქტიური ზარალის ოდენობით ხდება, მაგრამ დაზღვევის თანხის ფარგლებში. სადაზღვევო თანხის ზევით ზარალი საერთოდ არ ნაზღაურდება. წინა მაგალითში თუ კი ფაქტიური ზარალი 5 000 დოლ. იქნებოდა დამზღვევი მაინც მხოლოდ 3 ათას დოლ. მიიღებდა.
4. **დაზღვევა დანაწევრებული ნაწილის მიხედვით**
სადაზღვევო ხელშეკრულებაში ადგენენ ორი სახის სადაზღვევო თანხას. ობიექტის საჩვენებელი (პირობითი) ღირებულება და ნამდვილი (საბაზრო) ღირებულება. საჩვენებელი ღირებულებით დამზღვევი იღებს ზარალს, რომელიც ასახულია პროცენტებში ან წილადის სახით. აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ დანაწევრებული ნაწილით დაზღვევა მზღვეველის პასუხისმგებლობას ზღუდავს. იმ შემთხვევაში თუ კი საჩვენებელი ღირებულება ნამდვილი ღირებულების ტოლია, მაშინ დანაწევრებული ნაწილით დაზღვევა დაექვემდებარება პირველი რისკის მიხედვით დაზღვევას. იმ შემთხვევაში, როდესა ობიექტის საჩვენებელი ღირებულება ნამდვილ ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ დანაწევრებული ნაწილით დაზღვევა დაექვემდებარება პროპორციული პასუხისმგებლობის მიხედვით დაზღვევას.
5. **აღდგენითი ღირებულებით დაზღვევა.**
ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება შესაბამისი სახის ახალი ქონების ფასს უდრის. რა თქმა უნდა სადაზღვევო შესატანიც შესაბამისად მაღალი იქნება.

სადაზღვევო ხელშეკრულებაში ხშირად გამოიყენება **ფრანშიზა** - ზარალის ნაწილი, რომელსაც არ ანაზღაურებს მზღვეველი. სიტყვა ფრანშიზა (franchise) პრივილეგიას ნიშნავს. ეს არის დამზღვევის პირადი მონაწილეობა ზარალის დაფარვაში. ფრანშიზა დგინდება სადაზღვევო თანხასთან ან ზარალთან მიმართებით ფულად ერთეულში ან პროცენტებში. ის სასარგებლოა როგორც მზღვეველისათვის ისე დამზღვევისათვის. დამზღვევი ამ დროს იღებს სადაზღვევო ტარიფიდან ფასდათ-

მობას, ხოლო მზღვეველს ზარალის ნაწილი გადააქვს დამზღვევზე. ფრანშიზას ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და ფიქსირდება სადაზღვევო ხელშეკრულებაში. ფრანშიზა ორი სახისაა პირობითი და უპირობო.

პირობითი (დაუქვითავი) ფრანშიზა ნიშნავს, რომ მზღვეველი თავისუფლდება ზარალის პასუხისმგებლობისაგან, თუ კი ის არ აღემატება ფრანშიზას პროცენტს. იმ შემთხვევაში, როდესაც ზარალი აღემატება ფრანშიზას შეთანხმებულ ოდენობას, მაშინ მზღვეველი ვალდებულია ზარალი სრულად აანაზღაუროს. პირობითი ფრანშიზას შემთხვევაში სადაზღვევო ხელშეკრულებაში ხდება ჩანაწერი „თავისუფალია ---- პროცენტამდე“

უპირობო (გამოქვითული) ფრანშიზას შემთხვევაში მზღვეველმა სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის დროს ზარალს უნდა გამოაკლოს უპირობო ფრანშიზა. უპირობო ფრანშიზის დროს სადაზღვევო ხელშეკრულებაში კეთდება შემდეგი სახის ჩანაწერი „თავისუფალია პირველი ----- პროცენტამდე“.

4.9 სადაზღვევო მომსახურების ბაზარი

დაზღვევის ბაზარი - არის ბაზარი სადაც ხდება სადაზღვევო მომსახურების ყიდვა - გაყიდვა. სადაზღვევო ბაზარზე ისევე, როგორც ნებისმიერ ბაზარზე არის მყიდველი, გამყიდველი და შუამავალი.

სადაზღვევო მომსახურების გამყიდველი - არის მზღვეველი (სადაზღვევო კომპანია), რომელიც დამზღვევთან დებს სადაზღვევო ხელშეკრულებას.

გადამზღვევი - ორგანიზაცია, რომელიც ახდენს უკვე დაზღვეული ობიექტის გადაზღვევას. ასეთ შემთხვევაში დაზღვევის რისკის გადანაწილება ხდება რამდენიმე კომპანიას შორის.

2003 წლის მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი 24 სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვევის 16 სახეობაში მოზიდულმა ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 37 991 332 ლარი. 2002 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით სადაზღვევო პრემია 50,2% -ით გაიზარდა. ერთ სულ მოსახლეზე გადახდილი სადაზღვევო პრემიის მაჩვენებელმა კი 9 ლარი შეადგინა.

სადაზღვევო კომპანიათა გადახდისუნარიანობის ამალღებისა და აღებული სადაზღვევო რისკების გადანაწილების მიზნით გადაზღვევა განხორციელებულ იქნა 16 სადაზღვევო კომპანიის მიერ. გადაზღვევაზე მიმართული იყო მთლიანი ჯამური პრემიის 47, 9 პროცენტი.

საგრძობლად გაიზარდა ზარალიანობის მაჩვენებელი. მთლიანად ანაზღაურებულმა ზარალმა შეადგინა მოზიდული ჯამური პრემიის 32 %, რაც 37,7 %-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით სადაზღვევო კომპანია შეიძლება დაფუძნდეს ან შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უცხოეთის სადაზღვევო ორგანი-

ზაციის, როგორც მზღვეველის საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია.

სადაზღვევო საქმიანობის დასაწყებად სადაზღვევო კომპანია უნდა ფლობდეს ლიცენზიას. სადაზღვევო საქმიანობის და დაზღვევის სფეროში საშუაშაველო საქმიანობის ლიცენზირებას საქართველოში ახორციელებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

ტერმინები და ძირითადი ცნებები:

- დაზღვევა,
- მზღვეველი,
- დამზღვევეი,
- გადაზღვევა,
- დაზღვევის აგენტი, სადაზღვევო ბროკერი,
- სადაზღვევო რისკი,
- სადაზღვევო შემთხვევა,
- აკტუარი,
- აკვიზიცია,
- ფრანშიზა,

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

- რა განაპირობებს დაზღვევას და მისი შექმნის რამდენი წესი არსებობს?
- ჩამოთვალეთ დაზღვევის დამახასიათებელი ნიშნები და განსაზღვრეთ დაზღვევის ცნება.
- ჩამოთვალეთ დაზღვევის ფუნქციები და ახსენით დაზღვევის არსი.
- დაახასიათეთ დაზღვევის პრინციპები
- რა ნიშნის მიხედვით ხდება დაზღვევის კლასიფიკაცია. რა მნიშვნელობა აქვს დაზღვევის კლასიფიკაციას.
- რას ასახავს დაზღვევის სტრუქტურა? ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ დაზღვევის შემადგენელი ელემენტები.
- რა დანიშნულება აქვს სადაზღვევო პოლისს? რას მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულება? რა ვალდებულებები აქვს მზღვეველს, დამზღვევეს? როდის შეუძლია უარი თქვას მზღვეველმა სადაზღვევო თანხის გადახდაზე და როდის წყდება ხელეკრულება?
- როგორ ხდება სადაზღვევო მომსახურების ღირებულების განსაზღვრა. ვინ არიან აკტუარები?
- როგორ ხდება სადაზღვევო რეზერვების შექმნა და განთავსება?
- ჩამოთვალეთ საქართველოში სადაზღვევო რეზერვების ინვესტირების ძირითადი მიმართულებები.
- ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ დაზღვევის მეთოდები.

თავი 5. ფასიანი ქაღალდების სფერო

მერვე თავში განხილულია სახელმწიფო საფინანსო სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი, ფასიანი ქაღალდების სფერო. სადაც ფასიანი ქაღალდების სფეროს ცნებასა და არსთან ერთად განხილულია ფასიანი ქაღალდების პრინციპები; ფასიანი ქაღალდების სფეროს სისტემა და სტრუქტურა, ფასიანი ქაღალდების სახეები და მათი კლასიფიკაცია; დახასიათებულია კორპორაციის აქციები, აქციების სახეები და გადმოცემულია: აქციების შეფასების მეთოდები; კორპორაციის, სახელმწიფოსა და მუნიციპალური ობლიგაციები და ობლიგაციებით ვაჭრობის საკითხები; თამასუქისა და ჩეკების წარმოშობისა და მათი გამოყენების ძირითად თავისებურებები.

5.1 ფასიანი ქაღალდების სფეროს დამახასიათებელი ნიშნები, ცნება

ფასიანი ქაღალდების სფერო - წარმოადგენს შემოსავლების განაწილება-გადანაწილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის საფინანსო სისტემაში. ფასიანი ქაღალდების სფერო ისევე, როგორც კრედიტი ემსახურება დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების (დანაზოგების) მობილიზებას და მის ეფექტიან გადანაწილებას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში. განვიხილოთ ფასიანი ქაღალდების სფეროს ძირითად დამახასიათებელი ნიშნები:

- ფასიანი ქაღალდების სფეროს ერთ-ერთი ძირითად დამახასიათებელ ნიშანია ის, რომ **ფული, ფასიანი ქაღალდების სფეროს მატერიალურ საფუძველია** (ფასიანი ქაღალდების გაცვლა ხდება ფულზე). ფასიანი ქაღალდებით ხდება დროებით თავისუფალი ფულადი კაპიტალის გადადინება იმ ადამიანებიდან ვინც საკუთარ შემოსავალზე ნაკლებს ხარჯავს (დამზოგველებიდან), იმ ადამიანებამდე ვინც საკუთარ შემოსავალზე მეტს ხარჯავს (მსესხებლებამდე).
- ფასიანი ქაღალდების სფეროს, როგორც შემოსავლების განაწილების ინსტრუმენტს ეკონომიკის სუბიექტები გარკვეული მიზნით იყენებენ. ფასიანი ქაღალდების ემისიით ხდება ფულადი რესურსების ფონდების მოზიდვა და გამოყენება (ინვესტირება). **შესაბამისად ფასიანი ქაღალდების სფეროს საფონდო ხასიათი გააჩნია.**
- **ფასიანი ქაღალდების სფერო სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება.** ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოში აწესრიგებს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები. ამასთან ფასიანი ქაღალდების სფეროს სახელმწიფო რეგულირების მიზნით შექმნილია საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია.
- ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ურთიერთობა ეს არის ფასიანი ქაღალდების ემიტენტებსა და მის მფლობელებს შორის ურთიერთობა. ამასთან ეს არის **არათანაბარუფლებიან სუბიექტებს შორის ურთიერთობა.** რამდენადაც ემიტენტი ვალდებულია ობლიგაციონერს გადაუხადოს მისი კუთვნილი საპროცენტო შემოსავალი, ხოლო აქციონერს დივიდენდი.

- ფასიანი ქაღალდები, მის მფლობელს სტაბილურ შემოსავალს (დივიდენდის, პროცენტისა ან პრემიის ფორმით) აძლევს; შესაბამისად ფასიანი ქაღალდები სტაბილური შემოსავლიანობით ხასიათდება.
- ფასიანი ქაღალდებსა და საფინანსო სისტემის სხვა რგოლებს შორის მთავარ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ფასიანი ქაღალდების სფეროს მონაწილეებს მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ მიიღონ მაღალი შემოსავლები და გაზარდონ ფულადი კაპიტალი, ვიდრე მაგალითად საკრედიტო სფეროს მონაწილეებს. ამასთან აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაღალლი შემოსავლების მიღების არჩევანი, ასევე მაღალ რისკს უკავშირდება.
- ფასიანი ქაღალდების სფეროს დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით კი შეიძლება ფასიანი ქაღალდების ცნება განისაზღვროს. **ფასიანი ქაღალდების სფერო არის სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ფულადი ურთიერთობა, რომელიც ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების პროცესში, ფულადი საშუალებების ფონდების ფორმირებითა და გამოყენებით, დანაზოგებისა და ინვესტიციების კოორდინირებას უწყობს ხელს.**

5.2 ფასიანი ქაღალდების სფეროს ფუნქციები, არსი

ფასიანი ქაღალდების სფეროს არსი იმ ძირითადი ფუნქციებით უნდა განისაზღვროს, რომელსაც ის ასრულებს ეროვნული შემოსავლის გადანაწილების პროცესში.

ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დაზოგვის მსურველებს შეუძლიათ პირდაპირ მიაწოდონ ფული სესხების მსურველებს. ეკონომიკის სექტორებს შორის ხდება შემოსავლების გადაღინება. შესაბამისად **ფასიანი ქაღალდები, ეკონომიკის სექტორებს შორის შემოსავლების განაწილება-გადანაწილების ფუნქციას ასრულებს.**

დაფინანსება არის პროგნოზულ შემოსულობებსა და პროგნოზულ ხარჯებს შორის სხვაობის დაფარვის მიზნით ფულადი ფონდების მობილიზება და გამოყენება. შესაბამისად ფასიანი ქაღალდების ემისია უშუალოდ დაკავშირებულია ეკონომიკური სუბიექტის დაფინანსებასთან. ფასიანი ქაღალდების ემისია დაფინანსების ერთ-ერთი მეთოდია. ფასიანი ქაღალდების ემისიით აუცილებელი ფულადი ფონდების მოზიდვა და გამოყენებაა შესაძლებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე ფასიანი ქაღალდები ეკონომიკაში **ფონდწარმოქმნის ფუნქციას ასრულებს.**

ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი ფუნქციას წარმოადგენს ასევე **მაკონტროლებელი ფუნქცია**, რამდენადაც ფასიანი ქაღალდებით, მიკრო და მაკროეკონომიკის ფარგლებში, შესაძლებელია ეკონომიკაზე და ეკონომიკურ პროცესებზე კონტროლი განხორციელდეს.

ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ფუნქციას წარმოადგენს **ინფორმაციის მიწოდება**, აღნიშნული ფუნქციით ფასიანი ქაღალდები ეკონომიკის მდგომარეობას ახასიათებს. ასე მაგალითად ფასიანი ქაღალდების კურსის მეშვეობით შესაძლებელია ეკონომიკის კონიუქტურის დახასიათება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ფასიანი ქაღალდების არსი, მისი მთავარი დანიშნულება, მდგომარეობს იმაში, რომ **ფასიანი ქაღალდები ეკონომიკის სექტორებს შორის შემოსავლების გადანაწილების ინსტრუმენტს წარმოადგენს და ის მთლიანად ეკონომიკასა და მათ შორის მისი ცალკეული სუბიექტების ეკონომიკურ მდგომარეობას ახასიათებს.**

5.3 ფასიანი ქაღალდების სფეროს პრინციპები

ფასიანი ქაღალდების სფეროს ფუნქციონირება გარკვეულ პრინციპებს ეყრდნობა:

- * **დაბანდების ლიკვიდურობა** – ფასიანი ქაღალდების უნარი სწრაფად გაიცვალოს ეკონომიკაში არსებულ გაცვლის საშუალებაზე - ფულზე;
- * **დაბანდების უსაფრთხოება** – ფასიანი ქაღალდები სტაბილურ შემოსავლის მიღების უზრუნველყოფა;
- * **შემოსავლიანობა** - ფასიანი ქაღალდების მეშვეობით ინვესტიციებიდან მაქსიმალური შემოსავლის მიღება.
- * **დამოუკიდებელი ბრუნვა** – ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის პროცესში, სპეციფიური სტადიების არსებობით, დამოუკიდებელი ბრუნვის უზრუნველყოფა.

5.4 ფასიანი ქაღალდების სისტემა

ფასიანი ქაღალდების სისტემა, მისი გამოყენების ხანგრძლიობის მიხედვით იყოფა ორ ძირითად ქვესისტემად კერძოდ: **ფულად და კაპიტალურ** ფასიან ქაღალდებად.

ფულად ფასიანი ქაღალდების ქვესისტემაში შედის: ერთ წლამდე კომერციული და ფინანსური თამასუქი, საბანკო აქცეპტი (აქცეპტი - ხელწერით დამოწმებული მოწმობა თამასუქის მიღებაზე), 10-დან 180 დღემდე ემიტირებული კომერციული ფასიანი ქაღალდები, ბანკის მიერ ემიტირებული სადეპოზიტო სერტიფიკატები, ასევე 3,6,9 და 12 თვიანი სახაზინო თამასუქები და ობლიგაციები, რომლის ემისიასაც მთავრობა ახორციელებს.

ფულის შემცველი ფასიანი ქაღალდებით ხდება მოკლევადიანი, არაუზრუნველყოფილი, სესხის გაფორმება. აღნიშნულის გამო მათ ხშირად უწოდებენ სავალო ფასიან ქაღალდებს. ფულის შემცველებს უწოდებენ იმის გამოც, რომ ისინი უპირატესად საბანკო სფეროში გამოიყენება. აღნიშნული სახის ფასიანი ქაღალდებით, როგორც ტრადიციული ფულით, მიმდინარე ხარჯების ან ვალის დაფარვაც შეიძლება. ზოგიერთ მათგანს კი, როგორც საგადამხდელო საშუალებას იყენებენ. მაგალითად კომერციული თამასუქით საქონლის საფასურის იხდიან, ხოლო სამთავრობო სახაზინო ვალდებულებებით შეიძლება სახელმწიფო გადასახდელის გადახდა.

კაპიტალური ფასიანი ქაღალდების ქვესისტემა აერთიანებს აქციებს, ობლიგაციებს, საინვესტიციო სერტიფიკატებს და სხვა სახესხვაობებს. აღნიშნული სახის ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით მიღებული საშუალებები კორპორაციის კაპიტალის შექმნის ან გაზრდის მიზნით გამოიყენება. კაპიტალური ფასიანი ქაღალდებით მიღებული მოგების ნაწილი ფასიანი ქაღალდების მფლობელებს ეკუთვნის.

5.5 ფასიანი ქაღალდების სფეროს სტრუქტურა

ფასიანი ქაღალდების სფეროს ეფექტური გამოყენება უწინარეს ყოვლისა მოითხოვს ფასიანი ქაღალდების სფერო განხილული იქნეს, როგორც მთლიანობაში ისე მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტების მიხედვით.

ფასიანი ქაღალდების სფეროს ძირითად ელემენტებია: **ფასიანი ქაღალდები; ფასიანი ქაღალდების ემიტენტი; ფასიანი ქაღალდების მყიდველი - ინვესტორი (ინდივიდუალური, ინსტიტუციონალური); ფასიანი ქაღალდების ბაზარი:**

- **ფასიანი ქაღალდი** - როგორც ფასიანი ქაღალდების სფეროს ობიექტი - არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას ან სასესხო დამოკიდებულებას დოკუმენტის გამომშვევ პირსა და მის მფლობელს შორის.
- **ფასიანი ქაღალდების ემიტენტი** - ფასიანი ქაღალდების სფეროს სუბიექტი - იურიდიული პირი, სახელმწიფო ან მუნიციპალური მმართველობის ორგანო, რომელიც უშვებს მიმოქცევაში ფასიანი ქაღალდებს და ფასიანი ქაღალდების მფლობელების მიმართ თავის თავზე კისრულობს ამ ვალდებულებას;
- **ფასიანი ქაღალდების მყიდველები, ინვესტორი** - ფასიანი ქაღალდების სფეროს სუბიექტი - არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც იძენს ფასიანი ქაღალდებს. იგი შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ინსტიტუციონალური. ინდივიდუალური ინვესტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი კერძო პირი. ინსტიტუციონალური ინვესტორი არის იურიდიული პირი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს საკუთარი ან მის მფლობელობაში მყოფი სხვა კომპანიების სახსრების ინვესტირება.
- **ფასიანი ქაღალდების ბაზარი.** განასხვავებენ ფასიანი ქაღალდების „პირველად“ და „მეორად“ ბაზარს. ფასიანი ქაღალდების არსებობის ციკლი შედგება სამი ფაზისაგან: ახალი გამოშვების ფასიანი ქაღალდების კონსტრუირება; ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსება; ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა. პირველი ორი ფაზა ერთიანდება ცნებაში - ფასიანი ქაღალდების „პირველადი“ ბაზარი, ხოლო მესამე ცნებაში - ფასიანი ქაღალდების „მეორადი ბაზარი“.

5.6 ფასიანი ქაღალდების სახეები და მათი კლასიფიკაცია

ფასიანი ქაღალდები შეიძლება არსებობდეს როგორც მატერიალიზებული განკერძოებული დოკუმენტის, დაცული ქაღალდის ფორმით (ე.ი. მას აქვს მატერიალიზებული სახე), ისე დემატერიალიზებული – საანგარიშსწორებო დოკუმენტებში ჩანაწერის ფორმით. შესაბამისად არსებობს მრავალი სახის ფასიანი ქაღალდები, რაც მათი კლასიფიკაციის შესაძლებლობას განაპირობებს. ფასიანი ქაღალდებს მიეკუთვნება:

- კორპორაციის აქციები;
- კორპორაციის ობლიგაციები;
- სახელმწიფო სასესხო ვალდებულებები;
- მუნიციპალური სასესხო ვალდებულებები;
- დეპოზიტური სერტიფიკატები;
- თამასუქები;
- ჩეკები;
- ფასიანი ქაღალდების წარმოებულები (საფონდო ინსტრუმენტები: ოფციონები, ფიუჩერსები და სხვა).

ფასიანი ქაღალდების დაჯგუფება შეიძლება მოხდეს გარკვეული კრიტერიუმების, ნიშნებისა და სპეციფიური თვისებების მიხედვით, რაც მათი სისტემური განხილვისა და ეფექტური გამოყენების საშუალებას იძლევა.

ფასიანი ქაღალდები, მისი გამოყენების ხანგრძლიობის მიხედვით, შეიძლება დაჯგუფდეს **ფულად და კაპიტალურ** ფასიან ქაღალდებად.

თავის მხრივ კაპიტალური ფასიანი ქაღალდები იყოფა **წილობრივ და სავალო ვალდებულებების მქონე ფასიანი ქაღალდებად**. **წილობრივი** ფასიანი ქაღალდების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს **აქციები** (მოწმობა კაპიტალში მონაწილეობაზე), ხოლო **სავალო** ფასიანი ქაღალდს, რომელსაც ხშირად ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიან ქაღალდებს უწოდებენ, მიეკუთვნება **ობლიგაციები** და მათთან გათანაბრებული ფასიანი ქაღალდები.

5.7 კორპორაციის აქციები, აქციების შეფასება, აქციების სახეები

კორპორაციის აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას სააქციო საზოგადოების საკუთარი ქონების წილზე, მისი სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლის მიღებაზე და როგორც წესი ამ საზოგადოების მართვაში მონაწილეობაზე.

აქციებს უშვებს სააქციო საზოგადოებები და როგორც წესი მათ კორპორაციებს უწოდებენ. აქციების გამოშვებას თან ახლავს სხვადასხვა დანახარჯები, რაც დაკავშირებულია ტექნიკურ პროცედურასთან და აქციების გაყიდვის ორგანიზაციასთან. შესაბამისად აქციებს გააჩნიათ ღირებულება.

აქციების შეფასება ხდება ნომინალური, გამოცხადებული, საბალანსო და საბაზრო ფასით.

ნომინალური ფასი – არის აქციის ღირებულება, რომელსაც აქციის ემისიის დროს ადგენენ, პირობითად განისაზღვრება და აისახება **აქციის სერტიფიკატში**.

თავდაპირველად აქციის ნომინალური ფასი კორპორაციის მიერ გამოიყენებოდა ბუღალტრული მიზნებისათვის. ნომინალურ ფასს პრაქტიკულად არავითარ კავშირში არ აქვს აქციის რეალურ ფასთან. როგორც წესი ნომინალური ფასი არის სიმბოლური და ნიშნავს, რომ აქცია უნდა გაიყიდოს არანაკლებ ნომინალური ღირებულებით. აშშ-ში უკანასკნელ პერიოდში კორპორაციები გამოშვებულ აქციებზე, როგორც წესი ნომინალს არ ასახავენ. კომერციული ბანკები კი პირიქით აქციებს უშვებენ ნომინალით.

გამოცხადებული ფასი - აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს ნომინალური ღირებულების გარეშე. ასეთი სახის აქციების შეფასება ღირექტორთა საბჭოს მიერ გამოცხადებული ფასით ხდება. შესაბამისად საწესდებო კაპიტალი ფასდება გამოცხადებული ღირებულებით. აქციების ნომინალური და გამოცხადებული ფასი არის მათი იურიდიული ფასი, რომელიც ადგენენ კორპორაციის რეგისტრაციის დროს, მაგრამ ის არ შეესაბამება აქციების რეალურ ფასს. აქციების რეალურ ფასს ასახავს საბალანსო და საბაზრო ფასი.

საბალანსო ფასი - განისაზღვრება, ბალანსის მონაცემების მიხედვით, საზოგადოების სააქციო კაპიტალის შეფარდებით გამოშვებული აქციების რაოდენობასთან. ე.ი. ერთი აქციის სააღრიცხვო ფასი გვიჩვენებს ერთი აქციის მფლობელის წილს კორპორაციის საკუთარ კაპიტალში.

საბალანსო ფასის განსაზღვრის დროს აქციების უმრავლესობა შეფასებულია ნომინალური ღირებულებით, რაც ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება მათ რეალურ ფასს. ამდენად დგება აქციების საბაზრო ფასის დადგენის საჭიროება.

საბაზრო ფასი - ეს არის აქციების მიმდინარე ფასი (კურსი) ბირჟაზე ან არასაბირჟო ბაზარზე.

$$p = d / r$$

სადაც **p** - არის აქციის საბაზრო ფასი;

d - დივიდენდი აქციაზე, ხოლო **r** - საბაზრო საპროცენტო განაკვეთი.

ფორმულიდან ჩანს, რომ აქციის ფასს განსაზღვრავს საბაზრო საპროცენტო განაკვეთი და სადივიდენდო პოლიტიკა. ამასთან ეკონომისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში სადივიდენდო პოლიტიკა გავლენას არ ახდენს აქციებში ინვესტიციების ოდენობაზე. მათი თვალსაზრისით აქციის შემოსავლიანობა და მოკიდებულია მხოლოდ ფირმის ნაყოფიერ და მომგებიან მუშაობაზე.

აქციის სერტიფიკატი - წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ინვესტორის მიერ აქციის ფლობას. აქციის სერტიფიკატზე აღნიშნულია:

- გამომშვები კორპორაციის შესახებ მონაცემები;
- რეგისტრირებული მფლობელის შესახებ მონაცემები;
- აქციის ნომინალური ღირებულება (თუ კი ასეთი არსებობს);
- აქციის ტიპი (ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული);
- აქციების რაოდენობა რომელსაც ფლობს სერტიფიკატის მესაკუთრე;
- აგენტის დასახელება, ვისი მეშვეობითაც მოხდა აქციის რეგისტრაცია;
- კორპორაციის თანამდებობის პირის ხელმოწერა.

კორპორაციის აქციის სახეები - ფასიანი ქაღალდების **ბაზარზე ფუნქციონირების მიხედვით** აქციები იყოფა სახელობით აქციებად და აქციებად წარმომდგენზე.

სახელობითი აქცია - გამოიწერება კონკრეტული მფლობელის სახელზე, ხოლო მონაცემები მფლობელის შესახებ აისახება კორპორაციის სააღრიცხვო წიგნში. აქციონერად ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა მხოლოდ ის მფლობელი, რომელთა შესახებაც სააღრიცხვო წიგნში არსებობს სათანადო ჩანაწერი.

სახელობითი აქციების ძირითადი დადებითი მხარე არის ის, რომ კორპორაციას ეძლევა სააქციო კაპიტალის მოძრაობაზე მუდმივი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. უარყოფით მხარედ წარმოგვიდგება, მეორად ბაზარზე, მათი შედარებით დაბალი ლიკვიდურობა. რაც განპირობებულია იმით, რომ ყიდვა-გაყიდვის პროცესს აფერხებს ახალი მყიდველის რეგისტრაცია და მის სახელზე აქციების გადაფორმება.

აქცია წარმომდგენზე არ საჭიროებს ახალი მფლობელის რეგისტრაციას და ამდენად იძლევა მეორად ბაზარზე თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობას.

შემოსავლის ფორმების მიხედვით არსებობს ორი სახის აქცია, რომელიც შეიძლება გამოუშვას კორპორაციამ: ჩვეულებრივი (უბრალო) და პრივილეგირებული (პრეფერენციალური).

ჩვეულებრივი აქცია იძლევა აქციონერთა კრებაზე ხმის უფლებას. ხოლო მისაღები შემოსავლის სიდიდე (დივიდენდი) უშუალოდ არის დამოკიდებული წლის განმავლობაში კორპორაციის მუშაობის შედეგებზე. დივიდენდის სიდიდე წინასწარ არ არის ცნობილი. იგი განისაზღვრება კორპორაციის ხელმძღვანელთა მიერ, რომელიც მტკიცდება აქციონერთ საერთო კრებაზე.

პრივილეგირებული (პრეფერენციალური) აქცია არ აძლევს მფლობელს აქციონერთა კრებაზე დასწრების უფლებას. პრივილეგიები გამოიხატება გარანტირებულ დივიდენდების მიღებაში. გარდა ამისა კორპორაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში ობლიგაციის მფლობელთა პირველ რიგში დაკმაყოფილების შემდეგ, სწორედ ჯერ პრივილეგირებული აქციების მფლობელები იღებენ ქონების წილს და შემდეგ ჩვეულებრივი აქციების მფლობელები. დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე უფრო ადრე გაიცემა ვიდრე ჩვეულებრივ აქციებზე. ამასთან, როგორც წესი პრივილეგირებულ აქციებს არ აქვთ უპირატესობა ახალი აქციების შექმნის დროს.

5.8 ობლიგაციები

ობლიგაცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს ობლიგაციის გამომშვები იურიდიული პირის სასესხო ვალდებულებას და ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას მიიღოს ობლიგაციაზე მითითებული ნომინალური ღირებულება წინასწარ დადგენილ ვადაში, და სარგებელი დადგენილი პერიოდულობით.

განასხვავებენ ობლიგაციების სამ ძირითად კატეგორიას:

- კორპორაციის ობლიგაციები;
- სახელმწიფოს ობლიგაციები;
- მუნიციპალური ობლიგაციები.

კორპორაციის ობლიგაციები

კორპორაციები ობლიგაციების მეშვეობით ახდენენ თავიანთი საფინანსო რესურსების ძირითადი ნაწილის მობილიზებას. აქციებისაგან განსხვავებით, რომლებიც კორპორაციის საკუთარ კაპიტალს წარმოადგენს, კორპორაციის ობლიგაციები არის სასესხო კაპიტალის გამომხატველი და ამიტომ მათ კორპორაციის სასესხო ფასიანი ქაღალდებს უწოდებენ.

ობლიგაციონერები კორპორაციის კრედიტორებია, მაშინ როდესაც აქციონერები მისი თანამფლობელები არიან. შესაბამისად ობლიგაციონერთა უფლებები აქციონერთა უფლებებისაგან განსხვავდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ობლიგაციებს უფრო მაღალი რიგის ფასიანი ქაღალდებს უწოდებენ.

ობლიგაციონერებთან კორპორაციების ურთიერთობა ემიტენტ ფირმასა და ინვესტორს შორის სპეციალური ხელშეკრულებით (საობლიგაციო ხელშეკრულებით) ფორმდება. ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად კორპორაცია ვალდებულია: ინვესტორს დადგენილ დროში (დაფარვის თარიღი ცნობილია) დადგენილი განაკვეთით, სრული თანხა დაუბრუნოს; მთელი დროის მანძილზე (რა ხნითაც არის ობლიგაცია გამომშვებული), პროცენტი გადაიხადოს.

ყოველწლიურად ფიქსირებული საპროცენტო თანხის მიღების უფლებას ანუიტეტი ეწოდება. როგორც წესი კორპორაციები ობლიგაციებს \$100 ნომინალით უშვებენ და პროცენტს ჩვეულებრივ წელიწადში ორჯერ იხდიან.

ობლიგაციები დაფარვის ვადის მიხედვით იყოფა:

- მოკლევადიანი (1-დან 3 წლამდე)
- საშუალოვადიანი (3-დან 7 წლამდე)
- გრძელვადიანი (7-დან 30 წლამდე)

ობლიგაციონერები, აქციონერთა მსგავსად, იღებენ ობლიგაციების ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს „ობლიგაციის სერტიფიკატს“, რომელშიც აღინიშნება:

- ფირმა ემიტენტის სახელწოდება;
- ობლიგაციების ნომინალური ღირებულება;
- საპროცენტო განაკვეთი;
- პასუხისმგებელი აგენტის დასახელება, როგორც პროცენტებზე ასევე მთლიან თანხაზე. ასეთი აგენტის როლს ასრულებს თვით კორპორაცია ან რომელიმე ბანკი.

5.8. ა) ობლიგაციების კლასიფიკაცია უზრუნველყოფის მიხედვით

უზრუნველყოფილი ობლიგაციები. ასეთ ობლიგაციებს აქვს რეალური უზრუნველყოფა აქტივებით და მათ საფინანსო ტერმინოლოგიით „უფროს ფასიან ქაღალდებს“ უწოდებენ. მათი დაყოფა შეიძლება სამ ჯგუფად:

- ობლიგაციები ქონების უზრუნველყოფით - ნიშნავს იმას, რომ ასეთი სახის ობლიგაციები კორპორაციის ძირითადი კაპიტალით და სხვა ნივთობრივი ქონებით არიან უზრუნველყოფილი;
- ობლიგაციები ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფით - კორპორაცია ემიტენტის საკუთრებაში არსებული რომელიმე სხვა კომპანიის ფასიანი ქაღალდებით (აქციებით ან ობლიგაციებით) არის უზრუნველყოფილი.
- ობლიგაციები მოწყობილობების უზრუნველყოფით - ნიშნავს ობლიგაციების უზრუნველყოფას სატრანსპორტო საშუალებებით. ამ სახის ობლიგაციებს უშვებს სატრანსპორტო კორპორაცია.

უზრუნველყოფილი ობლიგაციების მფლობელებს, კომპანია ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში, შეუძლიათ განაცხადონ პრეტენზია კომპანიის ქონების ნაწილზე.

ობლიგაციები უზრუნველყოფის გარეშე. საფინანსო ტერმინოლოგიით მას უწოდებენ „უმცროს ფასიან ქაღალდებს“. ამ სახის ობლიგაციების უზრუნველყოფა რაიმე მატერიალური აქტივებით არ ხდება. მათთვის დასაყრდენია კომპანია-ემიტენტის „კეთილსინდისიერება“.

კომპანიის გაკოტრების ან გადახდისუნარობის შემთხვევაში ამ სახის ობლიგაციონერები კომპანიის ქონების ნაწილზე პრეტენზიას ვერ განაცხადებენ. ამასთან ამ ტიპის ობლიგაციებზეც ვრცელდება კომპანიის ლიკვიდაციის დროს უპირატესი უფლებები. იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფის გარეშე ობლიგაციები ნაკლებად სანდოა, ვიდრე უზრუნველყოფილი აქციები, მათზე საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალია. ობლიგაციები უზრუნველყოფის გარეშე ხშირ შემთხვევაში კონვერტირებადია.

ობლიგაციების კოტირება და რეიტინგი. ობლიგაციებზე, ისევე როგორც აქციებზე, წარმოებს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, მაგრამ გარიგება უმეტესად, დილერების მიერ, არასაბირჟო ბაზარზე ხორციელდება. ობლიგაციებით ვაჭრობა ნაკლებად ინტენსიურია, ვიდრე აქციებით.

კორპორაციის ობლიგაციებით ვაჭრობა. მრავალი კორპორაციის ობლიგაცია რეგისტრირებულია საფონდო ბირჟაზე. ობლიგაციებით ვაჭრობა ხორციელდება ობლიგაციების დარბაზში, ამასთან ვაჭრობაში არ მონაწილეობენ სპეციალისტები. ბირჟის ერთ-ერთი წევრი ადგენს ყიდვის ან გაყიდვის ფასს. ბირჟის სხვა წევრები ან ღებულობენ ამ ფასს, ან სთავაზობენ სხვა ფასს.

ობლიგაციის ფასი. ობლიგაციებს გააჩნიათ ნომინალური ღირებულება (რომელიც ფიქსირებულია) და საბაზრო ღირებულება (რომელიც ცვალებადია). რადგანაც ნომინალი შეადგენს უმრავლეს შემთხვევაში 1000 დოლარს. ობლიგაციების კოტირება ხორციელდება პროცენტებში ნომინალის მიმართ. მაგალითად თუ ობლიგაცია იყიდება „at 97“ ფასით, ეს ნიშნავს, რომ მისი ფასი შეადგენს 97%-ს ნომინალის მიმართ ე.ი. 970 დოლარს. ობლიგაციები შეიძლება გაიყიდოს ნომინალზე უფრო მაღალი ფასით - **ფასნამატით**, ანუ **პრემიით**, ან ნომინალზე დაბალი ფასით **ფასდაკლებით**, ანუ **დისკონტით**.¹⁵

ობლიგაციის საბაზრო ფასი მათ საიმედოობაზე (კორპორაციის ფინანსურ სტაბილურობაზე) და საპროცენტო განაკვეთზეა დამოკიდებული. პირველ შემთხვევაში რაც უფრო ნაკლებად საიმედოა ოპერაცია მით უფრო დაბალია მისი საბაზრო ფასი. მეორე შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთსა და ობლიგაციის კურსს შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება: თუ საპროცენტო განაკვეთი იზრდება, ობლიგაციის ფასი ეცემა, ხოლო თუ საპროცენტო განაკვეთი მცირდება, მაშინ ობლიგაციის კურსი იზრდება.

5.8. ბ) სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდები

ნებისმიერი სახელმწიფო თავისი საჭიროებისათვის (ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად, სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციისათვის) ხშირად მიმართავს ფასიანი ქაღალდების გამოშვებას. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება და გაყიდვა საშუალებას იძლევა ქვეყნის ეკონომიკის საჭიროებისათვის მობილიზებული იქნეს მოსახლეობისა და კერძო კომპანიების განკარგულებაში არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები.

არსებობს: სახაზინო მოკლევადიანი ობლიგაციები (სამი თვიდან ერთ წლამდე); სახაზინო საშუალოვადიანი ობლიგაციები, რომელიც გამოშვებულია ერთ წელზე მეტი ვადით მაგრამ არაუმეტეს 10 წლისა; და სახაზინო გრძელვადიან ობლიგაციები რომლის გამოიშვება ხდება 10 წელზე მეტი ვადით.

არამიმოქცევადი სახელმწიფო ობლიგაციები – ეს ობლიგაციები არ ექვემდებარება ყიდვა - გაყიდვას, გადაცემას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სესხების უზრუნველსაყოფად. ასეთს წარმოადგენს საშემნახველო ობლიგაციები.

მუნიციპალური ფასიანი ქაღალდები. კორპორაციისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გარდა არსებობს ასევე **მუნიციპალური ფასიანი ქაღალდები**, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მიერ

გამოცემულ ფასიან ქაღალდებს. ეს სახელმწიფო დაწესებულებებია: საქალაქო მუნიციპალიტეტები, თვითმართვებლობის ადგილობრივი ორგანოები. ეს ქაღალდები ითვლება საიმედო სასესხო ინსტრუმენტად და ამ მაჩვენებლით ჩამოუვარდება მხოლოდ სახაზინო ფასიან ქაღალდებს.

ტრადიციულად მუნიციპალური ობლიგაციების ძირითად მფლობელად გვევლინება არა საქველმოქმედო ორგანიზაციები, ან საპენსიო ფონდები, არამედ ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, სავაჭრო და სხვა კორპორაციები.

5.9 თამასუქი და ჩეკი

თამასუქი – ყველაზე ძველი ფასიანი ქაღალდია, რომელიც პირველად გვხვდება იტალიაში ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში. ტერმინი თამასუქი იტალიური წარმოშობისაა და გაცვლას ნიშნავდა. თამასუქებით ოპერაციები თავდაპირველად დაკავშირებული იყო ერთი ქალაქიდან სხვა ქალაქში ფულის გადაგზავნასთან. მაგრამ შემდეგ უკვე ვაჭრები საქონლის კრედიტით გაყიდვის შემთხვევაში ერთმანეთთან ანგარიშსწორებას თამასუქებით ანხორციელებდნენ.

თანამედროვე პირობებში მრავალი გარიგება თამასუქით განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის სფეროში ხორციელდება. მისი საშუალებით ფორმდება, როგორც კომერციული, ისე საბანკო კრედიტები.

საქართველოში თამასუქის გაცემის, თავდებობის, გადახდის, გამოყენებისა და გადაცემის წესები „თამასუქის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირდება, რომელისც 1995 წლის 19 აპრილს იქნა მიღებული.

ამ კანონის მიხედვით **თამასუქი არის – ფასიანი ქაღალდი, დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას.**

თამასუქების მიმოქცევის შესახებ არა მარტო ეროვნული კანონები, არამედ თამასუქების უნიფიკაციის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებაც არსებობს. მაგ. 1930 წელს უენევის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებაზე დამატების სახით შემუშავებული იქნა „თამასუქის შესახებ“ ერთიანი კანონი, რომელიც პირველად 25 ქვეყანის მიერ იქნა მიღებული. შეთანხმებულმა ქვეყნებმა იკისრეს ამ კანონის შეტანა თავიანთ კანონმდებლობაში. სხვა ქვეყნების მიერ გამოყენებული იქნა მისი ცალკეული დებულებები და ა. შ.

თამასუქი შეიძლება იყოს **მარტივი (სოლო)** და **გადასაპირებელი (ტრატა)**

მარტივი თამასუქით მისი გამცემი კისრულობს ვალდებულებას თვითონ გადაიხადოს თამასუქში მითითებული თანხა.

მარტივი თამასუქის ტექსტი შემდეგი სახისაა:(15)

თბილისი, 1 აპრილი, 2004 წელი

2004 წლის 1 სექტემბერს მე ვუხდი ამ თამასუქით 2 500 ლარს (ორი ათას ხუთასს ლარს) ბატონ გიორგი გაჩეჩილაძეს მოსკოვში

დავით მაღლაკელიძე
სს ყაზბეგი
თბილისი, ვაჟა-ფშაველა, 55

გადასაპირებელი თამასუქით - თამასუქის გამცემი ავალებს სხვა პირს, თამასუქში მითითებულ პირს, გადაუხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა.

გადასაპირებელ თამასუქი, მისი ტექსტი შემდეგნაირად გამოიყურება: (15)

თბილისი, 1 მარტი, 2004 წელი

ამ თამასუქით თქვენ 2004 წ. 1 ივნისს 2 500 ლარს გადაუხდით ბატონ გიორგი გაჩეჩილაძეს.

მიღებულია გადასახდელად პ. ჟღენტი ხელმოწერა	ბატონ პეტრე ჟღენტს სს ყაზბეგი საბითუმო ვაჭრობა, თბილისი რუსთაველი, 22	დავით მაღლაკელიძე სს ყაზბეგი თბილისი, ვაჟა-ფშაველა, 55
--	--	--

გადასაპირებელი თამასუქის შემთხვევაში დავით მაღლაკელიძე არის თამასუქის წარმდგენი (ტრასანტი). იგი პეტრე ჟღენტს უგზავნის საქონელთან ერთად მასზე წარმოდგენილ თამასუქს (არააქცეპტირებულ თამასუქს). თამასუქის მიხედვით პეტრე ჟღენტი ითვლება რა (ტრასატად) გადამხდელად, დოკუმენტის მარცხნივ, სიტყვა მიღებულის ქვემოთ სვამს თავის ხელმოწერას. ამით ის გამოხატავს თანხმობას თამასუქის გადახდაზე და რაც აქცეპტად იწოდება. ხელმოწერილ თამასუქი უგზავნება ტრასანტს (დავით მაღლაკელიძეს). ტრასანტი, რემიტენტს (გიორგი გაჩეჩილაძეს) გადასცემს გადამხდელის მიერ ხელმოწერილ თამასუქს. ამგვარად გადასაპირებელი თამასუქის წარდგენისას მონაწილეობს არა ორი, არამედ სამი მხარე.

თამასუქის წარდგენა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს რაიმე პირობებთან. იგი აბსოლიტური ვალდებულებაა თანხის გადახდაზე. ამასთან თამასუქს ძალა აქვს მხოლოდ კანონით განსაზღვრული რეკვიზიტების ფორმის დაცვის შემთხვევაში. თუ დოკუმენტს აკლია კანონით განსაზღვრული რომელიმე რეკვიზიტი მაშინ მას აღარ აქვს თამასუქის ძალა.

თამასუქის რეკვიზიტები (15)

N	მარტივი თამასუქი	N	გადასაპირებელი თამასუქი
1	სიტყვა „თამასუქი“ დოკუმენტის სათაურში და ტექსტში იმ ენაზე რომელზეც შედგენილია თამასუქი;	1	სიტყვა „თამასუქი“ დოკუმენტის სათაურში და ტექსტში იმ ენაზე, რომელზეც შედგენილია თამასუქი;
2	უპირობო ვალდებულება მითითებული ფულადი თანხის გადახდის შესახებ;	2	უპირობო ვალდებულება მითითებული ფულადი თანხის გადახდის შესახებ;
3	გადახდის ვადა;	3	გადამხდელის (ტრასანტი) დასახელება;
4	გადახდის ადგილი;	4	გადახდის ვადა;
5	იმ პირის დასახელება, ვისი განკარგულებით უნდა მოხდეს გადახდა, ან ვისაც უნდა გადაუხადონ (რემიტენტი);	5	გადახდის ადგილი;
6	თამასუქის შედგენის თარიღი და ადგილი;	6	იმ პირის დასახელება, რომელსაც უნდა გადაუხადონ ან რომლის განკარგულებითაც უნდა მოხდეს გადახდა;
7	თამასუქის გამცემის (ტრასანტი) ხელმოწერა.	7	თამასუქის შედგენის თარიღი და ადგილი;
		8	თამასუქის გამცემის ხელმოწერა.

თამასუქი, რემიტენტს შეიძლება სპეციალური წარწერის - **ინდოსამენტის** - მეშვეობით გადაეცეს. ინდოსამენტი უნდა იყოს უპირობო. ის კეთდება თამასუქზე ან მის დამატებით ფურცელზე და მას ხელს აწერს ინდოსანტი (პირი რომელიც წარწერას აკეთებს თამასუქზე). ინდოსამენტში შეიძლება არ იყოს მითითებული ის პირი, რომელის სასარგებლოდაც იგი შესრულდა, ან იგი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ინდოსანტის ხელმოწარისაგან. ასეთ დოკუმენტი საბლანკო ინდოსამენტს წარმოადგენს.

ინდოსანტი პასუხს აგებს აქცეპტისა და თამასუქის გადახდისათვის. მას შეუძლია აკრძალოს თამასუქის შემდგომი ინდოსირება. თამასუქი გადასახდელად შეიძლება გადაეცეს შემდეგი ვადების გათვალისწინებით:

- წარდგენისთანავე;
- წარდგენიდან განსაზღვრული დროის განმავლობაში;
- გაცემიდან განსაზღვრული დროის განმავლობაში;
- განსაზღვრულ დროს.

თამასუქს ძალა არ აქვს თუ მასში მითითებულია გადახდის სხვაგვარი ვადა. თამასუქის როგორც მთელი თანხის, ისე ნაწილის გადახდა შეიძლება გარანტირებულ იქნეს თავდებობის გზით, რომელსაც კისრულობს მესამე პირი. თავდებობა ფორმდება თამასუქზე და დანართ ფურცელზე და გამოიხატება სიტყვით „გაცემულია თავდებობა“ და მას თან ახლავს თავდების ხელმოწერა. თამასუქის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ ყველა პირი, რომელმაც გამოწერა თამასუქი, მოახდინა აქცეპტირება, ინდოსირება ან იკისრა სათამასუქო თავდებობა, სოლიდარულად პასუხისმგებელი არიან თამასუქის მფლობელის წინაშე. მფლობელს შეუძლია აღძრას სარჩელი ზემოთ ჩამოთვლილ ყველა პირის მიმართ, თითოეული მათგანის მიმართ ცალ-ცალკე ან ყველას მიმართ ერთად, ვალდებულებათა რიგითობის დაუცველად.

საქართველოში თამასუქების ბაზარი დღემდე პრაქტიკულად განუვითარებელია.

ჩეკი- ჩეკის გაცემის, მოქმედების, ინდოსირების (ინდოსამენტი არის გადაცემის შესახებ ჩეკზე წარწერა) თავდებობის და გადახდის წესს არეგულირებს “ჩეკის შესახებ” საქართველოს კანონი. კანონით ჩეკი შემდგენილია განისაზღვრება:

ჩეკი – დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდია, რომელიც შეიცავს ჩეკის გაცემის წერილობით დაგეგმვას საბანკო დაწესებულებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა.

ჩეკი პირველად წარმოიქმნა XVIII საუკუნის ბოლოს. საერთაშორისო საგადასახდელო ბრუნვაში ჩეკმა მოიპოვა თითქმის ისეთივე მნიშვნელობა, როგორც თამასუქმა. 1930-31 წ.წ უმრავლესი ქვეყნის მიერ „თამასუქებისა და ჩეკების შესახებ“ მიღებული იქნა ქენევის კონვენცია. ამ ქვეყნებმა გამოთქვეს მზადყოფნა ქენევის კონვენციის პრინციპები საკუთარ კანონმდებლობაში გადაეტანათ.

კანონი მკაცრად განსაზღვრავს ჩეკის ფორმას. ჩეკი შეიცავს:

- დოკუმენტის სათაურში სიტყვას „ჩეკი“ და ტექსტში იმ ენაზე, რომელზეც შედგენილია ტექსტი;
- უპირობო დათქმას მითითებული თანხის გადახდის შესახებ;
- გადამხდელის დასახელებას;
- განაღდების ადგილს;
- ჩეკის გამოწერის ადგილსა და თარიღს;
- ჩეკის გამომწერის ხელმოწერას.

ჩეკს, რომელსაც არ გააჩნია ზემოთ ჩამოთვლილი რეკვიზიტები, ჩეკის ძალა არა აქვს. ჩეკის გადაცემის ფორმების მიხედვით არსებობს მისი შემდეგი სახეები:

- სახელობითი ჩეკი;
- საორდერო ჩეკი, რომელიც შეიძლება გამოიწეროს გასანაღ-დებლად კონკრეტული პირის სახელზე, მითითებით „განკარგულებით“, ან მითითების გარეშე. ჩეკის ეს სახე უპირატესად საერთაშორისო ბრუნვაში გამოიყენება ვიდრე შიდა ბრუნვაში.
- ჩეკი წარმომდგენზე.

გადახდის მიხედვით განასხვავებენ საანგარიშსწორებო და განსხვავებულ (კროსირებულ) ჩეკებს. საანგარიშსწორებო ჩეკის მიხედვით ჩეკის გამცემს ან მის მფლობელს შეუძლია აკრძალოს ჩეკის ნაღდი ფულით განაღდება, ჩეკის წინა პირზე დიაგონალური წარწერით ანგარიშსწორებისათვის. ასეთი ჩეკის თანხა ჩამოიწერება გადამხდელის ანგარიშიდან და შეიტანება ჩეკის წარმდგენის ანგარიშზე.

განსხვავებული ანუ კროსირებული ჩეკი გადახაზულია ორი პარალელური დიაგონალური ხაზით ჩეკის წინა პირზე. ჩეკის გამცემი ან მფლობელი ასეთ ნიშანს ადებს ჩეკის შესაძლო გამოყენების შეზღუდვის მიზნით.

თამასუქისაგან განსხვავებით, ჩეკის განაღდება წარდგენისთანავე ხდება. ჩეკის გაუნაღდებლობის ან განაღდებაზე უარის შემთხვევაში ჩეკის მფლობელს შეუძლია პრეტენზია წაუყენოს ჩეკის გამცემს, ინდოსანტს, ან ჩეკით ვალდებულ სხვა პირებს. ჩეკით ვალდებული ყველა პირი სოლიდარულად აგებს პასუხს ჩეკის მფლობელის წინაშე. მფლობელი უფლებამოსილია წარუდგინოს სარჩელი როგორც ყველა პირს, ასევე ერთ მათგანს, ან რამდენიმეს ერთდროულად, მიუხედავად იმ თანამდებობისა, რომლითაც მათ ვალდებულება იკისრეს.

ტერმინები და ძირითადი ცნებები:

ფასიანი ქაღალდების სფერო; ფასიანი ქაღალდი; ემიტენტი; ინვესტორი; აქცია; ობლიგაცია; თამასუქი; ჩეკი.

კითხვები განმეორებისათვის

- ფასიანი ქაღალდების სფერო, დამახასიათებელი ნიშნები, ცნება.
- ფასიანი ქაღალდების სფერო, ფუნქციები, არსი.
- ჩამოთვალეთ ფასიანი ქაღალდების სფეროს პრინციპები.
- რამდენი ქვესისტემისაგან შედგება ფასიანი ქაღალდების სისტემა? დაახასიათეთ თითოეული ქვესისტემა.
- ფასიანი ქაღალდების სფეროს სტრუქტურა, ჩამოთვალეთ და განმარტეთ მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტები.
- როგორი სახით შეიძლება არსებობდეს ფასიანი ქაღალდები?
- ჩამოთვალეთ ფასიანი ქაღალდების სახეები.
- ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია მათი გამოყენების ხანგრძლიობის მიხედვით
- რას წარმოადგენს კორპორაციის აქციები? ვინ უშვებს მას და როგორ ხდება მისი შეფასება?
- რას წარმოადგენს აქციის სერტიფიკატი?
- განმარტეთ აქციის სახეები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ფუნქციონირების და შემოსავლის ფორმების მიხედვით.
- განსაზღვრეთ რა არის ობლიგაცია და ჩამოთვალეთ ობლიგაციების ძირითადი კატეგორიები.
- დაახასიათეთ კორპორაციის ობლიგაციები, რითი განსხვავდება ობლიგაციონერ-რი აქციონერისაგან? რა ნიშნავს ანუიტეტი?
- როგორ იყოფა ობლიგაციები დაფარვის ვადის მიხედვით და რა აღინიშნება ობლიგაციის სერტიფიკატიზე?
- დაახასიათეთ ობლიგაციების კლასიფიკაცია უზრუნველყოფის მიხედვით.
- როგორ ხდება ობლიგაციებით ვაჭრობა და როგორ ხდება ობლიგაციების შეფასება?
- რისთვის არის საჭირო სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდები?
- დაახასიათეთ თამასუქი, როგორც ფასიანი ქაღალდი.
- თამასუქი რამდენი სახის შეიძლება იყოს? რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?
- რა რეკვიზიტები უნდა გააჩნდეს მარტივ თამასუქს და გადასაპირებელ თამასუქს?
- განსაზღვრეთ ჩეკი, როგორც ფასიანი ქაღალდი, როდის წარმოიშვა და რა შემთხვევაში გამოიყენება?
- რას უნდა მოიცავდეს ჩეკის ფორმა? ჩამოთვალეთ რეკვიზიტები.
- ჩამოთვალეთ და განმარტეთ ჩეკის სახეები; გადაცემის ფორმის მიხედვით და გადახდის მიხედვით.

ნაწილი III. საზინანსო ინსტიტუტები

თავი 1. საზინანსო სისტემა და საზინანსო ინსტიტუტები

ქვეყანაში უსაფრთხო საფინანსო პოლიტიკის გატარება შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტების მიერ უნდა განხორციელდეს. მესამე ნაწილის პირველ თავში, საფინანსო ინსტიტუტები განხილულია ფუნქციური დანიშნულების მიხედვით; დახასიათებულია საქართველოში სახელმწიფო ფინანსების მარეგულირებელ საფინანსო ინსტიტუტები, მათი მიზნები, ამოცანები და ფუნქციები.

ინსტიტუტი ლათინური სიტყვაა (institutum) - და დამყარებას, დაწესებას, დაწესებულებას ნიშნავს. ქვეყნის ეროვნული შემოსავლის განაწილება - გადანაწილება, ხელისუფლების მიერ შემუშავებული საფინანსო პოლიტიკის საფუძველზე, საფინანსო ინსტიტუტების მიერ ხორციელდება. ისინი თავიანთ მომსახურებას თავაზობენ როგორც ოჯახურ მეურნეობებს და ფირმებს (კორპორაციებს), ისე ხელისუფლებას.

ქვეყანაში უსაფრთხო საფინანსო პოლიტიკის გატარება, მხოლოდ ფინანსების ეფექტური მენეჯმენტითაა შესაძლებელი. რაც თავის მხრივ, როგორც საფინანსო სისტემის ცალკეულ სფეროებში ისე მთლიანად ქვეყანაში, ფულადი რესურსების მობილიზებისა და გამოყენების მუდმივი ცვალებადი პირობების შესწავლას და მიზნობრივ წარმართავს ითვალისწინებს.

არსებობს მრავალი საფინანსო ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობითაც წარმოებს ეკონომიკაში მშპ-ს მოძრაობა და საფინანსო სისტემის ფუნქციონირება. ამასთან თუ კი საფინანსო ინსტიტუტებს განვიხილავთ, როგორც სისტემას, მაშინ ფუნქციური დანიშნულების მიხედვით საფინანსო ინსტიტუტები, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სამი ძირითადი ქვესისტემისაგან შემდგარი მთლიანობა. კერძოდ:


*სახელმწიფო ფინანსების მარეგულირებელი საფინანსო ინსტიტუტები;

* საფინანსო ბაზრები;

* საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. იხ. სქემა 1 საფინანსო ინსტიტუტები.

1.1 სახელმწიფო ფინანსების მარეგულირებელი ინსტიტუტები

ფინანსები, როგორც ეკონომიკური ისე, სამართლებრივი კატეგორიაა. შესაბამისად ცალკეულ ქვეყნებში საფინანსო ურთიერთობა რეგულირდება ამ ქვეყნებში მიღებული სამართლებრივი ნორმებით. როგორც ეს უკვე, სალექციო კურსის პირველი ნაწილის მესამე თავში, განვიხილეთ სახელმწიფო ფინანსების ქვესისტემებია: ბიუჯეტი, საკრედიტო სფერო, სადაზღვევო სფერო და ფასიანი ქაღალდების სფერო.



სქემა 1 საფინანსო ინსტიტუტები

საქართველოში სახელმწიფო ფინანსების რეგულირების ფუნქცია განაწილებულია სახელმწიფო ორგანოებზე - სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტებზე. კერძოდ:

- სახელმწიფო ბიუჯეტს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მართავს;
- საკრედიტო სფეროს სახელმწიფო რეგულირება საქართველოს ეროვნულ ბანკის მიერ ხდება;
- ქვეყანაში სადაზღვევო სფეროს სახელმწიფო რეგულირების მიზნით შექმნილია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური;
- ფასიანი ქაღალდების სფეროს, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისია არეგულირებს.

1.1 ა) „საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო) - არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საბიუჯეტო სფეროში; უზრუნველყოფს საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვას.

თავისი ფუნქციების განხორციელებისას სამინისტრო **სახელმწიფოს** წარმოადგენს.

დღევანდელი სამინისტროს ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისი №39 დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს დებულებით. შესაბამისად სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია:

საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე **ქვეყნის საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის** შესაბამისი ღონისძიებათა განხორციელება;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, **სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესის კოორდინაცია;**

სამინისტროს ევალუა:

საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი დებულებებისა და საქართველოს ეოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მონაცემთა და მიმართულებათა ჩამოყალიბება, აგრეთვე შესაბამისი საფინანსო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება და დაგეგმილ ვადებში მისი მთავრობისათვის წარგენა.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსების უზრუნველყოფა, საბიუჯეტო დეფიციტის ზღვრული სიდიდის გაანგარიშება და მისი დაფინანსების წყაროს გამოძებნა;

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, ბიუჯეტის შემოსულობათა ოპერატიული მართვა;

საბიუჯეტო კლასიფიკაციის სტრუქტურისა და ძირითადი შემადგენლობის დამტკიცება, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით მათში ცვლილებების შეტანა;

საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისას საქართველოს საბანკო დაწესებულებებში ბიუჯეტის საკასო შესრულების კონტროლის დაწესება და საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად, როგორც აგენტ ბანკთან ერთად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი პარამეტრის დაცვაში მონაწილეობა;

საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, შესაბამისი კონცეფციების ჩამოყალიბება, პროგრამების შედგენა და მათი განხორციელების ორგანიზება. საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე, გადასახადების აკრეფის მდგომარეობის გაუმჯობესების გზით, საგადასახადო შემოსავლების სრული მობილიზების უზრუნველყოფა;

არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზირება და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადება;

სახელმწიფო საგარეო და საშინაო პირდაპირი და პირობითი (გარანტირებული) ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა, აგრეთვე ამ ვალდებულებათა მართვასა და მომსახურებაში მონაწილეობა;

სხვადასხვა ვადიანი სახელმწიფო სასესხო ვალდებულებების გამოშვების, მიმოქცევისა და დაფარვის ძირითადი პირობების შემუშავება, ემისიების განხორციელება და მის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შესრულება და სხვა.

სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ მინისტრი.

სამინისტროს სისტემაში შედის: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები; რაიონებისა და იმ ქალაქების საფინანსო ორგანოები, რომლებიც არ შედიან რაიონის გამგებლობაში; სახელმწიფო საქვეყნო დაწესებულებები: გენერალური ინსპექცია, საბაჟო დეპარტამენტი, საგადასახადო დეპარტამენტი, სახაზინო სამსახური, ფინანსური პოლიცია, ძვირფასი ლი-

თონებისა და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტი. სამინისტრო დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებს ანხორციელებს მისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მის სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწებო დაწესებულებების მეშვეობით.

1.1 ბ) საქართველოს ეროვნული ბანკი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებამდე შეიქმნა საქართველოს ცენტრალური, შემდეგ უკვე საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს ეყრდნობა. მას უფლება აქვს დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი მონეტარული და სახედამხედველო პოლიტიკა.

ეროვნული ბანკის ამოცანები

ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანებია: ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების, აგრეთვე საბაზრო ურთიერთობაზე დაფუძნებული საფინანსო საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის და მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ეროვნული ბანკის ფუნქციები

ეროვნული ბანკის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებია: ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა შემუშავება და განხორციელება.

კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის ზედამხედველობა მათი ლიცენზირების, რეგულირებისა და შემოწმების მეშვეობით, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში მართვა და ლიკვიდაცია.

ფლობს ინახავს და განკარგავს საერთაშორისო რეზერვებს. არის საქართველოს მთავრობის ბანკირი მრჩეველი და ფისკალური აგენტი. უზრუნველყოფს საგადასახადო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებას.

კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის აწესებს ბასს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები) შესაბამისი ბუღალტრული ანგარიშგების წესებსა და პროცედურებს.

ეროვნული ბანკი მთლიანად პასუხისმგებელია საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის. აღნიშნულის რეალიზების მიზნით კი ისეთ ძირითად ინ-

სტრუქტურებს იყენებს: როგორცაა ოპერაციები ღია ბაზარზე, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, ეროვნული ბანკის სადისკონტო ოპერაციები, კრედიტის გაცემა სხვა ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის.

კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ მის საქმიანობაში, გარდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა

ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია ეკონომიკურად და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლით. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებებისათვის, ისევე როგორც საქართველოს მთავრობა პასუხს არ აგებს ეროვნული ბანკის ვალდებულებებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეროვნული ბანკი ან მთავრობა თვითონ კისრულობს ასეთ ვალდებულებებს.

ეროვნული ბანკის ორგანიზაცია და მმართველობა

ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომელიც 9 წევრისაგან შედგება.

ეროვნული ბანკის საბჭო შეიმუშავებს საქართველოს ფულად-საკრედიტო და საფალუტო პოლიტიკას და ზედამხედველობას უწევს მის განხორციელებას.

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები არიან საქართველოს მოქალაქეები, ცნობილი პატიოსნებით და აღიარებულნი პროფესიონალიზმით საბანკო, ფულად-საკრედიტო და საფინანსო საქმიანობის სფეროში.

ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში, საბჭოს თავმჯდომარის გარდა, შედიან ეროვნული ბანკის სამი ვიცე-პრეზიდენტი და ხუთი სხვა წევრი.

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით შვიდი წლის ვადით, პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის გადაყენება საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით.

დასაშვებია საბჭოს წევრების ხელახალი არჩევა. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის მაგივრად აირჩევა ახალი წევრი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებს - ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

ეროვნული ბანკის საბჭო, უმაღლეს ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას უწევს ეროვნული ბანკის მთელ საქმიანობას.

ეროვნული ბანკის საბჭომ პერიოდულად უნდა შეაფასოს ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა და ეკონომიკური ვითარება. ამ მიზნით ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა სულ ცოტა კვარტალში ერთხელ საბჭოს მოახსენებს: ეროვნული ბანკის საქმიანობის, მის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების, საბანკო სისტემისა და ეროვნული ფულის ერთეულის სიმყარის, საფინანსო, სავალუტო და კაპიტალის ბაზრების მდგომარეობის თაობაზე.

ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილია: განსაზღვროს ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, მათ შორის ეროვნული ბანკის ღიმიტები ღია ბაზრის ოპერაციებზე, საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ბანკის სააღრიცხვო და სასესხო ოპერაციების მიხედვით, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების მიერ ეროვნულ ბანკში შესანახი სავალდებულო რეზერვების მოცულობა.

დაადგინოს სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი; დაამტკიცოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტი; წარადგინოს წინადადებები ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალის მოცულობაში ცვლილებების შეტანის შესახებ; შექმნას სპეციალური დანიშნულების რეზერვები; განიხილოს, დაამტკიცოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ეროვნული ბანკის წლიური მოხსენებები და საფინანსო ანგარიშგებანი.

ეროვნული ბანკის კაპიტალი

ეროვნული ბანკის განცხადებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 15.000.000 (თხუთმეტი მილიონი) ლარს. მასში ცვლილებების შეტანა შეიძლება ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგენის საფუძველზე პარლამენტის გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალის მთელი ეს თანხა არ ექვემდებარება გადაცემას და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს უზრუნველყოფის სახით.

ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო ფუნქციები

საქართველოს ეროვნული ბანკი მთლიანად პასუხისმგებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის, გარდა კანონით გათვლისწინებული შემთხვევისა.

თუ კი საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციის შემდეგ საქართველოს პარლამენტი ან საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ შეესაბამება კანონით განსაზღვრულ ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის უმთავრეს ამოცანას, ან ხელს არ უწყობს მის შესრულებას, საქართველოს პარლამენტს ან საქართველოს პრეზიდენტს შეუძლიათ დააყენონ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის საკითხი, რის შემდეგაც ეროვნულ ბანკთან კონსულტაციებით განისაზღვრება ეროვნული ბანკის მიერ განსახორციელებლად ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის საჭიროება.

თუ პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ეროვნულმა ბანკმა თავისი სტაბილურობის უზრუნველყოფის ინტერესების შესაბამისად უნდა შეცვალოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მაშინ ეროვნული ბანკი დაუყოვნებლივ შეუდგება შეცვ-

ლილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას და განახორციელებს მას პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. პარლამენტის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილებების ხასითი, აგრეთვე პრინციპული მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ მისი შეცვლის საჭიროებას, გადაწყვეტილების მოქმედების ვადის აღნიშვნით, იმ პირობის მითითებით, რომ მას პარლამენტი არ გააუქმებს ან არ შეცვლის.

თუ ეროვნული ბანკი არ დაეთანხმა პარლამენტის გადაწყვეტილებას, ავტომატურად დგება ეროვნული ბანკის საბჭოს ვადამდე გადარჩევის საკითხი.

ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობას. იგი მოიცავს ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, ნებისმიერი სახის შემოწმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების დროებით ადმინისტრაციულ მართვასა და ლიკვიდაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი და საფინანსო ანგარიშგება კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მაკონტროლებელი პირებისაგან. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოიკვლიოს კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების კაპიტალის წარმოშობის წყაროები და მათზე კონტროლის განმახორციელებელი პირები, აგრეთვე კონტროლის განხორციელების გარემოებები.

კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიუწოდებლობის ან დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს კონტროლის გაუქმება ან შეზღუდვა. ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ, გამოიყენოს სანქციები და ღონისძიებები ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და ოდენობით.

საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისათვის ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

გამოსცეს შესაბამისი დადგენილებები, ბრძანებები, დებულებები, წესები, ინსტრუქციები, სახელმძღვანელოები, მითითებები, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები და დააწესოს სანქციები, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს საფინანსო-საკრედიტო სისტემის სიმტკიცისათვის;

ზედამხედველობა გაუწიოს და შეამოწმოს ნებისმიერი კომერციული ბანკი, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება და ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, შეამოწმოს მათი შვილობილი საწარმოები, გარდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ ლიცენზირებული პირებისა. ჩაატაროს მათი საბუღალტრო ანგარიშების, სახსრების, დავთრების, საბუთების და სხვა მასალების რევიზია, მიიღოს მათგან ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის. შემოწმების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას მასალები გადაეცემა შესაბამის ორგანოებს;

გაუზარდოს კომერციულ ბანკებსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს სავალდებულო რეზერვების ნორმები, შეუწყვიტოს აქტიური ოპერაციები, აუკრძალოს მოგების განაწილება, დივიდენდების დარიცხვა და გაცემა, შრომის ანაზღაურების გაზრდა, პრემიებისა და სხვა მსგავსი ანაზღაურების გაცემა, მოითხოვოს დამატებითი კაპიტალის მოზიდვა, გაუზარდოს აქტივების და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ნორმები;

ხელმოწერის უფლება შეუჩეროს კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ადმინისტრატორსა და ბუღალტერს, დააკისროს მათ ფულადი ჯარიმა და მოითხოვოს მათი თანამდებობიდან გათავისუფლება. ფულადი ჯარიმა გადაახდევინოს კომერციულ ბანკს, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას, ვალუტის გადამცვლელ პუნქტს და გაუუქმოს თავის მიერ გაცემული ლიცენზიები. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი, აგრეთვე, ლიცენზიის გაცემის, შეჩერებისა და გაუქმების წესები და პირობები განისაზღვრება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით.

კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ლიკვიდატორს და დროებით ადმინისტრატორს ნიშნავს, მხოლოდ ეროვნული ბანკი და ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ეროვნული ბანკის წინაშე. ლიკვიდატორზე და დროებით ადმინისტრატორზე გადადის კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ყველა ორგანოს (მათ შორის აქციონერთა საერთო კრების) სრული უფლებამოსილება.

1.1 გ) საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია დაზღვევის სფეროში სახელმწიფოებრივი მიზნების განსახორციელებლად და სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით.

სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

სამსახურის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები, დებულებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტები სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოში რეგისტრირებული სადაზღვევო და გადაზღვევის ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე სადაზღვევო ბროკერებისა და აგენტებისათვის მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, გარდა სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და სახელმწიფო სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ორგანიზაციებისა.

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 16 სექტემბრის №371 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ დებულებით. ის პასუხისმგებელია დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისათვის.

სამსახურის ამოცანები

სამსახურის ძირითადი ამოცანებია: სადაზღვევო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელება; სადაზღვევო საქმიანობის კოორდინაცია; მზღვეველთა, დამზღვევეთა და დაზღვეულთა უფლებების დაცვა; სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედობაუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა; საქართველოში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა;

სადაზღვევო მექანიზმების სრულყოფა; სადაზღვევო ბაზრის რეგულირება და დაცვის ხელშეწყობა; სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობა; სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება.

სამსახურის ფუნქციები:

სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზირება; სადაზღვევო ორგანიზაციათა რეესტრის წარმოება; ლიცენზიის ასაღებად აუცილებელი შევსებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის დაწესება (მათ შორის ფულადი) მზღვეველის მიერ გამოყენებული სადაზღვევო ტარიფების გათვლის მეთოდის შემუშავება და მათი გამოყენებისადმი ზედამხედველობის განხორციელება; მზღვეველთა გადახდისუნარიანობის კონტროლი;

სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების ნუსხის განსაზღვრა, მათი შექმნის, განთავსებისა და ინვესტირების წესების დადგენა და გამოცემა; მზღვეველის აქტივებსა და აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდის შემუშავება და ნორმატიული მოცულობის დადგენა და გამოცემა; მზღვეველის მიერ მოზიდულ ფინანსურ საშუალებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის დადგენა და გამოცემა; ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტაციის გამოცემა სადაზღვევო საქმიანობის იმ საკითხებზე, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით განეკუთვნება სამსახურის კომპეტენციას.

სამსახურის უფლებამოსილებანი

სამსახური უფლებამოსილია: მზღვეველისა და დამზღვევისაგან მიიღოს ანგარიშგება და შეამოწმოს მათ მიერ განხორციელებული ანგარიშგების უტყუარობა; მიმართოს სასამართლოს იმ ორგანიზაციის ლიკვიდაციის მოთხოვნით, რომელიც სადაზღვევო ან დაზღვევის სფეროში საბროკერო საქმიანობას ახორციელებს ლიცენზიის გარეშე; მოამზადოს საქართველოს საკანონმდებლო აქტების ან მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო საქმიანობასთან; შექმნას, რეორგანიზაცია მოახდინოს ან გააუქმოს სამსახურის ტერიტორიული ორგანოები (ინსპექციები) მოქმედი კანონმდებლობით შესაბამისად; კონსულტაციების მიღების მიზნით მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები და სხვა.

სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

სამსახურში იქმნება კოლეგია (სათათბირო ორგანო), რომელშიც შედიან: სამსახურის უფროსი (კოლეგიის თავმჯდომარე); სამსახურის უფროსის მოადგილეები და სამსახურის ცენტრალური აპარატის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. კოლეგიის წევრთა რაოდენობასა და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს სამსახურის უფროსი.

სამსახურის კოლეგია თავის სხდომებზე იხილავს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენი ანგარიშის, საკანონმდებლო აქტების, სამსახურის, სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ინსპექციების დებულებების, მნიშვნელოვანი ბრძანებების, წესების, ნორმატივებისა და ინსტრუქციების პროექტებს. ისმენს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ინსპექციების უფროსების ანგარიშებს, დავალებათა შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის და სხვა საკითხებს.

1.1 დ) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია

საქართველოში ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია.

კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

კომისიის დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დადგენილი წესით.

კომისიის წევრები - კომისია შედგება ხუთი წევრისაგან, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საჯარო სამსახურში მუშაობის, იურიდიული ან სამეწარმეო საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება, ან/და წარმოადგენდნენ ექსპერტებს ამ სფეროში. კომისიის ხუთივე წევრს, აგრეთვე მათგან ერთ-ერთს კომისიის თავმჯდომარედ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

კომისიის თავმჯდომარე და წევრები ინიშნებიან 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ორი ვადით. თუ წევრი არასრული ვადით არის დანიშნული, იგი შეიძლება დაინიშნოს 5-წლიანი ვადით მხოლოდ ერთხელ, არასრული ვადის გასვლის შემდეგ.

კომისიის ფუნქციები

კომისიის ძირითადი ფუნქციებია: დაამტკიცოს კომისიის პროსპექტები ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისათვის და უზრუნველყოს ემიტენტთა მიერ მასში მოცემული პირობებისა და მოვალეობების შესრულება; წარადგინოს ოფიციალური განმარტებები და რეკომენდაციები საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებულ საკითხებზე; რჩევა მისცეს და კონსულტაცია გაუწიოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა საკითხზე; წარადგინოს წინადადებები კანონმდებლობასა და მასში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას;

გაცეს, შეცვალოს, შეაჩეროს ან გამოითხოვოს ლიცენზიები ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეებისგან; განახორციელოს მონიტორინგი, შემოწმებები, გამოკვლევები და ზედამხედველობა გაუწიოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობას, მისი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად;

მიიღოს და გამოითხოვოს გადაწყვეტილება იურიდიული პირის თვითრეგულირებად ორგანიზაციად აღიარების შესახებ; რეკომენდაცია გაუწიოს ფასიანი ქაღალდების ბაზრისათვის საჭირო სააღრიცხვო სტანდარტებს, ასეთი სტანდარტების ჩამომყალიბებელ ინსტიტუტებთან კონსულტაციების მეშვეობით;

დადგენილი წესით გამოიყენოს სანქციები ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის, გამოაქვეყნოს ინფორმაცია ასეთი დარღვევებისა და მათზე პასუხისმგებლობის შესახებ;

კომისიის წესების თანახმად მოაწიოს: გამოცდები ბროკერების ცოდნისა და კომპეტენტურობის შეფასების მიზნით; ატესტაცია ფასიანი ქაღალდების რეესტრის მწარმოებელ ფიზიკურ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად და გასცეს მათზე საკვალიფიკაციო ატესტატები;

გასწიოს დახმარება ანგარიშვალდებული საწარმოების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების შესახებ საჭირო საინფორმაციო ბაზის შესაქმნელად;

ხელი შეუწყოს ინვესტორების დასაცავად სპეციალური სადაზღვევო ფონდის შექმნა-განვითარებას, თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ინვესტორი კლიენტების დასაკმაყოფილებლად;

გამოიყენოს არასახელმწიფო საკენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობითა და სხვა იმ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომლებიც ეხება ინვესტიციებს, ფასიან ქაღალდებს ან ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებებს;

გამოავლინოს, თავიდან აიცილოს და აღკვეთოს დარღვევები ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის სფეროში და ამ მიზნით ჩაატაროს შემოწმებები კომისიის წესების შესაბამისად; კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი ანგარიშვალდებულ საწარმოთა მიერ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული დებულებების დაცვაზე.

კომისიის უფლებამოსილება

კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა საქმიანობა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად.

თუ შემოწმების პერიოდში კომისიამ აღმოაჩინა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევა, იგი უფლებამოსილია: მოსთხოვოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეს ან ემიტენტს, აღმოფხვრას დარღვევა, ამ მიზნით გასცეს ბრძანებები (მითითებები) და ღირეპტივები და ზედამხედველობა გაუწიოს მათ შესრულებას;

დარღვევის შესახებ შეადგინოს ოქმი და იმ პირებს, რომლებმაც დაარღვიეს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა, დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

შემოწმების პროცესში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის მიერ კომისიის მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მისი ლიცენზიის შეჩერების ან გამოთხოვის საფუძველი.

თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის ან ემიტენტის საქმიანობის შემოწმების შედეგად კომისია დაადგენს, რომ მისი ქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, კომისია შემოწმების მასალებს უგზავნის მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანოებს.

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

- ფუნქციური დანიშნულების მიხედვით საფინანსო ინსტიტუტებს როგორ განიხილავენ?
- რამდენი ქვესისტემისაგან შედგება სახელმწიფო ფინანსები?
- რომელი საფინანსო ინსტიტუტების მიერ ხორციელდება სახელმწიფო საფინანსო სისტემის ცალკეული ქვესისტემების სახელმწიფო რეგულირება?
- რომელი სახელმწიფო ინსტიტუტი ანხორციელებს საბიუჯეტო საფეროში სახელმწიფო რეგულირებას?
- ვინ განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფუნქციებს?
- ჩამოთვალეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფუნქციები.
- რომელი სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტი ანხორციელებს ფულად-საკრედიტო სფეროს რეგულირებას?
- რას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი?
- ჩამოთვალეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცნები.
- ჩამოთვალეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციები.
- რას ნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკი არის დამოუკიდებელი?
- ვინ ანხორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველობას?
- ჩამოთვალეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო ფუნქციები.
- ვინ არეგულირებს სადაზღვრეო სფეროს საქართველოში?
- ჩამოთვალეთ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ამოცანები.
- ჩამოთვალეთ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციები.
- ვინ ხელმძღვანელობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ?
- ვინ არეგულირებს ფასიანი ქაღალდების სფეროს საქართველოში?
- ჩამოთვალეთ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ამოცანები და ფუნქციები.
- ვინ ხელმძღვანელობს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას საქართველოში?
- რა უფლებები გააჩნია ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას?

თავი 2. საფინანსო ბაზრები

მესამე ნაწილის მეორე თავის გაცნობის შემდეგ გვეცოდინება: რას წარმოადგენს საფინანსო ბაზრები; რა კავშირი აქვს საფინანსო ბაზარს სასესხო კაპიტალის ბაზართან; რა ფუნქციები გააჩნია სასესხო კაპიტალის ბაზარს და რაში მდგომარეობს მისი არსი. ინსტიტუციური ნიშნის მიხედვით, როგორ დავახასიათოთ სასესხო კაპიტალის ბაზრი; რას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების „პირველადი“ და „მეორადი“ ბაზარი, რა არის კოტირება და როგორ განისაზღვრება ფასიანი ქაღალდების კურსი; რას წარმოადგენს არასაბირეო ბაზარი და რა ფუნქციას ასრულებს განვითარების თანამედროვე პერიოდში.

2.1 სასესხო კაპიტალის ბაზრის უწყვეტი და არსი

თანამედროვე საფინანსო ინსტიტუტების სისტემაში ერთ-ერთ ძირითად ქვესისტემას საფინანსო ბაზრები წარმოადგენს. ისინი აქტიურად მონაწილეობენ და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ შემოსავლების განაწილება - გადანაწილების პროცესში. საფინანსო ბაზარზე ისევე, როგორც ნებისმიერ ბაზარზე არის მყიდველი, გამყიდველი და შუამავალი.

საფინანსო ბაზრების წარმოშობა უშუალოდაა დაკავშირებული სასესხო კაპიტალთან. სასესხო კაპიტალი წარმოიშვა და ვითარდება კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში. სასესხო კაპიტალის პროცენტის მომტანი კაპიტალია.

სასესხო კაპიტალის ძირითადი წყაროა - კვლავწარმოების პროცესში გამონთავისუფლებული ფულადი კაპიტალია. მას მიეკუთვნება:

- **საწარმოს საამორტიზაციო ფონდი**, რომლის დანიშნულებაც ძირითადი საშუალებების განახლება აღდგენა და გაფართოება (**ძირითადი საშუალება** - სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭირო ხანგრძლივი გამოყენების წარმოების საშუალება);
- **საბრუნავი კაპიტალის ნაწილი**, რომლის დროებით გამონთავისუფლება, პროდუქციის რეალიზაციისა და მატერიალური ხარჯების განხორციელების პროცესშია შესასძლებელი;
- **ფულადი საშუალებები**, რომელიც პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულისა და ხელფასის ანაზღაურებას შორის დროის შუალედში წარმოიქმნება;
- **მოგება (გაუნაწილებელი მოგება)**, რომელიც წარმოების განახლებისა და აღდგენისათვის არის განკუთვნილი;
- მოსახლეობაში არსებული **ფულადი შემოსავლები და დანახოვები**;
- სახელმწიფო საკუთრების ფლობიდან მიღებული სახელმწიფოს ფულადი დანაზრები; მთავრობის - საწარმოო, კომერციული და საფინანსო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი; ცენტრალური და კომერციული ბანკების დადებითი სალდო.

სასესხო კაპიტალის წყაროდ, უკანასკნელი 20-30 წლების განმავლობაში, სულ უფრო მეტად გამოიყენება მოსახლეობის დანახოვი. ეს ტენდენცია გამოიკვეთა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აშშ. ინგლისი, კანადა, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, და სხვა ქვეყნები. როგორც წესი მოსახლეობის დანახოვი

გადაიქცევა: ბანკების სარეზერვო ფონდებად; საპენსიო ფონდისა და სადაზღვევო კომპანიების რეზერვებად და ასევე სხვადასხვა ფასიან ქაღალდებად.

სასესხო კაპიტალის ბაზრის არსი სასესხო კაპიტალის ფუნქციებით უნდა აიხსნას. ექსპერტები ასეთ ხუთ ძირითად ფუნქციას გამოყოფენ:

- სასესხო კაპიტალის გამოყენებით ხდება **საქონლის მიმოქცევის მომსახურება**;
- სასესხო კაპიტალით წარმოებს ფირმების, მოსახლეობის, სახელმწიფოსა და ასევე უცხოელი კლიენტების ფულადი დანაზოგის **აკუმულიაცია ან შეგროვება**;
- სასესხო კაპიტალის უმნიშვნელოვანესი ფუნქციას წარმოადგენს ასევე **ფულადი ფონდებად მისი უშუალო ტრანსფორმაცია**, რომელიც კაპიტალდაბანდების მიზნით წარმოების პროცესში გამოიყენება.

სასესხო კაპიტალის ამ სამი ფუნქციის აქტიური გამოყენება, განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში, დაიწყეს იმ ქვეყნებმა სადაც მრეწველობა კარგად იყო განვითარებული.

სასესხო კაპიტალის მეოთხე ფუნქცია **სახელმწიფოსა და მოსახლეობის მომსახურებაა**. კერძოდ სასესხო კაპიტალი წარმოადგენს, როგორც სახელმწიფო, ისე სამომხმარებლო ხარჯების დაფარვის წყაროს. სასესხო კაპიტალი უდიდეს როლს ასრულებს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვაში, იპოთეკური დაკრედიტებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. ოთხივე შემთხვევაში სასესხო კაპიტალის გამოდის, როგორც კაპიტალის მოძრაობის თავისებური ფორმა.

მეხუთე ფუნქცია- **სასესხო კაპიტალით ხდება მძლავრი საფინანსო -სამრეწველო ჯგუფების შექმნა**, რაც აჩქარებს კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას.

სასესხო კაპიტალის ფუნქციების რაელიზება სასესხო კაპიტალის ბაზრის მეშვეობითაა შესაძლებელი. რაც თავის მხრივ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას უწყობს ხელს. აღნიშნულიდან გამომდინარე სასესხო კაპიტალის ბაზრის არსი მისი მთავარი დანიშნულება შეიძლება ავხსნათ. კერძოდ **სასესხო კაპიტალის ბაზარი, ეკონომიკაში არსებული დროებით თავისუფალი ფულადი კაპიტალისა და დანაზოგების აკუმულირებით, აჩქარებს კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას და კაპიტალდაბანდების მიზნით ინვესტირების პროცესს.**

თანამედროვე სასესხო კაპიტალის ბაზარი შეიძლება ორი ძირითადი ნიშნით დავახასიათოთ: **დროითი და ინსტიტუციური.**

დროითი ნიშნის მიხედვით, სასესხო კაპიტალის ბაზარს მიეკუთვნება:

- ერთ წლამდე კრედიტისა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი;
- კაპიტალის ბაზარი.

კაპიტალის ბაზარს მიეკუთვნება:

- ერთი წლიდან ხუთ წლამდე საშუალოვადიანი კრედიტის ბაზარი;
- ხუთი და მეტი წლით გრძელვადიანი კრედიტისა და ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო სერტიფიკატებსა და სხვა სახესხვაობების) ბაზარი.

ინსტიტუციური ნიშნის მიხედვით, თანამედროვე სასესო კაპიტალის ბაზარი მოიცავს ორ ძირითად რგოლს: **კრედიტის ბაზარს და ფასიანი ქაღალდების ბაზარს.**

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყველა ქვეყანას გააჩნია სასესო კაპიტალის ბაზარი, როგორც დროითი, ისე ინსტიტუციური ნიშნის მიხედვით. ამასთან ქვეყნის სასესო კაპიტალის ბაზრის მდგომარეობას სასესო კაპიტალის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა ახასიათებს.

2.2 კრედიტის ბაზარი

თანამედროვე კრედიტი, საკრედიტო - საანგარიშსწორებო და საგადასახდელო ურთიერთობათა ერთობლიობას წარმოადგენს. კრედიტის ბაზარი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კრედიტის ფორმების, ისე მრავალრიცხოვანი საკრედიტო ინსტიტუტების მიხედვით. აღნიშნულ ინსტიტუტებში ხდება თავისუფალი ფულადი საშუალებების აკუმულირება და ფორმების, მოსახლეობისა და მთავრობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მისი მიწოდება.

კრედიტის ბაზარზე კრედიტის რეალიზების ძირითადი ფორმებია: კომერციული და საბანკო კრედიტი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მონაწილეთა შემადგენლობით, სესხის ობიექტით, პროცენტის სიდიდით, დინამიკით და ფუნქციონირების სფეროთი.

ფუნქციურ-ინსტიტუციური ნიშნის მიხედვით საკრედიტო სისტემა შეიძლება დაგვით საბანკო და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებად.

ინსტიტუციური ნიშნის მიხედვით საკრედიტო სისტემის სტრუქტურამ, ომის შემდგომ პერიოდში, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. შედარებით შემცირდა ბანკებისა და შესაბამისად გაიზარდა სხვა საკრედიტო ინსტიტუტების როლი. კერძოდ ერთის მხრივ გაიზარდა არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების რიცხოვნობა და მეორეს მხრივ საკრედიტო ინსტიტუტების ერთობლივ აქტივებში იზრდება არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების ხვედრითი წონა. ასეთი ტენდენცია შეინიშნებოდა მრავალ განვითარებულ ქვეყნებში.

ომის შემდგომ პერიოდში საკრედიტო სისტემის გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წარმოების ზრდას, კაპიტალის დაგროვებას და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებას. საკრედიტო მექანიზმის გამოყენება, ეკონომიკის პროგრესულ სფეროებში, ფულადი კაპიტალის მობილიზებისა და კაპიტალდაბანდების კონცენტრაციის საშუალებას იძლევა.

მხოლოდ მძლავრ ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ განახორციელონ ისეთი მასშტაბური საკრედიტო ოპერაციები, რომელიც აუცილებელია თანამედროვე მსხვილი მრეწველობის, ტრანსპორტისა და სხვა ობიექტების დასაფინანსებლად.

საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები თავის ფუნქციებს ეკონომიკაში სამი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ: 1. ეკონომიკის სუბიექტებისათვის სასესო კაპიტალის მიწოდებით; 2) თავისუფალი ფულადი კაპიტალისა და მოსახლეობის ფულადი დანაზოგების აკუმულირებით; 3) ფიქტიური კაპიტალის ფლობით.

2.3 საკრედიტო ინსტიტუტები, საბანკო სისტემა

საბანკო სისტემა - საბანკო სისტემა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების უმნიშვნელოვანეს სახეს წარმოადგენს და დასაქმების თვალსაზრისით ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი დარგია. ბანკი განსაკუთრებული ინსტიტუტია, რომელიც ეწევა ფულადი საშუალებების აკუმულირებას, ანგარიშსწორებას და ფულის ემისიას. საბანკო სისტემა მისი ფუნქციებისა და ოპერაციების მიხედვით იყოფა ცენტრალურ ბანკად და კომერციულ ბანკებად.

ცენტრალური ბანკების წარმოშობა და ფუნქციები. - თეორიასა და პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება „ცენტრალური ბანკის“ ცნება, რომელიც თავიდან ბანკების ემისიურ ფუნქციასთან იყო დაკავშირებული. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში კერძო ბანკების მიერ ხდებოდა ბანკნოტებისა და მონეტების ემისია. ასეთი ბანკების ნაციონალიზაციის პროცესი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. აღნიშნული დაკავშირებული იყო ამ ქვეყნებში ეკონომიკურ კრიზისთან და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაფართოებასთან.

პირველად 1938 წელს სახელმწიფო გახდა კანადის ბანკი, 1939 წელს გერმანული რეიხს ბანკი, 1942 წელს იაპონიის ბანკი, 1946 წელს ინგლისისა და საფრანგეთის ბანკები. გერმანიის ცენტრალური ბანკი, როგორც სახელმწიფო ბანკი 1957 წელს შეიქმნა. 1951 წელს შეიქმნა ავსტრიის ცენტრალური ბანკი რომელიც სააქციო საზოგადოებად ითვლება, კაპიტალის 50%-ს სახელმწიფო ფლობს, დანარჩენი კაპიტალი კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებს ეკუთვნის. შვეიცარიის ბანკიც სააქციო საზოგადოებაა, რომლის მთავარ აქციონერად ითვლება კანტონების ხელისუფლება (კანტონები შვეიცარიაში ფედერალურ ერთეულს წარმოადგენს), კანტონალური ბანკები და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, აგრეთვე 50-ზე მეტი კერძო აქციონერი. ამერიკის ცენტრალური ბანკის წევრებად ითვლება 5 470 სხვადასხვა ბანკი. მთელ რიგ ქვეყნებში ცენტრალური ბანკების პოლიტიკაზე სახელმწიფოს გავლენა კანონით რეგულირდება.

ცენტრალური ბანკის ფუნქციებია:

- იყოს საბანკო სისტემის საანგარიშსწორებო და სარეზერვო ცენტრი;
- განახორციელოს ბანკნოტებისა და მონეტების ემისია და ფულის მასის მიმოქცევაზე კონტროლი;
- მოახდინოს ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირება;
- კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა;
- კომერციული ბანკების დაკრედიტება;
- საერთაშორისო რეზერვების ფლობა შენახვა და განკარგავა;
- იყოს მთავრობის ბანკირი მრჩეველი და ფისკალური აგენტი.
- ქვეყნის საბანკო სისტემის რეგულირება.

თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ცენტრალური ბანკი შეიძლება იყოს:

- სახელმწიფოს 100 % -იანი საკუთრებაში;
- სააქციო საზოგადოება, სადაც ერთ-ერთი აქციონერი სახელმწიფოა;
- კერძო ბანკების სისტემა, რომელიც ერთობლივად ახორციელებს საქმიანობას (ცენტრალური) ბანკის ფუნქციებს.

ცენტრალური ბანკისაგან კომერციული ბანკების მთავარ განმასხვავებელად ითვლება ბანკნოტების ემისიის უფლებობა.

კომერციული ბანკების ფუნქციები:

- ეკონომიკაში არსებული დროებით თავისუფალი საშუალებების აკუმულირება;
- საანგარიშწორებო და საგადაამხდლო მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური სუბიექტების დაკრედიტება;
- თამასუქების აღრიცხვა;
- ფინანსური და მატერიალური ფასეულობათა შენახვა;
- კლიენტის ქონების მინდობილით მართვა.

ისტორიულად კომერციული ბანკები ვითარდებოდა, როგორც ბანკირის კერძო სახლი. თანამედროვე კომერციული ბანკების უმეტესობას სააქციო საზოგადოების ორგანიზაციული ფორმა გააჩნია. საქართველოში კომერციული ბანკების ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს შპს და სს.

კომერციული ბანკები ორი ტიპისაა; უნივერსალური და სპეციალური. **უნივერსალური ბანკი** ანხორციელებს ყველა ან თითქმის ყველა სახის ოპერაციას. **სპეციალური ბანკი** პირიქით სპეციალდება ერთ ან რამდენიმე სახის ოპერაციაზე.

სპეციალური ბანკებს ფუნქციური დანიშნულება გააჩნიათ. არსებობს შემდეგი სახის სპეციალური ბანკები: სანვესტიციო; საინოვაციო; სააღრიცხვო; შემნახველ-გამსესხებელი; იპოთეკური; დეპოზიტური; კლირინგული.

2.4 საქართველოს საბანკო სისტემა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებამდე შეიქმნა საქართველოს ცენტრალური, შემდეგ ეროვნული ბანკი და დარგობრივი სახელმწიფო ბანკები.

საქართველოში 80-იანი წლებში ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში არსებობდა 5 სახის დარგობრივი სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკები: „ექსიმბანკი“, სამრეწველო ბანკი, აგროსამრეწველო ბანკი, კომუნალური მომსახურების ბანკი, შემნახველი ბანკი. 90-იანი წლების დასაწყისში მოხდა მათი ეგრეთ წოდებული პრივატიზაცია. ნაწილობრივ მისი მესაკუთრეები გახდნენ ბანკების თანამშრომლები, სახელმწიფო საწარმოები და ამ ბანკების კლიენტები. საბოლოოდ ამ ბანკების საკუთრების სტრუქტურა დღემდე გაურკვეველი დარჩა. უმეტეს შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებდა ამ ბანკების ადმინისტრაცია.

ყოფილ სახელმწიფო ბანკებთან ერთად, ამავე პერიოდში შეიქმნა მრავალი კომერციული ბანკები. რაც ქვეყანაში ლიბერალური სალიცენზიო პოლიტიკით და მინიმალური საწესდებო კაპიტალის შემოღებით იყო განპირობებული. აღნიშნული ბანკები ძირითადად ეროვნული ბანკებიდან მიღებული კრედიტების რეფინანსირებით იყვნენ დაკავებული. 1995 წელს საბანკო საქმიანობის ლიცენზია გააჩნდა 230 ბანკს. ეს იყო უპირატესად ე.წ. „ჯიბის ბანკები“. ამ პერიოდში ბანკებისათვის სავალდებულო საწესდებო კაპიტალი, მხოლოდ 5 000 ლარს შეადგენდა.

საქართველოში 1990-1994 წლებში ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. საბიუჯეტო შემოსავლები საბიუჯეტო ხარჯების მხოლოდ 20 %-ს შეადგენდა. ბიუჯეტის ინფლაციურმა დაფინანსებამ ჰიპერინფლაცია გამოიწვია. 1995-1996 წლებში გატარდა ეკონომიკური რეფორმა, რაც დაკავშირებული იყო ფა-

სების ლიბერალიზაციასთან, პრივატიზების ტემპის დაჩქარებასთან, ეროვნული ვალუტის შემოღებასთან და სხვა. აუცილებელი გახდა საბანკო რეფორმა.

საქართველოში საბანკო სისტემის რეფორმა უწინარეს ყოვლისა სამართლებრივი ბაზის ცვლილებით დაიწყო. 1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა მონაწილეობით მომზადდა ეროვნული ბანკის შესახებ კანონპროექტი. აღნიშნული პროექტის მოდიფიცირების შემდეგ 1995 წელს მიღებული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონი. 1996 წელს „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონი.

საბანკო სისტემის რეფორმირების პროცესში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საბანკო სისტემის მდგრადობისა და საიმედოობის ამაღლების მიზნით დაიწყო კომერციული ბანკების გარდაქმნის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდა არასაიმედო აქტივების მქონე ბანკების რესტრუქტურირაცია მათი ზრდის შეზღუდვით. აგრეთვე დაიწყო იმ ბანკების დახურვა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი მინიმალური საწესდებო კაპიტალის შექმნა და ეკონომიკური ნორმატივების შესრულება. მინიმალური საწესდებო კაპიტალი ერთ მილიონ ლარამდე განისაზღვრა, რომელიც შემდგომ უკვე 5 მლნ ლარამდე გაიზარდა.

1998 წელს საქართველოში, საბანკო რეფორმის გატარების შედეგად, უკვე მხოლოდ 43 მოქმედი კომერციული ბანკი დარჩა. 2003 წლისათვის კი საქართველოს საბანკო სექტორი წარმოდგენილი იყო 24 საბანკო დაწესებულებით. აქედან 22 ბანკი საქართველოს რეზიდენტი კერძო კომერციული ბანკია, ხოლო 2 ბანკი თურქეთისა და აზერბაიჯანის ბანკების ფილიალებია.

2.5 სპეციალიზებული არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები

უკანასკნელ პერიოდში, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სასესხო კაპიტალის ბაზარზე, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სპეციალიზებული არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები. ასეთ ინსტიტუტებია: სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, შემნახველ-გამსესხებელი ასოციაციები, საინვესტიციო კომპანიები, საქველმოქმედო ფონდები, საკრედიტო კავშირები. ამ ინსტიტუტებმა, მოსახლეობის დანაზოგების აკუმულაციაში, არსებითად შეზღუდეს ბანკები და გახდნენ სასესხო კაპიტალის მნიშვნელოვანი მიმწოდებლები.

სპეციალიზებული არასაბანკო ინსტიტუტების გავლენის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო: განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მოსახლეობის შემოსავლები ზრდით; ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებით. გარდა ამისა ზოგიერთი არასაბანკო სპეციალიზებულ დაწესებულებებში (როგორცაა მაგალითად სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები) ბანკებისაგან განსხვავებით ფულის დაგროვება საკმაოდ დიდი ვადით ხდება, რაც გრძელვადიანი ინვესტირების საშუალებას იძლევა. აღნიშნული საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის ძირითად ფორმას წარმოადგენს: მოსახლეობის დანაზოგების აკუმულირება; სასესხო ობლიგაციებით კორპორაციებისა და სახელმწიფოს დაკრედიტება; აქციებით კაპიტალის მობილიზება; იპოთეკური და სამომხამრებლო კრედიტის მიწოდება და ა. შ.

არასაბანკო ინსტიტუტები მძაფრ კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, როგორც ფულადი დანაზოგების მობილიზების, ისე საკრედიტო ოპერაციების სფეროში.

2.6 ფასიანი ქაღალდების ბაზარი

ფიქტიური კაპიტალისა და შესაბამისად ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება და განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული სასესხო კაპიტალთან, სასესხო კაპიტალის ბაზართან, რომელიც თავის მხრივ არეგულირებს და ანაწილებს ფულსა და ფიქტიური კაპიტალის მთელ ნაკადს.

თავდაპირველად „თავისუფალი კონკურენციის“ პირობებში, კაპიტალისტური წარმოების წესის საწყის ეტაპზე, ფიქტიურ კაპიტალს სახელმწიფო ობლიგაციების სახე ქონდა.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში შეიქმნა და გაიზარდა სააქციო საზოგადოებები, რის შედეგადაც წარმოიშვა სრულიად ახალი სახის ფასიანი ქაღალდები – აქციები. შემდგომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად სააქციო საზოგადოებები ისეთ რთულ მონოპოლისტურ გაერთიანებებად გარდაიქმნენ როგორცაა კონცერნები, ტრესტები, კარტელები, კონსორციუმები.

მწვავე კონკურენციულ ბრძოლის პირობებში ახალი გაერთიანებების ფუნქციონირებამ და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ განაპირობა არა მხოლოდ სააქციო, არამედ საობლიგაციო კაპიტალის მოზიდვა. კერძო კომპანიებმა დაიწყო აქციებთან ერთად ობლიგაციების გამოშვება, ე.ი საობლიგაციო სესხის აღება. **შესაბამისად ფიქტიური კაპიტალი სამი ძირითადი ელემენტისაგან შედგება: აქციები, კერძო სექტორის ობლიგაციები და სახელმწიფო ობლიგაციები.**

სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში კერძო სექტორი და სახელმწიფო, აქციებისა და ობლიგაციების ემისიით, სულ უფრო იზიდავს კაპიტალს. ამგვარად იზრდება ფიქტიური კაპიტალი, რომელიც არსებითად აჭარბებს კაპიტალისტური კვლავწარმოებისთვის აუცილებელ მოქმედ რეალურ კაპიტალს. ამასთან სპეკულიაციურ გარიგებების პირობებში ფასიანი ქაღალდები იძენენ რეალური კაპიტალისაგან დამოუკიდებელ დინამიკას.

იმავედროულად ფიქტიური კაპიტალი ასახავს დაყოფის, გადანაწილებისა და რეალური მწარმოებლური კაპიტალის გაერთიანების ობიექტურ პროცესს. თუ კი კაპიტალიზმის მონოპოლისტურ სტადიაზე ფიქტიური კაპიტალის კონცენტრაცია ძირითადად ხდებოდა საფონდო ბირჟაზე, სახელმწიფო მონოპოლისტურ სტადიაზე მისი მნიშვნელოვანი ნაწილის მიმოქცევა დაიწყო სფონდო ბირჟის მიღმა და მათი კონცენტრაცია ხდება ძირითადად ბანკებში და სხვა საკრედიტო საფინანსო ორგანიზაციებში. ამასთან თვით ფიქტიური კაპიტალის სტრუქტურაში გაიზარდა სახელმწიფო ობლიგაციების ხვედრითი წილი, რაც უწინარეს ყოვლისა განპირობებული იყო სახელმწიფო ფინანსების კრიზისით (ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტით და სახელმწიფო ვალის ზრდით) და მეორეც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევით.

თანამედროვე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არსებობს ფასიანი ქაღალდების „პირველადი“ და „მეორადი“ ბაზარი.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილენი არიან **ემიტენტები, ინვესტორები და საინვესტიციო ინსტიტუტება.**

ფასიანი ქაღალდების **ემიტენტი** არის იურიდიული პირი, სახელმწიფო ან მუნიციპალური მმართველობითი ორგანო, რომელიც მიმოქცევაში უშვებს ფასიან

ქალაქებს და თავის თავზე იღებს ვალდებულებას ამ ფასიანი ქალაქების მფლობელთა მიმართ.

ახალი ფასიანი ქალაქების გამოშვებამდე კომპანია აწარმოებს ყოველმხრივ წინასწარ ანალიზს, რომელიც მიზნად ისახავს ფასიანი ქალაქების გამოშვების ეფექტიანობისა და მიზნშეწონილობის დადგენას.

ფასიანი ქალაქების პირველად ბაზარზე ხდება ახალი გამოშვების ფასიანი ქალაქების განთავსება. ასეთი ფასიანი ქალაქების ემიტენტები არიან კორპორაციები, მთავრობა, მუნიციპალური ორგანიზაციები. ფასიანი ქალაქების **მყიდველებია** ინდივიდუალური ინვესტორები და საკრედიტო ინსტიტუტები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები და ა.შ.

ფასიანი ქალაქების განთავსება ხდება ორი სახით:

- **ემიტენტ-ინვესტორის** მიერ ფასიანი ქალაქების პირდაპირი განთავსება;
- **შუამავლების** მეშვეობით ფასიანი ქალაქების განთავსება.

ფასიანი ქალაქების განთავსებას, გარდა ცალკეული გამონაკლისისა, ეწვეიან საინვესტიციო ბანკები. ინვესტორის მიერ შექმნილი ფასიანი ქალაქების ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება მეორად ბაზარზე.

განასხვავებენ მეორადი ფასიანი ქალაქების ბაზრის ორ ფორმას:

1. საფონდო ბირჟა;
2. არასაბირჟო ბაზარი.

უკანასკნელ წლებში აშშ-ში ფასიანი ქალაქების მეორად ბაზარს „ოთხი ბაზრის კონცეფციით“ განიხილავენ. რომლის მიხედვითაც ფასიანი ქალაქების მეორადი ბაზრის ოთხ ტიპს გამოყოფენ: (15)

- მეორადი ბაზრის **პირველ ტიპს** წარმოადგენს **საფონდო ბირჟა** სადაც იყიდება ბირჟაზე რეგისტრირებული ფასიანი ქალაქები;
- **ბაზრის მეორე ტიპია** - არასაბირჟო ბაზარი, სადაც ბირჟაზე დაურეგისტრირებული ფასიანი ქალაქების ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება;
- **ბაზრის მესამე ტიპს** წარმოადგენს არასაბირჟო ბაზარი, სადაც ბირჟაზე დაურეგისტრირებული ფასიანი ქალაქების ყიდვა-გაყიდვა შუამავლების მეშვეობით ხორციელდება.
- **ბაზრის მეოთხე ტიპი** არის **არასაბირჟო ბაზარი**, რომელიც განსაკუთრებულ ინსტიტუციონალურ ინვესტორზეა ორიენტირებული. მისი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ გარიგების მონაწილეები ოპერაციებს ახორციელებენ შუამავლებისა და ბროკერების გარეშე, კერძოდ **კომპიუტერული სისტემით**. ინსტიტუციონალურ ინვესტორებს კომპიუტერულ სისტემაში შეაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი დაინტერესებული არიან ამა თუ იმ ფასიანი ქალაქის (როგორც წესი მსხვილი პარტიების), ყიდვით ან გაყიდვით. ამ სისტემით ინსტიტუციონალური ინვესტორები აღწევენ ორ მიზანს: საკომისიო გადასახადებზე დიდ ეკონომიას და საფონდო ბაზრის სტაბილიზაციას. ბოლო სამი ბაზარი არასაბირჟო მიმოქცევის ერთ ჯგუფში ერთიანდება.

ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარს, ისევე როგორც ბირჟას, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საკუთარი მეთოდები გააჩნია. უკანასკნელ წლებში განთავსების შედარებით გავრცელებული მეთოდებია ე.წ. ანდერრაიტინგი (საინვესტიციო ინსტიტუტის მიერ ემიტენტისაგან ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა და მათი გაყიდვა ინვესტორზე), საჯარო და პირდაპირი განთავსება, ასევე კონკურენტული ვაჭრობა, რაც ფასიანი ქაღალდების ემიტენტსა და მყიდველს შორის პირდაპირი კავშირის საშუალებას იძლევა.

პირველადი ბაზარი ფლობს რა განთავსების საკუთარ მეთოდებს, წარმოადგენს დამოუკიდებელ, საკმაოდ რთულ და დაქსელილ მექანიზმს. ამასთან ამ მექანიზმს, ბირჟისაგან განსხვავებით, არ გაჩნია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საკუთარი ადგილი. პირველადი ბაზრის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის ატარებს ახლად გამოცემულ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც ყიდვა-გაყიდვის შემდეგ ხვდებიან საფონდო ბირჟაზე. ამასთან ახალი ობლიგაციების უმეტესი ნაწილი არ მიდის ბირჟაზე. ის საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებში რჩება.

2.7 საფონდო ბირჟა

საფონდო ბირჟა არის მუდმივმოქმედი ფასიანი ქაღალდების ბაზარი, განსაზღვრული ადგილით და დროით, სადაც ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა წარმოებს. ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამედროვე ეკონომიკურ მექანიზმს წარმოადგენს. საფონდო ბირჟა არ იღებს მონაწილეობას ფასიანი ქაღალდების გარიგებებში. იგი მხოლოდ ქმნის აუცილებელ პირობებს გარიგებების დასადავად. კერძოდ აკავშირებს მყიდველსა და გამყიდველს, იძლევა შენობას, უწყვეს კონსულტაციურ, ტექნიკურ და გარიგებასთან დაკავშირებით ყველა სხვა მომსახურებას.

მას შემდეგ რაც ფასიანი ქაღალდები გაიყიდა პირველად ბაზარზე და მათ გაუჩნდათ მესაკუთრეები ინვესტორების სახით, იწყება ვაჭრობა მეორად ბაზარზე.

საბირჟო ვაჭრობის მონაწილენი - საფონდო ბირჟაზე ინვესტორები, როგორც ვაჭრობის უმთავრესი სუბიექტები, მოქმედებენ ძირითადად ბროკერების მეშვეობით. შესაბამისად ვაჭრობა ძირითადად მიმინარეობს ბროკერებს შორის. ინვესტორები კი ერთმანეთს უკავშირდებიან მესამე პირის მეშვეობით.

ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე, გარიგების უშუალო მხარეების გარდა, მონაწილეობენ შუამავლებიც: რეგისტრირებული ბროკერები, მაკლერები და ა. შ. მეორადი ბაზრის სუბიექტები ორ ნაწილად იყოფიან: გარიგების მონაწილენი და შუამავლები. გარიგების მონაწილედ ითვლება „დილერი“, რომელიც თავისი რისკით ყიდულობს და ყიდის ფასიან ქაღალდებს. გარიგების შუამავალია „ბროკერი“, რომელიც მონაწილეობს სხვისი სახელით და დავალებით.

ბირჟაზე ვაჭრობის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა ისიც, რომ აქ მხოლოდ შემოწმებულ პირებს შეუძლიათ აწარმოონ საქმე. ბირჟის მონაწილეები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: უნდა ქონდეთ შესაბამისი დოკუმენტით დადასტურებული სპეციალური განათლება; მარეგულირებელ ორგანოში და ბირჟაზე გაიარონ რეგისტრაცია; გადახდისუნარიანობის დამადასტურებლად უნდა გააჩნდეთ თანხა საკუთარ ანგარიშზე.

კოტირება და ფასიანი ქაღალდების კურსი - საფონდო ბირჟის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს **კოტირება** - ფასიანი ქაღალდების ფასების ფორმირება, აღრიცხვა და პუბლიკაცია.

კოტირება არის მყიდველისა და გამყიდველის ფასების შეჯერებით ფასების გამოვლენის მექანიზმი, მისი ფიქსაცია ბირჟის მუშაობის მთელ დღის განმავლობაში და საბირჟო ბიულეტენებში პუბლიკაცია. მყიდველის მიერ შეთავაზებულ ფასს ეწოდება მოთხოვნის ფასი, ხოლო გამყიდველის მიერ შეთავაზებულ ფასს გამყიდველის ფასი.

სხვაობას გამყიდველისა და მყიდველის ფასებს შორის **სპრედი** ეწოდება. განვიხილოთ მაგალითი: დაუშვათ, რომ ერთი აქციის მყიდველის ფასი 15 ფულად ერთეულს შეადგენს, ხოლო გამყიდველი 15,5-ს მოითხოვს. ვაჭრობა როგორ წესი ხორციელდება ლოტებად, ერთი ლოტი შეადგენს 100 აქციას. შესაბამისად აქციის გამყიდველი მოითხოვს 1550 ფულად ერთეულს, ხოლო მყიდველს სურს გადაიხადოს 1500. ასეთ შემთხვევაში სპრედი შეადგენს 50-ს. დაბალი სპრედი ფასიანი ქაღალდების მაღალი ხარისხის მაჩვენებელია.

ბირჟაზე თვალყურს ადევნებენ, რომ სპრედმა არ გააჭარბოს რეალურს. ასე მაგალითად კანადის ბირჟები შემდეგი პრინციპით მოქმედებენ: მას შეუძლია ნებიერი დროს აკრძალოს არარეალური კოტირება; როდესაც სესიის დამთავრების შემდეგ აქციების მყიდველის ფასი ემთხვევა გამყიდველის ფასს ან სცილდება მას 5%-ზე მეტად სადისციპლინო კომისიას შეუძლია არ დართოს ამ ფასების აღრიცხვის ნება; კომისიას შეუძლია მოახდინოს ასევე რომელიმე არარეალური გარიგების გაუქმება.

ფასს, რომლითაც ბირჟაზე შემდგარი გარიგებების შედეგად, ფასიანი ქაღალდები ერთი ხელიდან მეორეში გადადიან კურსი ეწოდება.

საბირჟო კოტირების შედეგი, როგორც ორიენტირი, გამოიყენება ასევე ბირჟის გარეთ კონტრაქტების გაფორმების დროსაც. კოტირებას, წინა ვაჭრობის შედეგების მიხედვით, ახდენს სპეციალური კომისია. შედეგები წარედგინება მყიდველებსა და გამყიდველებს საბირჟო ბიულეტენის სახით.

2.8 არასაბირჟო ბაზარი

ერთდროულად წარმოადგენს რა საფონდო ბირჟის კონკურენტს და მის ორგანულ დანამატს, არასაბირჟო ბაზარს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფასიანი ქაღალდების ბრუნვაში. ასე მაგალითად ობლიგაციებით ვაჭრობაში არასაბირჟო ბაზარი ავსებს საფონდო ბირჟას, ხოლო აქციებით ვაჭრობაში ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან.

იმის გათვალისწინებით, რომ ყველა იმ კომპანიებს არ შეეძლო ბირჟაზე გამოსვლა, რომელთა პარამეტრები არ შეესაბამებოდა საფონდო ბირჟის მიერ დაწესებულ კრიტერიუმებს, წარმოიშვა არასაბირჟო ბაზარი. ამგვარად არასაბირჟო ბაზარი საბირჟო ბრუნვის ალტერნატივაა. მსგავსი მდგომარეობა დღესაცაა შენარჩუნებული. ამათან ის ფაქტი, რომ რომელიმე კორპორაციის აქციები დარეგისტრირებული არ არის საფონდო ბირჟაზე, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი ფასიანი ქაღალდებისთვის არასაბირჟო ბაზარი ნაკლებად სასარგებლოა.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა შემდეგი ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ბევრი კომპანია, პასუხობს ბირჟაზე რეგისტრაციის კრიტერიუმებს, მაინც არ ახდენს მისი აქციების საფონდო ბირჟაზე კოტირებას. რამდენადაც არასაბირჟო ბაზარს გააჩნია განშტოებული სისტემა, რომელიც ბევრი კომპანიისათვის უფრო მისაღებია, ვიდრე საფონდო ბირჟის მკაცრი და ცენტრალიზებული სისტემა.

ამგვარად განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში, ბირჟების როლი რამდენადმე შემცირდა. აღნიშნული ცვლილებების ძირითადი მიზეზი გახდა ის, რომ წარმოიშვა მძლავრი საკრედიტო საფინანსო ინსტიტუტები, სადაც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის უმეტესი ნაწილის კონცენტრირება ბირჟის შუამავლობის გარეშე ხდება.

სხვა ფაქტორებს მიეკუთვნება: ობლიგაციებით ვაჭრობის თითქმის მთლიანი გადაადგილება პირველად ბაზარზე (აშშ-ში ობლიგაციებით ვაჭრობის დაახლოებით 90-95 % ბირჟის გარეთ ხდება); ფასიანი ქაღალდების მთლიან მასაში სახელმწიფო ობლიგაციების ხვედრითი წილის ზრდა; კორპორაციების ფასიანი ქაღალდების ემისიებში აქციების ხვედრითი წილის შემცირება; 1929-1933 წწ. კრიზისის შემდეგ საბირჟო გარიგებებზე მკაცრი სახელმწიფო ზედამხედველობის დაწესება.

აღსანიშნავია ისიც, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში, საფონდო ბირჟის როლის შესუსტებაზე აქტიური გავლენა მოახდინეს ისეთმა ფაქტორებმა როგორცაა: საკრედიტო ინსტიტუტების მიერ ბირჟიდან წვრილი ინვესტორების გამოდევნა; ფასიანი ქაღალდების პარალელური ბაზრების განვითარება; ბირჟიდან ინდივიდუალური მეანაბრიეების გამოქცევა (რაც არასტაბილური ეკონომიკური კონიუქტურის გავლენით აქციის კურსის შემცირებამ გამოიწვია).

როგორც წესი წვრილ ინვესტორებს წარმოადგენენ მაღალანაზღაურებადი მომსახურებები და მუშები, წვრილი ბურჟუაზია, თავისუფალი პროფესიის პირები. ბოლო წლებში მოსახლეობის ეს ფენა უპირატესობას ანიჭებს, დანაზოგის შეტანას ბანკებში, სოცოცხლის დაზღვევას კომპანიებში, საპენსიო ფონდებში და საინვესტიციო კომპანიებში. აღნიშნული კატეგორიის ინვესტორებთან ფულადი საშუალებების ფონდების მიდინებით, საკრედიტო ორგანიზაციები ყველა სახის ფასიანი ქაღალდების მონოპოლისტური მფლობელები ხდებიან. აღნიშნულმა გამოიწვია საფონდო ბირჟაზე კოტირებადი აქციათა პაკეტის გამსხვილება. აქციათა პაკეტი 1000 ზე მეტ აქციას მოიცავს.

ბირჟაზე წარმოშობილმა ახალმა ტენდენციებმა უარყოფითად იმოქმედეს მის მუშაობაზე. წვრილი პაკეტების მსხვილით შეცვლამ მნიშვნელოვნად შეამცირა გარიგებათა რიცხოვნობა, რამაც აქციის რეალურ ფასზე არასასურველი გავლენა მოახდინა.

საკრედიტო ინსტიტუტებში ფასიანი ქაღალდების პაკეტების დიდი რაოდენობით კონცენტრაცია ბირჟის მიღმა ვაჭრობის საშუალებს იძლევა. უკანასკნელი 20-15 წლების განმავლობაში დიდი გავრცელება ჰპოვა საკრედიტო ინსტიტუტებს შორის განხორციელებულმა პირდაპირმა გარიგებამ. აღნიშნულმა კი საკომისო გადასახდელების მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია

ამასთან საფონდო ბირჟის როლის შესუსტება, განსაკუთრებით ბოლო წლებში, სრულიადაც არ აკნინებს მის როლს ფასიანი ქაღალდების ოპერაციებში. რამდენ

ნადაც მოქმედებს საწინააღმდეგო ტენეციაც. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ბირჟაზე კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია; კომპიუტერიზაციის ოპერაციების გაძლიერება, ასევე ინფორმაციის შეგროვება, მოტანა და დამუშავება; სახელმწიფოს მიერ ბირჟების პირდაპირი რეგულირება;

შესაბამისად საყოველთაოდ ცნობილი ფირმები მაინც ირჩევენ საფონდო ბირჟას, რამდენადაც ბირჟაზე რეგისტრაციის მკაცრი კრიტერიუმები ორგანიზებულ ბაზარზე მოქმედების საშუალებას და მეტ გარანტიას იძლევა. ამასთან ითვლება, რომ საფონდო ბირჟა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზების საქმეში. რაც მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესს წარმოადგენს.

ტერმინები და ძირითადი ცნებები:

სასესხო კაპიტალი; კოტირება; სპრედი.

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

- რას უკავშირდება საფინანსო ბაზრის წარმოშობა?
- რა არის სასესხო კაპიტალის ძირითადი წყარო?
- ჩამოთვალეთ სასესხო კაპიტალის ფუნქციები და ახსენით მისი არსი.
- დაახასიათეთ კრედიტის ბაზარი დროითი და ინსტიტუციური ნიშნის მიხედვით.
- ცენტრალური ბანკების წარმოშობა და ფუნქციები.
- კომერციული ბანკების ფუნქციები.
- დაახასიათეთ კომერციული ბანკების ტიპები.
- საქართველოს საბანკო სისტემის განვითარება.
- სპეციალიზებული არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები, როგორც სასესხო კაპიტალის მიმწოდებლები.
- როგორ ხდებოდა ფასიანი ქაღალდების ბაზარის ფორმირება და განვითარება.
- ვინ არიან ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები?
- დაახასიათეთ ფასიანი ქაღალდების „პირველადი“ ბაზარი
- დაახასიათეთ საფონდო ბირჟა, ვინ არიან საბირჟო ვაჭრობის მონაწილენი?
- რა არის კოტირება და როგორ განისაზღვრება ფასიანი ქაღალდების კურსი.
- დაახასიათეთ არასაბირჟო ბაზარი.
- რა არის ფიქტიური კაპიტალი და რამ განაპირობა მისი წარმოშობა?

თავი 3. საქონლის მარეგულირებადი ინსტიტუტები

მესამე ნაწილის მე-3 თავის გაცნობის შემდეგ შევძლებთ პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს. კერძოდ: რა კავშირი არსებობს ღია ეკონომიკასა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის. რა განაპირობებს ფინანსური სფეროს ინტერნაციონალიზაციას; როდის წარმოიქმნება საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები; რა განაპირობებს პერიოდულ სავალუტო სისტემის კრიზისს და რას წარმოადგენს მსოფლიო სავალუტო სისტემა; რა განსხვავებაა ნაციონალურ ბაზარსა და ევროკაპიტალის ბაზარს შორის. აქვე დახასიათებულია ისეთი ძირითადი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები როგორცაა: საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი.

3.1 ღია ეკონომიკა და საფინანსო ურთიერთობა

დღევანდელ მსოფლიოში იზოლირებულად ცხოვრება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ყოველმხრივ მიუღებელია. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდამ მსოფლიოს ქვეყნები სულ უფრო მეტად ურთიერთდამოკიდებული გახადა. საერთაშორისო სფეროში ეკონომიკური კავშირების გაფართოებას თან ახლავს ანალოგიური პროცესები საფინანსო ურთიერთობის სფეროში. როგორც წესი ფულად კაპიტალს გააჩნია მუდმივი თვით გაზრდის უნარი, რაც ეროვნული საზღვრებიდან მისი აუცილებელი გამოსვლის სტიმულს წარმოადგენს.

უკანასკნელი ოთხი ათწლეულში საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა განუხრელად იზრდება. აღნიშნულის გამო მსოფლიოს ქვეყნები ერთმანეთზე სულ უფრო მეტად დამოკიდებული გახდნენ. იზრდება მშპ-ში იმპორტისა და ექსპორტის ხვედრითი წონა. შესაბამისად დღეს ნებისმიერი ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების იმპორტი წარმოებს. ამასთან ეს ქვეყნები საქონლისა და მომსახურების ექსპორტიორებიც არიან.

ღია ეკონომიკაში ისევე, როგორც დახურულ ეკონომიკაში ფინანსური ბაზრები მჭიდროდაა დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების ბაზართან. იმისათვის რომ ეს კავშირი დაინახოთ განვიხილოთ ეროვნულ ანგარიშთა ერთ-ერთი ცნობილი ძირითადი ტოლობა :

$$Y = C + G + I + NX \quad (1)$$

სადაც: Y - არის მთლიანი შიდა პროდუქტი ან მთლიანი ეროვნული პროდუქტი; C - მოხმარება; G - სახელმწიფო შესყიდვები; I - ინვესტიციები; ხოლო NX - წმინდა ექსპორტია.

დახურულ ეკონომიკაში, როგორც წესი NX ნულის ტოლია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი შედგება: საქონლისა და მომსახურების მოხმარებაზე გაწეული ხარჯების, სახელმწიფო შესყიდვებისა და საინვესტიციო ხარჯებისაგან. თუ კი დაუშვებთ, რომ დახურულ ეკონომიკაში ინვესტიციები და დანაზოგი ერთმანეთის ტოლია, ასეთ შემთხვევაში დანაზოგი $S = Y - C - G$. ხოლო ღია ეკონომიკაში $S = I + NX$, აქედან მივიღებთ ტოლობას:

$$(I - S) + NX = 0. \quad (2)$$

მიღებული გარდაქმნა ახასიათებს იმ კავშირს, რომელიც არსებობს კაპიტალის დაგროვების საერთაშორისო ნაკადსა და საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადს შორის.

მე-2 ტოლობის ყოველ წევრს საკუთარი სახეელი ქვია. კერძოდ (I-S) -ს ღია ეკონომიკაში უწოდებენ საგადამხდელო ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს, ხოლო NX-ს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშს.

როდესაც (I-S) დადებითია, ხოლო NX უარყოფითი ჩვენ საქმე გვაქვს კაპიტალის მოძრაობის დადებით სადღოსთან და საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან. რაც ნიშნავს იმას რომ ასეთ შემთხვევაში მსოფლიო ფინანსურ ბაზრიდან ქვეყანა იღებს სესხს, ხოლო ამავე ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების იმპორტი აღემატება ექსპორტს. თუ კი ქვეყანაში (I-S) უარყოფითია და NX დადებითი, ქვეყანა ფინანსურ ბაზარზე გამოდის როგორც კრედიტორი და საქონლის ექსპორტი აღემატება საქონლის იმპორტს.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშისა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსი გვიჩვენებს, რომ კაპიტალის დაგროვების დასაფინანსებლად ფულადი ფონდების საერთაშორისო ნაკადი და საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადი წარმოადგენს ერთი მედლის ორ მხარეს. იმ შემთხვევაში თუ კი ქვეყნის დანაზოგი აღემატება ინვესტიციებს, მაშინ დანაზოგი, რომლის ინვესტირება არ მოხდა ქვეყნის შიგნით, სხვა ქვეყნის დასაკრედიტებლად გამოიყენება. კერძოდ მეტ სესხს გაცემს ქვეყანა, რომლის ექსპორტი აღემატება იმპორტს. სხვა შემთხვევაში თუ კი ერთ ქვეყანაში ინვესტიცია დანაზოგზე მეტია ეს ნიშნავს იმას რომ ეს ქვეყანა იღებს სესხს მსოფლიო საფინანსო ბაზრიდან. ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების იმპორტი აღემატება საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, ხოლო წმინდა ექსპორტი უარყოფითი სიდიდეა.

აღნიშნულიდან გამომდინარე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების - ფუნქციონირება უშუალოდ დააკავშირებული ღია ეკონომიკასთან, ხოლო ნაციონალური საზღვრების გავლით საქონლისა და მომსახურების ნაკადი კაპიტალის ნაკადთან. ქვეყნებს შორის საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობა ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების ნაკადთან არის დაკავშირებული. ასევე, როდესაც ქვეყანების ერთ ნაწილს გააჩნია ჭარბი დანაზოგი და მისი გასესხების სურვილი, ხოლო ქვეყანების მეორე ნაწილში ინვესტიციები დანაზოგზე მეტია და მათ სესხების სურვილი გააჩნიათ, კაპიტალის ნაკადი წარმოიშვება.

ფულადი საშუალებების ნაკადი ეს არის ფაქტიურად მიღებული და გადახდილი ფულადი საშუალებები.

3.2 საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობა

ღია ეკონომიკაში მატერიალური სფეროს ინტერნაციონალიზაციამ სულ უფრო ფართო მასშტაბით გამოიწვია ფინანსური სფეროს ინტერნაციონალიზაცია. მსოფლიოს სხვაგვარსევა ქვეყნებში წარმოქმნილ მონოპოლიებს ესაჭიროებოდა შედარებით თავისუფალი კაპიტალის მოძრაობა და სტაბილური საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობა.

საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობა - წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ფული იწყებს საერთაშორისო ბრუნვაში ფუნქციონირებას.

ვალუტა სხვადასხვა ქვეყნების ფულადი ერთეულის საერთო სახელწოდებაა, რომელიც ცალკეულ ქვეყნებში საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვის პროცესში, როგორც საგადასხდელო საშუალება გამოიყენება. მსოფლიოში უმეტეს ქვეყანებს გააჩნია თავისი ფულადი ერთეული, რომელიც კანონით წესდება და მას დეკრეტული ფული ეწოდება. ასე მაგალითად საფრანგეთს გააჩნია ფრანკი, გერმანიას მარკა, აშშ-ს დოლარი, რუსეთს რუბლი, საქართველოს ლარი და ა.შ. ფული, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოიყენება - **ვალუტა ხდება.**

თანამედროვე პერიოდში ქვეყნების უმეტესობა ნაციონალურ ვალუტას იყენებს. ნაციონალური ვალუტა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის ერთ-ერთი აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ნაციონალური ვალუტის არსებობა უზრუნველყოფს: საქონლის ნორმალურ მიმოქცევას. ასევე მთავრობის მიერ ანგარიშსწორებას სახელმწიფო ორგანიზაციებში მომუშავე, ჯარში მომსახურე და ა. შ. მოქალაქეებთან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ქვეყანა იყენებს სხვა ქვეყნის ვალუტას მაშინ ის ხდება ეკონომიკურად და პოლიტიკურად ამ ქვეყანაზე დამოკიდებული. ამასთან საგარეო ეკონომიკური კავშირების განხორციელება და ქვეყნებს შორის საერთაშორისო ვაჭრობა, მხოლოდ ნაციონალურ ვალუტაში გარკვეულ სირთულეებს გამოიწვევდა. საერთაშორისო ვაჭრობა განსხვავებული ვალუტის არსებობის პირობებში, მოითხოვს ანგარიშსწორების განსაზღვრულ მექანიზმს მოქალაქეებს, ფირმებსა და სახვადასხვა ქვეყნების სამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ასეთი მექანიზმი შეიქმნა და მის საფუძველს წარმოადგენს **სავალუტო კურსი.**

სავალუტო კურსი არის რაოდენობრივი თანაფარდობა, პროპორცია, რომლითაც ერთი ქვეყნის ვალუტა იცვლება სხვა ქვეყნის ვალუტაზე.

ეკონომიკა რა თქმა უნდა ადვილზე არ დგას იგი მუდმივად ვითარდება. რაც აისახება მშპ-ს ზრდაში, წარმოების სტრუქტურის ცვლილებაში, ეროვნული მეურნეობის სფეროს ცალკეული დარგებს შორის თანაფარდობის ცვლილებაში, ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ძალთა განლაგებაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით პერიოდულად წარმოიქმნება შეუსაბამობა სავალუტო სისტემასა და იმ ცვლილებებს შორის რომელიც მიმდინარეობს ეროვნულ და მსოფლიო მეურნეობაში. რაც პერიოდულად სავალუტო სისტემის კრიზისს განაპირობებს. ასე მაგალითად ოქროს მონეტის სტანდარტის კრიზისი გრძელდებოდა 10 წელი (1913-1922წ.წ.). გენუის სავალუტო სისტემის 8 წელი (1929-1936წ.წ.), ბრეტონ-ვუდსის 10 წელი (1967-1976წ.წ.). შესაბამისად მსოფლიო სავალუტო სისტემამ ევოლუცია განიცადა.

მსოფლიო სავალუტო სისტემა წარმოადგენს იმ წესების, ინსტრუმენტებისა და საერთაშორისო ორგანოების ერთობლიობას რომელთა დახმარებითაც, მსოფლიო მეურნეობის ფარგლებში, ხორციელდება საგადასხდელო-საანგარიშსწორებო ბრუნვა. მისი წარმოქმნა და შემდგომი ევოლუცია ასახავს კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ობიექტურ განვითარებას, რომელიც სართაშორისო ფულად სფეროში ადეკვატურ პირობებს საჭიროებს.

მსოფლიო სავალუტო სისტემა წარმოადგენს გარკვეულ მთლიანობას, რომლის მთავარი ელემენტებია:

- მსოფლიო ფულადი საქონელი და საერთაშორისო ლიკვიდურობა;
- სავალუტო კურსი;
- სავალუტო ბაზარი;
- საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციები (ინსტიტუტები) და სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება.

მსოფლიო ფულადი საქონელი სხვადასხვა ქვეყნების ფულადი საქონლისაგან შედგება. თავად ფულადი საქონლის სახელმწიფოებრივი ფორმას წარმოადგენს: ოქრო, ვერცხლი, ქაღალდისა (დეკრეტული) ფული და საკრედიტო ფული. მსოფლიო ფულადი საქონლის ურთიერთკავშირი, ძირითადი მექანიზმით, **სავალუტო კურსით** ხორციელდება. აღნიშნული კი მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობის და კერძოდ საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობის საფუძველის წარმოადგენს.

3.3 ნაციონალური ბაზრები და ევროკაპიტალის ბაზრები

ღია ეკონომიკის პირობებში ქვეყნებს შორის საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობა მყარდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით. უწინარეს ყოვლისა ასეთ ინსტიტუტებია კაპიტალის საერთაშორისო ბაზრები, რომლის შემადგენლობაში შედის ცალკეული ნაციონალური ბაზრები. შესაბამისად კაპიტალის ბაზრები ორ კატეგორიად იყოფა: კაპიტალის **ნაციონალური ბაზრები** და **ევროკაპიტალის ბაზრები**.

კაპიტალის **ნაციონალური ბაზრის** შემთხვევაში სასესხო ურთიერთობები მყარდება სხვა ქვეყნებთან. ამგვარად აქ საქმე გვაქვს „საზღვარგარეთულ სესხებთან“, კაპიტალის მოდიფიცირებულ შიდა ბაზართან, რომელმაც საერთაშორისო ხასიათი შეიძინა. რაც შეეხება **ევრობაზარს**, იგი წარმოადგენს საკუთრივ საერთაშორისო ფულად ბაზარს და კაპიტალის ბაზარს და აქ საქმე გვაქვს „ევროსესხებთან“. ამასთან პირველს ნაციონალური ხელისუფლება აკონტროლებს, ხოლო მეორეს არა.

თანამედროვე ევრობაზარი შეიძლება ორი ძირითადი ნიშნით დავახასიათოთ: **დროითი და ინსტიტუციური**.

დროითი ნიშნის მიხედვით ევრობაზარი იყოფა:

- **ევროფულის ბაზარი** - მას ხშირად ევროსავალუტო ბაზარს უწოდებენ. ბაზარზე ვაჭრობენ მოკლევადიანი ფულით ერთი დღიდან თორმეტი თვის ჩათვლით;
- **ევროკრედიტული ბაზარი** - რომელიც განკუთვნილია საშუალოვადიანი კრედიტებისათვის, როგორც წესი 5 წლის ვადით, უფო ნალკლებად ხდება 2-დან ან 3-დან 10 - წლამდე;
- **ევროკაპიტალის ბაზარი** - სადაც ოპერაციები გრძელვადიანი კაპიტალით ტარდება.

აღსანიშნავია ის, რომ ევრობაზარზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ოპერაციების გამოიწვევა პირობით ხასიათს ატარებს, რამდენადაც მოკლევადიანი კრედიტები შეიძლება გაგრძელდეს.

3.4 საქრთაშორისო ფინანსების მარეგულირებელი ძირითადი ინსტიტუტები

საერთაშორისო ფინანსების რეგულირების ფუნქცია განაწილებულია საქრთაშორისო საფინანსო ორგანოებზე - საქრთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე. რაც ინსტიტუციური ნიშნის მიხედვით ევრობაზარის დაყოფის შედეგია. კერძოდ:

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები არიან ორგანიზაციები, რომელიც შექმნილია სახელმწიფოთშორისო შეთანხმების საფუძველზე იმ მიზნით, რომ არეგულიროს საქრთაშორისო ეკონომიკური, სავალუტო და საფინანსო ურთიერთობები. ასეთ ძირითად ორგანიზაციებს მიეკუთვნება: საქრთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (**საბ**), საქრთაშორისო სავალუტო ფონდი (**სსფ**), რეკონსტრუქციისა და განვითარების საქრთაშორისო ბანკი (**რგსბ**) და ასევე რეგიონული განვითარების ბანკები (**რგბ**).

3.4 ა) საქრთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (საბ)

საბ - არის პირველი სახელმწიფოთშორისო ბანკი, რომელიც შეიქმნა 1930 წელს ბაზელში (შვეიცარია) როგორც ცენტრალური ბანკების საქრთაშორისო ბანკი. მისი ორგანიზატორები იყვნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ბელგიის, იაპონიის საემიციო ბანკები და მორგანის ბანკირების სახლის თაოსნობით ამერიკის ბანკების ჯგუფი.

ერთ-ერთი ამოცანა **საბ-ისა** იყო ის, რომ გერმანიისა და ომის ვალების რეპარაციული გადასახდელების ანგარიშსწორება იოლი გამხდარიყო, ასევე ზემოქმედება მოეხდინა ცენტრალური ბანკების ურთიერთ თანამშრომლობასა და მათ შორის ანგარიშსწორებაზე.

საბ-ი მის მთავარი ფუნქციას, მოახდინოს ცენტრალური ბანკების კოორდინაცია, დღემდე ინარჩუნებს. ის აერთიანებს 30 ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს და უმთავრესად ეს ევროპის ქვეყნებია. 1979 წლიდან **საბ** ევროპის სავალუტო სისტემის ქვეყნებს შორის ანგარიშსწორებას აწარმოებს, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებისათვის ასრულებს დეპოზიტარის ფუნქციას, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (**OECD**) და მისი მონაწილე ქვეყნების დავალებით ახორციელებს ოპერაციებს.

საბ ასრულებს სადეპოზიტო-სასესხო, სავალუტო, საფონდო ოპერაციებს, ოქროს ყიდვა-გაყიდვისა და შენახვის ოპერაციებს, გამოდის როგორც ცენტრალური ბანკების აგენტი, როგორც დასავლეთევროპული საქრთაშორისო ბანკი. **საბ** ახორციელებს სავალუტო-საკრედიტო ოპერაციების სახელმწიფოთშორისო რეგულირებას.

3.4 ბ) საქრთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ)

სსფ არის საქრთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა საქრთაშორისო სავალუტო-საფინანსო რეგულირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნულ შეთანხმება შემუშავებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) კონფერენციაზე, რომელიც აშშ-ში, ბრეტონ-ვუდსში 1944-1945წწ შედგა. მის დაფუძნებაში მონაწილეობას იღებდა 44 ქვეყნა. მაგრამ ფონდმა თავისი საქმიანობა დაიწყო 1947 წლიდან. მისი მთავარი ოფისი მდებარეობს ვაშინგტონში ხოლო განყოფილება პარიზში. მართველობა შედგება: აფრიკის, ევროპის, აზიის, შუა აღმოსავლეთისა და დასავლეთ ნახევარსფეროს ხუთი მთავარი დეპარტამენტისაგან. **სსფ-ის** შექმნის იდეა ეკუთვნის XX საუკუნის უდიდეს ეკონომისტებს ჯ. კეინსს და გ. უაიტს.

სსფ-ის შექმნის მიზანი გასაგებია - სტაბილური მსოფლიო ეკონომიკა სტაბილური ნაციონალური ვალუტის გარეშე შეუქმლებელია (პირველად სწორედ ბრეტონ-ვუდსში გადაწყდა, რომ მსოფლიო უნდა იყოს ღია, საბაზრო და სტაბილური). აღნიშნულის გამო ფონდი - წევრ ქვეყნებს - დროებითი ფინანსური სიძნელეების დაძლევაში ეხმარება.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციამ განსაზღვრა ფონდის სამი ძირითადი ფუნქცია. კერძოდ:

- ფონდმა, ქვეყნის კოდექსის თანახმად, უნდა დაიცვას სავალუტო კურსის პოლიტიკა და მიმდინარე ოპერაციების საგადამხდელო შეზღუდვები;
- ფონდს ევალება, კოდექსით გათვალისწინებული ქვეყნების დასაცავად, საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის აღსადგენად ან მისი აცილებისათვის, წევრ ქვეყნებს მისცეს ფინანსური რესურსები.
- ფონდმა უნდა უზრუნველყოს ფორუმის მოწვევა, რომელზედაც წევრი ქვეყნები შეძლებენ, საერთაშორისო სავალუტო საკითხებთან დაკავშირებით, ერთმანეთთან კონსულტაციების გამართვას.

როგორც ეს უკვე აღინიშნა 1944 წელს გადაწყდა, რომ მსოფლიო ეკონომიკა გამხდარიყო ღია და სტაბილური. რაც შეეხება იმას, რომ მსოფლიო ეკონომიკას ჭირდება მხოლოდ სტაბილურობა ეს გადაჭარბებული იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ვაჭრობა თითქმის არ არსებობდა. მხოლოდ აშშ-ს გააჩნდა შესაძლებლობა რაღაც ეწარმოებინა. აღნიშნულის გამო მსოფლიო ეკონომიკის მშენებლობა შემდეგი სქემით შეიძლებოდა. აშშ აძლევს დოლარებს სხვა ქვეყნებს, ისინი კი ამას იყენებენ, როგორც სტაბილიზაციისათვის ისე ინვესტიციებისათვის. სსფ-ის ერთადერთ რეალურ ამოცანას სწორედ დოლარების გადაცემის პროცესში შუამავლობის გაწევა წარმოადგენდა.

სსფ-ის წესდება ორჯერ შეიცვალა. კერძოდ: 1968-1969 წწ. შეტანილი იქნა შესწორებების პირველი სერია. რაც სესხების სპეციალური უფლების (სსუ) შემოღებით იყო გამოწვეული. 1976-1978წწ. შესწორებების მეორე სერია ასახავდა ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის შეცვლას იამაიკის სავალუტო სისტემით.

სსფ-ის კაპიტალი იქმნება ფონდის წევრი სახელმწიფოების შენატანებით ყოველი მათგანისათვის დადგენილი კოტების შესაბამისად, რომლის სიდიდე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე და მის როლზე მსოფლიო კაპიტალისტურ ეკონომიკაში და საერთაშორისო ვაჭრობაში.

1947 წელს სსფ-ში შედიოდა 49 ქვეყანა, და კოტების საერთო თანხა შეადგენდა 7,7 მილიარდ დოლ. 1991 წლის 30 ივნისისათვის მისი მონაწილეები იყვნენ უკვე 155 წევრი ქვეყნები, ხოლო 1996 წელს 181 ქვეყანა, გადახდილი კაპიტალი 90 მილიარდ სსუ -ს (სესხების სპეციალურ უფლებას) შეადგენდა (1 სსუ = 1,37 აშშ დოლარს) ამ თანხის 2/3 ეკუთვნის განვითარებულ ქვეყნებს მათ შორის აშშ-ს 1/5, განვითარებად ქვეყნებს 1/3, რომელიც სსფ-ის 4/5-ს შეადგენს.

ხმები, სსფ-ის მმართველი ორგანოს ქვეყნებს შორის, კოტების სიდიდის მიხედვით ნაწილდება. ყოველი სახელმწიფოს გააჩნია 250 ხმას მიმატებული მისი ყოველ 100 ათას სსუ-ის კოტაზე ერთი ხმა. მთლიანი ხმების 46 პროცენტი ეკუთვნია აშშ-ს და ევროკავშირის ქვეყნებს, 34 პროცენტი კი განვითარებადს.

სსფ-ის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს მმართველთა საბჭო, რომელიც ყველა მონაწილე ქვეყნის შემადგენლობით იკრიბება წელიწადში ერთხელ. აღმას-

რულებელ ორგანოს წარმოადგენს დირექტორატი, რომელიც შესდგება ექვსი წევრისაგან და გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით ინიშნება. სათათბირო ორგანოს წარმოადგენს მმართველთა საბჭოს დროებითი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის 22 ქვეყნის ფინანსთა მინისტრები.

სსფ-ის წესდებაში იამაიკის სავალუტო სისტემასთან დაკავშირებით შეტანილია ცვლილებები. ეს ცვლილებები 1978 წლის 1 აპრილს ფონდის წევრთა უმეტესობის მიერ იყო რატიფიცირებული. 1947-1987 წწ აშშ-ს წილი ფონდის კაპიტალში შემცირდა 36,2-დან 20,1 %- მდე, ხმების საერთო რაოდენობაში 26,7-დან 19,3 %-მდე. მიუხედავად ამისა აშშ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას მაინც შეინარჩუნა ვეტოს უფლება. განვითარებადი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ხმათა ხვედრითი წილი და კვოტები - რამდენადმე გაიზარდა.

სსფ-ის კრედიტი რამდენიმე სახედ იყოფა:

სსფ-ის კრედიტის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს კრედიტი, რომელიც სსფ-ის წევრ ქვეყნებს რეზერვის პოზიციის ფარგლებში ეძლევა. კერძოდ, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დასაფარავად წევრ ქვეყანას შეუძლია ფონდიდან მიიღოს კრედიტი, უცხოურ ვალუტაში ეროვნულზე გაცვლით, სამიდან ხუთი წლის ვადით. ასეთ შემთხვევაში სესხის დაფარვა ხდება შებრუნებული გზით, განსაზღვრული დროის შემდეგ ნაციონალურ ვალუტას გამოსყიდვა დასაშვებია თავისუფალი კონვერტირებით.

25%-იანი კვოტების ფარგლებში ქვეყანას კრედიტის მიღება შეუზღუდავად შეუძლია. ასევე შეიძლება უცხოურ ვალუტაში კრედიტის თანხის მიღება, რომელიც ადრე ფონდს გადაეცა. ამასთან ამ კრედიტმა კვოტების 200 % -ს არ უნდა გადააჭარბოს. (31)

კრედიტი, რომელიც გაიცემა რეზერვის წილის ზევით. ფონდის მიერ ასეთი სესხის გაცემა ხდება, მხოლოდ ქვეყნის სავალუტო-ეკონომიკური მდგომარეობის წინასწარი შესწავლისა და სსფ-ის სტაბილიზაციის ღონისძიებების მოთხოვნების შესრულების შემდეგ.

სსფ-ის სტაბილიზაციის პროგრამები ითვალისწინებს შიდა დაკრედიტების, ბიუჯეტის ხარჯების, შრომის ანაზღაურების შეზღუდვას და ეკონომიკის ზრდის ტემპის შემცირებას. რაც ჩვეულებრივ ეწინააღმდეგება მსესხებელი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს. ამასთან სსფ-ის სესხი, ქვეყნებში კერძო ბანკებიდან მსხვილ კრედიტების მიღების საშუალებას იძლევა.

სსფ დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოთაშორის სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობის რეგულირებაში. ბრეტონ-უუდსის შეთანხმების შესაბამისად ფონდის ამოცანას წარმოადგენდა ვალუტის კურსის მოწესრიგება, რეგულირება და წევრი ქვეყნების მყარი პარიტეტების (დოლარებში ან ოქროში) შენარჩუნება.

70-იანი წლების დასაწყისში სავალუტო კრიზისის გამწვავებამ გამოიწვია ბრეტონ-უუდსის სავალუტო კრიზისის ძირითადი პრინციპების კერძოდ, ფიქსირებული სავალუტო კურსის შენარჩუნების კრახი. რის შედეგადაც 1973 წელს გაუქმდა სავალუტო კურსის ფიქსირებული პარიტეტი. შემოღებული იქნა სავალუტო კურსის თავისუფალი მცოცავი რეჟიმი, რაც იურიდიულად იამაიკის სავალუტო სისტემით იყო გამაგრებული და 1978 წლის აპრილში იქნა შემოღებული.

სსფ-ის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან მიაწოდონ ფონდს ინფორმაცია ოფიციალური ოქროს მარაგების შესახებ და ვალუტის რეზერვების შესახებ, ეკონომიკის მდგომარეობის საგადახედლო ბალანსის, ფულის მიმოქცევის, უცხოური ინვესტიციების და ა.შ. ეს მონაცემები გამოიყენება კერძო ბანკების მიერ მსესხებელი ქვეყნების გადახდისუნარიანობის განსაზღვრისათვის.

3.4 გ) რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი მოკლედ **მსოფლიო ბანკი** ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით 1945 წელს დაფუძნდა და თავისი საქმიანობა 1946 წლიდან დაიწყო. მსოფლიო ბანკის თანამფლობელია 184 წევრი ქვეყანა. რომელთა ინტერესს ვაშინგტონში წარმოადგენს მმართველთა საბჭო და დირექტორთა საბჭო. წევრი ქვეყნები წარმოადგენენ მსოფლიო ბანკის აქციონერებს და გააჩნიათ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება.

დაფუძნებიდან, მსოფლიო ბანკის მიერ გაცემული კრედიტების საერთო რაოდენობამ 371 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2002 საფინანსო წელს, მსოფლიო ბანკის მიერ, წევრ ქვეყნებისათვის 19,5 მილიარდ აშშ დოლ სესხი გაიცა. მიმდინარე პერიოდში მსოფლიო ბანკი 100 -ზე მეტ განვითარებად ქვეყანაში ახორციელებს თავის საქმიანობას.

ბანკი, ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ქვეყნებში ეწევა ფინანსურ და საკონსულტაციო დახმარებას. მთავრობასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან კავშირი, ბანკს განვითარების პრობლემების უფრო ღრმად გაგებაში ეხმარება.

მსოფლიო ბანკის სათაო ოფისი ვაშინგტონშია, სადაც არის ევროპის, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის ქვეყნების რეგიონული ბიუროები. ბანკს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქვს მუდმივი მისიები, რომელიც შესაბამის რეგიონულ ბიუროს ემორჩილება.

მსოფლიო ბანკის წევრები აუცილებლად უნდა იყვნენ სსფ-ის წევრები. მსოფლიო ბანკის შეთანხმების პირობები ითვალისწინებდა იმ ქვეყნების აღდგენის ხელშეწყობას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაინგრა და აძლევდეს მათ ფინანსურ დახმარებას.

რაში გამოიხატება დღეს მსოფლიო ბანკის როლი? მსოფლიო ბანკი ეხმარება, როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებს, აძლევს კრედიტებს, გრანტებს, ეწევა ანალიტიკურ საქმიანობას და ქვეყნებს უწევს კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხებში, ეხმარება (ხელს უწყობს) ორგანიზაციულ-ტექნიკური შესაძლებლობების გაფართოებაში და დაკვირვებას ახდენს მათ საქმიანობაზე, რომლის მიზანია განვითარება.

მსოფლიო ბანკის ძირითად სტატეგიას წარმოადგენს სიღარიბის შემცირება, ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნა და ინვესტირება, რომლის მიზანია ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

2003 წლის დასაწყისიდან მსოფლიო ბანკის საქმიანობის პრიორიტეტს შვიდი უმნიშვნელოვანესი სფერო წარმოადგენს. კერძოდ: საყოველთაო განათლების უზრუნველყოფა, სპიდთან ბრძოლა, დედებისა და შვილების ჯანმრთელობის დაცვა, წყალმომარაგება და სანიტარული პირობების გაუმჯობესება, საინვესტიციო კლიმატი და დაფინანსება, ვაჭრობა და ეკოლოგიური მდგრადობა.

ძირითადი ცნებები: ვალუტა; სავალუტო კურსი; ევრობზარი; ევროფულის ბაზარი; ევროკრედიტის ბაზარი; ევროკაპიტალის ბაზრი.

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

- ახსენით მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების მიზეზი, გამოიყენეთ ხარჯების მეთოდით მშპს-ს განსაზღვრის ცნობილი ტოლობა.
- როდის წარმოიქმნება საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები?
- რა ხდება მაშინ, როდესაც ერთი ქვეყანა იყენებს სხვა ქვეყნის ვალუტას?
- დაახასიათეთ მსოფლიო სავალუტო სისტემა
- დაახასიათეთ ნაციონალური ბაზრები
- დაახასიათეთ ევროკაპიტალის ბაზრები
- როგორ იქმნება საერთო შორისო საფინანსო ინსტიტუტები, როგორც ორგანიზაცია?
- როდის და რა მიზნით შეიქმნა საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი?
- როდის და რა მიზნით შეიქმნა სსფ
- როგორ კრედიტს იძლევა სსფ
- როდის და რა მიზნით შეიქმნა მსოფლიო ბანკი

ნაწილი IV კორპორაციის ფინანსები

თავი 1. ფინანსები - როგორც დისციპლინა

მეოთხე ნაწილის პირველი თავში ფინანსები განიხილება როგორც დისციპლინა, რომელიც სამი ისეთი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან შედგება, როგორცაა „ფინანსური მენეჯმენტი“, „ინვესტიციები“ და „ფინანსური ბაზრები“. ფინანსების შემადგენელი ნაწილები ერთმანეთს აკავშირებს და მიზნის მისაღწევად აქტიურად მონაწილეობენ შემოსავლების განაწილება-გადანაწილების პროცესში. მიჩნეულია, რომ კორპორაციის (ფირმის) ძირითადი მიზანი - ფინანსური ღირებულების ზრდაა, ხოლო მისი განმსაზღვრელი მთვარი ცვლადებია: ფულის ნაკადი, დრო და რისკი.

თანამედროვე ფინანსები, სხვა დისციპლინებისაგან მაგალითად მათემატიკა, ქიმია და ა.შ განსხვავებით, ახალ დისციპლინას მიეკუთვნება. ფინანსები, როგორც ცალკე დისციპლინა ეკონომიკას გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოეყო და ის უპირატესად საფინანსო ბაზრის საქმიანობას უკავშირდება.

ბაზარი ძირითადად ორი სახისა; ეს არის ფინანსური ბაზარი და რეალური საქონლის ბაზარი. აქტივი ქონებას ნიშნავს, რომელსაც შეიძლება ქონდეს როგორც რეალური სახე (მაგალითად შენობები, ოქრო ან მარცვლეული), ისე ფინანსური სახე (მაგალითად აქციები, ობლიგაციები და სხვა სახის ფასიანი ქაღალდები). შესაბამისად არსებობს რეალურ აქტივი და ფინანსური აქტივი (ფიქტიური აქტივი).

ფინანსური აქტივი არის საქონელი, რომელიც მომავალში ნაღდი ფულის მიღების სახით ეკონომიკურ სარგებელს გვაძლავს. ასეთია მაგალითად ობლიგაციები. ფინანსური ბაზარი არის ბაზარი სადაც მიმდინარეობს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციები. მაგალითად აქცია წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს საწარმოს წილობრივ მფლობელობას, ხოლო მეორეს მხრივ მის მფლობელს აძლევს უფლებას ემიტენტ საწარმოსაგან მიიღოს დივიდენდის სახით პერიოდული შემოსავალი. საფინანსო ბაზრის ერთ-ერთი მაგალითია საფონდო ბაზარი, სადაც აქციებთან დაკავშირებული ოპერაციები ხორციელდება.

ფინანსები მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა დისციპლინებთან. ამასთან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „ეკონომიკა“. ეკონომიკა შეისწავლის შეზღუდული რესურსების განაწილების საერთო პრობლემებს, ფინანსები კი მხოლოდ ფინანსური რესურსების განაწილებასთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომ არის ის ეკონომიკური დისციპლინის განსაკუთრებული სახე. რაც შეეხება ბუღალტრულ აღრიცხვას, ფინანსურ მენეჯერს გადაწყვეტილების მისაღებად საწარმოს აღრიცხვის მონაცემები ესაჭიროება. შესაბამისად მან უნდა შეძლოს ისარგებლოს საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებით.

ექსპერტთა თვალსაზრისით „ფინანსები“, როგორც დისციპლინა სამი ნაწილისაგან შედგება, კერძოდ: „ფინანსური მენეჯმენტი“, „საფინანსო ბაზარი“ და „ინვესტიციები“.

ფინანსური მენეჯმენტი ფინანსების მართვას მოითხოვს. ტიპურ კორპორაციებში ფინანსური მენეჯერი იძენს საშუალებას ფინანსურ ბაზარზე და ახდენს მის ინვესტირებას. ასე მაგალითად, სამშენებლო კომპანიის ფინანსურ მენეჯერს თუ კი

ბუღდოზერის შექმნა სურს, მას შეუძლია ფული ისესხოს, რაც თავის მხრივ ფინანსურ ბაზარზე გარიგებას წარმოადგენს.

რაც შეეხება ფინანსურ ორგანიზაციებს, როგორცაა მაგალითად კომერციული ბანკები, მისი ფინანსური მენეჯერი იძენს საშუალებებს ფინანსურ ბაზარზე ფინანსურ აქტივებში დასაბანდებლად. ასე მაგალითად კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯერი იღებს გადაწყვეტილებას დეპოზიტის მიღებასთან დაკავშირებით და შემდეგ ამ მოზიდული სახსრებს სესხად აძლევს კლიენტს, რომელსაც ბინის ყიდვა სურს. აქაც საქმე გვაქვს ფინანსურ ბაზართან.

ამგვარად ფინანსების შემადგენელი ნაწილები ერთმანეთს ავსებენ და შემოსავლების განაწილება-გადანაწილების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ. ფინანსურ მენეჯერი ერთდროულად თანამშრომლობს როგორც ბანკებთან ისე მას შეუძლია თავისი კომპანიის ფასიანი ქაღალდები გაიტანოს საფონდო ბაზარზე. ამასთან ის უნდა ცდილობდეს კომპანიის ფასიანი ქაღალდები ინვესტორისათვის მიმზიდველი გახადოს. შესაბამისად ფინანსების, როგორც დისციპლინის ერთ-ერთი ნაწილის შესწავლა მოითხოვს მისი დანარჩენი ნაწილების შესწავლასაც.

1.2 კორპორაციის (ფირმის) მიზანი

ფინანსური ღირებულების შექმნა

ფინანსური ღირებულება, ფართო გაგებით იქმნება რამდენიმე ცვლადის მონაწილეობით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია: **ფულადი საშუალებების ნაკადი, დრო და რისკი**. იმ შემთხვევაში თუ კი ყველა სხვა ცვლადები უცვლელია, მაშინ რაც უფრო მეტია ფინანსური გადაწყვეტილების შედეგად მიღებული ფულადი საშუალებების ნაკადი, მით უფრო მეტ ღირებულებას ქმნის ეს გადაწყვეტილება. ანალოგიურად, ფინანსური ღირებულების სიდიდე დამოკიდებულია ფულადი საშუალებების შემოდინებისა და გადინების ვადებზე, დროზე და იმ რისკზე, რომელიც ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება შექმნას.

პრაქტიკაში მიიჩნეულია, რომ ეს სამი ძირითადი ცვლადი, ფინანსური ღირებულების შექმნის განმსაზღვრელია და ურთიერთდაკავშირებულია, რის გამოც ისინი, ფინანსური ღირებულების შექმნისას, ერთობლიობაში განიხილებიან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოტენციურად დიდი ზიანი შეიძლება მოგვაყენოს რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭებამ. მაგალითად არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფინანსური გადაწყვეტილება, მაგალითად დაბანდება, უკეთესი იქნება იმ შემთხვევაში თუ კი მოსალოდნელია ფულადი საშუალებების დიდი ნაკადი. ასეთი მტკიცებულება უსაფუძვლო იქნება იმ დაბანდებასთან დაკავშირებული დროისა და რისკის ფაქტორების გავითვალისწინების გარეშე.

ფირმის მიზანი - ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ **ფირმის მთავარი მიზანი არის საკუთარი ღირებულების მაქსიმიზაცია**. აღნიშნულის მისაღწევად შემოსავლები ხარჯებზე მეტი უნდა იყოს. ამასთან ნებისმიერი სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ფირმის ღირებულების შექმნას, უნდა ითვალისწინებდეს სამ ძირითად ცვლადს, კერძოდ ფულადი საშუალებების ნაკადს, დროსა და რისკს. ამგვარად ფირმის ფინანსების დაგეგმვისა და მისი ამოცანების განხილვის დროს აუცილებელია ხსენებული ცვლადების მხედველობაში მიღება.

იმისათვის, რომ საკუთარი ღირებულების მაქსიმიზაცია ფირმის მთავარ მიზანად ვაღიაროთ, განვიხილოთ კორპორაციის შესაძლო სხვა სამი მიზანიც, კერძოდ ფირმის მიზანი შესაძლოა იყოს:

- ფირმის სიდიდის მაქსიმიზაცია;
- საბალანსო მოგების მაქსიმიზაცია;
- აქციის ღირებულების მაქსიმიზაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფირმებს შეიძლება სხვა მიზნებიც გააჩნდეს, როგორცაა სოციალური ან საქველმოქმედო და სხვა. ასეთი მიზნები რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია მაგრამ ისინი ფირმის მთავარ მიზნებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

12 ა) ფირმის სიდიდის მაქსიმიზაცია - აღსანიშნავი ის, რომ ზოგიერთი ფირმა არ შეიძლება ეფექტურად მოქმედებდეს თუ კი ის მცირეა. მაგალითად ფირმას თუ კი ის მცირეა არ შეუძლია ნედლეული შეიძინოს მინიმალურ ფასებში. ასევე სავსებით ლოგიკურია ისიც, რომ თუ კი ფირმა ძალზე დიდია იქ შესაძლოა შეიქმნას ეფექტიანი მართვის პრობლემები (რაც გადწყვეტილების დროულად მიღებასთანაა დაკავშირებული). ასევე ფირმა, რომელიც ძალზე სწრაფად იზრდება შეიძლება ამ ზრდის მსხვერპლი გახდეს, რამდენადაც ითვლება, რომ სწრაფი ზრდა მაღალი რისკით ხასიათდება.

ფირმის სიდიდის მაქსიმიზაცია, როგორც მიზანი შინაგანადაა დაკავშირებული ფირმის ფულადი საშუალებების ნაკადის მაქსიმიზაციასთან და ღირებულების შექმნის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამასთან აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხსენებული მიზანი არ ითვალისწინებს არც რისკს და არც დროის ფაქტორს. რის გამოც ფირმის სიდიდის მაქსიმიზაცია არ შეიძლება ფირმის მთავარ მიზანად ჩაითვალოს.

12 ბ) საბუღალტრო მოგების მაქსიმიზაცია - მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრული მოგება არის მოგება რომელიც ფინანსურ ანგარიშში, კერძოდ „მოგება-ზარალის“ ანგარიშში აისახება, ის ყოველთვის არ შეიძლება იყოს ფირმის ღირებულების შექმნის მთავარი მაჩვენებელი. ასე მაგალითად მართალია ბუღალტრული მოგება, შეიძლება იყოს ფირმის ღირებულების შექმნის ერთ-ერთი მთავარი წყარო, მაგრამ ეს იგივე არ არის რაც ფულადი საშუალებების ნაკადი. ხშირ შემთხვევაში, როდესაც ფირმა აჩვენებს ბუღალტრულ ზარალს, მას შეიძლება გააჩნდეს დადებითი ფულადი საშუალებების ნაკადი და ეს განპირობებული იყოს მაღალი საამორტიზაციო ანარიცხებით. როგორც ვიცით საამორტიზაციო ანარიცხები ამცირებს მოგებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ფულადი საშუალებების პირდაპირი ხარჯები არ არსებობს.

რა განსხვავებაა ფულადი საშუალებების ნაკადსა და ბუღალტრულ მოგებას შორის? **ფულადი საშუალებების ნაკადი ეს არის ფაქტიურად მიღებული და გადახდილი ფულადი საშუალებები, მაშინ როდესაც ბუღალტრული მოგების განსაზღვრა გარკვეულ წესს ექვემდებარება.** ფინანსური მენეჯერის ინტერესებშია ფულადი საშუალებების ნაკადია, რამდენადაც ფულადი საშუალებები მას ჭირდება იმისათვის, რომ გადაიხადოს დივიდენდები, გაისტუმროს: სესხის პროცენტი, ნედლეულის მიმწოდებლები, მომსახურეთა ხელფასი და ა.შ. რამდენადაც ბუღალტრული მოგება განსხვავდება ფულადი საშუალებების ნაკადისაგან, ბუღალტრული მოგების მაქსიმიზაცია არ შეიძლება იყოს ფირმის მთავარი მიზანი.

ბუღალტრული მოგების მაქსიმიზაცია არ ითვალისწინებს ღირებულების შექმნის დროით ფაქტორის პერიოდულობას. ასე მაგალითად ფირმამ გარკვეული ოპერაციების გატარებით, უმოკლეს პერიოდში, შეიძლება მაქსიმალური ბუღალტრული მოგება მიიღოს, ხოლო პერსპექტივაში ამავე მიზეზით იზარალოს. ასე მაგალითად ფარმაცევტიული ფირმები ჩვეულებრივ მნიშვნელოვან სახსრებს ხარჯავენ ახალი წამლის მიღებაზე, ამით შესაძლებელია, წლის ბოლოს სამეცნიერო კვლევითი ხარჯები შემცირდეს, ხოლო ბუღალტრული მოგება იოლად გაიზარდოს. რაც ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მსგავსი ხარჯები ჩვეულებრივ ზრდის გაყიდვის მოცულობას მომავალში და არა მიმდინარე დროში. შესაბამისად აღნიშნული ფირმები იგებენ დღეს, რომ დაკარგონ მომავალში. მსგავსი შემთხვევები მენეჯერმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

ბუღალტრული მოგების მაქსიმიზაცია ასევე არ ითვალისწინებს რისკის ფაქტორსაც. მენეჯერს თითქმის ყოველთვის აქვს შეხება სხვადასხვა განსხვავებული რისკის მქონე პროექტებთან. უმეტეს შემთხვევაში პროექტი, რომლის მოსალოდნელი საბუღალტრო მოგება მაქსიმალურია, მაღალი რისკს ატარებს. რამდენადაც მაღალი მოგება და მაღალი რისკი ურთიერთაკავშირში არიან. შესაბამისად თუ კი გვსურს მაქსიმალური მოგებით მხარი დაუჭიროთ პროექტს, ამით ყველაზე მაღალი რისკის მქონე პროექტს დაუჭერთ მხარს. ასევე ცნობილია, რომ მაღალი რისკი ფირმის ღირებულებას ამცირებს. აღნიშნულის გამო რისკის ფაქტორის უგულვებელყოფა ბუღალტრული მოგების მაქსიმიზაციის სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს.

1.2 გ) აქციების ღირებულების მაქსიმიზაცია - მესამე შესაძლო მიზანი ფირმისა შეიძლება იყოს აქციების ღირებულების მაქსიმიზაცია, რომელიც ითვალისწინებს ღირებულების შექმნასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ცვლადებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კორპორაცია უნდა იმართებოდეს ისე, რომ ის ითვალისწინებდეს სააქციო კაპიტალის მაქსიმიზაციის, რაც ასევე ნიშნავს სააქციო საკუთრების ღირებულების მაქსიმიზაციას.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ინვესტორები მთავარ ყურადღებას აქცევენ ფირმის მიერ შექმნილ ფულად საშუალებას. თუ კი ისინი ფიქრობენ, რომ ფირმას შეუძლია მომავალში შექმნას ფულადი საშუალების ნაკადი, მაშინ ეს გაზრდის მოთხოვნას მის აქციებზე და შესაბამისად აქციების ღირებულებაც იზრდება. გარდა ამისა თუ კი ფულადი საშუალებების მიღება შესაძლებელია დროის მოკლე პერიოდში ესეც ასევე ზრდის აქციის ღირებულებას, რამდენადაც ფულის ღირებულება დროში იცვლება და დღეს ფული უფრო ძვირია ვიდრე ხვალ. ამგვარად აქციების ღირებულების მაქსიმიზაცია, როგორც მიზანი ითვალისწინებს ღირებულების შექმნის დროით ფაქტორს. ბოლოს აქ ხდება რისკის გათვალისწინება. იმ შემთხვევაში თუ კი ინვესტორები ფიქრობენ, რომ ფირმის პოლიტიკა ზედმეტად სარისკოა და შესაძლო მოლოდინს არ შეესაბამება, მაშინ მათ შეუძლიათ გაყიდონ აქციები, რაც აქციის ღირებულების შემცირებას გამოიწვევს.

ამგვარად ფირმის მთავარ მიზანს წარმოადგენს სააქციო საკუთრების, აქციების ღირებულების მაქსიმიზაცია. რამდენადაც ის ითვალისწინებს ფინანსური ღირებულების შექმნის ყველა ფაქტორს: ფულადი საშუალებების ნაკადს, დროსა და რისკს.

1.3 ფორმის დაფინანსების ძირითადი წყაროები

ფორმებს, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, თავიანთი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად ესაჭიროებათ სახსრები.

ფორმების ფინანსები არის ფულადი ურთიერთობა, რომელიც ფულადი ფონდების მობილიზებითა და გამოყენებით უზრუნველყოფს კორპორაციის მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციასა და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილის შექმნას.

ბიზნესის დაწევა და მისი წარმატებული ფუნქციონირება მოითხოვს დაფინანსების წყაროს გამოძებნას. განვიხილოთ ყველა ის საშუალება, საიდანაც ფორმებში შეიძლება მოხდეს ფინანსური სახსრების შემოსვლა.

არსებობს დაფინანსების საკუთარი და მოზიდული წყარო.

- ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა დამფუძნებელთა კაპიტალი, რომელიც ფორმის დაფუძნების დროს ან მის შემდეგ, დამფუძნებელთა მიერ ფორმაში ჩადებულ პირად სახსრებს წარმოადგენს.
- კორპორაციის გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს თვითდაფინანსების ერთ-ერთ ძირითად და მუდმივ წყაროს. მოგების დაგროვების მიზნით ფორმამ შეიძლება შექმნას სარეზერვო ფონდი, რომელსაც ის მიზნობრივად იყენებს.
- აქციების, ობლიგაციებისა და თამასუქების გამოშვება არის კორპორაციების მიერ თვითდაფინანსების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. კორპორაცია უშვებს ახალ ფასიან ქაღალდებს ან ყიდის უკვე არსებული ფასიან ქაღალდებს სარეზერვო ფონდიდან. თამასუქების გაყიდვით ფორმა იღებს ფულად სახსრებს.

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

- ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ფინანსების, როგორც დისციპლინის შემადგენელი ნაწილები;
- რა განსხვავებაა რეალურ და ფინანსურ აქტივებს შორის?
- რომელი ცვლადების მონაწილეობით იქმნება ფინანსური ღირებულება?
- განსაზღვრეთ კორპორაციის შესაზლო მიზნები და დაასაბუთეთ რომელი მიზანი შეიძლება იყოს ფორმის მთავარი მიზანი?
- ჩამოთვალეთ ფორმის დაფინანსების ძირითადი წყაროები;

თავი 2. სამეწარმეო საქმიანობის ორბანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

მეოთხე ნაწილის მეორე თავში განხილულია სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. კერძოდ: ინდივიდუალური პირის საწარმო, ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება (კორპორაცია). ყოველი მათგანის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები.

მსოფლიოში სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია: ინდივიდუალური პირის საწარმო, ამხანაგობა (პარტნიორობა) და შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო (კორპორაცია) საზოგადოება.

2.1 ინდივიდუალური პირის საწარმო

სამეწარმეო საქმიანობის გავრცელებული სამართლებრივი ფორმებიდან ინდივიდუალური პირის საწარმო, რეგისტრაციის თვალსაზრისით, ყველაზე მარტივ ფორმას წარმოადგენს. ინდივიდუალური მეწარმე არის, როგორც საწარმოს მფლობელი, ისე ხელმძღვანელი.

ინდივიდუალურ მეწარმეს შეუძლია მიმართოს ბანკს და გამოიტანოს კრედიტი. იგი პასუხისმგებელია ყველა გაწეულ ხარჯზე და ასევე ყველა მოგებას ექსკლუზიურად იღებს. გარდა ამისა სამეწარმეო საქმიანობის სხვა ფორმებთან შედარებით, სამეწარმეო საქმიანობის ამ ფორმით დაფუძნება ნაკლებად არის ბიუროკრატიულ პროცესებთან დაკავშირებული.

ინდივიდუალურ მეწარმეს წესდება არ ჰქირდება და უმეტეს სფეროში აუცილებელია მცირე რაოდენობით მარეგულირებელი პირობების დაკმაყოფილება. ინდივიდუალური მეწარმე იხდის, მხოლოდ საკუთარ საშემოსავლო გადასახდს. მეწარმეობით მიღებული ყველა შემოსავალი იბეგრება, მხოლოდ როგორც პირადი შემოსავალი. ინდივიდუალური პირის საწარმოს არსებობის ხანგრძლიობა ორ ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ: ბიზნესის წარმატებაზე და თავად მეწარმის სიცოცხლეზე. თუ ინდივიდუალური მეწარმე გარდაიცვალა საწარმო წყვეტს არსებობას.

ინდივიდუალური პირის საწარმოს, როგორც სამართლებრივ ფორმას აქვს ნაკლი - რაც გამოიხატება იმაში, რომ ის სოლიდარულად არის პასუხისმგებელი. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ინდმეწარმის გაკოტრების შემთხვევაში ის საკუთარი ბიზნესის ვალდებულებებზე, მთლიანად, თავისი ქონებით აგებს პასუხს. ამგვარად თუ კი სამეწარმეო საქმიანობის გარკვეულ ეტაპზე ინდმეწარმემ სავალ ვალდებულებები ვერ შეასრულა არ არის გამორიცხული, რომ არა მხოლოდ საწარმო არამედ საკუთარი ქონება, პირადი სიმდიდრე, გააყიდონ.

ინდივიდუალური პირის საწარმოს კიდევ ერთ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ის პირადად არის თავისი საქმის დამფინანსებელი. კრედიტის აღების გარდა მას არ გააჩნია მოზიდული საშუალებების სარგებლობის დიდი არჩევანი. მაგალითად ის ვერ გამოუშვებს აქციებს, ან ობლიგაციებს და ძირითადად საკუთარი ქონების იმედზეა. ამგვარად, თუ კი ინდმეწარმემ მოისურვა საკუთარი ბიზნესის გაფართოება, დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვის თვალსაზრისით, მას შეიძლება პრობლემები შეექმნას.

2.2 ამხანაგობა (პარტნიორობა)

ამხანაგობა (პარტნიორობა) ეს არის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს, ერთი საქმიანობით დაკავებულ, ორ ან მეტ ადამიანს. თუმცა სამეწარმეო საქმიანობის ეს ფორმა ძირითადად მცირე ბიზნესისთვისაა დამახასიათებელი. არსებობს ამ ორგანიზაციული ფორმის უფრო მსხვილი ორგანიზაციებიც სადაც 100 და მეტი ადამიანია გაერთიანებული.

ამხანაგობაში ყოველი პარტნიორი წარმოადგენს ან მთავარ (გენერალურ) პარტნიორს ან პარტნიორს შეზღუდული პასუხისმგებლობით. შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობაში სულ ცოტა ერთი პარტნიორი მაინც უნდა იყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის. განსხვავებით გენერალური პარტნიორისაგან, რომელიც სოლიდარულად პასუხისმგებელია ფირმის საქმიანობაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორი შეზღუდული პასუხისმგებლობით სარგებლობს და ჩვეულებრივ ის არ მონაწილეობს ფირმის მართველობით საქმიანობაში.

ნებისმიერ ამხანაგობაში აუცილებელია იყოს თუნდაც ერთი მთავარი (გენერალური) პარტნიორი, რომელიც სოლიდარულად არის პასუხისმგებელი.

ამხანაგობას გააჩნია როგორც უპირატესობა ისე ნაკლოვანებები. კერძოდ უპირატესობად მიიჩნევა:

- ამხანაგობაში შეიძლება გაერთიანდეს ერთი საქმიანობით დაკავებული რამდენიმე ადამიანის ტალანტი და საშუალება;
- პარტნიორები ხშირად თავიანთი ცოდნითა და სიახლეებით ავსებენ ერთმანეთს, რაც საშუალებას იძლევა უკეთესი შედეგი მიიღონ ვიდრე ამას მარტო შეძლებდნენ;
- პარტნიორების გაერთიანება იძლევა უკეთეს შედეგს ვიდრე ეს დაქირავებული შრომით მიიღებოდა.
- ბანკები და სხვა კრედიტორები დაკრედიტების შემთხვევაში უპირატესობას ინდემწარმესთან შედარებით ანიჭებენ ამხანაგობას.
- ამხანაგობას შეუძლია გაფართოვდეს თუ კი პარტნიორის სტატუსს მიანიჭებს სხვა პირს, ჩვეულებრივ იმ მუშაკს, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანია.

ამგვარად ამხანაგობას გააჩნია ზრდისა და მუშაკთა მოტივაციის მეტი შესაძლებლობა.

ამხანაგობას გააჩნია ნაკლოვანებებიც, რაც შემდეგში მდგომარეობს:

- იმ შემთხვევაში თუ კი ერთ-ერთი პარტნიორი გარდაიცვალა ამხანაგობის ლიკვიდაცია ხდება, ეს განსაკუთრებით მტკივნეულია მაშინ როდესაც ამხანაგობა შედგება ორი ადამიანისაგან;
- ამხანაგობიდან საშუალების გამოტანა ხშირად ძნელია;
- ხშირად პარტნიორებს შორის წარმოიშობა უთანხმოება, საქმეში მათი მიერ ჩადებული წვლილის შესახებ;

2.3 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

შპს ამხანაგობის მსგავსი სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი ფორმაა. მისი დაფუძნება ასევე არ არის დაკავშირებული სირთულეებთან და მის ძირითად უპი-

რატესობას საქმიანობის სწრაფი დაწყების შესაძლებლობა წარმოადგენს. ამხანაგობებისაგან განსხვავებით შპს-ს წევრები კრედიტორების წინაშე შეზღუდული პასუხისმგებლობით სარგებლობენ. როგორც წესი ეს პასუხისმგებლობა შპს-ს წევრთა წილობრივი მონაწილეობით შემოიფარგლება.

ამხანაგობისაგან განსხვავებით შპს-ს წევრებს შეუძლიათ თავიანთი წილის გასხვისება. ბიზნესის სტრატეგიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა. შპს-ს ძირითადი ნაკლია ფინანსური კაპიტალის მოზიდვის შეზღუდულობა. შპს-ს არ შეუძლია გამოუშვას აქციები და ობლიგაციები. მისი სახსრები ძირითადად შემოიფარგლება პარტნიორთა შენატანებით. აღნიშნულის გამო შპს-სათვის ძნელია ჩამოყალიბდეს დიდ ბიზნესად.

2.4 სააქციო საზოგადოება / კორპორაცია

მსოფლიოში დღეს ცნობილი დიდი ფირმების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას ძირითადად პარტნიორობა წარმოადგენდა. თუმცა დროთ განმავლობაში, დადგა რა დამატებითი სახსრების მოზიდვის აუცილებლობა, პარტნიორები კორპორაციებად გადაიქცნენ.

დიდი ბიზნესის ყველაზე გავრცელებულ ფორმას კორპორაცია წარმოადგენს. სამეწარმეო საქმიანობის ამ ფორმას გააჩნია შემდეგი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

- კორპორაციები, სამართლებრივად თავისი მფლობელებისაგან დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს. შესაბამისად კორპორაცია და მფლობელები ცალცალკე იხდიან გადასახადს. რაც პირველ შემთხვევაში წარმოადგენს მოგების გადასახადს, ხოლო მეორე შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადს.
- კორპორაციას, აღებული სესხის მიმართ, შეზღუდული პასუხისმგებლობა გააჩნია. შესაბამისად აქციონერები, მხოლოდ თავიანთი წილის ოდენობით აგებენ პასუხს კორპორაციის ვალებზე.
- კორპორაციის მფლობელები და კორპორაციის მენეჯერები, როგორც წესი, სხვადსხვა პირებია. მენეჯერები მართავენ კორპორაციას, ხოლო მფლობელები დივიდენდს იღებენ.
- კორპორაციას უფლება აქვს თავად გადაწყვიტოს როგორ განკარგოს საკუთარი მოგება. კერძოდ გაანაწილოს თავის აქციონერებზე დივიდენდის სახით თუ, მომავალში უფრო დიდი მოგების მიღების მიზნით, მოახდინოს მისი რეინვესტიცია.
- კორპორაციას რეალურად აქციონერები აკონტროლებენ. ფირმას მართავს დირექტორთა საბჭო, რომელსაც აქციონერთა კრებაზე ირჩევენ. დირექტორთა საბჭოში შედის „საშინაო“ დირექტორი, რომელიც როგორც წესი კომპანიის მოსამსახურეა და მთავარი მმართველის ფუნქციას ასრულებს, ჩვეულებრივ ის არის კომპანიის პრეზიდენტი. დირექტორთა საბჭოს ასევე ყავს „საგარეო“ დირექტორი და ის თავისი მომსახურებისათვის იღებს საზღაურს. ჩვეულებრივ ამ თანამდებობებზე ინიშნებიან საზოგადოებაში ცნობილი პირები.

დირექტორთა საბჭო ირჩევს ფირმის ხელმძღვანელთა შემადგენლობას, მათ შორის პრეზიდენტს, ისინი ფირმის საერთო საქმიანობაზე არიან პასუხისმგებელი. რამდენადაც ხშირად უკმაყოფილო აქციონერები ფირმის საქმიანობასთან დაკავშირებით სასამართლოს მიმართავენ და შესაბამისად დაზღვეული უნდა იყვნენ.

კორპორაცია, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთ ფორმა, სარგებლობს უპირატესობებით, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- კორპორაციის მფლობელთა შეზღუდული პასუხისმგებლობა. აქციონერებმა, კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში შესაძლოა, რაც დააბანდეს ყველაფერი დაკარგონ (მაგრამ არა იმაზე მეტი), რაც ძალზე მნიშვნელოვანია.
- კორპორაციას, როგორც იურიდიულ პირს შეუძლია განუსაზღვრელი დროით არსებობა. კერძოდ მან შეიძლება იარსებოს ინვესტორების მრავალი თაობის განმავლობაში და მისი არსებობა არ არის დამოკიდებული პარტნიორების გარდაცვალებასთან.
- კორპორაციაში დაბანდება მარტივია. მსხვილი ფირმების აქციები შეიძლება მიმოქცევაში იყოს საფონდო ბაზარზე. ნებიმიერ აქციონერს შეუძლია გაყიდოს თავისი აქციები და ნებიმიერ ინვესტორს შეუძლია შეისყიდოს ისინი და გახდეს აქციონერი. კორპორაციებში მფლობელობის გადაცემა მარტივია და შესაბამისად, შედარებით მარტივად იზიდავენ კაპიტალს. ინვესტორებს შეუძლიათ მშვიდად შეიძინონ აქციები, რადგანაც მათი გაყიდვა, სურვილის შემთხვევაში, ყოველთვის შეიძლება. იმის გამო, რომ ფლობა აქციების მეშვეობით ხდება, სააქციო საზოგადოებას აქციების საშუალებით შეუძლია შედარებით იოლად გაფართოვდეს.

კორპორაციას, როგორც სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივ ფორმას ასევე გააჩნია ნაკლოვანებებიც. კერძოდ:

- კორპორაცია, რომელთა აქციები საფონდო ბირჟაზე ფართოდ არის მიმოქცევაში, ვალდებულია წლის ბოლოს გამოაქვეყნოს მისი წლიური ანგარიში, რომელიც შესაძლოა იყოს საკმაოდ დიდი. აღნიშნული კი ართულებს მის კონფიდენციალობას. მაშინ როდესაც მრავალი ფირმისათვის საინვესტიციო საქმიანობისა და საინვესტიციო გეგმის კონფიდენციალობას შეიძლება დიდი მნიშვნელობა ქონდეს. ეს განსაკუთრებით იმისთვის არის მნიშვნელოვანი ვინც ახალ პროდუქტების შემუშავებაზე მუშაობს. ინივიდუალურ საწარმოსა და ამხანაგობისგან განსხვავებით, რომლებიც სკუთარ მენეჯმენტს თვითონვე ფლობენ, კორპორაციებში მუშაკთა მოტივირება გაძნელებულია.
- ორგანიზაციის ამ ფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებად ასევე მიანიხიანთ კორპორაციებისათვის გამოყენებული დაბეგერის სისტემა. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში კორპორაციის ინვესტორები ორმაგ დაბეგერას ექვემდებარებიან. აქ საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფო ბეგრავს როგორც კორპორაციის შემოსავალს ისე, დივიდენდებს, რომელსაც უხდის ფირმა თავის აქციონერ - ფიზიკურ პირებს. ინდსაწამოსა და ამხანაგობისაგან განსხვავებით ეს შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან ნაკლად, რამდენადაც ეს ფირმები იბეგრებიან მხოლოდ საშემოსავლო გადასახადით.

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

- ჩამოთვალეთ მსოფლიოში გავრცელებული, სამეწარმეო საქმიანობის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები;
- რაში მდგომარეობს ინდსაწარმოს დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები?
- დაახასიათეთ ამხანაგობა (პარტნიორობა), მისი დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მისი ძირითადი თავისებურებები, მისი დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები
- სააქციო საზოგადოება/კორპორაცია – მისი ძირითადი მახასიათებელი ნიშნები.
- კორპორაციის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი ფორმის უპირატესობები და ნაკლოვანებები.

თემა 3. ფულის დროითი ღირებულება

ფულის დროითი ღირებულება ფინანსური ღირებულების ერთ-ერთი განმსაზღვრელი დეტერმინანტია. მეოთხე ნაწილის მესამე თავის გაცნობის შემდეგ გვეცოდინება: როგორ მიიღება საპროცენტო შემოსავალი და ნაზარდი კაპიტალი; რას ნიშნავს პროცენტის დარიცხვის მარტივი და რთული მეთოდი; როგორ განისაზღვრება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულება და დღევანდელი გადასახდელის მომავალი ღირებულება;

3.1 საპროცენტო შემოსავალი და ნაზარდი კაპიტალი - საფინანსო ურთიერთობის მატერიალურ საფუძველს ფული წარმოადგენს. ფულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია დაგროვებაა. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფული არ შეიძლება მივაკუთნოთ დაგროვების საუკეთესო საშუალებას, რადგანაც ფულის ღირებულება დროში იცვლება. აღნიშნულიდან გამომდინარე საფინანსო ურთიერთობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს დროში ფულის ღირებულების განსაზღვრა წარმოადგენს. ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დღეს მიღებული ფულადი ერთეულით (პირობითად ერთი დოლარით) მეტი რაოდენობის საქონლის ან მომსახურების შექმნა შეიძლება, ვიდრე მომავალში მიღებული ამ ერთი დოლარით იქნება შესაძლებელი.

შესაბამისად დროის ფაქტორის გათვალისწინებით ინვესტორმა უნდა იცოდეს რა იქნება მისი რეალურ შემოსავალი. ამასთან ინვესტორს შეუძლია მიიღოს შემოსავალი, როგორც ერთბაშად ისე მრავალჯერადად ფულადი თანხის ნაკადის სახით. განვიხილოთ რა გავლენას ახდენს ფულის დროითი ღირებულების პრინციპი ერთბაშად გადასახდელზე.

მაინც როგორ იცვლება ფულის ღირებულება დროში? იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვას, უწინარეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ როგორ მიიღება **საპროცენტო შემოსავალი, ნაზარდი კაპიტალი, (ინვესტორის შემოსულობა) და რას წარმოადგენს მარტივი და რთული პროცენტი.** განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საპროცენტო შემოსავალი და ნაზარდი კაპიტალი - ფულადი კაპიტალის (დანაზოგის) მფლობელი შემოსავლის მიღების მიზნით ახდენს ინვესტიციას (დაბანდებას). ფულადი კაპიტალის (დანაზოგის) ინვესტირების სხვადასხვა შესაძლებლობები არსებობს. მათ შორის **სესხის გაცემა** ფულადი კაპიტალის ინვესტირების ერთ-ერთ ეფექტურ გზას წარმოადგენს. ამასთან, სესხის გაცემით მოსალოდნელი შემოსავლის ოდენობა სამ ფაქტორზეა (პარამეტრზე) დამოკიდებული. კერძოდ: **საწყისი ფულადი კაპიტალის სიდიდეზე, დაბანდების გადაზე და საპროცენტო განაკვეთზე.**

ნებისმიერი ტიპის ინვესტიციის მიზანი – მოგების მიღებაა და იგი ბიზნესის ნაირსახეობაა. ერთი ტიპის ინვესტიცია სხვებთან მიმართებაში კაპიტალის დაბანდების ალტერნატიულ შესაძლებლობას წარმოადგენს. უფრო მაღალი მოგების მომტანი ინვესტიცია უფრო აქტიურია და, რომ შეიძლებოდეს მისი ზუსტი და წინასწარი შეფასება, მეწარმეობა რთული და სარისკო საქმე არ იქნებოდა. შესაბამისად ნებისმიერი სახის დაბანდება გარკვეულ ალბათობას მოიცავს, მაღალი მოგება მართალია მიმზიდველია, მაგრამ ის თითქმის ყოველთვის დიდ რისკთანაა დაკავშირებული.

ფულადი კაპიტალის ინვესტირების ეფექტურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელია **საპროცენტო განაკვეთი.** იგი განსაზღვრავს მისაღები საპროცენტო შე-

მოსავლის i -ს (*interest*) სიდიდეს, ე.ი. იმას თუ რა თანხით გაიზრდება საწყისი ფულადი კაპიტალი. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ფორმულით:

$$r = i / P \times n \quad (1)$$

სადაც: i - მისაღები საპროცენტო შემოსავლის (პროცენტის) სიდიდე; r - ათწილადებში გამოხატული ნომინალური საპროცენტო განაკვეთი; P - საწყისი ფულადი კაპიტალი; n - ინვესტიციის ვადა. i - სიდიდეს საპროცენტო ფულს, საპროცენტო შემოსავალს, ან უბრალოდ პროცენტს უწოდებენ. 1 ფორმულის მიხედვით შეიძლება საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშება:

$$i = P \times r \times n \quad (2)$$

საპროცენტო შემოსავალი და საწყისი ინვესტირებული ფულადი კაპიტალი ერთად ქმნის ნაზარდ კაპიტალს (S), რომელსაც ასევე საწყისი კაპიტალის მომავალ ღირებულებას უწოდებენ და ის ინვესტორის შემოსულობას, ხოლო მსესხებლისათვის (ემიტენტისათვის) გადასახდელს წარმოადგენს. ნაზარდი კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ფორმულით.

$$S = P + i \quad (3)$$

აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ რაც ინვესტორისათვის შემოსავალია, ის გადამხდელისათვის (მსესხებლისათვის ან ემიტენტისათვის) არის ხარჯი. ამასთან ყველა შემოსავალი შემოსულობაა, ხოლო ყველა შემოსულობა შემოსავალს არ წარმოადგენს. ასე მაგალითად საპროცენტო შემოსავალი ინვესტორის შემოსავალია, ხოლო გასესხებული საწყისი ფულადი კაპიტალი არ შეიძლება იყოს ინვესტორის შემოსავალი, რადგანაც ის ვალდებულებების დაფარვასთანაა დაკავშირებული. ისევე როგორც ყველა ხარჯი გადასახდელია, ხოლო ყველა გადასახდელი შეიძლება არ იყოს ხარჯი. კერძოდ პროცენტი მსესხებლის (ემიტენტის) ხარჯია, ხოლო ნასესხები ფულადი თანხა მისი გადასახდელია და არა ხარჯი. რამდენადაც კრედიტი ვალდებულებების დაფარვიდან გამომდინარეობს. ნასესხები თანხა გარკვეული ვადის შემდეგ მის მფლობელს (ინვესტორს) უბრუნდება.

3.2 მარტივი და რთული პროცენტი

პრაქტიკაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნობრიობიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყენებულ იქნეს, პროცენტის დარიცხვის როგორც მარტივი, ისე რთული მეთოდი. შესაბამისად ინვესტორის შემოსულობა (საწყისი სასესხო კაპიტალის მომავალი ღირებულება), განსახვავებული იქნება.

ასე მაგალითად დაუშვათ, რომ კლიენტს ბანკში შეაქვს დანახოვი 1000 დოლ, ბანკის წლიური საპროცენტო განაკვეთი 6 %-ს შეადგენს. თუ კი ბანკი იყენებს მარტივი პროცენტის დარიცხვის მეთოდს ერთი წლის შემდეგ კლიენტის ანგარიშზე იქნება:

$$S_1 = \$ 1\,000 + \$ 1\,000 \times 0,06 = \$ 1\,000 + \$ 60 = \$ 1\,060.$$

ორი წლის შემდეგ ანგარიშზე აღმოჩნდება:

$$S_2 = \$ 1\,060 + \$ 1\,000 \times 0,06 = \$ 1\,000 + \$ 1\,000 \times 0,06 + \$ 1\,000 \times 0,06 = \\ = \$ 1\,000(1+0,06+0,06) = \$ 1\,000 (1 + 0,06 \times 2) = \$ 1\,120$$

აღნიშნული გამოთვლების მიხედვით, მარტივი პროცენტის დარიცხვის გათვალისწინებით, შეიძლება n წლის შემდეგ (S) ნაზარდი კაპიტალის ზოგადი ფორმულა გამოვიყვანოთ:

$$S_n = P + i = P + P \times r \times n = P (1 + r \times n) \quad (4)$$

მე-4 ფორმულაში $(1 + r \times n)$ -ს ეწოდება მარტივი პროცენტის მიხედვით კაპიტალის ზრდის კოეფიციენტი. ჩვენი მაგალითისთვის თუ გამოვიყენებთ მე-4 ფორმულას მივიღებთ:

$$S_2 = \$1\,000 \times (1 + 0,06 \times 2) = \$1\,120$$

ამგვარად მარტივი პროცენტით დარიცხვა ნიშნავს იმას, რომ ყოველ მომდევნო პერიოდში ნაზარდ კაპიტალს ემატება (i) საპროცენტო შემოსავალი, რომელიც მიიღება საწყის ფულადი კაპიტალის გამრავლებით ათწილადებში გამოსახულ (r) საპროცენტო განაკვეთზე და (n) დროის პერიოდზე.

პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება არა მხოლოდ მარტივი არამედ რთული პროცენტის დარიცხვის მეთოდი. რომლის დროსაც ყოველ მომდევნო პერიოდში ნაზარდ კაპიტალს ემატება საპროცენტო შემოსავალი. ამასთან რთული პროცენტის დარიცხვის მეთოდით საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს ნაზარდ კაპიტალისა და (r) ათწილადებში გამოსახულ საპროცენტო განაკვეთის ნამრავლს.

ჩვენი მაგალითის მიხედვით, რთული პროცენტის დარიცხვის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ერთი წლის შემდეგ შენაბრებს ანგარიშზე ექნება:

$$\$1\,000 + \$1\,000 \times 0,06 = \$1\,060$$

ორი წლის შემდეგ ნაზარდ კაპიტალი (S_2) იქნება:

$$S_2 = \$1\,060 + \$1\,060 \times 0,06 = \$1\,060 \times (1 + 0,06) = \\ = \$1\,000 \times (1 + 0,06) \cdot (1 + 0,06) = \$1\,000(1 + 0,06)^2 = \$1\,123,60$$

ჩვენი მაგალითის მიხედვით შეიძლება გამოვიყვანოთ, რთული პროცენტის დარიცხვის მეთოდით, შენაბრის ნაზარდ კაპიტალის ფორმულა:

$$S_n = P(1 + r)^n \quad (5)$$

მე-5 ფორმულაში $(1 + r)^n$ წარმოადგენს რთული პროცენტის მიხედვით კაპიტალის ზრდის კოეფიციენტს. თუ კი შევადარებთ პროცენტის დარიცხვის მარტივ და რთულ მეთოდს დავინახავთ განსხვავებას. ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითში, მარტივი პროცენტის დარიცხვის დროს ორი წლის შემდეგ შენაბრის ანგარიშზე ნაზარდ კაპიტალი 1120,0 დოლ იყო. მაშინ როდესაც რთული პროცენტით დარიცხვის შემთხვევაში ნაზარდ კაპიტალი 1123,60 დოლ გახდა. განსხვავებამ შეადგინა 3,60 დოლ. კერძოდ თუ კი წლიური განაკვეთი 6%-ია ორი წლის შემდეგ რთული პროცენტის მიხედვით შენაბრებს დამატებით ერიცხება

$$\$60 \times 0,06 = \$3,6.$$

3.3 მომავალი ღირებულება

დღეს გადახდილი ფულადი თანხის (გადასახდელის) მომავალი ღირებულება, არის გადასახდელის ღირებულება იმ დაშვებით, რომ ეს გადახდა მომავალში, გარკვეული დროის შემდეგ მოხდება.

კაპიტალის ზრდის კოეფიციენტი $(1+r)^n$, საპროცენტო განაკვეთით (r) და დღევანდელი და მომავალ გადასახდელს შორის დროის პერიოდით (n), მათემატიკურად აკავშირებს ფულადი თანხის დღევანდელ და მომავალ ღირებულებას. თუ კი დღევანდელ ღირებულებას (საწყის ფულად კაპიტალს) აღვნიშნავთ PV-თი, ხოლო მომავალ ღირებულებას (ნაზარდ ფულად კაპიტალს) FV-თი, მაშინ ფულადი კაპიტალის მომავალ და დღევანდელ ღირებულებას შორის დამოკიდებულებას, რთუ-

ლი პროცენტის დარიცხვის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ექნება შემდეგი სახე:

$$FV = PV(1 + r)^n \quad (6)$$

მე-6 ფორმულაში $(1+r)^n$ უწოდებენ მომავლი ღირებულების საპროცენტო კოეფიციენტს. განვიხილოთ მაგალითი; დაუშვათ კლიენტმა ბანკში 5 წლით 150 დოლ. შეინახა მაშინ, როდესაც წლიური საპროცენტო განაკვეთი 12 %-ს შეადგენდა. რა იქნება შენახული თანხის მომავალი ღირებულება ხუთი წლის გასვლის შემდეგ? თუ კი მე-6 განტოლებას გამოვიყენებთ მივიღებთ:

$$FV = \$ 150 \times (1,12)^5 = \$ 264,35$$

ამგვარად 5 წლის შემდეგ კლიენტის შემოსულობა 264.35 დოლ. გახდება. უნდა აღინიშნოს, რომ ფულის დროითი ღირებულების მე-6 განტოლება, ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა გაანგარიშები-სათვის და ფინანსური ურთიერთობისათვის ის ფუნდამენტურ განტოლებას წარმოადგენს.

3.4 მომავალი ღირებულება და პროცენტების დარიცხვის პერიოდულობა

რაც უფრო ხშირია პროცენტის პროცენტზე დარიცხვა, მით უფრო სწრაფად იზრდება დღევანდელი ღირებულება. ასე მაგალითად დაუშვათ, რომ ბანკში მეანაბრემ შეიტანა 1 000 დოლ. წლიური 12 % განაკვეთით იმ პირობით, რომ პროცენტის პროცენტზე დარიცხვა უნდა განხორციელდეს წელიწადის ყოველ ექვს თვეში. შესაბამისად წლის პირველ ნახევარში მეანაბრის ანგარიშზე იქნება:

$$1000 (1 + 0,12/2) = \$ 1 060$$

ხოლო როდესაც ნახარდ შემოსავალს მომდევნო ექვსი თვის შემდეგ კვლავ დაერიცხება პროცენტი მეანაბრის შემოსავალი წლის ბოლოს გახდება:

$$1060 (1 + 0,12/2) = 1123.60 \$.$$

ზოგადად როდესაც (n) წლის განმავლობაში რთული პროცენტის დარიცხვა ხდება (m) პერიოდულობით, მაშინ ერთი წლის შემდეგ, (r) წლიური საპროცენტო განაკვეთის პირობებში, მომავალი ღირებულება შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$FV = PV(1+r / m)^{mn} \quad (7)$$

3.5 ეფექტური (ფაქტიური) საპროცენტო განაკვეთი

რაც უფრო ხშირია პროცენტის პროცენტზე დარიცხვის პერიოდულობა მით უფრო სწრაფად იზრდება კაპიტალის დღევანდელი ღირებულება (საწყისი კაპიტალი). ეფექტური (ფაქტიური) საპროცენტო განაკვეთი r_e არის წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო განაკვეთის ერთობლიობა, რომელიც წლიური საპროცენტო განაკვეთის ექვივალენტურია. ასეთი წლიური საპროცენტო განაკვეთი ცნობილია, როგორც ნომინალური საპროცენტო განაკვეთი.

ეფექტური და ნომინალური განაკვეთი, ან გამოცხადებული საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის ტოლია იმ პირობით, რომ ერთი და მეორეც წარმოშობს ერთი და იგივე მომავალ ღირებულებას. იმისათვის რომ განსაზღვროთ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ შემდეგი განტოლება:

$$(1 + r_e) = (1 + r / m)^m \quad (8)$$

მე-8 განტოლება შეიძლება ავსხნათ შემდეგნაირად. მისი მარცხენა ნაწილი გვიჩვენებს ერთი წლის შემდეგ 1 დოლ-ის მომავალ ღირებულებას, რომელსაც ერიცხება ეფექტური (ფაქტიური) საპროცენტო განაკვეთი. ხოლო განტოლების მარჯვენა ნაწილი გვიჩვენებს ერთი დოლარის მომავალ ღირებულებას, რომელსაც (m) პერიოდისათვის ერიცხება რთული პროცენტი (r/m) განაკვეთით. რამდენადაც (m) პერიოდი ერთ წელს ქმნის მე-8 განტოლებით შეიძლება აიხსნას ის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც მომავალი ღირებულების ორივე მნიშვნელობა ერთმანეთის ტოლია.

ასე მაგალითად როდესაც ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 12 % -ია, პროცენტის პროცენტზე ყოველთვიური დარიცხვის პირობებში, თვიური საპროცენტო განაკვეთი 1 %-ი იქნება. ამასთან თუ კი საპროცენტო განაკვეთი 1 % -ია, ხოლო დარიცხვის პერიოდი 12, ერთ დოლარის მომავალი ღირებულება იქნება

$$FV = \$ 1(1,01)^{12} = \$ 1,1268$$

ამგვარად ჩვენ დავაბანდეთ რა ერთი დოლარი, წლის ბოლოს მივიღეთ 1,1268 დოლ. შესაბამისად ერთი დოლარის დაბანდების შემთხვევაში, როდესაც ნომინალური საპროცენტო განაკვეთით 12 %-ია, ხოლო პროცენტის პროცენტზე დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, ეფექტური (ფაქტიური) საპროცენტო განაკვეთი შედგინს 12,68 %.

3.6 დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულება

მომავალი გადასახდელისა – ახლანდელი ღირებულება არის გადასახდელის ღირებულება, რომელიც თითქოს დაუფონებლივ უნდა იქნეს გადახდილი.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეს დაბანდებულ ფულად კაპიტალს გააჩნია მომავალი ღირებულება, მომავალ გადასახდელებსაც გააჩნიათ ასევე დღევანდელი ღირებულება. მე-6 განტოლების გარდაქმნით შეიძლება მივიღოთ მომავალი გადასახდელის დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულების განტოლება:

$$PV = FV / (1+r)^n \quad (9)$$

განვიხილოთ მაგალითი, დაუშვათ, რომ თქვენ გყავთ მდიდარი ბიძა, რომელიც გპირდებათ, რომ ერთი წლის შემდეგ მოგცემთ 1 000 დოლ. მიმდინარე საპროცენტო განაკვეთი 10 პროცენტია. თქვენ შეგიძლიათ, დღევანდელი ღირებულების ფორმულის გამოყენებით, გამოთვალოთ 1 000 დოლ-ის დღევანდელი ღირებულება:

$$PV = \$ 1000 / 1+0,1 = \$ 909,09$$

ამგვარად თუ კი წლიური საპროცენტო განაკვეთი 10 %-ია, ერთი წლის შემდეგ მისაღები 1 000 დოლ-ის დღევანდელი ღირებულება ტოლი იქნება 909, 09 დოლ -ის. აქვე შეგვიძლია დავამტკიცოთ ისიც, რომ 909, 09 დოლ-ის მომავალი ღირებულება 10 % -იანი წლიური საპროცენტო განაკვეთის პირობებში ერთი წლის შემდეგ 1 000 დოლ. იქნება. საყურადღებოა ის, რომ დღევანდელი და მომავალი ღირებულება ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენს, რამდენადაც მომავალი ღირებულების ფორმულის მარტივი გარდაქმნით მიიღება დღევანდელი ღირებულების ფორმულა. განვიხილოთ მაგალითი:

დაუშვათ, რომ წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13 %-ს, ხოლო ოთხი წლის შემდეგ უნდა მიიღოთ 1630,47 დოლ. რა იქნება მისი დღევანდელი ღირებულება?

$$PV_4 = \$ 1630,47 / (1+0,13)^4 = \$ 1630 / 1,6305 = \$ 1 000$$

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ თუ კი საპროცენტო განაკვეთი იქნება 13%, დღეს ჩვენ უნდა დავაბანდოთ 1 000 დოლ. იმისათვის რომ ოთხი წლის შემდეგ 1630,47 დოლ. მივიღოთ. ფულის დროითი ღირებულების განსაზღვრას უადრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკაში არსებული დანაზოგის მიზნობრივი და ეფექტიანი ინვესტირებისათვის.

3.7 მომავალი და დღევანდელი ღირებულების ცხრილების მნიშვნელობა

დროში ფულის ღირებულების შეფასების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცხრილები, რომელშიც მოცემულია საპროცენტო განაკვეთებისა და პერიოდების გათვალისწინებით ერთი დოლარის, როგორც მომავალი ისე დღევანდელი ღირებულების საპროცენტო კოეფიციენტები. ეს ცხრილები სპეციალურ სახელმძღვანელოებში დანართის სახითაა მოცემული. იმისათვის, რომ ვნახოთ როგორ გამოიყენება ეს ცხრილები, მაგალითისათვის ავიღეთ ერთი დოლარის მომავალი ღირებულების ცხრილის ნაწილი. იხ. ცხრილი 1

ერთი დოლარის მომავალი ღირებულება		ცხრილი 1		
პერიოდის რიცხვი	საპროცენტო განაკვეთი			
	1%	2%	3%	4%
1	1,0100	1,0200	1.0300	1.0400
2	1.0201	1.0404	1.0609	1.0816
3	1.0303	1.0612	1.0927	1.1249
4	1.0406	1.0824	1.1255	1.1699
5	1.0510	1.1040	1.1593	1.2167

განვიხილოთ მაგალითი: დაუშვათ, რომ სამი თვის შემდეგ გსურთ გაიგოთ 2 000 დოლ. მომავალი ღირებულება იმ პირობით, რომ ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი $r = 2\%$ -ს. ცხრილი 1. წარმოდგენილია მატრიცის სახით, რომელშიც პერიოდებისა და პროცენტის გადაკვეთაზე მოცემულია ერთი დოლარის მომავალი ღირებულება. მაგალითის მიხედვით 1 დოლ-ის მომავალი ღირებულების საპროცენტო კოეფიციენტია 1.0612. ამასთან სამ თვის შემდეგ ჩვენ გვაინტერესებს არა ერთი დოლარის, არამედ 2 000 დოლ. ღირებულება. ამიტომ უბრალოდ კოეფიციენტი უნდა გავამრავლოთ 2 000 დოლ-ზე. შესაბამისად ამ თანხის მომავალი ღირებულება იქნება;

$$FV = \$ 2\,000 \times 1.0612 = \$ 2122.40$$

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცხრილში მოცემულია საპროცენტო განაკვეთი, რომელიც არ არის სავალდებულო იყოს წლიური საპროცენტო განაკვეთი. ანალოგიურად იმისა, რომ პერიოდები არ გულისხმობს, მხოლოდ წლების რიცხვნებას. ჩვენს მაგალითში მოცემული იყო ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი, პერიოდად კი ერთი თვეა აღებული.

აუცილებელია გვახსოვდეს უმნიშვნელოვანესი წესი, რომლის მიხედვითაც დრო და საპროცენტო განაკვეთი აუცილებლად ერთი და იგივე დროის ერთეული პერიოდით უნდა იქნეს ასახული. ასე მაგალითად თუ კი პერიოდად აღებულია ერთი დღე მაშინ საპროცენტო განაკვეთიც უნდა ასახავდეს დღიურ საპროცენტო განაკვეთს და ა. შ.

როგორც მომავალი ისე დღევანდელი ღირებულების კოეფიციენტის განსაზღვრისათვის იყენებენ შემოკლებულ ფორმულას. ასე მაგალითად მომავალი ღირებულების საპროცენტო კოეფიციენტი გამოითვლება:

$$FV(r,n) = (1+r)^n \quad (10)$$

თუ კი მე-10 ფორმულაში ჩავსვათ $r = 2\%$ და $n = 3$ მნიშვნელობებს, მომავალი ღირებულების კოეფიციენტს ექნება შემდეგი სახე:

$$FV(r,n) = (1 + 0,02)^3 = 1.0612$$

ანალოგიურად გამოითვლება დღევანდელი ღირებულების საპროცენტო კოეფიციენტი:

$$PV(r,n) = 1 / (1+r)^n. \quad (11)$$

მიუხედავად იმისა, რომ დროში ფულის ღირებულების შესაფასებლად ცხრილები საკმაოდ მოხერხებულია ის ყველა მოთხოვნას მაინც ვერ აკმაყოფილებს. რამდენადაც ცხრილი შეიცავს საპროცენტო განაკვეთებისა და პერიოდების მხოლოდ მთელ მნიშვნელობებს. შესაბამისად ხსენებული ცხრილების გამოყენება შეუძლებელი იქნება მაშინ თუ კი მაგალითად საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10,5 %-ს ხოლო პერიოდის რიცხოვნობა 5,5-ს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი ფორმულის გამოყენებით ჩატარდეს გამოთვლები.

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

1. რაში მდგომარეობს ფულის დროითი ღირებულების პრინციპის არსი?
2. როგორ მიიღება საპროცენტო შემოსავალი და ნაზარდი კაპიტალი და რა განსხვავება არსებობს მათ შორის?
3. ჩამოთვალეთ საპროცენტო შემოსავლის სიდიდის განმსაზღვრელი ფაქტორები.
4. რა წარმოადგენს ფულადი კაპიტალის ინვესტირების ეფექტურობის ერთ-ერთ მაჩვენებელს და როგორ განისაზღვრება ის?
5. პრაქტიკაში პროცენტის დარიცხვის რამდენი მეთოდი გამოიყენება? ახსენით რას ნიშნავს მარტივი პროცენტის დარიცხვის მეთოდი.
6. პრაქტიკაში პროცენტის დარიცხვის რამდენი მეთოდი გამოიყენება? ახსენით რას ნიშნავს რთული პროცენტის დარიცხვის მეთოდი?
7. რას ნიშნავს გადასახდელის მომავალი ღირებულება?
8. მათემატიკურად რა აკავშირებს ფულადი თანხის დღევანდელ და მომავალ ღირებულებას?
9. გამოიყვანეთ და ახსენით ფულის დროითი ღირებულების ფუნდამენტური ფორმულა.
10. რომელი ფორმულით შეიძლება განისაზღვროს მომავალი ღირებულება და პროცენტების დარიცხვის პერიოდულობა?
11. რას წარმოადგენს ეფექტური (ფაქტიური) საპროცენტო განაკვეთი?
12. როგორ შეიძლება მივიღოთ მომავალი გადასახდელის დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულების განტოლება?
13. რა მნიშვნელობა აქვს მომავალი და დღევანდელი ღირებულების ცხრილებს?
14. როდის არ შეიძლება მომავალი და დღევანდელი ცხრილების გამოყენება?

Лили Гвенетадзе
Общая теория финансов
Курс Лекций для бакалавриата
Резюме

В Грузии, в процессе формирования рыночных отношений, всё больше растёт потребность в изучении финансов, как к учебной дисциплине. Финансы являются как экономической, так и правовой категорией. Соответственно, в отдельных странах финансовые отношения регулируются правовыми нормами принятыми в этих странах. В курсе, финансы как экономическая категория, рассматриваются в грузинском правовом пространстве.

Во многих странах развитой рыночной экономики, финансы как отдельная дисциплина выделились из экономики с 50-тых годов прошлого века и это направление в науке считается относительно новым. А что касается Грузии, которая пока ещё находится на сложном этапе перехода на рыночную экономику, финансы как отдельная дисциплина только начинает развиваться. Именно вышеотмеченное послужит поводом для подготовки курса лекции, который предназначен для студентов бакалавриата.

Цель курса: развитие учебного модуля по финансам и предоставление образовательной информации лицам, заинтересованным этим курсом, для получения начального финансового образования.

Курс лекций «Общая теория финансов» объединяет все те темы и проблемы, которые необходимы для получения начального финансового образования. Курс является попыткой последовательно передавать необходимые элементы финансовой теории, путём продвижения от простого к сложному и системного подхода обсуждения вопросов.

Курс состоит из четырёх частей. В первой части разъяснены: понятие, сущность, виды, инфляция денег, стоимость денег и их количественная теория; финансы и предпосылки их возникновения, основные признаки финансов и понятие финансов, функции и сущность финансов, финансовая система. Вторая часть касается системного и структурного рассмотрения государственной финансовой системы, его составляющих сфер, в частности: бюджета, кредитной сферы, страховой сферы и сферы ценных бумаг, разъяснены особенности этой системы. В третьей части курса с институциональной точки зрения рассмотрены: институты регулирующие государственные финансы, финансовые рынки и институты регулирующие международные финансы. Четвёртая часть в общих чертах характеризует финансы корпорации как дисциплину. В последней главе этой же части дана методика определения временной стоимости, одного из важнейшего детерминанта денег.

В общем курс лекций является вступительной частью финансов, как дисциплины. Соответственно этот курс является обязательным. Его главная задача: приближение теории финансов к реальной жизни; содействие студентам в изучении финансовой науки, приурочение общей теории финансов к «финансовому менеджменту», «инвестициям» и «финансовому рынку».

Lily Gvenetadze
General Theory of Finance
Lecture Course for Bachelors

Summary

In Georgia, in the process of market relationship formation, need for finance as for educational discipline is growing more and more. Finance is economical and legal category as well. Relatively, in each country financial relation is regulated according to legal norms accepted in these countries. In the lecture course finance, as economical category, is discussed in Georgian legal sphere.

In many countries with developed market economies, finance as an independent discipline, was detached from the science of Economy, in 50s of the past century, and this school is considered new. This discipline is considerably new Georgia, which is still getting over the difficult stage towards market economy. Due to all above mentioned it was decided to prepare of course lecture assigned for Bachelor's degree students.

The aim of the lecture course is the development of educational module of finance and delivering educational information to interested persons for receiving primary education in finance.

Lecture course – “General Theory of Finance” unites all those themes and problems that are essential for receiving primary education. The course is an attempt of system and succession discussion of essential issues of financial theory starting from simple and going to difficult.

The course consists of four parts. The first part elucidates money abstract concept, its main point, types, inflation, money value and theory of money quantity, also finance and determinant factors for its creation, characterizing features of finance and its abstract concept, functions and its essence, financial system. The second part concerns system and structural discussion of state financial system, its spheres, namely: budget, credit, insurance and security. In the third part of the course from the institutional point of view are discussed state finance regulating institutes, financial markets and international finance regulating institutes. The fourth part describes corporation finance as a discipline. In the last chapter of this part it is given method for determining time-value of money, which influences financial estimation.

Thus the lecture course is introduction to the Finance as to discipline. Correspondingly, the course is obligatory. Its core task is drawing financial theory closer to life; supporting student in learning financial science, making correspondences of finances to “financial management”, “investments” and “financial market”.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ საქართველოს საბიუჯეტო სისტემების შესახებ“, თბილისი. 2003.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი . თბილისი, 2004.
3. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ თბილისი. 1995
4. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების შესახებ“ თბილისი. 1996.
5. საქართველოს კანონი „საქართველოს ფასიანი ბაზრი შესახებ“ თბილისი. 1999.
6. საქართველოს კანონი “დაზღვევის შესახებ“ თბილისი. 1997.
7. საქართველოს კანონი „ჩეკის შესახებ“ თბილისი. 1995.
8. საქართველოს კანონი „თამასუქის შესახებ“ თბილისი. 1995.
9. საქართველოს მთავრობის 2004 წ. 21 მაისი №30 დადგენილებით დამტკიცებული, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულება.
10. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 16 სექტემბრის №371 ბრძანებულებით დამტკიცებული, სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შესახებ დებულება.
11. ასათიანი რ., ფული და ფულადი სისტემები, თბ., 1996
12. გამსახურდია გ., ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში., თბილისი, 1997.
13. გვენეტაძე ლ., ბიუჯეტი მართვის ზოგიერთი პრობლემები პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე - ეკონომიკის სერია, 2003. ტომი 11, №3.
14. ინგოროყვა ა., წიკლაური ს., „ფულის მიმოქცევა და კრედიტის სააფუძვლები“-დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი, 2000.
15. სს კავკასიის ბირჟა., საბირჟო საქმე და ფასიანი ქაღალდების ბაზარი., თბილისი, 1998.
16. რ. კაკულია; ფინანსების თეორია. 2004.
17. გ. მენქიუ., ეკონომიკის პრინციპები., თბილისი, 2000.
18. მესხია ი. ნიკოლაიშვილი ო., გადასახადები და დაბეგვრა., -თბილისი, 2002.
19. ვ. პაპავა., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა., თბილისი, 2002.
20. ე. როდე., ბანკები ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში., ქუთაისი, 1998.
21. ე. რიდი, რ. კოტერი, ვ. გილი, რ. სმითი., კომერციული ბანკები და საბანკო საქმე., თბილისი 1996.
22. საქართველოს ეროვნული ბანკი., მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი., თბილისი, 2004. №1(61)
23. ფილოსოფიური ლექსიკონი., თბილისი, 1987.
24. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული., თბილისი, 1986.
25. ღუდუშაური ლ., კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი, თბ., 1996
26. არჩილ ცერცვაძე, ლევან კალანდაძე, შოთა დავითაშვილი, არასიცოცხლის დაზღვევის სახელმწიფო რეგულირება., თბილისი, 1999.
27. მ. ჯიბუტი., საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი., თბილისი., 2003.
28. Junior Achievement., გამოყენებითი ეკონომიკა., თბილისი 1997.
29. Н. Е. Заяц., Таория налогов., Минск, 2002.
30. Казимеж Клёц., Исследования и анализ - Центральный банк и коммерческие банки в Грузии., Варшава, 1997.
31. Роберт В. Колб, Рикардо Дж. Родригес., Финансовый менеджмент., Перевод 2-го английского издания., Москва, „Финпресс". 2001.

32. А. Литовских, И. Шевченко., Финансы, денежное обращение и кредит Учебное пособие., Таганрог, 2003.
33. Основные сведения об Организации Объединенных Нации. М. Издательство,, Юридическая литература., 1995.
34. Объединённый венский институт Вена, Австрия. Макроэкономический счета, Анализ и прогнозирование., Институт МВФ Международный Валютный Фонд., 08.11-03.12., 2004.
35. Г. Мэнкью Макроекономика. М., 1994
36. Н.Ф. Самсонову Финансовый Менеджмент . Москва. 2001.
37. П. Самуэльсон, Экономика. т. 1, М. 1992.
38. Советский энциклопедический словарь. Москва., 1980
39. Философский словарь. М. 1975.

ავტორი

ლილი გვენეტაძე - არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; 2001-2005 წწ იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისი სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტის დოცენტი; 1997-1993 წწ. სამეცნიერო- კვლევით მუშაობას ეწეოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში; 1993-2004 წწ. მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში, სადაც 2001-2004 წწ. იყო საფინანსო პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილე. არის მრავალი ნაშრომის ავტორი. სამეცნიერო კვლევის ინტერესების სფეროს წარმოადგენს - ფინანსები და ეკონომიკური პროცესების მართვა.

ლილი გვენეტაძე
Общая теория финансов
Курс Лекций для бакалавриата

Издательство университета им Григол Робакидзе
(на грузинском языке)
Тбилиси 2006

Lily Gvenetadze
General Theory of Finance
Lecture Course for Bachelors

Grigol RobaKidze University Press
Tbilisi 2006

ტექნიკური რედაქტორი: არჩილ კოპალეიშვილი
დიზაინერი: დავით მეფარიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად
ფასი სახელშეკრულებო
ტირაჟი 200 ეგზ. შეკვეთ №

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი გამომცემლობა,
ჯანო ბაგრატიონის 6, თბილისი, 0160 საქართველო
ტელ. 38.44.06 38.58.49
Fax 995 32 25. 29.81
E-mail: gr uni@posta. ge
www.gruni.edu.ge